

საერთაშორისო დაცვის უფლების მეორე პირად კვალიფიციკრება პრეცედენტული სამართლის ანალიზი (მეორე გამოცემა)



გამოცემულია IARMJ-ის ევროპული წარმომადგენლობის (IARMJ-Europe) მიერ EUAA-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე

The EUAA judicial publications have been created in cooperation with members of courts and tribunals on the following topics:

- Article 15(c) Qualification Directive (2011/95/EU) (2014);
- Introduction to the Common European Asylum System for courts and tribunals (2016);
- Qualification for international protection (Directive 2011/95/EU) (2022, second edition);
- Evidence and credibility assessment in the context of the Common European Asylum System (2018);
- Asylum procedures and the principle of *non-refoulement* (2018);
- Country of origin information (2018);
- Detention of applicants for international protection in the context of the Common European Asylum System (2019);
- Reception of applicants for international protection (Reception Conditions Directive 2013/33/EU) (2020);
- Exclusion: Articles 12 and 17 Qualification Directive (2011/95/EU) (2020, second edition);
- Vulnerability in the context of applications for international protection (2021);
- Ending international protection (2021, second edition).

The EUAA judicial publications comprise judicial analyses, judicial trainers' guidance notes and compilations of jurisprudence for each topic covered, apart from country of origin information, which comprises a judicial practical guide accompanied by a compilation of jurisprudence. All materials are developed in English. For more information on publications, including on the availability of different language versions, please visit <https://euaa.europa.eu/asylum-knowledge/courts-and-tribunals>.

**საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე
პირად კვალიფიცირება (# 2011/95/EU
დირექტივა)
მეორე გამოცემა**

*ევროკავშირის თავმჯდომარის სააგენტოს (EUAA)
პუბლიკაციები პრეცედენტული სამართლის შესახებ*

Manuscript completed in May 2022

2nd edition

Neither the EUAA nor any person acting on behalf of the EUAA is responsible for the use that might be made of the following information.

Luxembourg: Publications Office of the European Union, 2023

Print ISBN 978-92-9403-445-8 doi:10.2847/59580 BZ-03-20-063-KA-C
PDF ISBN 978-92-9403-444-1 doi:10.2847/800424 BZ-03-20-063-KA-N

© European Union Agency for Asylum (EUAA), 2023

Cover page image, seb_ra © iStock 2023

Reproduction is authorised provided the source is acknowledged. For any use or reproduction of photos or other material that is not under the EUAA copyright, permission must be sought directly from the copyright holders.



ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო

ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA), რომლის წინამორბედი თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერის ევროპული ბიურო, წარმოადგენს ევროკავშირის სააგენტოს. მას გააჩნია ხარისხის ნორმატივების გაუმჯობესების ხელშეწყობისა და თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის სამართლებრივი ინსტრუმენტების თანმიმდევრული იმპლემენტაციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების მანდატი. ამისათვის, EUAA-ს წვლილი შეაქვს თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის განვითარებასა და თანმიმდევრულად დანერგვაში, ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებს შორის თავშესაფრის პრაქტიკულ საკითხებზე თანამშრომლობას და უზრუნველყოფს ოპერაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას წევრი სახელმწიფოებისთვის, კერძოდ კი, ამას ახორციელებს მაშინ, როდესაც ამ ქვეყნებში თავშესაფრისა და მიღების სისტემები არაპროპორციულ ზეწოლას განიცდის.

EUAA-ის 2022 წლის რეგულაციის (*) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ სააგენტომ უნდა დაამტკიცოს, შეიმუშავოს და შეაფასოს სასწავლო კურსი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრებისთვის. ამ მიზნისთვის, EUAA-მ უნდა ისარგებლოს აკადემიური დაწესებულებებისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების საექსპერტო შეფასებით, ასევე, გაითვალისწინოს ევროკავშირის მოქმედი წესები აღნიშნულ სფეროში, ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების დამოუკიდებლობის სრული დაცვით. EUAA-ი, როგორც ევროკავშირის ექსპერტიზის ცენტრი საერთაშორისო დაცვის საკითხებში, ხელს უწყობს მოსამართლეთა გადამზადებისთვის საჭირო მასალებისა და ღონისძიებების შემუშავებას. აღნიშნული ხელმისაწვდომია ევროკავშირისა და მასთან ასოცირებულ ქვეყნებში (EU+ სხვა ქვეყნები) მოქმედი სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრებისთვის (**) და სხვა შემთხვევებში.

ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხებში მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია

ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხებში მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია (IARMJ) (***) წარმოადგენს საერთაშორისო, არაკომერციულ ასოციაციას, რომლის მიზანია იმის აღიარების მიღწევა, რომ რასის, მრწამსის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო დევნიდან დაცვა არის ინდივიდუალური უფლება, რომელიც დადგენილია საერთაშორისო სამართლით, და რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭება და შეწყვეტა კანონის უზენაესობის დაცვით უნდა ხდებოდეს. 1997 წელს ასოციაციის დაფუძნებისთანავე, ის აქტიურად ჩართულია მსოფლიოში თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრების გადამზადებაში. IARMJ-ის ევროპული ფრთა (IARMJ-Europe) არის რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ევროპაში მოსამართლეთა და ტრიბუნალის წევრთა გადამზადების საკითხებზე მუშაობს. IARMJ-ის ევროპული ფრთის დებულების მიხედვით მისი ერთ-ერთი სპეციალური

(*) [2021 წ. 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს # 2021/2303 \(ევროკავშირის\) რეგულაცია ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს შესახებ და მისი გამაუქმებელი # 439/2010 \(ევროკავშირის\) რეგულაცია, \[2021 წ.\] ოფიციალური ჟურნალი \(OJ\) L 468/1. იხ. ასევე, 2010 წ. 19 მაისის ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს # 439/2010 \(ევროკავშირის\) რეგულაცია თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერის ევროპული ბიუროს დაფუძნების შესახებ, \[2010 წ.\] OJ L 132/11.](#)

(**) EU+ სხვა ქვეყნები მოიცავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს პლუს ნორვეგია და შვეიცარია.

(***) IARMJ-ი მანამდე ცნობილი იყო როგორც ლტოლვილთა და მიგრაციის სამართლებრივ საკითხებში მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია. იხ. <https://www.iarmj.org>.





ამოცანაა „მოსამართლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და მათ შორის შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარება თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) მოწყობასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე“.

თანაავტორები

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზი შემუშავებულია ორკომპონენტური პროცესის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობენ: (1) მოსამართლეთა და ტრიბუნალის წევრთა სარედაქციო გუნდი, რომელიც სრულად პასუხისმგებელია საბოლოო პროდუქტზე და (2) ექსპერტთა სარედაქციო გუნდი.

მოსამართლეთა და ტრიბუნალის წევრთა სარედაქციო გუნდი

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვისა და პრეცედენტული სამართლის საკითხებზე EUAA-ის პუბლიკაციების მოსამართლეთა ხელმძღვანელობით შემუშავებისა და წარდგენის მიზნით, ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფის ეგიდით შეირჩა სარედაქციო გუნდი, რომელიც შედგება მოქმედი და ახლახან თანამდებობიდან გადამდგარი მოსამართლეებისგან და ტრიბუნალის წევრებისგან, ვისაც გააჩნია დიდი გამოცდილება და ცოდნა თავშესაფრის სამართლის საკითხებში. აღნიშნული ჯგუფი შედგება ხელშემკვრელი მხარეების, EUAA-სა და IARMJ-Europe-ის წარმომადგენლებისგან. სარედაქციო გუნდმა განიხილა პუბლიკაციის პროექტები, პროექტის შემდგენებს წარუდგინა დეტალური რეკომენდაციები, შეადგინა შესწორებები და ნაშრომის საგანთან, სტრუქტურასთან, შინაარსთან და დიზაინთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენდა. გუნდი შეთავსებით მუშაობდა პირისპირი და ონლაინ შეხვედრების, ასევე, ელექტრონული კომუნიკაციების გაცვლის რეჟიმში.

სარედაქციო გუნდის წევრებს წარმოადგენდნენ მოსამართლეები და ტრიბუნალის წევრები: **მონა ალდესტამი (Mona Aldestam)** (შვედეთი, თანათავმჯდომარე), **მაიქლ ჰოპი (Michael Hoppe)** (გერმანია, თანათავმჯდომარე), **იოჰან ბერგი (Johan Berg)** (ნორვეგია), **ნადინ ფინჩი (Nadine Finch)** (გაერთიანებული სამეფო), **პიტერ ნედვედი (Peter Nedwed)** (ავსტრია), **ჯონ სტენლი (John Stanley)** (ირლანდია) და **ბოშტიან ზალარი (Boštjan Zalar)** (სლოვენია).

დავალების შესრულებაში სარედაქციო გუნდს ხელი შეუწყო და დახმარება გაუწია პროექტის მენეჯერმა, **კლარა ოდოფინმა (Clara Odofin)**.

პროექტის შემდგენები

პროექტი შეადგინეს **ჰანა ლუპაჩოვა (Hana Lupačová)** და **უგო სტორი (Hugo Storey)**. სარედაქციო და დიდაქტიკური მხარდაჭერა უზრუნველყვეს კონსულტანტებმა, **ფრანსის ნიკოლსონმა (Frances Nicholson)** და **კლერ ტომასმა (Claire Thomas)**, შესაბამისად.

სამადლობლო სიტყვა

შენიშვნები წარმოადგინეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მოსამართლემ, **ლარს ბეი ლარსენმა (Lars Bay Larsen)** და ამავე სასამართლოს თანაშემწემ იურიდიულ საკითხებში, **იან ლორენსმა (Yann Laurans)** საკუთარი სახელით. საკუთარი





მოსაზრებები ტექსტის პროექტთან დაკავშირებით ასევე წარმოადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა. პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები ასევე წარმოადგინა EUAA-მ. პრეცედენტული სამართლის ანალიზის ნაწილში 1.10 გამოყენებულია **ჯულიან ფილიპისა (Julian Phillips)** და **მარკ სიმსის (Mark Symes)** (გაერთიანებული სამეფოს პირველი ინსტანციის ტრიბუნალი, თავშესაფრისა და სამიგრაციო საქმეთა პალატა) მიერ მოწოდებული მასალები.

პუბლიკაციის ტექსტის საბოლოო ვერსიის მომზადებისას სარედაქციო გუნდმა გაითვალისწინა ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნა. სარედაქციო გუნდის წევრები და EUAA-ი მაღლიერებას გამოხატავენ ყველა იმ პირისადმი, ვინც წარმოადგინა შენიშვნები, რაც ძალიან გამოსადეგი იყო პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზის საბოლოო ვერსიის შედგენისას.

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზის შექმნისას გამოყენებული მეთოდოლოგია მოცემულია დანართი D-ში.

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზი მომავალში განახლდება EUAA-ს მიერ, საჭიროებისამებრ, პრეცედენტული სამართლის შესახებ EUAA-ის პუბლიკაციების მეთოდოლოგიის მიხედვით.



სარჩევი

აბრევიატურები	9
წინასიტყვაობა	12
ძირითადი შეკითხვები	14
ზოგადი შესავალი	17
მიზნები და ამოცანები	17
სტრუქტურა და საგანი	20
საკვალიფიკაციო დირექტივის (ახალი რედაქციით) განმარტება	23
ბავშვის საუკეთესო ინტერესები	29
საერთაშორისო დაცვაზე განცხადება	30
უფრო ხელსაყრელი სტანდარტები (მუხლი 3)	31
Part 1. თავი 1: სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირება	37
1.1. შესავალი	37
1.2. ვის აქვს უფლება მოითხოვოს სუბსიდიარული დაცვა?	41
1.3. მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიმართ(მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი)	42
1.4. სერიოზული ზიანი (მე-15 მუხლი)	42
1.4.1. მე-15 მუხლის საგანი, სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილები ურთიერთქმედება	43
1.4.2. სასიკვდილო განაჩენი ან სიკვდილით დასჯა (მე-15 მუხლის „ა“ პუნქტი)	46
1.4.2.1. სასიკვდილო განაჩენი	47
1.4.2.2. სიკვდილით დასჯა	49
1.4.3. განმცხადებლის წამება ან მის მიმართ არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენება მისივე წარმოშობის ქვეყანაში (მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი)	51
1.4.3.1. ზოგადი შენიშვნები	52
1.4.3.2. წამება	54
1.4.3.3. არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა	58
1.4.3.4. განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში	64
1.4.3.5. საკვალიფიკაციო დირექტივის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული ვითარება	65
1.4.4. სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში არსებული განურჩეველი ძალადობის გამო (მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი)	73
1.4.4.1. „საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტი“	75
1.4.4.2. „განურჩეველი ძალადობა“	76
1.4.4.3. „სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე“	77
1.4.4.4. ურთიერთკავშირი „სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხესა“ და „განურჩეველ ძალადობას“ შორის	93
1.4.4.5. „სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან პიროვნება“	94
1.4.5. დასკვნა სერიოზული ზიანის შესახებ	99
1.5. რეალური რისკის არსებობის მტკიცე საფუძველი	99
1.5.1. რეალური რისკი (მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი)	99
1.5.2. რისკის არსებობის მოთხოვნა (მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი) და ადრინდელი სერიოზული ზიანის (მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის) მნიშვნელობა	101
1.5.3. ანალოგიურ პირობებში მყოფი პირებისთვის რისკის არსებობის მტკიცებულება	103
1.5.4. საქმიანობის დამალვის საკითხი	106
1.6. სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები (მუხლი 6)	106
1.7. სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველმყოფი სუბიექტები (მუხლი 7)	106
1.8. სერიოზული ზიანის მიყენებისგან შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (მუხლი 8)	107





1.8.1. შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხარისხი (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი)	107
1.8.1.1. იმ განმცხადებლების შიდასახელმწიფოებრივ დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, ვინც მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ	108
1.8.2. განხილვის მოთხოვნა (მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი)	111
1.9. სუბსიდიარული დაცვის საჭიროება, რომელიც ადგილზე წარმოიშობა (მუხლი 5)	112
Part 2. განსაკუთრებული ვითარება	113
2.1. შესავალი	113
2.2. შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარება	114
2.2.1. ლტოლვილთა დაცვა	117
2.2.1.1. დევნის აქტები (მუხლი 9)	117
2.2.1.2. საფუძვლიანი შიში	121
2.2.1.3. დევნის მიზეზები (მუხლი 10)	122
2.2.1.4. დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები (მუხლი 6)	124
2.2.1.5. დევნისგან ან სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტები (მუხლი 7)	125
2.2.1.6. შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (მუხლი 8)	125
2.2.1.7. საერთაშორისო დაცვის საჭიროებები რომელიც წარმოიშობა ადგილზე	126
2.2.2. სუბსიდიარული დაცვა	127
2.3. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	129
2.3.1. ლტოლვილთა დაცვა	135
2.3.1.1. დევნის აქტები (მუხლი 9)	135
2.3.1.2. საფუძვლიანი შიში	137
2.3.1.3. დევნის მიზეზები (მუხლი 10)	138
2.3.1.4. დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები (მუხლი 6)	140
2.3.1.5. დევნისგან ან სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტები (მუხლი 7)	140
2.3.1.6. შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (მუხლი 8)	142
2.3.1.7. საერთაშორისო დაცვის საჭიროებები რომელიც წარმოიშობა ადგილზე	143
2.3.2. სუბსიდიარული დაცვა	143
2.4. ეკოლოგიური საფრთხეები	146
2.4.1. შესავალი	146
2.4.2. ლტოლვილთა დაცვა	149
2.4.3. სუბსიდიარული დაცვა	158
2.5. კოვიდ-19-თან დაკავშირებული ვითარება	161
2.5.1. შესავალი	161
2.5.2. ლტოლვილთა დაცვა	164
2.5.3. სუბსიდიარული დაცვა	169
Part 3. ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი	172
3.1. ლტოლვილის სტატუსი	172
3.1.1. ლტოლვილის სტატუსი (მუხლი 13)	172
3.1.1.1. ლტოლვილის სტატუსის დეფინიცია	173
3.1.1.2. ლტოლვილის სტატუსის დეკლარაციული ხასიათი	175
3.1.1.3. ლტოლვილის სტატუსი, ბინადრობის უფლება და საერთაშორისო დაცვა ...	176
3.1.2. ლტოლვილის ოჯახის წევრები, ვინც ლტოლვილის სტატუსით დამოუკიდებლად ვერ ისარგებლებენ (მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი და 23-ე მუხლი)	179
3.1.2.1. წარმოებული სტატუსი	180
3.1.2.2. ოჯახის მთლიანობის ცნება (მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი)	183
3.2. სუბსიდიარული დაცვის სტატუსი	187
3.2.1. სუბსიდიარული დაცვის სტატუსი (მუხლი 18)	187
3.2.1.1. სუბსიდიარული დაცვის სტატუსის დეფინიცია	188
3.2.1.2. სუბსიდიარული დაცვის სტატუსი, ბინადრობის უფლება და საერთაშორისო დაცვა	189





3.2.2. სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციართა ოჯახის წევრები, ვინც სუბსიდიარული დაცვით დამოუკიდებლად ვერ ისარგებლებენ (23-ე მუხლი და მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი) ...	191
3.3. ლტოლვილის სტატუსსა და სუბსიდიარული დაცვის სტატუსს შორის ურთიერთქმედება	193
Appendix A. გადაწყვეტილების დიაგრამები	200





აბრევიატურები

AIT	თავშესაფრისა და საიმიგრაციო საქმეთა სასამართლო (გაერთიანებული სამეფო)
APD	ევროკავშირის საბჭოს 2005 წ. 01 დეკემბრის # 2005/85/EC დირექტივა წევრ სახელმწიფოებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის პროცედურების განხორციელების მინიმალური სტანდარტების დადგენის შესახებ
APD (ახალი რედაქციით)	ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013 წ. 26 ივნისის # 2013/32/EU დირექტივა საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ზოგადი პროცედურების შესახებ (ახალი რედაქციით)
BVerfG	Bundesverfassungsgericht (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო) (გერმანია)
BVerwG	Bundesverwaltungsgericht (ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლო) (გერმანია)
CAT	კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ
CEAS	თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა
CEDAW	კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
CJEU	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო
CNDA	Cour nationale du droit d’asile (თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლო) (საფრანგეთი)
COI	ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ
CRPD	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია
CRR	Commission des recours des réfugiés (ლტოლვილთა უფლებების სააპელაციო კომისია) (საფრანგეთი)
EASO	თავშესაფრის მადიებელთა მხარდაჭერის ევროპული ბიურო
ECHR	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
ECRE	ლტოლვილთა და დევნილთა უფლებების დაცვის ევროპული საბჭო
ECTHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ევროკავშირის ქარტია	ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია
EUAA	ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო
EWCA	ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლო (გაერთიანებული სამეფო)





FGM	ქალთა გენიტალიების დასახიჩრება
GC	დიდი პალატა (როგორც CJEU-ის, ისევე ECtHR-ის)
ქენევის კონვენცია	იხ. კონვენცია ლტოლვილთა შესახებ
GRETA	ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (ევროპის საბჭო)
HRC	ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი (გაერო)
IAC	თავშესაფრისა და საიმიგრაციო საქმეთა პალატა (გაერთიანებული სამეფო)
IARMJ	ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხებში მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია
ICCPR	სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
ICESCR	ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
ICJ	მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
ILC	საერთაშორისო სამართლის კომისია
IPCC	კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (გაერო)
ISIS	ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
QD	ევროკავშირის საბჭოს 2004 წ. 29 აპრილის # 2004/83/EC დირექტივა მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა ლტოლვილად ან სხვაგვარად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირად კვალიფიცირების და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების, ასევე, მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრის მინიმალური სტანდარტების შესახებ
QD (ახალი რედაქციით)	ევროკავშირის საბჭოს 2011 წ. 13 დეკემბრის # 2011/95/EU დირექტივა მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებად (ბენეფიციარებად) კვალიფიცირების, ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირის სტატუსის უნიფიცირებისა და მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრის სტანდარტების შესახებ (ახალი რედაქციით)
კონვენცია ლტოლვილთა შესახებ	კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951 წ.), კონვენციის ოქმით (1967 წ.) შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით (თავშესაფრის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობაში მოიხსენიება როგორც „ქენევის კონვენცია“)





დირექტივა დაბრუნების შესახებ	ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წ. 16 დეკემბრის # 2008/115/EC დირექტივა წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნების ერთიანი სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ
RVV/CCE	Raad voor Vreemdelingenbetwistingen / Conseil du contentieux des étrangers (უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭო) (ბელგია)
TEU	ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ
TFEU	ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ
UKIAT	გაერთიანებული სამეფოს საიმიგრაციო და თავშესაფრის საქმეთა ტრიბუნალი
UNGA	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა
UNHCR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
UNHCR-ის სახელმძღვანელო	ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურებისა და კრიტერიუმების ცნობარი და საერთაშორისო დაცვის გზამკვლევი „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის მიხედვით
VG	Verwaltungsgericht (ადმინისტრაციული სასამართლო) (გერმანია)
VGH	Verwaltungsgerichtshof (უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო) (გერმანია)
VwGH	Verwaltungsgerichtshof (უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო) (ავსტრია)



წინასიტყვაობა

სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრებისთვის სპეციალიზებული პუბლიკაციების შემუშავების მიზნით, ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA), ისევე როგორც მისი წინამორბედი, თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერის ევროპული ბიურო (EASO), მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოებთან და ტრიბუნალებთან და სხვა ძირითად სუბიექტებთან. წინამდებარე ტომეულის მიზანია სასამართლოებსა და ტრიბუნალებს ეტაპობრივად სრულად გააცნოს თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS). მალევე მას შემდეგ, რაც EASO-ი 2011 წელს ამოქმედდა, მის ფარგლებში სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრთა კავშირი შეიქმნა. აღნიშნული კავშირის, მათ შორის, ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხებში მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპული ფრთის (IARMJ-Europe) წევრებთან კონსულტაციის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მოსამართლეთა პროფესიული განვითარებისთვის განკუთვნილი იმ მასალების სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის ხელმისაწვდომობა, რომელიც, საქმის გადაწყვეტისას, მათ მიერ ყოველდღიურად განსახილველ გარკვეულ ძირითად საკითხებს ეხება, გადაუდებელი საჭიროება იყო. აღინიშნა ის გარემოება, რომ ამგვარი საბაზისო მასალების შემუშავების პროცესი სასამართლო და სხვა ექსპერტების ჩართულობას მოითხოვდა იმგვარად, რომ სრულად ყოფილიყო დაცული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი და, ზოგადად, პრეცედენტული სამართლის საკითხებზე EUAA-ის პუბლიკაციების შემუშავება დაჩქარებულიყო.

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზი პირველად EASO-სა და IARMJ-Europe-ის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოიცა. ეს მეორე განახლებული გამოცემა EASO-სა (ამჟამად - EUAA) და IARMJ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად მომზადდა. პუბლიკაციების სრული ჩამონათვალის განახლებული ვერსია მოცემულია წინამდებარე წინასიტყვაობის 1-ელ ცხრილში.

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრებისთვის, რომელთა საქმიანობაც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების სააპელაციო განხილვას ან გადაწყვეტილებების გადახედვას ეხება. ის, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით)⁽¹⁾ მიხედვით, საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებას ეძღვნება. განახლებულ ვერსიაში განხილულია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი, რაც თავდაპირველად პრეცედენტული სამართლის ცალკეული ანალიზის საგანს წარმოადგენდა⁽²⁾. ის განკუთვნილია როგორც იმ პირებისთვის, ვისაც არ გააჩნია ან აქვს მცირე გამოცდილება CEAS-ის ფარგლებში საერთაშორისო დაცვის საკითხებზე განხორციელებულ მართლმსაჯულებაში, და მათთვის, ვინც არის გამოცდილი ან

(¹) ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2011 წ. 13 დეკემბრის # 2011/95/EU დირექტივა მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებად (ბენეფიციარებად) კვალიფიცირების, ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირის სტატუსის უნიფიცირებისა და მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრის სტანდარტების შესახებ (ახალი რედაქციით), [2011 წ.] OJ L 337/9 (QD (ახალი რედაქციით)). თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზში ყოველგვარი მითითება „მუხლ(ებ)ზე“ უნდა იყოს გაგებული როგორც მითითება საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) შესაბამის მუხლ(ებ)ზე.

(²) EASO, „საკვალიფიკაციო დირექტივის (# 2011/95/EU) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2014 წ. (შემდგომში - EASO, „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“).





სპეციალიზებული მოსამართლე აღნიშნულ სფეროში. ამგვარად, ის წარმოადგენს საცნობარო წიგნს, რომელიც გამოადგება სასამართლოებისა და ტრიბუნალების ყველა იმ წევრს, ვისაც ენება საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები. სტრუქტურა, ფორმატი და შინაარსი შემუშავებულია ამ ფართო აუდიტორიისთვის.

პრევენციული სამართლის წინამდებარე ანალიზის 1-ელ და 1 ნაწილებში დაწვრილებით არის გაანალიზებული ლტოლვილად და სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების საკითხი, ახალ მე-2 ნაწილში განხილულია განსაკუთრებული ვითარება, ხოლო მე-3 ნაწილში გაანალიზებულია როგორც ლტოლვილთა, ისევე სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირების სტატუსი. ანალიზი განმტკიცებულია დანართებით. აღნიშნულში, მათ შორის, წარმოდგენილია გადაწყვეტილების დიაგრამები, რომლითაც განისაზღვრება ის შეკითხვები, რომელიც წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების განხილვისას უნდა დასვან.

ანალიზის მიზანია გარკვევით დაადგინოს მოქმედი სამართლის ნორმების შინაარსი, რაც მკითხველისთვის გასაგები ფორმით იქნება წარმოდგენილი. წინამდებარე ახალ რედაქციაში სამართლის ნორმები გაანალიზებულია 2022 წლის მარტის მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, მკითხველისთვის ცნობილია, რომ სამართლისა და იურიდიული პრაქტიკის აღნიშნული სფერო სწრაფად ვითარდება. უნდა აღინიშნოს ამ სწრაფად განვითარებადი სფეროს ორი ასპექტი. აშკარაა, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) და ეროვნული სასამართლოები და ტრიბუნალები გააგრძელებენ ახალი სასამართლო პრაქტიკის დადგენას. ასევე, ფაქტია, რომ 2016 წლის 13 ივლისს, ევროკომისია ახალი საკვალიფიკაციო რეგულაციის დამტკიცების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა⁽³⁾. მისი დამტკიცება რამდენიმე ფაქტორის, მათ შორის, 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისა და კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო დაყოვნდა.

პრევენციული სამართლის წინამდებარე ანალიზი, საჭიროებისამებრ, კვლავაც განახლდება პერიოდულად სხვა მასალებთან ერთად⁽⁴⁾. მიუხედავად ამისა, მკითხველმა თავად უნდა შეამოწმოს, შევიდა თუ არა ცვლილებები კანონმდებლობაში. ანალიზში წარმოდგენილია რამდენიმე მითითება წყაროებზე, რაც მკითხველს შესაძლებლობას მისცემს გადაამოწმოს განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილებები.

(³) ევროკომისია, საკანონმდებლო წინადადება „მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებად (ბენეფიციარებად) კვალიფიცირების, ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირის სტატუსის უნიფიცირებისა და მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრის სტანდარტების, ასევე, ხანგრძლივი ბინადრობის უფლების მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა სტატუსის შესახებ 2003 წ. 25 ნოემბრის ევროკავშირის საბჭოს # 2003/109/EC დირექტივაში ცვლილების შეტანის თაობაზე ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის“ დასამტკიცებლად, 2016 წ. 13 ივლისი, COM(2016) 466 საბოლოო ვერსია – 2016/0223(COD) (შემდგომში - ევროკომისია, საკანონმდებლო წინადადება საკვალიფიკაციო რეგულაციის შესახებ).

(⁴) პრევენციული სამართლის სფეროში პუბლიკაციების სრული ჩამონათვალი მოცემულია EUAA-ის ვებსაიტზე. აღნიშნულ ვებსაიტზე ასევე მითითებულია თუ რომელ ენებზეა ხელმისაწვდომი თითოეული დოკუმენტი.



ცხრილი 1: პროფესიული განვითარების ტომეული: დღეისათვის შემუშავებული პრეცედენტული სამართლის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კრებული

თარიღი	პრეცედენტული სამართლის ანალიზი ⁽⁵⁾	სასამართლო პრაქტიკის კრებული
2014 წ.	<u>საკვალიფიკაციო დირექტივის (# 2011/95/EU) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი</u>	
2016 წ.	<u>შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის</u>	
2016 წ.	<u>საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირება (# 2011/95/EU დირექტივა)</u>	
2018 წ.	<u>თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ფარგლებში მტკიცებულებებისა და სარწმუნოების შეფასება</u>	სასამართლო პრაქტიკის კრებული
2018 წ.	<u>თავშესაფრის პროცედურები და არგუმენტების პრინციპი</u>	სასამართლო პრაქტიკის კრებული
2018 წ.	<u>წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის თაობაზე პრეცედენტული სამართლის პრაქტიკული სახელმძღვანელო</u>	სასამართლო პრაქტიკის კრებული
2019 წ.	<u>თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ფარგლებში საერთაშორისო დაცვის მაძიებლის დაკავება</u>	სასამართლო პრაქტიკის კრებული
2020 წ.	<u>საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა მიღება (# 2013/33/ EU დირექტივა მიღების პირობების შესახებ)</u>	
2020 წ.	<u>გამონაკლისი შემთხვევები: საკვალიფიკაციო დირექტივის მე-12 და მე-17 მუხლები (მე-2 გამოცემა)</u>	სასამართლო პრაქტიკის კრებული
2021 წ.	<u>საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა დაუცველობის საკითხი</u>	სასამართლო პრაქტიკის კრებული
2021 წ.	<u>საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა (მე-2 გამოცემა)</u>	სასამართლო პრაქტიკის კრებული

ძირითადი შეკითხვები

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზის მიზანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედი სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრებისთვის მიმოიხილოს საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების საკითხი. ის ეხება როგორც ლტოლვილის, ისევე სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირის სტატუსისთვის კვალიფიცირებას და მისი ამოცანაა შემდეგ ძირითად შეკითხვებს უპასუხოს (პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზის ის ნაწილები, რომელშიც აღნიშნულ შეკითხვებს პასუხი გაეცა, მითითებულია ფრჩხილებში).

A. საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი შეკითხვები

- 1. როგორ განისაზღვრება საერთაშორისო დაცვა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მიხედვით? (ზოგადი შესავალი)**

⁽⁵⁾ რაც შეეხება პრეცედენტული სამართლის ანალიზის უკვე განახლებულ გამოცემებს, მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ მათი უახლესი ვერსიები. გაითვალისწინეთ, რომ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის თაობაზე პრეცედენტული სამართლის პრაქტიკული სახელმძღვანელო წარმოადგენს უფრო მეტად პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, ვიდრე პრეცედენტული სამართლის ანალიზს.





2. ვინ ითვლება შესაბამისად ლტოლვილად ან სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარად? (ნაწილები 1.2 და 1.2)
3. აწესებს თუ არა საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) ლტოლვილად და სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარად კვალიფიცირების საკითხის განხილვის რიგითობას? (ზოგადი შესავალი და ნაწილები 1.1 და 1.1)
4. რას წარმოადგენს საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) ტერიტორიული მოქმედების სფერო და მოქმედების სფერო პირთა წრის მიმართ, როდესაც საქმე ეხება ლტოლვილად (ნაწილი 1.3) და სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარად კვალიფიცირებას (ნაწილი 1.3)?

B. კონკრეტულად ლტოლვილთა დაცვასთან დაკავშირებული შეკითხვები

5. რას გულისხმობს დევნა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მიხედვით? (ნაწილი 1.4)
6. რას გულისხმობს დევნის საფუძვლიანი შიში საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტით, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით და მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი პირობების მიხედვით, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირების მიზნით? (ნაწილი 1.5)
7. როგორ უნდა დაუკავშიროთ დევნის აქტი დევნის ერთ ან რამდენიმე მიზეზს ან ამგვარი აქტებისგან დაუცველობას, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პირობების მიხედვით? (ნაწილი 1.6.1)
8. რომელია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლით განსაზღვრული დევნის მიზეზები? (ნაწილი 1.6)
9. რომელი პირები არიან აღიარებულნი დევნის განმასხორციელებელ სუბიექტებად საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის მიხედვით? (ნაწილი 1.7)
10. რას გულისხმობს დევნის განმასხორციელებელი სუბიექტებისგან ეფექტიანი დაცვა და რომელ სუბიექტებს შეუძლიათ ამგვარი დაცვის უზრუნველყოფა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის მიხედვით? (ნაწილი 1.8)
11. რას გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი დაცვა და რა შედეგი დადგება წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ლტოლვილთა დაცვის ფარგლებში საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლით ხელმძღვანელობენ? (ნაწილი 1.9)
12. რას აღგენს საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) ადგილზეწარმოდგენილი განაცხადების შესახებ ლტოლვილთა დაცვის ფარგლებში? (ნაწილი 1.10)



C. კონკრეტულად სუბსიდიარულ დაცვასთან დაკავშირებული შეკითხვები

13. რას გულისხმობს **სერიოზული ზიანი** საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის მიხედვით? (ნაწილი [1.4](#))
14. რას გულისხმობს ფრაზა „**არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ პირი [...] შეიძლება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდეს** საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტით, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით და მე-5 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი პირობების მიხედვით სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარად კვალიფიცირებისთვის? (ნაწილი [1.5](#))
15. ვინ არის მიჩნეული **სერიოზული ზიანის მიმყენებელ სუბიექტებად** საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის მიხედვით? (ნაწილები [1.7](#) და [1.6](#))
16. რას გულისხმობს სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტებისგან **ეფექტიანი დაცვა** და რომელ სუბიექტებს შეუძლიათ ამგვარი დაცვის უზრუნველყოფა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის მიხედვით? (ნაწილები [1.8](#) და [1.7](#))
17. რას გულისხმობს **შიდასახელმწიფოებრივი დაცვა** და რა შედეგი დადგება წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც სუბსიდიარული დაცვის ფარგლებში საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლით ხელმძღვანელობენ? (ნაწილები [1.9.1](#) და [1.8](#))
18. რას ადგენს საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) სუბსიდიარული დაცვის ფარგლებში **ადგილზე წარმოდგენილი განაცხადების შესახებ?** (ნაწილები [1.10](#) და [1.9](#))

D. ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსთან დაკავშირებული შეკითხვები

19. რა შედეგი მოჰყვება **ლტოლვილის სტატუსის** მინიჭებას? (ნაწილი [3.1.1](#))
20. რა სამართლებრივ მდგომარეობაში არიან ლტოლვილის **ოჯახის წევრები**, ვინც საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მიხედვით ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად დამოუკიდებლად ვერ იქნება კვალიფიცირებული? (ნაწილი [3.1.2](#))
21. რა შედეგი მოჰყვება **სუბსიდიარული დაცვის სტატუსის** მინიჭებას? (ნაწილი [3.2.1](#))
22. რა სამართლებრივ მდგომარეობაში არიან სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარების **ოჯახის წევრები**, ვინც საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მიხედვით სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარად დამოუკიდებლად ვერ იქნება კვალიფიცირებული? (ნაწილი [3.2.2](#))



ზოგადი შესავალი

მიზნები და ამოცანები

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზის ეხება საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებას # 2011/95/EU დირექტივის (QD (ახალი რედაქციით)) მიხედვით ⁽⁶⁾. მისი უმთავრესი მიზანია წარმოადგინოს საკვალიფიკაციო დირექტივით (QD) (ახალი რედაქციით) გათვალისწინებული მოთხოვნების ყოვლისმომცველი ანალიზი, ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარის სტატუსის მოთხოვნის (eligibility) უფლების მქონე პირად მიჩნევისთვის.

საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) წარმოადგენს ევროკავშირის თავშესაფრის შესახებ არსებული კანონმდებლობის არსებით შემადგენელ ნაწილს, ხოლო მისი სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობიდან, კერძოდ კი, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 78-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებიდან ⁽⁷⁾. TFEU-ი მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რათა CEAS-ის ფარგლებში ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირების სტატუსის უნიფიცირება მოხდეს. იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) წარმოდგენილია დირექტივის სახით, დამატებით არის გაანალიზებული EASO-ის სახელმძღვანელოში „შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2016 წ.⁽⁸⁾. რადგან CEAS-ის თითოეული სამართლებრივი ინსტრუმენტის განმარტება ამ ინსტრუმენტის სპეციალური ამოცანების გათვალისწინებას მოითხოვს, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით), გარკვეულ წილად, წინასწარი შესწავლა მოცემულ დოკუმენტში აუცილებელია.

საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) წარმოადგენს CEAS-ის მე-2 რიგის სამართლებრივ ინსტრუმენტს; ის ძალაში 2013 წლის 21 დეკემბერს შევიდა. ეს ინსტრუმენტი თავშესაფრის შესახებ ევროკავშირში მოქმედი კანონმდებლობის ჰარმონიზების დონეს განამტკიცებს ⁽⁹⁾. აღნიშნული მიზანი დადასტურებულია ევროკავშირის კანონმდებლის გადაწყვეტილებით თავი აარიდოს გამოთქმას „მინიმალური სტანდარტები“, რაც ამკარად ჩანს საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პირველი მუხლის ახალი ფორმულირებიდან, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

⁽⁶⁾ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2011 წ. 13 დეკემბრის # 2011/95/EU დირექტივა შესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად კვალიფიცირების, ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირის სტატუსის უნიფიცირებისა და მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრის სტანდარტების შესახებ (ახალი რედაქციით), [2011 წ.] OJ L 337/9.

⁽⁷⁾ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსია, [2012 წ.] OJ C 326/47. 78-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „2. პირველი პუნქტის მიზნებისთვის, ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო ვალდებული არიან, სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის დაცვით, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემისთვის, რაც მოიცავს: (ა) შესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის თავშესაფრით მოსარგებლე პირის სტატუსის უნიფიცირებას, რომელიც ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე იქნება ძალაში; (ბ) შესამე ქვეყნის იმ მოქალაქეთათვის, ვისაც ევროკავშირში თავშესაფრის მოპოვების გარეშე სუბსიდიარული დაცვა ესაჭიროება, სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის უნიფიცირებას ...“.

⁽⁸⁾ EASO, „შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2016 წ. (შემდგომში - EASO, „შესავალი CEAS-ში - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“), გვ. 66-67.

⁽⁹⁾ CJEU (GC)-ის 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mehrdad Ghezelbash v Staatssecretaris van Veiligheid en Justitie*“, C-63/15, EU:C:2016:409, პუნქტი 60.



საკვალიფიკაციო ღირეტივის (QD) (ახალი რედაქციით) პირველი მუხლი

აღნიშნული ღირეტივის მიზანია დაადგინოს სტანდარტები მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბუნეფიცირებად კვალიფიცირებისთვის, ლტოლვილთა ან სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირთა სტატუსის უნიფიცირებისთვის და მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრისთვის. [დამატებულია ხაზგასმა.]

საკვალიფიკაციო ღირეტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-8 პუნქტით განიმარტება, რომ, QD-ის დამტკიცების შემდეგ, წევრ სახელმწიფოებს შორის „მნიშვნელოვანი განსხვავებები“ რჩებოდა „დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებით“, ასევე, ამგვარი დაცვის შინაარსთან მიმართებით⁽¹⁰⁾. შესაბამისად, საკვალიფიკაციო ღირეტივის (QD) (ახალი რედაქციით) ამოცანას „უფრო მაღალი სტანდარტების საფუძველზე აღიარების წესებისა და საერთაშორისო დაცვის შინაარსის მეტად დაახლოება“ წარმოადგენს (QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-10 პუნქტი). პრეამბულის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ამოცანის მიდწევამ „ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა დამატებითი მიმოსვლის შეზღუდვას წევრ სახელმწიფოებს შორის, როდესაც ამგვარი მიმოსვლა გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებს შორის არსებულ განსხვავებებით“.

მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო ღირეტივის (QD) (ახალი რედაქციით) მიზანს საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებისთვის, შესაბამისი სტატუსის მინიჭებისთვის, ასევე, საერთაშორისო დაცვის შინაარსის განსაზღვრისთვის სტანდარტების დადგენა წარმოადგენს, ის კვლავაც ნებას რთავს წევრ სახელმწიფოებს დააწესონ ან შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი სტანდარტები იმის განსაზღვრისთვის, თუ ვინ კვალიფიცირდება საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად და რა არის საერთაშორისო დაცვის შინაარსი. მიუხედავად ამისა, როგორც უწინ, აღნიშნული ექვემდებარება სამართლებრივი დათქმას, რომ ზემოხსენებული სტანდარტები თავსებადია QD-სთან (ახალი რედაქციით) (იხ. „უფრო ხელსაყრელი სტანდარტები (მუხლი 3)“, რომელიც მოცემულია ქვემოთ).

ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო, გარდა დანიისა და ირლანდიისა, ექვემდებარებიან საკვალიფიკაციო ღირეტივას (QD) (ახალი რედაქციით). დანია არ იღებს მონაწილეობას TFEU-ის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაში და, შესაბამისად, ექვემდებარება საკვალიფიკაციო ღირეტივას (QD) ან QD-ის (ახალი რედაქციით)⁽¹¹⁾. ირლანდიას არ მიუღია მონაწილეობა საკვალიფიკაციო ღირეტივის (QD) (ახალი რედაქციით) დამტკიცებაში⁽¹²⁾, თუმცა რადგან ის შეუერთდა QD-ს, ამიტომ კვლავაც ექვემდებარება მას⁽¹³⁾. იხ. ცხრილი 2.

⁽¹⁰⁾ ევროკავშირის საბჭოს 2004 წ. 29 აპრილის 2004/83/EC ღირეტივა მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ ლტოლვილად ან სხვაგვარად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირად კვალიფიცირებისა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების, ასევე, მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრის მინიმალური სტანდარტების შესახებ, [2004 წ.] (OJ) L 304/12 (შემდგომში - „QD“).

⁽¹¹⁾ ოქმი # 22 დანიის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, თან ერთვის [2012 წ.] ოფიციალურ ჟურნალში (OJ) C 326/299 გამოქვეყნებულ TFEU-ის.

⁽¹²⁾ ოქმი # 21 გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან დაკავშირებით, თან ერთვის [2012 წ.] ოფიციალურ ჟურნალში (OJ) C 326/295 გამოქვეყნებულ TFEU-ის.

⁽¹³⁾ QD-ის პრეამბულის 38-ე და 39-ე პუნქტები. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დაცვის შესახებ 2015 წლის კანონში (ირლანდია) შესულია დებულებები, რომელიც QD-ით (ახალი რედაქციით) წარმოდგენილ ზოგიერთ ცვლილებას შეიცავს.

ცხრილი 2: QD-ისა და მისი ახალი რედაქციის დამტკიცება დანიისა და ირლანდიის მიერ ⁽¹⁴⁾

	QD	QD (ახალი რედაქციით)
დანია	✗	✗
ჰირლანდია	✓	✗

2020 წლის 31 იანვრამდე, გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის წევრი სახელმწიფო იყო, ხოლო მისი სასამართლოები და ტრიბუნალები ხელმძღვანელობდნენ თავშესაფრის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობით (გარდა საკვალიფიკაციო და პროცედურათა დირექტივის ახალი რედაქციისა (საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) და APD (ახალი რედაქციით)). 2020 წლის 31 იანვრიდან გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირში წევრობა შეწყვიტა ⁽¹⁵⁾. მიუხედავად ამისა, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე, რომლითაც ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის გაფორმებული შეთანხმება განხორციელდა ⁽¹⁶⁾, გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის კანონმდებლობით ხელმძღვანელობას განაგრძობდა, ვიდრე ის სპეციალურად არ გაუქმდა ⁽¹⁷⁾. თავშესაფრის სამართლის სფეროში, გაერთიანებულმა სამეფომ გააუქმა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, რომლითაც საკვალიფიკაციო დირექტივა და „Dublin III“, „Eurodac“ და „EASO“ რეგულაციები იყო იმპლემენტირებული ⁽¹⁸⁾. CJEU-ის სასამართლო პრაქტიკა ითვლება სავალდებულოდ მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება გამოტანილია 2020 წლის 31 იანვრამდე.

⁽¹⁴⁾ ევროკავშირის ასევე გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებებისა EU+ სხვა ქვეყნებთან, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული ქვეყნები მეტ-ნაკლებად ხელმძღვანელობენ თავშესაფრის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობით.

⁽¹⁵⁾ შეთანხმება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან და ევროპის ატომური ენერჯის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, 2019/C 384 I/01; გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ევროკავშირიდან (გასვლის შესახებ) 2018 წლის კანონი; და გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ევროკავშირიდან (გასვლის შესახებ შეთანხმების თაობაზე) 2020 წლის კანონი.

⁽¹⁶⁾ შეთანხმება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან და ევროპის ატომური ენერჯის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, 2019/C 384 I/02.

⁽¹⁷⁾ ევროკავშირიდან (გასვლის შესახებ) 2018 წლის კანონი („2018 წლის კანონი“), რომელშიც ცვლილებები შევიდა ევროკავშირიდან (გასვლის შესახებ შეთანხმების თაობაზე) 2020 წლის კანონით („2020 წლის კანონი“), მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი, აღგენს კატეგორიას „ევროკავშირის დამკვიდრებული კანონმდებლობა“, რაც მოიცავს გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობას, რომლითაც მოხდა დირექტივების ტრანსპოზიცია იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში „გასვლის დღემდე“, კერძოდ კი, 2020 წლის 31 იანვრამდე (იხ. ევროკავშირიდან (გასვლის შესახებ) 2018 წლის კანონი (გასვლის დღე) (შესწორება) (# 3) 2019 წ. რეგულაციები).

⁽¹⁸⁾ „Dublin III“, „Eurodac“ და „EASO“ რეგულაციების მაიმპლემენტირებული ეროვნული კანონმდებლობა გაუქმდა იმიგრაციის, მოქალაქეობისა და თავშესაფრის (ევროკავშირიდან გასვლის) შესახებ 2019 წლის რეგულაციებით, რეგულაციები 1-3. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, რომლითაც მოხდა QD-ის ტრანსპოზიცია, გაუქმდა მოქალაქეობისა და სახელმწიფო საზღვრის შესახებ 2022 წლის კანონით, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი.



სტრუქტურა და საგანი

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზში განხილულია მხოლოდ საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების საკითხები. ის მოიცავს:

- წინამდებარე ზოგადი შესავალი ანალიზის ამოცანებისა და სტრუქტურის განსაზღვრას და საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) ინტერპრეტაციის წესების, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის, საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის დეფინიციის და უფრო ხელსაყრელი სტანდარტების შეზღუდული მოქმედების სფეროს განხილვას;
- QD-ით (ახალი რედაქციით) გათვალისწინებული ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირებისა და მისავე დეფინიციური კომპონენტების დეტალურ ანალიზს (ნაწილი 1);
- QD-ით (ახალი რედაქციით) გათვალისწინებული სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებისა და მისავე დეფინიციური კომპონენტების დეტალურ ანალიზს, რამდენადაც აღნიშნული განსხვავდება ლტოლვილთა სტატუსის მისაღებად დადგენილი კრიტერიუმებისგან; აღნიშნული მოიცავს მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის სრულად შესწავლას, რომელიც მანამდე პრეცედენტული სამართლის ცალკეულ ანალიზში განვიხილეთ ⁽¹⁹⁾ (ნაწილი 1);
- ახალ ნაწილს სახელწოდებით „ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი“, რომელშიც უფრო სიღრმისეულად არის გაანალიზებული ის ოთხი დისციპლინათაშორისი საკითხი, რომელიც სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრთა მიერ განსაკუთრებით რთულ საკითხად არის დასახელებული; აღნიშნული მოიცავს შეირადებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარებას; ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს); ეკოლოგიურ საფრთხეებს; და კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებულ მდგომარეობებს (ნაწილი 2);
- ბოლო ნაწილში განვიხილება ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი (ნაწილი 3);
- ექვს დანართს, რაც უფრო დეტალურად აღწერილია ქვემოთ.

რაც შეეხება ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს, წინამდებარე ანალიზში განხილულია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მხოლოდ ის კომპონენტები, რომელიც შესაფერისობასთან და არა გამორიცხვასთან არის დაკავშირებული (იხ. ქვემოთ).

პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზში არ განვიხილება შემდეგი საკითხები.

- ფაქტებისა და გარემოებების შეფასება (მე-4 მუხლი). აღნიშნული საკითხები განვიხილება EASO-ს სახელმძღვანელოში „თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ფარგლებში მტკიცებულებებისა და სარწმუნოების შეფასება - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“ ⁽²⁰⁾.
- საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა (მე-11, მე-14, მე-16 და მე-19 მუხლები). აღნიშნული დებულებები განვიხილება EASO-ის

⁽¹⁹⁾ EASO, „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, ციტირებული ნაშრომი (op. cit.), სქოლიო (fn). 2.

⁽²⁰⁾ EASO, „თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ფარგლებში მტკიცებულებებისა და სარწმუნოების შეფასება - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2018 წ. (შემდგომში - EASO, „მტკიცებულებებისა და სარწმუნოების შეფასება - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“).



„საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა - პრევენციული სამართლის ანალიზი“⁽²¹⁾.

- საერთაშორისო დაცვით სარგებლობიდან გამონაკლისი შემთხვევები (მე-12 მუხლი ლტოლვილის სტატუსით უზრუნველყოფილი დაცვით სარგებლობისთვის და მე-17 მუხლი სუბსიდიარული დაცვით სარგებლობისთვის). აღნიშნული განიხილება EASO-ს სახელმძღვანელოში „გამონაკლისი შემთხვევები: საკვალიფიკაციო დირექტივის მე-12 და მე-17 მუხლები - პრევენციული სამართლის ანალიზი“⁽²²⁾.
- ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება დროებითი დაცვის დირექტივას⁽²³⁾, რომელშიც განხილულია იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივი შემოდინების სიტუაციები. მიუხედავად იმისა, რომ დროებითი დაცვა არის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება მესამე ქვეყნებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივი შემოდინების შემთხვევებში, ის არ წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის რეჟიმის შემადგენელ ნაწილს, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში. კერძოდ, ეს არ არის სუბსიდიარული დაცვის ფორმა.

QD-ის (ახალი რედაქციით) ადგენს რამდენიმე უნიფიცირებულ კრიტერიუმს, როგორც ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის, ასევე, სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მოთხოვნის უფლებისთვის (კერძოდ, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები). ეს კრიტერიუმები სრულად არის განხილული 1-ელ თავში. ამრიგად, აღნიშნული კრიტერიუმები 1 ნაწილში საკმაოდ მოკლედ არის განხილული და მკითხველს მიუთითებს 1-ელი თავის შესაბამის ნაწილზე.

ანალიზი განმტკიცებულია დანართებით. დანართი A მოიცავს გადაწყვეტილების დიაგრამებს, რომელიც შექმნილია საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების შეფასებისადმი სტრუქტურირებული მიდგომის წახალისებისთვის. ისინი წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების კრიტერიუმების ვიზუალურ მიმოხილვას და ადგენს კითხვებს, რომელიც უნდა დასვან წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების განხილვისას.⁽²⁴⁾ შემდგომ დანართებში ჩამოთვლილია არა მხოლოდ ევროკავშირის შესაბამისი ძირითადი და მეორადი კანონმდებლობა, ასევე, მსოფლიო და რეგიონული მასშტაბის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები, არამედ ასევე CJEU-ის

⁽²¹⁾ EASO, „საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა - პრევენციული სამართლის ანალიზი“, მე-2 გამოცემა, 2021 წ. (შემდგომი - EASO, „საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა - პრევენციული სამართლის ანალიზი“).

⁽²²⁾ EASO, „გამონაკლისი შემთხვევები: საკვალიფიკაციო დირექტივის მე-12 და მე-17 მუხლები - პრევენციული სამართლის ანალიზი“ მე-2 გამოცემა, 2020 წ. პრევენციული სამართლის წინამდებარე ანალიზში არ განიხილება მე-12 მუხლში მოცემული დებულებები გამონაკლისი შემთხვევების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ მასში არ არის განხილული ის, რაც აღიარებულია ლტოლვილთა შესახებ კონვენციის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით როგორც „პირობითი ჩართვის დებულება“. იხ. გუდვინ-ჯილი, გ. ს. (Goodwin-Gill, G. S.) და მაკადამი, ჯ. (McAdam, J.), „საერთაშორისო სამართლის ნორმები ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ („The Refugee in International Law“), მე-4 გამოცემა, Oxford University Press, Oxford, 2021 წ. (შემდგომში - გუდვინ-ჯილი (Goodwin-Gill, G. S.) და მაკადამი (McAdam, J.), „The Refugee in International Law“), გვ. 185, და პრევენციული სამართლის ზემოაღნიშნული ანალიზი გამონაკლისი შემთხვევების შესახებ, ნაწილი 2.2.2.

⁽²³⁾ ევროკავშირის საბჭოს 2001 წ. 20 ივლისის დირექტივა # 2001/55/EC იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივი შემოდინების შემთხვევაში დროებითი დაცვის მინიმალური სტანდარტების და ზომების შესახებ, რომელიც ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებს შორის ძალისხმევას დაბალანსებას ასეთი პირების მიღებაში და ამგვარი მიღების შედეგების გათვალისწინებას, [2001 წ.] OJ L 212 (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ), გვ. 12-23.

⁽²⁴⁾ გაითვალისწინეთ, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) შესაბამისი დებულებების განხილვის თანმიმდევრობა ანალიზში ოდნავ განსხვავდება იმ თანმიმდევრობისგან, რომლითაც ისინი განხილულია დანართ A-ში. ამ უკანასკნელში, დევნის განმარტებული სუბიექტები და დევნიდან დაცვის ნაკლებობა განიხილება დევნის აქტის ან დაცვის არარსებობისა და დევნის ერთ ან რამდენიმე მიზეზს შორის კავშირამდე.



შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა სრულად, ECtHR-ის ყველაზე შესაბამისი სასამართლო პრაქტიკასთან ერთად. გარდა ამისა, დანართები მოიცავს EU+ სხვა ქვეყნების, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების პლუს (non-EU+) სხვა ქვეყნების სასამართლოებისა და ტრიბუნალების, ასევე, საერთაშორისო სასამართლოების შერჩეულ სასამართლო პრაქტიკას. ისინი ორგანიზებულია პრეცედენტული სამართლის ანალიზის სტრუქტურის მიხედვით. შესაბამისი კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ჰიპერბმულები უზრუნველყოფს, რომ ეს დოკუმენტები იყოს ადვილად და სწრაფად ხელმისაწვდომი მკითხველისთვის ციფრულ ფორმატში. იმისათვის, რომ მკითხველმა შეძლოს QD-ისთან (ახალი რედაქციით) მარტივად გაცნობა, მისი სრული ტექსტი მოცემულია დანართ F-ში.

QD-ი (ახალი რედაქციით) მოიცავს ორ კომპონენტს: დებულებებს საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების შესახებ (იხ. თავები II–VI) და დებულებებს საერთაშორისო დაცვის შინაარსთან დაკავშირებით (იხ. თავი VII) (იხ. ასევე QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-12 პუნქტი). ცხრილი 3 აჯამებს QD-ის (ახალი რედაქცია-ით) სტრუქტურას და გამოკვეთილად ხაზს უსვამს იმ ელემენტებს, რომელიც განხილულია პრეცედენტული სამართლის ანალიზში.

ცხრილი 3: QD-ის (ახალი რედაქციით) სტრუქტურა და პრეცედენტული სამართლის წინამდებარე ანალიზის საგანი

თავი I: ზოგადი დებულებები	მუხლი 1: მიზანი მუხლი 2: განმარტებები მუხლი 3: უფრო ხელსაყრელი სტანდარტები
თავი II: საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების შეფასება	მუხლი 4: ფაქტებისა და გარემოებების შეფასება მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი: წარსულში დევნა ან სერიოზული ზიანის მიყენება მუხლი 5: საერთაშორისო დაცვის საჭიროებები რომელიც წარმოიშობა ადგილზე მუხლი 6: დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები მუხლი 7: დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტები მუხლი 8: შიდასახელმწიფოებრივი დაცვა
თავი III: ლტოლვილად კვალიფიცირება	მუხლი 9: დევნის აქტები მუხლი 10: დევნის მიზეზები მუხლი 11: შეწყვეტა მუხლი 12: გამონაკლისი შემთხვევები
თავი IV: ლტოლვილის სტატუსი	მუხლი 13: ლტოლვილის სტატუსის მინიჭება მუხლი 14: ლტოლვილის სტატუსის გაუქმება, შეწყვეტა ან განახლებაზე უარის თქმა
თავი V: სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირება	მუხლი 15: სერიოზული ზიანი მუხლი 16: შეწყვეტა მუხლი 17: გამონაკლისი შემთხვევები
თავი VI: სუბსიდიარული დაცვის სტატუსი	მუხლი 18: სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მინიჭება მუხლი 19: სუბსიდიარული დაცვის სტატუსის გაუქმება, შეწყვეტა ან განახლებაზე უარის თქმა





<p>თავი VII: საერთაშორისო დაცვის შინაარსი</p>	<p>მუხლი 20: ზოგადი წესები</p> <p>მუხლი 21: დაცვა გაძევებისაგან</p> <p>მუხლი 22: ინფორმაცია</p> <p>მუხლი 23: ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება</p> <p>მუხლი 24: ბინადრობის ნებართვები</p> <p>მუხლი 25: სამგზავრო დოკუმენტი</p> <p>მუხლი 26: დასაქმების ხელმისაწვდომობა</p> <p>მუხლი 27: განათლების ხელმისაწვდომობა</p> <p>მუხლი 28: კვალიფიკაციის აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა</p> <p>მუხლი 29: სოციალური უზრუნველყოფა</p> <p>მუხლი 30: ჯანმრთელობის დაცვა</p> <p>მუხლი 31: არასრულწლოვნები თანმხლები პირის გარეშე</p> <p>მუხლი 32: საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა</p> <p>მუხლი 33: წევრი სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება</p> <p>მუხლი 34: ინტეგრაციის ობიექტებზე წვდომა</p> <p>მუხლი 35: რეპატრაცია</p>
<p>თავი VIII: თანამშრომლობა ადმინისტრაციულ საკითხებზე</p>	<p>მუხლი 36: თანამშრომლობა</p> <p>მუხლი 37: პერსონალი</p>
<p>თავი IX: დასკვნითი დებულებები</p>	<p>მუხლი 38: ანგარიშები</p> <p>მუხლი 39: ტრანსპოზიცია</p> <p>მუხლი 40: გაუქმება</p> <p>მუხლი 41: ძალაში შესვლა</p> <p>მუხლი 42: ადრესატები</p>

საკვალიფიკაციო დირექტივის (ახალი რედაქციით) განმარტება

QD (ახალი რედაქციით) მოითხოვს, რომ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის უფლება განხილული იყოს **მანამ, სანამ** განიხილება სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება⁽²⁵⁾. CJEU-მ დაადასტურა ეს განცხადებით, რომ „სუბსიდიარულ დაცვაზე განაცხადი, პრინციპში, არ უნდა განიხილებოდეს მანამ, სანამ კომპეტენტური ორგანო არ დაასკვნის, რომ საერთაშორისო დაცვის მაძიებელი არ ექვემდებარება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირებას“⁽²⁶⁾. ჯერ არ არის მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, უნდა იქნეს

⁽²⁵⁾ იხ. მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი, რომლითაც სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარი განისაზღვრება როგორც მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, „რომელიც არ ექვემდებარება ლტოლვილად კვალიფიცირებას“, და პრეამბულის 33-ე პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ სუბსიდიარული დაცვა უნდა იყოს „ლტოლვილის სტატუსით უზრუნველყოფილი დაცვის ურთიერთშემავსებელი და დამატებითი დაცვა, რაც დადგენილია [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციით“. იხ. ასევე [ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013 წ. 26 ივნისის # 2013/32/EU დირექტივა საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ზოგადი პროცედურების შესახებ \(ახალი რედაქციით\)](#), [2013 წ.] OJ L 180/60 (APD (ახალი რედაქციით)), მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁽²⁶⁾ CJEU-ის 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „*HN v Minister for Justice, Equality and Law Reform, Ireland, Attorney General*“, C-604/12, EU:C:2014:302 (შემდგომში - CJEU, 2014 წ. „HN“), პუნქტი 35 და ასევე 29-34 პუნქტები.



თუ არა გამოყენებული თითოეული სტატუსისთვის კვალიფიკაციების კრიტერიუმები რაიმე კონკრეტული თანმიმდევრობით⁽²⁷⁾.

QD-ის, როგორც ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ინსტრუმენტის (TFEU-ის 78-ე მუხლი) სწორი განმარტების საკითხი (ახალი რედაქციით) ძირითადად ეკისრება CJEU-ს. სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს სავალდებულო ძალა ყველა წევრს სახელმწიფოში. თავის სასამართლო პრაქტიკაში, CJEU-მ ნათლად აღნიშნა რომ QD-ი – და, შესაბამისად, QD-ი (ახალი რედაქციით) – „უნდა იყოს განმარტებული მისი ზოგადი სქემისა და მიზნის გათვალისწინებით და [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციასთან და TFEU-ის 78-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სხვა შესაბამის ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში“⁽²⁸⁾. არსებობს მისი ორი ასპექტი.

პირველ რიგში, რაც შეეხება ლტოლვილთა შესახებ კონვენციის მნიშვნელობას (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენცია (1951 წ.), მასში ოქმით (1967 წ.) შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, რომელიც თავშესაფრის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობაში მოიხსენიება როგორც „ქენევის კონვენცია“) ლტოლვილთა დაცვის შესახებ QD-ის (ახალი რედაქციით) დებულებების განმარტებისთვის, CJEU-მ საქმეში „*ალო და ოსო*“ (*Alo and Oso*) დაადგინა, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-4, 23-ე და 24-ე პუნქტებიდან ნათელია რომ ლტოლვილთა შესახებ კონვენცია „წარმოადგენს ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმის ქვაკუთხედს“⁽²⁹⁾. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ღირექტივის დებულებები, რომელიც განსაზღვრავს თუ ვის უნდა მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი და ამ სტატუსის შინაარსი, მიღებულ იქნა, რათა წარმართოს წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ აღნიშნული კონვენციის გამოყენება საერთო კონცეფციებისა და კრიტერიუმების საფუძველზე“⁽³⁰⁾.

მეორე რიგში, რაც შეეხება ლტოლვილთა შესახებ კონვენციის მნიშვნელობას საერთაშორისო დაცვის შინაარსთან, CJEU-მ საქმეში „*ალო და ოსო*“ (*Alo and Oso*) დაადგინა რომ „თავი VII [QD-ი (ახალი რედაქციით)], რომელიც ეხება საერთაშორისო დაცვის შინაარსს, ღირექტივის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვრცელდება როგორც

⁽²⁷⁾ რაც ნათქვამია აქ ბრძანებასთან დაკავშირებით, ეხება მხოლოდ არსებით მოთხოვნებს საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიციანებისთვის. კონკრეტულ შემთხვევებში, ზოგჯერ პირველი რიგში შეიძლება განხილული იყოს პროცედურების ან/და მტკიცებულებების და სანდოობის შეფასების საკითხები.

⁽²⁸⁾ იხ., მაგალითად, CJEU-ის 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Minister voor Immigratie en Asiel v X, Y and Z v Minister voor Immigratie en Asiel*“, გაერთიანებული საქმეები C-199/12-დან C-201/12-მდე, EU:C:2013:720 (შემდგომში - CJEU, 2013 წ., „*X, Y and Z*“), პუნქტი 40; და CJEU (GC)-ის 2012 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*El Kott and Others v Bevándorlási és Állampolgársági Hivatal*“, C-364/11, EU:C:2012:826 (შემდგომში - CJEU (GC), 2012 წ., „*El Kott*“), პუნქტი 43; და CJEU (GC)-ის 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Kreis Warendorf v Ibrahim Alo and Amira Oso v Region Hannover*“, გაერთიანებული საქმეები C-443/14 და C-444/14, EU:C:2016:127 (შემდგომში - CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Oso*“), პუნქტი 29. ლტოლვილთა შესახებ კონვენციის აქტუალობა შემდგომ განხილულია EASO-ის სახელმძღვანელოში „*შესავალი CEAS-ში – პრეცედენტული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 8, ნაწილი 3.1. გვ. 61-63.

⁽²⁹⁾ CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Oso*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 28. თავდაპირველ QD-სთან დაკავშირებით იხილეთ, CJEU (GC)-ის 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Aydin Salahadin Abdulla and სხვები v Bundesrepublik Deutschland*“, გაერთიანებული საქმეები C-175/08, C-176/08, C-178/08 და C-179/08, EU:C:2010:105 (შემდგომში - CJEU (GC), 2010 წ., „*Abdulla*“), პუნქტი 28.

⁽³⁰⁾ CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Oso*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 28. იხ. ასევე CJEU (GC)-ის 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „*M v Ministerstvo vnitra და X, X v Commissaire général aux réfugiés et aux apatrides*“, გაერთიანებული საქმეები C-391/16, C-77/17 და C-78/17, EU:C:2019:403 (შემდგომში - CJEU (GC), 2019 წ., „*M, X and X*“), პუნქტი 74; და CJEU-ის 2018 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Shajin Ahmed v Bevándorlási és Menekültügyi Hivatal*“, C-369/17, EU:C:2018:713 (შემდგომში - CJEU, 2018 წ., „*Shajin Ahmed*“), პუნქტი 40.



ლტოლვილებზე, ასევე სუბსიდიარული დაცვის სტატუსის ბენეფიციარებზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული“⁽³¹⁾.

QD-ის (ახალი რედაქციით) განმარტების დროს, „ევროკავშირის მოსამართლემ“⁽³²⁾ უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობა, ევროკავშირის ქარტიისა⁽³³⁾ და „სხვა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების“ ჩათვლით, როგორც ეს მითითებულია TFEU-ის 78-ე მუხლის პირველ პუნქტში. ეს საკითხი უფრო დეტალურად არის განხილული EASO-ს სახელმძღვანელოში „შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“⁽³⁴⁾. CJEU-ს თანახმად, QD-ი (ახალი რედაქციით) უნდა იყოს „განმარტებული ქარტიით აღიარებული უფლებების შესაბამისად“⁽³⁵⁾. თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული ევროკავშირის ქარტია გამომდინარეებს ევროკავშირის ქარტიის 52-ე - 54-ე მუხლებიდან.

ევროკავშირის ქარტიის 52(ე მუხლის მე-3 პუნქტი

იმდენად, რამდენადაც ზემოხსენებული ქარტია მოიცავს უფლებებს, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, ამ უფლებების მნიშვნელობა და მოქმედების სფერო იქნება იგივე, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული კონვენციით. ეს დებულება ხელს არ შეუშლის ევროკავშირის კანონმდებლობას უფრო საფუძვლიანი დაცვა უზრუნველყოს.

QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-16 პუნქტი აღნიშნავს, რომ „წინამდებარე ღირეულობა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და იცავს პრინციპებს, რომელიც აღიარებულია, კერძოდ, [ევროკავშირის ქარტიით]“⁽³⁶⁾.

TFEU-ის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი არ იძლევა „სხვა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების“ განმარტებას და CJEU-ს ჯერ არ დაუზუსტებია მისი დეფინიციის კომპონენტები. მისი დეფინიცია შეიძლება მოიცავდეს QD-ის (ახალი რედაქციით)

⁽³¹⁾ CJEU (GC), 2016 წ., *Alo and Ossa*, op. cit., fn. 28, პუნქტები 31–33. იხ. ასევე, CJEU, 2018 წ., „*Ahmed*“, op. cit., fn. 30, პუნქტი 37 და 42; CJEU (GC)-ის 2018 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*MP v Secretary of State for Home Department*“, C-353/16, EU:C:2018:276 (შემდგომში - CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“), პუნქტი 36; და CJEU-ის 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება „*EZ v Bundesrepublik Deutschland*“, C-238/19, EU:C:2020:945 (შემდგომში - CJEU, 2020 წ., „*EZ*“), მაგალითად, პუნქტები 40 და 42.

⁽³²⁾ როდესაც ეროვნულ სასამართლოებს ან ტრიბუნალებს მოეთხოვებათ ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებების განმარტება, ეროვნული მოსამართლე ვალდებულია იმოქმედოს როგორც „ევროკავშირის მოსამართლემ“, როგორც ეს განმარტებულია EASO-ის სახელმძღვანელოში „*შესავალი CEAS-ში - პრეცედენტული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 8, გვ. 61.

⁽³³⁾ ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია (2007 წლის 12 დეკემბერს შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით), [2007 წ.] OJ C 303/01.

⁽³⁴⁾ EASO, „*შესავალი CEAS-ში - პრეცედენტული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 8, ნაწილი 2.1.3, გვ. 28-32.

⁽³⁵⁾ CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Ossa*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 29; და CJEU, 2018 წ., „*Ahmed*“, op. cit., fn. 33. QD-სთან დაკავშირებით ასევე იხილეთ CJEU (GC)-ის 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bundesrepublik Deutschland v Y and Z*“, გაერთიანებული საქმეები C-71/11 და C-99/11, EU:C:2012:518 (შემდგომში - CJEU (GC), 2012 წ., „*Y and Z*“), პუნქტი 48; და CJEU (GC), 2012 წ., „*El Kott and Others*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 43.

⁽³⁶⁾ პრეამბულის მე-16 პუნქტში ასევე აღნიშნულია, რომ QD-ი (ახალი რედაქციით) „მიზნად ისახავს... კერძოდ, თავშესაფრის მაძიებელთათვის და მათი თანმხლები ოჯახის წევრებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ღირსების სრული პატივისცემა და თავშესაფრის უფლების სრული დაცვა და ხელი შეეწყოს აღნიშნული ქარტიის 1-ელი, მე-7, მე-11, მე-14, მე-15, მე-16, მე-18, 21-ე, 24-ე, 34-ე და 35-ე მუხლების გამოყენებას და ამიტომ უნდა განხორციელდეს შესაბამისად“.



მე-9 მუხლით და პრეამბულის მე-17, მე-18, 31-ე და 34-ე პუნქტებით განსაზღვრულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მე-4 ცხრილში მოცემულია ხელშეკრულებების (არასრული) სია, რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს QD-ის (ახალი რედაქციით) განმარტებისთვის ⁽³⁷⁾. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც პირდაპირ არის მითითებული QD-ში (ახალი რედაქციით), ხაზგასმულია მუქად.

ცხრილი 4: საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც QD-ის (ახალი რედაქციით) განმარტებისთვის არის ან შეიძლება იყოს რელევანტური ⁽³⁸⁾

საერთაშორისო ხელშეკრულებები	QD-ის (ახალი რედაქციით) დებულება
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 1945 წ. ⁽³⁹⁾	მე-12 მუხლის პირველი პუნქტი და მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, პრეამბულის 31-ე პუნქტი
ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წ. ⁽⁴⁰⁾	მე-9 მუხლის პირველი პუნქტი
კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 1951 ⁽⁴¹⁾	მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-20 მუხლის პირველი პუნქტი, პრეამბულის მე-3, მე-4, მე-14, მე-22, მე-24, მე-29 და მე-33 პუნქტები
მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ კონვენცია, 1954 წ. ⁽⁴²⁾	
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წ. ⁽⁴³⁾	
საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1965 წ. ⁽⁴⁴⁾	

⁽³⁷⁾ მიუხედავად იმისა, რომ მე-4 ცხრილში მოცემული სია შემოიფარგლება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებით, 78-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღია ფორმულირება შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, საერთაშორისო საჯარო სამართლის სხვა ხელშეკრულებებს, რომელიც ეხება მოქალაქეობის ქონას და არ ქონას, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა დირექტივის პირთა წრის მიმართ მოქმედების სფეროს განმარტებაზე.

⁽³⁸⁾ QD-ში (ახალი რედაქციით) სპეციალურად აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებები მუქი შრიფტით არის გამოყოფილი. წინამდებარე ცხრილში მოცემული მუხლები და პრეამბულის პუნქტები მითითებს QD-ის (ახალი რედაქციით) მუხლზე/პრეამბულის პუნქტზე, რომელიც პირდაპირ მითითებს შესაბამის სამართლებრივ ინსტრუმენტზე.

⁽³⁹⁾ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 1945 წლის 26 ივნისი.

⁽⁴⁰⁾ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.

⁽⁴¹⁾ კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 1951 წლის 28 ივლისი.

⁽⁴²⁾ მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ კონვენცია, 1954 წლის 28 სექტემბერი.

⁽⁴³⁾ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი. CJEU-მ დაადგინა, რომ აღნიშნული არის ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელსაც იგი ითვალისწინებს რიგ შემთხვევებში თანამეგობრობის კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი პრინციპების გამოყენების დროს. იხ. მაგალითად, CJEU-ის 1989 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Orkem v Commission*“, C-374/87, EU:C:1989:387, პუნქტი 31; CJEU-ის 1990 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Massam Dzodzi v État belge*“, გაერთიანებული საქმეები C-297/88 და C-197/89, EU:C:1990:360, პუნქტი 68; CJEU-ის 1998 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*Lisa Jacqueline Grant v South-West Trains Ltd*“, C-249/96, EU:C:1998:63, პუნქტი 44; და CJEU-ის 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*European Parliament v Council of the European Union*“, C-540/03, EU:C:2006:429 (შემდგომში - CJEU, 2006 წ., „*პარლამენტი საბჭოს წინააღმდეგ*“), პუნქტი 37.

⁽⁴⁴⁾ საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1965 წლის 21 დეკემბერი.





კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979 წ. ⁽⁴⁵⁾	
კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 1984 წ. ⁽⁴⁶⁾	
გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, 1989 წ. ⁽⁴⁷⁾	პრეამბულის მე-18 მუხლი
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998 წ. ⁽⁴⁸⁾	
მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია 2006 წ. ⁽⁴⁹⁾	

ევროკავშირის კანონმდებლობას და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (ECHR) საფუძველზე შექმნილი პრევენციული სამართლის ურთიერთკავშირი ⁽⁵⁰⁾ უფრო დეტალურად არის განხილული EASO-ს სახელმძღვანელოში „*შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის - პრევენციული სამართლის ანალიზი*“ ⁽⁵¹⁾, მაგრამ აქ ხაზგასმას საჭიროებს შემდეგი პუნქტები.

CJEU-მ განაცხადა, რომ სამართლებრივი ტექსტებიდან, რომელიც შეადგენს CEAS-ს, გამომდინარეობს, რომ ის შეიქმნა ისეთ კონტექსტში, რომელიც განამტკიცებს ვარაუდს, რომ ყველა წევრი სახელმწიფო იცავს ძირითად უფლებებს. აღნიშნული მოიცავს ლტოლვილთა შესახებ კონვენციასა და მის 1967 წლის ოქმზე, ასევე, ECHR-ზე დაფუძნებულ უფლებებს ⁽⁵²⁾.

⁽⁴⁵⁾ კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979 წლის 18 დეკემბერი.

⁽⁴⁶⁾ კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 1984 წლის 10 დეკემბერი. გაითვალისწინეთ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე მითითება CJEU (GC)-ის 2018 წ. საქმეში „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტები 52–57.

⁽⁴⁷⁾ გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი. CJEU (GC)-ის 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Parliament v Council*“, op. cit., fn. 43, პუნქტი 37, ცალსახად მიუთითებს გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაზე.

⁽⁴⁸⁾ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998 წლის 17 ივლისი. იხ. EASO, „*შესავალი CEAS-ში - პრევენციული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 8, პუნქტი 3.4, გვ. 70-80, რომელიც განაწილებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებებს და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების მნიშვნელობას CEAS-ში შემავალი მეორადი კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით.

⁽⁴⁹⁾ მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, 2006 წლის 13 დეკემბერი. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტი ასევე არის ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი. იხ. ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება ევროპული თანამეგობრობის მიერ გაეროს მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის შესახებ დასკვნის თაობაზე, [2010 წ.] OJ L 23, გვ. 35–36, „პირველი მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლის პირველი პუნქტი. ევროკავშირის მიერ მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის (CRPD) რატიფიკაციის შემდეგ, CJEU-მ დაადგინა, რომ CRPD-ი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ევროკავშირის მეორადი კანონმდებლობის განმარტების მიზნებისთვის, რომელიც, შეძლებისდაგვარად, უნდა განიმარტოს CRPD-ის შესაბამისად. იხ. ასევე CJEU-ის 2016 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mohamed Daouidi v Bootes Plus SL and Others*“, C-395/15, EU:C:2016:917, პუნქტები 40-41 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა; და CJEU-ის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Petya Mikova v Izpalnitelen direktor na Agentsiata za privatizatsia i sledprivatizatsionen kontrol*“, C-406/15, EU:C:2017:198.

⁽⁵⁰⁾ იხ., მაგალითად, CJEU (GC)-ის 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*Meki Elgafaji and Noor Elgafaji v Staatssecretaris van Justitie*“, C-465/07, EU:C:2009:94 (შემდგომში - CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“), პუნქტი 28; და CJEU (GC)-ის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mohamed M’Bodj v Etat belge*“, C-542/13, EU:C:2014:2452 (შემდგომში - CJEU (GC), 2014 წ., „*M’Bodj*“), პუნქტი 40.

⁽⁵¹⁾ EASO, „*შესავალი CEAS-ში - პრევენციული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 8, ნაწილი 3.4.1, გვ. 71–75.

⁽⁵²⁾ CJEU (GC)-ის 2011 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*NS v Secretary of State for the Home Department and ME and Others v Refugee Applications Commissioner, Minister for Justice, Equality and Law Reform*“, გაერთიანებული საქმეები C-411/10 და C-493/10, EU:C:2011:865 (შემდგომში - CJEU (GC), 2011 წ., „*NS and ME*“), პუნქტი 78.



ევროკავშირის ქარტიით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებები არის ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი.

როგორც აღნიშნულია EASO-ს სახელმძღვანელოში „შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“⁽⁵³⁾, ECHR-ს აქვს გარკვეული განმარტებითი მნიშვნელობა როგორც დევნის, ისე სერიოზული ზიანის დეფინიციის განსაზღვრის ფარგლებში. რაც შეეხება დევნას, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი პირდაპირ მიუთითებს ადამიანის ძირითად უფლებებზე და, კერძოდ, იმ უფლებებზე, რომელთა დეროგაცია დაუშვებელია ECHR-ის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით (იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილი 1.4.2). სერიოზულ ზიანთან დაკავშირებით, CJEU-მ დაადგინა, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ სერიოზული ზიანი მოიცავს, მათ შორის, „მომჩივნის წამებას ან მისდამი არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან მის დასჯას მისივე წარმომობის ქვეყანაში“, „არსებითად შეესაბამება ECHR-ის მე-3 მუხლს“⁽⁵⁴⁾ (იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილი 1.4.3). თავის მხრივ, ECtHR-მა რამდენჯერმე განიხილა შესაბამისობის საკითხები ECHR-ის მე-3 მუხლსა და სუბსიდიარული დაცვის რეჟიმს შორის⁽⁵⁵⁾.

გარდა ECHR-ზე ან იმ უფლებებზე პირდაპირი მითითებისა, რომელიც შეესაბამება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 და მე-15 მუხლებში აღნიშნულ ECHR-ით დადგენილ უფლებებს, ECHR-ით დადგენილი უფლებები შეიძლება ასევე რელევანტური იყოს ევროკავშირის ქარტიით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებების განმარტებისთვის, თუ ევროკავშირის ქარტიით დადგენილი უფლებები შეესაბამება ECHR-ის რომელიმე მუხლით გარანტირებულ უფლებებს⁽⁵⁶⁾. როგორც CJEU -მ აღნიშნა საქმეზე „MP“, „ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რამდენადაც მისივე მე-4 მუხლით გარანტირებული უფლებები შეესაბამება ECHR-ის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებებს, ამ უფლებების მნიშვნელობა და მოქმედების სფერო არის იგივე, რაც დადგენილია ECHR-ის მე-3 მუხლით“⁽⁵⁷⁾.

გარდა ECHR-ისა და ECtHR-ის პრეცედენტული სამართლისა, რომელიც ზემოაღნიშნული კონკრეტული ასპექტების განმარტების წყაროს წარმოადგენს, ასევე, მნიშვნელოვანია „ჰორიზონტალური სასამართლო დიალოგი“ ევროკავშირის კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით, რაც ხაზგასმულია EASO-ს სახელმძღვანელოში, „შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“⁽⁵⁸⁾. სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრებისთვის, რომლებსაც ევალებათ იმოქმედონ როგორც „ევროკავშირის მოსამართლებმა“ და განმარტონ QD-ის (ახალი რედაქციით) დებულებები, სხვა წევრი

⁽⁵³⁾ EASO, „შესავალი CEAS-ში - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 8, ნაწილი 3.4.1, გვ. 71-75.

⁽⁵⁴⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 28; და CJEU (GC), 2014 წ., „M'Bodj“, op. cit., fn. 50, პუნქტი 38. გაითვალისწინეთ, რომ როგორც ECHR-ის მე-3 მუხლი, ისევე ევროკავშირის ქარტიის მე-4 მუხლი ადგენს, რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 38, სასამართლომ მოახდინა ECtHR (GC)-ის 2016 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების ციტირება საქმეზე „პაპოშვილი ბელგიის წინააღმდეგ“ (Paposhvili v Belgium), # 41738/10, CE:ECHR:2016:1213JUD004173810 (შემდგომში - ECtHR (GC), 2016 წ., „Paposhvili“), პუნქტები 174–175, რომლითაც იხელმძღვანელა ECHR-ის მე-3 მუხლის ფარგლებში წარმომობილ ჯანმრთელობის დაცვის საქმეებთან დაკავშირებით.

⁽⁵⁵⁾ მაგ., ECtHR-მა საკუთარ სასამართლო პრაქტიკაში განიხილა, რამდენად შედარებადია სუბსიდიარული დაცვა ECHR-ის მე-3 მუხლით დადგენილ დაცვასთან. იხ., მაგალითად, ECtHR-ის 2011 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Sufi and Elmi v United Kingdom“, # 8319/07 და # 11449/07, CE:ECHR:2011:0628JUD000831907 (შემდგომში - ECtHR, 2011 წ., „Sufi and Elmi“), პუნქტები 225–226.

⁽⁵⁶⁾ ევროკავშირის ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი და CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 28.

⁽⁵⁷⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 37.

⁽⁵⁸⁾ EASO, „შესავალი CEAS-ში - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 8, ნაწილი 3.6, გვ. 84-89.





სახელმწიფოების ეროვნული სასამართლო პრაქტიკა შეიძლება იყოს რელევანტური, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული დებულების განმარტება ჯერ არ არის დაზუსტებული CJEU-ის მიერ. მართლაც, ამ კონტექსტში, ეროვნულ სასამართლო პრაქტიკა რელევანტურია, რაც არ ეხება ECtHR-ს, რადგან, მაშინ როცა ეროვნული სასამართლოები და ტრიბუნალები განმარტავენ ევროკავშირის კანონმდებლობას, ECtHR-ს აქვს მხოლოდ ECtHR-ის კანონმდებლობის განმარტების იურისდიქცია. სხვა წევრი სახელმწიფოების ეროვნული სასამართლო პრაქტიკით შეიძლება ასევე მოყვანილი იყოს მაგალითები, თუ როგორ უნდა მოხდეს CJEU-ის გადაწყვეტილების გამოყენება კონკრეტულ საქმეზე. თუმცა, როდესაც წევრი სახელმწიფოს რომელიმე სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე ისმება QD-ის (ახალი რედაქციით) განმარტების საკითხი, მაშინ ამ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია, თუ ის ჩათვლის, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია აღნიშნული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოსატანად, მოსთხოვოს CJEU-ს აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტა. თუ ამ სასამართლოს ან ტრიბუნალის გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ არსებობს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის საშუალება, მაშინ მან ეს საკითხი უნდა გადასცეს CJEU-ს. ⁽⁵⁹⁾.

CEAS-ის საკანონმდებლო დებულებების განმარტება, ასევე, CJEU-ს და ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების როლი უფრო დეტალურად არის განხილული EASO-ს სახელმძღვანელოში „შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის – პრევენციული სამართლის ანალიზი“ ⁽⁶⁰⁾.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი არის (საერთაშორისო და) ევროკავშირის სამართლის ზოგადი პრინციპი, როგორც ეს დადგენილია ევროკავშირის ქარტიის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

ევროკავშირის ქარტიის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი

ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში, იქნება ის განხორციელებული საჯარო ხელისუფლების თუ კერძო ინსტიტუტების მიერ, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

პრინციპი ინკორპორირებულია QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-18 და მე-19 პუნქტებში, პრეამბულის 27-ე პუნქტის ბოლო წინადადებაში, პრეამბულის 38-ე პუნქტში, მე-20 მუხლის მე-5 პუნქტში და 31-ე მუხლში. ეჭვარეშაა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი არის ბავშვი, საერთაშორისო დაცვის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შეფასებისას უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის ინტერესების დაცვის პრინციპს, მაშინაც კი, როდესაც ეს პრინციპი პირდაპირ არ არის ნახსენები. ⁽⁶¹⁾.

QD-ში (ახალი რედაქციით) ამ პრინციპის გამოყენების შემდგომი მტკიცებულება არის QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში არსებული მითითება ასაკის

⁽⁵⁹⁾ TFEU-ის 267-ე მუხლი.

⁽⁶⁰⁾ EASO, „შესავალი CEAS-ში – პრევენციული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 8, პუნქტი 3. გვ. 61-89.

⁽⁶¹⁾ CJEU-ის 2013 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე „MA, BT and DA v Secretary of State for the Home Department“, C-648/11, EU:C:2013:367 (შემდგომში - CJEU, 2013 წ., „MA, BT and DA“), CJEU-ი ცხადყოფს, რომ მაშინაც კი, როდესაც ევროკავშირის მეორადიკანონმდებლობის დებულებაში არ არის გარკვევით ნახსენები არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ევროკავშირის ქარტიის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების შედეგი, წაკითხული ამავე ქარტიის 51-ე მუხლის პირველ პუნქტთან ერთად, არის ის რომ ამ დებულების განმარტებისას და გამოყენებისას უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.



რელევანტურობაზე საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის შეფასებისას და QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში არსებული მითითება იმ ფაქტზე, რომ დევნის აქტებმა შეიძლება მიიღონ „...კონკრეტულად ბავშვის წინააღმდეგ მიმართული აქტების“ ფორმა. კონკრეტულად ბავშვის წინააღმდეგ მიმართული დევნის აქტები უნდა შეფასდეს დაუცველობის პრიზმაში, რადგან არასრულწლოვნები, რომლებიც არიან დევნის აქტების მსხვერპლნი, თავისთავად უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით დაუცველად ⁽⁶²⁾.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი ასევე რელევანტურია პროცედურული წესებისა და სტანდარტების განმარტებისა და გამოყენებისთვის ⁽⁶³⁾. ლტოლვილის სტატუსისთვის კვალიფიცირებასთან დაკავშირებით აღნიშნული პრინციპის გამოყენების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილები 1.4.4.8 და 1.6.2.4.2.

საერთაშორისო დაცვაზე განცხადება

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „თ“ პუნქტი „საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას“ განსაზღვრავს შემდეგნაირად.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „თ“ პუნქტი

... მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე იმ პირის მიერ გაკეთებული მოთხოვნა წევრი სახელმწიფოსგან დაცვის მიღების შესახებ, ვინც შეიძლება ჩაითვალოს ლტოლვილის სტატუსის ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მაძიებლად, და ვინც აშკარად არ ითხოვს სხვა სახის დაცვას, წინამდებარე დირექტივის მოქმედების ფარგლებს გარეთ, რომელზეც განაცხადი შეიძლება გაკეთდეს ცალკე.

აღნიშნული დეფინიცია, „განმცხადებლის“ დეფინიციასთან ერთად, რომელიც მოცემულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ი“ პუნქტში ⁽⁶⁴⁾, ცხადყოფს, რომ განმცხადებელი უნდა იყოს მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი. როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ მოცემულ ნაწილებში 1.3.1 და 1.3.3, აღნიშნული დეფინიცია ნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები – ანუ, ევროკავშირის მოქალაქეები – გამორიცხულნი არიან დირექტივით გათვალისწინებული როგორც ლტოლვილის, ასევე სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დეფინიციებიდან. ⁽⁶⁵⁾ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს თითოეული განაცხადის ინდივიდუალურ შეფასებას ⁽⁶⁶⁾.

⁽⁶²⁾ იხ. EASO, „საერთაშორისო დაცვაზე განცხადებელთა დაუცველობის საკითხი – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2021 წ. (შემდგომში - EASO, „დაუცველობა – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“), ნაწილი 2.4 „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“ და ნაწილი 6.

⁽⁶³⁾ EASO, „დაუცველობა – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 62, და EASO, „თავშესაფრის პროცედურები და არგამკვების პრინციპი - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2018 წ. (შემდგომში - EASO, „თავშესაფრის პროცედურები - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“), ნაწილები 3.4 და 4.2.8.

⁽⁶⁴⁾ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ი“ პუნქტში ნათქვამია, რომ „განმცხადებელი“ („მაძიებელი“) ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც შეიტანა განცხადება საერთაშორისო დაცვაზე, რომლის თაობაზეც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული“.

⁽⁶⁵⁾ ევროკავშირის მოქალაქეების განაცხადები სცილდება ამ დირექტივის მოქმედების ფარგლებს; იხილეთ პრეამბულის მე-20 პუნქტი. მათი მდგომარეობა რეგულირდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის თავშესაფრის შესახებ #24 ოქმით (ასევე ცნობილი როგორც „აზნარის ოქმი“).

⁽⁶⁶⁾ CJEU-ის 2018 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Ahmedbekova v Zamestnik-predsedatel na Darzhavna agentsia za bezhantsite“, C-652/16, EU:C:2018:801 (შემდგომში - CJEU, 2018 წ., „Ahmedbekova“), პუნქტი 43.



QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, „საერთაშორისო დაცვა“ ნიშნავს ლტოლვილის სტატუსს და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ე“ და „ზ“ პუნქტებით. მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის საფუძველზე, რომელიმე სტატუსის მოთხოვნა წარმოადგენს საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთებას. მიუხედავად იმისა, რომ მისი ფორმულირება მიუთითებს, რომ მოთხოვნა შეიძლება გაკეთდეს ერთი ან მეორე სტატუსისთვის („რაც შეიძლება გაგებული იყოს, როგორც ლტოლვილის სტატუსის ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მოთხოვნა“ (დამატებულია ხაზგასმა)), დირექტივა ითვალისწინებს, რომ სუბსიდიარული დაცვის მინიჭების საკითხი განიხილება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება რომ განმცხადებელი არ არის ლტოლვილი. ამასვე მიუთითებს როგორც ტერმინის „სუბსიდიარული“ გამოყენება, ასევე QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის ფორმულირება (რომელშიც სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირი განმარტებულია როგორც პირი, „რომელიც ვერ იქნება კვალიფიცირებული ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად“) (67). ამასთან ერთად, -CJEU-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვინაიდან საერთაშორისო დაცვის მაძიებლებმა შეიძლება ვერ „დაადგინონ თუ რა სახის დაცვა ვრცელდება მათ განაცხადზე“ (68), ამის ვალდებულება აქვთ წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებმაც უნდა „განსაზღვრონ ყველაზე შესაფერისი სტატუსი განმცხადებლის მდგომარეობისთვის“ (69). განმცხადებელს ევალება განაცხადის შეტანა, მაგრამ შემდეგ უკვე წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს ვალდებულებაა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, აკმაყოფილებს თუ არა აღნიშნული პირი ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნებს ან, თუ არა, მაშინ სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების მოთხოვნებს.

QD-ი (ახალი რედაქციით) არ შეიცავს ტერიტორიული მოქმედების ფარგლების დეფინიციას, მაგრამ, მისგან განსხვავებით, APD-ის (# 2013/32/EU) (APD (ახალი რედაქციით)) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი (70) განსაზღვრავს საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის ტერიტორიული მოქმედების ფარგლებს (71). ის აზუსტებს, რომ განაცხადი უნდა გაკეთდეს „წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, მათ შორის სახელმწიფო საზღვარზე, ტერიტორიულ წყლებში ან სატრანზიტო ზონებში“. APD-ი (ახალი რედაქციით) არ ვრცელდება დიპლომატიური ან ტერიტორიული თავშესაფრის მიღების მოთხოვნებზე, რომელიც წარდგენილია წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობებისთვის (APD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი) (72). CJEU-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ შესაძლოა ტერიტორიული მოქმედების ფარგლების ეს დეფინიცია ასევე გამოყენებული იყოს QD-ის (ახალი რედაქციით) მიზნებისთვის. (73).

უფრო ხელსაყრელი სტანდარტები (მუხლი 3)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს.

(67) CJEU, 2014 წ., „HN“, op. cit., fn. 26, პუნქტები 29–30. იხ. ასევე პრეამბულის 33-ე პუნქტი.

(68) იქვე (Ibid.), პუნქტი 34.

(69) Ibid.

(70) ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013 წ. 26 ივნისის დირექტივა # 2013/32/EU საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ზოგადი პროცედურების შესახებ (ახალი რედაქციით), [2013 წ.] OJ L 180/60 (APD (ახალი რედაქციით)). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრეამბულის 49-ე და 50-ე პუნქტებს და ასევე APD-ის (ახალი რედაქციით) 45-ე მუხლს და 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს.

(71) EASO, „თავშესაფრის პროცედურები - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 63, ნაწილი 2.2.

(72) მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ კონვენცია, 1954 წლის 28 სექტემბერი.

(73) მე-3 მუხლის გარდა, APD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი და მე-6 მუხლი ასევე შეიცავს დებულებებს, რომელიც ეხება საერთაშორისო დაცვაზე განაცხადებს.



QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლი

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შემოიღონ ან შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი სტანდარტები იმის დასადგენად, თუ ვინ აქვს ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირების ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მოთხოვნის უფლება, და საერთაშორისო დაცვის შინაარსის განსაზღვრისთვის, იმდენად რამდენადაც ეს სტანდარტები შეესაბამება წინამდებარე დირექტივას.

QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-14 პუნქტი ადგენს შემდეგს.

QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-14 პუნქტი

წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, შემოიღონ ან შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი დებულებები, ვიდრე QD-ით (ახალი რედაქციით) დადგენილი სტანდარტები მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებიც ითხოვენ საერთაშორისო დაცვას წევრი სახელმწიფოსგან, როდესაც იგულისხმება, რომ ასეთი მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ დაინტერესებული პირი არის ლტოლვილი [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დადგენილი მნიშვნელობით, ან პირი, რომელსაც აქვს სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მოთხოვნის უფლება.

მესამე ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, „რომლებსაც აქვთ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე დარჩენის უფლება არა საერთაშორისო დაცვის საჭიროების გამო, არამედ **დისკრეციულ საფუძველზე** თანაგრძნობის ან ჰუმანიტარული მიზნით, რაც სცილდება [QD-ის] მოქმედების სფეროს (პრეამბულის მე-15 პუნქტი, დამატებულია ხაზგასმა). აღნიშნული დადასტურებულია CJEU-ის გადაწყვეტილებებით საქმეებზე „B და D“ (*B and D*)⁽⁷⁴⁾ და „M'Bodj“⁽⁷⁵⁾.

„B და D“ (*B and D*), საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, CJEU-მ წინასწარ შეკითხვასთან დაკავშირებით დაადგინა, უნდა იყოს თუ არა QD-ის მე-3 მუხლი განმარტებული, როგორც წევრი სახელმწიფოს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - გერმანიის) მიმართ დაწესებული შეზღუდვა აღიაროს, რომ პირს რომელზეც არ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსი გამონაკლისი შემთხვევების შესახებ QD-ის დებულების შესაბამისად, აქვს თავშესაფრის მიღების უფლება მისივე კონსტიტუციური კანონმდებლობის შესაბამისად. CJEU-მ განმარტა, რომ „იმ მიზნიდან გამომდინარე, რომელიც საფუძვლად უდევს [QD-ით განსაზღვრულ] გამონაკლის შემთხვევებს, რომელიც საჭიროა [QD-ით] გათვალისწინებული დაცვის სისტემის სანდოობის შენარჩუნებისთვის, [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციის შესაბამისად“, ისეთი დებულება, რომელიც ასეთ პირს ლტოლვილის სტატუსს მიანიჭებს არ იქნება თავსებადი QD-ისთან⁽⁷⁶⁾. თუმცა სასამართლომ დაადასტურა, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მიანიჭონ თავშესაფრის უფლება პირს, რომელზეც არ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსი დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის

⁽⁷⁴⁾ CJEU-ის (GC) 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bundesrepublik Deutschland v B and D*“, გაერთიანებული საქმეები C-57/09 და C-101/09, EU:C:2010:661, პუნქტი 118.

⁽⁷⁵⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 46.

⁽⁷⁶⁾ CJEU (GC), 2010 წ., „*B and D*“, op. cit., fn. 74, პუნქტი 115.





მიხედვით, იმ პირობით, რომ სხვა სახის დაცვა არ გამოიწვევს ლტოლვილის სტატუსთან აღრევის რისკს დირექტივით გათვალისწინებული მნიშვნელობით“⁽⁷⁷⁾.

საქმე „მბოდჯი“ (*M'Bodj*)⁽⁷⁸⁾ ეხებოდა მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომლის განაცხადი საერთაშორისო დაცვის სტატუსის მიღებაზე არ დაკმაყოფილდა. თუმცა მას მიენიჭა წევრი სახელმწიფოს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - ბელგიის) ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან ის იტანჯებოდა ავადმყოფობით, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს ან ფიზიკურ ჯანმრთელობას, ხოლო მის წარმოშობის ქვეყანაში არ არსებობდა შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა. CJEU-ს წინაშე დაისვა კითხვა, ჰქონდა თუ არა მას სოციალური დახმარებით და სამედიცინო შეღავათებით სარგებლობის უფლება QD-ის შესაბამისად. CJEU-მ განაცხადა, რომ ასეთი განმცხადებლის მდგომარეობა არ ხვდება სერიოზული ზიანის მოქმედების სფეროში, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის მე-15 მუხლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ განზრახ არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. შესაბამისად, CJEU-მ განიხილა, უკრძალავს თუ არა QD-ის მე-3 მუხლში არსებული ფრაზა „თუ ეს სტანდარტები თავსებადია [QD-ისთან]“ წევრ სახელმწიფოებს სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მიმნიჭებელი დებულების შემოღებას ან შენარჩუნებას ამ სიტუაციაში⁽⁷⁹⁾. CJEU-მ დაასკვნა, რომ „ეს ეწინააღმდეგება [QD-ის] ზოგად სქემას და მიზნებს ისეთ მდგომარეობაში მქყოფ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელსაც არ აქვს კავშირი საერთაშორისო დაცვის მინიჭების საფუძვლებთან“⁽⁸⁰⁾. მაშასადამე, დებულება, რომლითაც ამ სიტუაციაში ხდება ტერიტორიაზე ცხოვრების უფლების მინიჭება, „[QD-ის] მე-3 მუხლის მიზნებისთვის არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უფრო ხელსაყრელი სტანდარტის შემოღება, რათა დადგინდეს, თუ ვის აქვს სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება“⁽⁸¹⁾. გარდა ამისა, CJEU-მ გაიმეორა, რომ ასეთ ვითარებაში მყოფი პირები, რომლებსაც ენიჭება ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება „დისკრეციულ საფუძველზე, თანაგრძნობის ან ჰუმანიტარული ნიშნით“ არ ხვდებიან QD-ის მოქმედების სფეროში⁽⁸²⁾.

CJEU-ი მივიდა იმავე დასკვნამდე – რომ სხვა სახის დაცვის მოთხოვნები სცილდება QD-ის მოქმედების სფეროს – საქმეში „აბდიდა“ (*Abdida*)⁽⁸³⁾, თუმცა მისი გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში დაკავშირებულია დაბრუნების შესახებ დირექტივასთან (# 2008/115/EC)⁽⁸⁴⁾.

საქმეში „აჰმედბეკოვა“ (*Ahmedbekova*), CJEU-მ დაადასტურა მისი წინა მითითება, რომელიც მოცემულია საქმეებში „B და D“ (*B and D*) და „მბოდჯი“ (*M'Bodj*). კერძოდ, სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-3 მუხლი, მათ შორის, ვრცელდება სტანდარტებზე, რომლის მიხედვითაც ხდება ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭება. ერთ-ერთი შეკითხვა რომელიც დასვა მიმმართველმა სასამართლომ არის, უნდა იყოს თუ არა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლი განმარტებული, როგორც წევრი სახელმწიფოსთვის მიცემული

⁽⁷⁷⁾ Ibid., პუნქტი 121; იხ. ასევე პუნქტები 113-120.

⁽⁷⁸⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50.

⁽⁷⁹⁾ Ibid., პუნქტი 43.

⁽⁸⁰⁾ Ibid., პუნქტი 44.

⁽⁸¹⁾ Ibid., პუნქტი 45.

⁽⁸²⁾ Ibid., პუნქტი 46.

⁽⁸³⁾ CJEU (GC)-ის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Centre public d'action sociale d'Ottignies-Louvain-la-Neuve v Moussa Abdida*“, C-562/13, EU:C:2014:2453 (შემდგომში - CJEU (GC), 2014 წ., „*Abdida*“).

⁽⁸⁴⁾ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის დირექტივა # 2008/115/EC წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნების ერთიანი სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ, [2008 წ.] OJ L 348/98.



ნებართვა მოახდინოს საერთაშორისო დაცვის მოქმედების სფეროს გავრცელება იმ პირის ოჯახის წევრებზე, ვისაც მიენიჭა ამ ფორმის დაცვა. CJEU-მ დაადგინა, რომ:

წინამდებარე საქმეში, ქ-ნი აჰმედბეკოვას [Mrs Ahmedbekova] შვილსა და ქმრისთვის ლტოლვილის სტატუსის ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა მისთვის მინიჭებული ლტოლვილის სტატუსის საფუძველზე, აღნიშნული პირების ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობის გამო, შეესაბამებოდა საერთაშორისო დაცვის აუცილებლობის დასაბუთებას, რაც არის ამ სტატუსის მინიჭების საფუძველი ⁽⁸⁵⁾.

საქმეში „LW“, CJEU-ის დიდმა პალატამ დაადასტურა პოზიცია, რომელიც მან დაიკავა საქმეში „აჰმედბეკოვა (Ahmedbekova)“: ეროვნული კანონმდებლობით ლტოლვილის სტატუსის ავტომატური მინიჭება ასეთი სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრებისთვის აპრიორი არ არის დაკავშირებული საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭების საფუძველთან ⁽⁸⁶⁾. მან მიიჩნია, რომ ასეთი კავშირი შეიქმნა 1951 წლის 25 ივლისის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ გაერთიანებული ერების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის საბოლოო აქტით ⁽⁸⁷⁾, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ლტოლვილთა შესახებ კონვენცია. პირველ რიგში, დასკვნით აქტში იმის ხაზგასმით, რომ „ოჯახის ერთიანობა ... არის ლტოლვილის არსებითი უფლება“, და ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის რეკომენდაციის მიცემით, რომ „მიიღონ აუცილებელი ზომები ლტოლვილის ოჯახის დასაცავად, განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ... უზრუნველყონ ლტოლვილის ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება“, „წინამდებარე კონვენციის ავტორებმა შექმნეს მჭიდრო კავშირი აღნიშნულ ზომებსა და საერთაშორისო დაცვის საფუძველებს შორის“ ⁽⁸⁸⁾. CJEU-ის დიდმა პალატამ ასევე აღნიშნა, რომ „აღნიშნული კავშირის არსებობა, უფრო მეტიც, არაერთხელ დადასტურდა UNHCR-ის ორგანოების მიერ“ ⁽⁸⁹⁾. მეორე რიგში, თვითონ QD-იც (ახალი რედაქციით) „აღიარებს ასეთი კავშირის არსებობას, რისთვისაც 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ზოგადი ფორმულირებით ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყონ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარის ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება“ ⁽⁹⁰⁾. თუმცა დიდმა პალატამ განაცხადა, რომ ნებისმიერი ასეთი ღონისძიება უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისობას 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან ⁽⁹¹⁾. სასამართლომ გამოავლინა ორი პირობა. პირველი, ბავშვზე არ უნდა „ვრცელდებოდეს აღნიშნული დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გამორიცხვის საფუძველი“. მეორეც, ბავშვს:

⁽⁸⁵⁾ CJEU, 2018 წ., „Ahmedbekova“, op. cit., fn. 66, პუნქტი 73. ასევე, იხილეთ 74-ე პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნული ექვემდებარებოდა დებულებას, რომლის მიხედვითაც ისინი არ შედიან ამ დირექტივის მე-12 მუხლით განსაზღვრული გამორიცხვის საფუძველის მოქმედების სფეროში და რომ მათი მდგომარეობა, ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობის გამო, შეესაბამება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მიღების საფუძველს“.

⁽⁸⁶⁾ CJEU-ის 2021 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „LW v Bundesrepublik Deutschland“, C-91/20, EU:C:2021:898 (შემდგომში - CJEU (GC), 2021 წ., „LW“), პუნქტი 41, რომელიც მიუთითებს CJEU-ის 2018 წ. საქმეზე „Ahmedbekova“, op. cit., fn. 66, პუნქტი 72.

⁽⁸⁷⁾ ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ გაერთიანებული ერების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის დასკვნითი აქტი, 1951 წლის 25 ივლისი.

⁽⁸⁸⁾ CJEU (GC), 2021 წ., „LW“, op. cit., fn. 86, პუნქტი 42.

⁽⁸⁹⁾ CJEU (GC), 2021 წ., „LW“, op. cit., fn. 86, პუნქტი 42.

⁽⁹⁰⁾ CJEU (GC), 2021 წ., „LW“, op. cit., fn. 86, პუნქტი 43.

⁽⁹¹⁾ Ibid., პუნქტები 39, 45-48 და 52. QD-ის (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარის ოჯახის წევრებს, რომლებსაც ინდივიდუალურად ასეთი დაცვის ქვეშ მყოფ პირებად ვერ იქნებიან კვალიფიცირებულნი, აქვთ უფლება მოითხოვონ 24-დან 35-მდე მუხლებში მითითებული შეღავათები, ეროვნული პროცედურების შესაბამისად, და რამდენადაც ეს თავსებადია ოჯახის წევრის პირად სამართლებრივ სტატუსთან“.



თავისი ეროვნების ან პირადი სამართლებრივი სტატუსისთვის დამახასიათებელი რაიმე სხვა ელემენტის გამო, არ უნდა ჰქონდეს ამ წევრ სახელმწიფოში უკეთესი მოპყრობის უფლება, ვიდრე რაც გამომდინარეობს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებიდან. ამ მხრივ არ არის რელევანტური იმის დადგენა, არის თუ არა შესაძლებელი და გონივრულად მისაღები ბავშვისთვის და ბავშვის მშობლებისთვის სხვა მესამე ქვეყანაში გადასვლა⁽⁹²⁾.

საქმეებზე „B და D“ (B and D), „მბოდჯი“ (M’Bodj), „აბდიდა“ (Abdida), „აჰმედბეკოვა“ (Ahmedbekova) და „LW“ მიღებულ გადაწყვეტილებებში ილუსტრირებული რამდენიმე პრინციპი შეიძლება იქნეს გამოყენებული, რათა შეიქმნას ჩარჩო, თუ რა სახის ეროვნული დაცვა სცილდება QD-ის (ახალი რედაქციით) მოქმედების სფეროს.

- მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს რჩებათ შესაძლებლობა ჰქონდეთ ეროვნული წესები, რომლის მიხედვითაც თავშესაფრის უფლება ენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც არ ხვდებიან QD-ის (ახალი რედაქციით) მოქმედების სფეროში, დადგენილი უნდა იყოს მკაფიო განსხვავება ეროვნულ დაცვასა და საერთაშორისო დაცვას შორის QD-ის (ახალი რედაქციით) შესაბამისად.
- ზოგადად, QD-ით (ახალი რედაქციით) გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვა მოითხოვს დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტის არსებობას (მე-6 მუხლი) (იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილი 1.6 1.7). ეს გულისხმობს, რომ ისეთი შემთხვევები, როდესაც არ არის გამოვლენილი დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი, ზოგადად არ არის დაკავშირებული საერთაშორისო დაცვის მინიჭების საფუძველთან. აქედან გამომდინარე, ადამიანისთვის ძირითადი უფლებების ჩამორთმევა, რაც გამოწვეულია უკიდურესი სიღარიბით, როგორცაა კატასტროფის დადგომის შემდეგ არსებული მდგომარეობა, არ აკმაყოფილებს QD-ის (ახალი რედაქციით) მოთხოვნებს საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე, თუ ის არ განუხორციელებია დევნის განმახორციელებელ ან სერიოზული ზიანის მიმყენებელ სუბიექტს⁽⁹³⁾.
- ეროვნული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭება მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის, რომლსაც ჰქონდა/შეემთხვა მატრამვირებული გამოცდილება ან ინციდენტი საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში, რომელიც სრულებით არ არის დაკავშირებული მის მიმართ ამჟამად დევნის განხორციელების შიშთან ან სერიოზული ზიანის მიყენების ამჟამინდელ რეალურ რისკთან, სავარაუდოდ წარმოადგენს დაცვის ფორმას, რომელიც არ ხვდება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. ეროვნული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი შეიძლება განიხილებოდეს დისკრეციულ საფუძველზე, თანაგრძნობის ან ჰუმანიტარული ნიშნით, მაგრამ ასეთი ვითარება არ შედის QD-ის (ახალი რედაქციით) ფარგლებში. შედეგად, დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება ამგვარ ვითარებებზე.
- ამის საპირისპიროდ, როდესაც წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს იმ პირის ოჯახის წევრებს, რომლებსაც ეს სტატუსი მიენიჭა QD-ით (ახალი რედაქციით) დადგენილი სისტემის მიხედვით, აღნიშნული სტატუსი ხვდება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში, საერთაშორისო დაცვის მინიჭების საფუძველთან არსებული კავშირის გამო.

⁽⁹²⁾ CJEU (GC), 2021 წ., „LW“, op. cit., fn. 86, პუნქტი 62.

⁽⁹³⁾ აღნიშნული საკითხების შემდგომი განხილვისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილი 2.4.



- იმისთვის რომ ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის ბენეფიციარის ოჯახის წევრი ბავშვისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭება მოხვდეს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში, უნდა დაკმაყოფილდეს ორი პირობა. პირველი, „ბავშვზე [არ უნდა] ვრცელდებოდეს აღნიშნული ღირებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გამორიცხვის საფუძველი“. მეორე, „თავისი ეროვნების ან პირადი სამართლებრივი სტატუსის მახასიათებელი რაიმე სხვა ელემენტის გამო, ბავშვს არ [უნდა] ეკუთვნოდეს აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში უკეთესი მოპყრობის უფლება, ვიდრე რაც გამომდინარეობს ლტოლვილის სტატუსის უფლების მინიჭებიდან. ამ მხრივ არ არის რელევანტური იმის დადგენა, არის თუ არა შესაძლებელი და გონივრულად მისაღები ბავშვისთვის და ბავშვის მშობლებისთვის სხვა მესამე ქვეყანაში გადასვლა“⁽⁹⁴⁾.

CJEU-ს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როდის ხვდება უფრო ხელსაყრელი სტანდარტები QD-ის (ახალი რედაქციით) მოქმედების სფეროში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება უფრო ხელსაყრელ წესებს, რომელიც არეგულირებს ლტოლვილად ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფ პირად კვალიფიცირებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ერთი მხრივ, QD-ის (ახალი რედაქციით) მიზანი არის საერთო კრიტერიუმების შემოღება (იხილეთ პრეამბულის 24-ე და 34-ე პუნქტები) და საერთაშორისო დაცვის შინაარსისა და აღიარების განმსაზღვრელი წესების უფრო სიღრმისეულად დაახლოება (იხილეთ პრეამბულის მე-10 პუნქტი). მეორე მხრივ, QD-ის (ახალი რედაქციით) ბევრი დებულება, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებას, არის სავალდებულო. ამასთან დაკავშირებით, CJEU-ის გენერალურმა ადვოკატმა დე ლა ტურმა [de la Tour] აღნიშნა, რომ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია:

გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, რათა განსხვავებულად განსაზღვროს ... საერთო ცნებები და კრიტერიუმები და მიიღოს კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, ლტოლვილის სტატუსი ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი შეიძლება მინიჭებულ იქნეს არა იმ საფუძველზე, რომელიც პირდაპირ არის მითითებული [QD-ში (ახალი რედაქციით)], და იმ განაცხადის შეფასების შედეგად, რომელიც არ არის ინდივიდუალური ხასიათის⁽⁹⁵⁾.

სლოვენის ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მას არ შეეძლო დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების შემოღება, ვიდრე რაც განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლით დევნის აქტების შესახებ, რადგან QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი პუნქტი იყენებს გამოთქმას „უნდა იყოს“. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ QD-ი (ახალი რედაქციით) ახლა ეფუძნება საერთო სტანდარტებს, განსხვავებით QD-ისგან, რომელიც დაფუძნებული იყო მინიმალურ სტანდარტებზე⁽⁹⁶⁾.

⁽⁹⁴⁾ CJEU (GC), 2021 წ., „LW“ op. cit., fn. 86, პუნქტი 62.

⁽⁹⁵⁾ CJEU, გენერალური ადვოკატის დე ლა ტურის [de la Tour] 2021 წლის 12 მაისის მოსაზრება საქმეზე „LW v Bundesrepublik Deutschland“, C-91/20, EU:C:2021:384, პუნქტი 104.

⁽⁹⁶⁾ ადმინისტრაციული სასამართლოს (Upravno sodišče) (სლოვენია) 2014 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „Berisha and Pireva“, I U 766/2013, SI:UPRS:2014:I.U.766.2013, პუნქტი 42. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა უზუნაესმა სასამართლომ თავისი 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით I Up 79/2014.





Part 1. თავი 1: სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირება

თავი 1 შეიცავს ხუთ ნაწილს, როგორც აღნიშნულია ცხრილში 37.

ცხრილი 5: 1-ელი თავის სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
1.1	შესავალი	37
1.2	ვის აქვს უფლება მოითხოვოს სუბსიდიარული დაცვა?	41
1.3	მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიმართ(მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი)	42
1.4	სერიოზული ზიანი (მე-15 მუხლი)	42
1.5	რეალური რისკის არსებობის მტკიცე საფუძველი	99
1.6	სერიოზული ზიანის მიყენებელი სუბიექტები (მუხლი 6)	106
1.7	სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტები (მუხლი 7)	106
1.8	სერიოზული ზიანის მიყენებისგან შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (მუხლი 8)	107
1.9	სუბსიდიარული დაცვის საჭიროება, რომელიც ადგილზე წარმოიშობა (მუხლი 5)	112

დანართ A-ში მოცემული გადაწყვეტილების დიაგრამა სუბსიდიარული დაცვის შესახებ მიზნად ისახავს, მათ შორის, ნაწილში 1 განხილული მასალის შეჯამებას.

1.1. შესავალი

სუბსიდიარული დაცვის სტატუსი სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობიდან იღებს (TFEU-ის 78-ე მუხლი). TFEU-ის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები უზრუნველყოფს „თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემისთვის შესაბამისი ღონისძიებების“ გატარებას, რაც მოიცავს არა მხოლოდ ლტოლვილის, არამედ „სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის უნიფიცირებას მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეთათვისაც, ვისაც სუბსიდიარული დაცვა ესაჭიროება ევროკავშირში თავშესაფრის მოპოვების გარეშე“.

TFEU-ის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის იმპლემენტაციის ფარგლებში, QD-ის (ახალი რედაქციით) მიზანია, მათ შორის, ნორმების დადგენა მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად კვალიფიცირებისთვის.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, „საერთაშორისო დაცვა“ გულისხმობს „ლტოლვილის სტატუსსა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს, რაც განსაზღვრულია „ე“ და „ზ“ პუნქტებით“. შესაბამისად, „საერთაშორისო დაცვის“ განმარტება აერთიანებს „დაცვის ორ ცალკეულ სისტემას, კერძოდ კი, ლტოლვილის სტატუსისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მარეგულირებელ სისტემებს“⁽⁹⁷⁾.

⁽⁹⁷⁾ CJEU, 2014 წ., „HN“, op. cit., fn. 26, პუნქტი 26. იხ. ასევე CJEU, 2018 წ., „Shajin Ahmed“, op. cit., fn. 30, პუნქტი 38.



ლტოლვილის სტატუსისგან განსხვავებით, სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი არ გამომდინარეობს ლტოლვილთა შესახებ კონვენციიდან. ის EU-ის კანონმდებლობისთვის უნიკალურია. QD-ით (ახალი რედაქციით) დადგენილი მოთხოვნები სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების შესახებ ეფუძნება „წევრ სახელმწიფოებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტებითა და პრაქტიკით განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებებს“⁽⁹⁸⁾.

როგორც ქვემოთ არის მოცემული, ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ ყველაზე შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებს შორის, რომელიც სუბსიდიარული დაცვისთვის რელევანტურია, არის ECHR-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 მუხლი, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის (CAT) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და ICCPR-ის მე-7 მუხლი⁽⁹⁹⁾.

ECHR-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 მუხლი

2(1). ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

[...]

3. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

CAT-ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი

არც ერთმა წევრმა სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუნება („refouler“) ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ იქ მის მიმართ წამება შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ICCPR-ის მე-7 მუხლი

არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოქცევას ან სასჯელს ...

⁽⁹⁸⁾ QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 34-ე პუნქტი.

⁽⁹⁹⁾ ევროკომისია, „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) შესახებ საკანონმდებლო წინადადება: განმარტებითი შემოწმება“, 2001 წ., op. cit., fn. 266 გვ. 5. წევრ სახელმწიფოებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის პროცედურების მინიმალური სტანდარტების შესახებ 2005 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული ევროკავშირის საბჭოს # 2005/85/EC დირექტივაში (APD) ისინი მოხსენიებულია, როგორც „[QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-15 მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მინიჭებული სხვა სახის საერთაშორისო დაცვა“ (APD-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი). სხვა შესაბამისი დებულებებია ECHR-ის #6 და #13 ოქმები. იხ. ევროპის საბჭოსადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის #6 ოქმი სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ, 1983 წლის 28 აპრილი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის #13 ოქმი ნებისმიერ გარემოებაში სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ, 2002 წლის 3 მაისი. EU-ის კანონმდებლობის ინტერპრეტაციისთვის ECtHR-ის პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობა განმარტებულია EASO-ის სახელმძღვანელოში „შესავალი CEAS-ში – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 8, გვ. 73–74.





მაშინ როცა წინამდებარე სამართლებრივი ინსტრუმენტებით დადგენლია არგაძვების პრინციპი, ისინი ვერ უზრუნველყოფს სტატუსს მათთვის, ვისი დაბრუნებაც შეუძლებელია. აღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, QD-ის (ახალი რედაქციით) მიღებამდე, ცალკეულმა წევრმა სახელმწიფოებმა დაუშვეს შიდასახელმწიფოებრივი დაცვა „სუბსიდიარული“ და „დამხმარე“ ფორმით. აღნიშნულმა წევრ სახელმწიფოებში დაცვის სისტემების განსხვავება გამოიწვია. შედეგად, კომისიამ განმარტა, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) საკანონმდებლო პროექტი „ეფუძნება წევრი სახელმწიფოების არსებითად განსხვავებულ სისტემებს და აღნიშნული პროექტის მცდელობა იყო საუკეთესო სისტემების გათვალისწინება და ადაპტირება“⁽¹⁰⁰⁾. შესაბამისად, სტანდარტები სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებისთვის და მინიჭებული დაცვის შინაარსისთვის, რაც განსაზღვრულია QD-ით (ახალი რედაქციით), მიზნად ისახავს „არსებული საერთაშორისო და [ევროპის] თანამეგობრობის ვალდებულებებისა და სამართლებრივი პრაქტიკის“ განმარტებასა და კოდიფიკაციას“⁽¹⁰¹⁾.

პრევენციული სამართლის წინამდებარე ანალიზის ნაწილი 1 ეხება მხოლოდ იმ კრიტერიუმებს, რომელიც გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის უნდა იქნენ თუ არა საერთაშორისო დაცვის მაძიებლები აღიარებული სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირებად.

როგორც სიტყვა „სუბსიდიარულიდან“ და QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-6 და 33-ე პუნქტებიდან აშკარად ჩანს, „სუბსიდიარული დაცვა მიზნად ისახავს იყოს ლტოლვილთა დაცვის ურთიერთშემავსებელი და დამატებითი დაცვა, რომელიც დადგენილია [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციით“⁽¹⁰²⁾.

QD-ის პრეამბულის მე-6 და 33-ე პუნქტები

(6) ტამპერეში გაკეთებული დასკვნები ასევე ითვალისწინებს, რომ ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებული წესები შევსებული უნდა იქნეს დაცვის სუბსიდიარულ ფორმებთან დაკავშირებული ზომებით, რაც ამგვარი დაცვის საჭიროების მქონე თითოეულ ადამიანს სთავაზობს შესაბამის სტატუსს.

[...]

(33) ასევე უნდა იქნეს ჩამოყალიბებული სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დეფინიციისა და შინაარსის განმსაზღვრელი სტანდარტები. სუბსიდიარული დაცვა უნდა იყოს ლტოლვილთა დაცვის ურთიერთშემავსებელი და დამატებითი დაცვა, რაც დადგენილია [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციით“.

აღნიშნული სუბსიდიარული დაცვა არის ურთიერთშემავსებელი და დამატებითი „ასევე თავსებადია TFEU-ის 78-ე მუხლის 2-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში ფორმულირებულ მიზნებთან“⁽¹⁰³⁾.

⁽¹⁰⁰⁾ ევროკომისია, „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) საკანონმდებლო წინადადება: განმარტებითი შემოწმება“, 2001 წ., op. cit., fn. 266, გვ. 6.

⁽¹⁰¹⁾ Ibid., გვ. 6.

⁽¹⁰²⁾ CJEU, 2018 წ., „*Shajin Ahmed*“, op. cit., fn. 30, პუნქტი 39. იხ. ასევე CJEU-ის 2014 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Aboubacar Diakité v Commissaire général aux réfugiés et aux apatrides*“, C-285/12, EU:C:2014:39 (შემდგომში - CJEU, 2014 წ., „*Diakité*“), პუნქტი 33; CJEU, 2014 წ., „*HN*“, op. cit., fn. 26, პუნქტი 32; და CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Ossa*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 31.

⁽¹⁰³⁾ CJEU, 2014 წ., „*HN*“, op. cit., fn. 26, პუნქტი 33.



„სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე („eligible“) პირის“ დეფინიცია მოცემულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომელიც იკითხება QD-ის (ახალი რედაქციით) ⁽¹⁰⁴⁾, მე-15 და მე-17 მუხლებთან კავშირში ⁽¹⁰⁵⁾. რაც შეეხება დეფინიციას, CJEU-ი საქმეში „HN“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი „სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირებს განსაზღვრავს, როგორც მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც არ კვალიფიცირდებიან ლტოლვილის სტატუსის მქონედ“ ⁽¹⁰⁶⁾. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ტერმინი „სუბსიდიარული“ გამოყენება და [QD-ის (ახალი რედაქციით) 2-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის] ფორმულირება მიუთითებს, რომ სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი მიესადაგება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ კვალიფიცირდებიან ლტოლვილის სტატუსის მქონედ“, ⁽¹⁰⁷⁾ თუმცა როგორც QD-ის (ახალი რედაქციით) 2-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტშია მითითებული, ვის მიმართაც „არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თუ აღნიშნული პირი წარმოშობის ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, ძველ მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში დაბრუნდება... მაშინ ის შეიძლება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდეს“. სასამართლომ განაგრძო:

ზემოხსენებული განხილვებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სუბსიდიარულ დაცვაზე განცხადება, ძირითადად, არ უნდა განიხილებოდეს, სანამ კომპეტენტური ხელისუფლება არ მივა დასკვნამდე, რომ საერთაშორისო დაცვის მაძიებელი პირი, არ კვალიფიცირდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად⁽¹⁰⁸⁾.

შესაბამისად, APD-ის (ახალი რედაქციით) მიხედვით, საერთაშორისო დაცვის საჭიროებების შეფასების მიზნით, მოითხოვება ცალკეული პროცედურის არსებობა, „რომლის ფარგლებშიც განიხილება განცხადება საერთაშორისო დაცვის ორივე ფორმასთან, კერძოდ კი, თავშესაფართან და სუბსიდიარულ დაცვასთან მიმართებით“ ⁽¹⁰⁹⁾. სუბსიდიარული დაცვის ურთიერთშემავსებელი ბუნება ასახულია APD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც „საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების განხილვისას, გადაწყვეტილების გამომტანმა ორგანომ, პირველ რიგში, უნდა განიხილოს კვალიფიცირდებიან თუ არა უნდა განმცხადებლები სუბსიდიარული დაცვის მიღების უფლებამოსილ პირებად“ (იხ. EASO, „თავშესაფრის პროცედურები და არგაძევების პრინციპი - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2018 წ., ნაწილი 4.2.1).

დანართი A-ში მოცემულ გადაწყვეტილების დიაგრამებში ასახულია აღნიშნული თანმიმდევრულობა.

მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდიარული დაცვა ლტოლვილთა დაცვის ურთიერთშემავსებელი და დამატებითია, QD-ი (ახალი რედაქციით) იყენებს იმავე კრიტერიუმებს, რომელიც გამოიყენება ლტოლვილად, ასევე სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებისთვის ფაქტებისა და გარემოებების (მე-4 მუხლი), *ადგილობრივად წარმოქმნილი საერთაშორისო დაცვის საჭიროებების* (მე-5 მუხლის

⁽¹⁰⁴⁾ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი ციტირებულია ქმემოთ მოცემულ ნაწილში 1.2.

⁽¹⁰⁵⁾ იხ. ასევე EASO, „ბამონაკლის შემთხვევები: საკვალიფიკაციო დირექტივის მე-12 და მე-17 მუხლები - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“ მე-2 გამოცემა, 2020 წ.

⁽¹⁰⁶⁾ CJEU, 2014 წ., *HN*, op. cit., fn. 26, პუნქტი 29.

⁽¹⁰⁷⁾ Ibid., პუნქტი 30.

⁽¹⁰⁸⁾ Ibid., პუნქტი 35.

⁽¹⁰⁹⁾ CJEU-ის 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „M. v Minister for Justice and Equality, Ireland, Attorney General“, C-560/14, EU:C:2017:101, პუნქტი 23.



პირველი და მეორე პუნქტები), დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელი სუბიექტების, (მე-6 მუხლი), დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტებისა (მე-7 მუხლი) და შიდასახელმწიფოებრივი დაცვის (მე-8 მუხლი) შეფასებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, თავში 1 მოცემული ნაწილები აღნიშნული საკითხების შესახებ ჯვარედინად მიუთითებს 1-ელ თავში წარმოდგენილ ნაწილებზე ლტოლვილად კვალიფიცირების შესახებ, რამდენადაც მასში მოცემული ანალიზი ვრცელდება დაცვის ორივე ფორმაზე.

1.2. ვის აქვს უფლება მოითხოვოს სუბსიდიარული დაცვა?

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტით ტერმინი „სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე („eligible“) პირი“ განსაზღვრულია შემდეგნაირად.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი

„სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ვინც ლტოლვილად ვერ იქნება კვალიფიცირებული, თუმცა ვის მიმართაც არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თუ აღნიშნული პირი წარმოშობის ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, ადრინდელ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნდება, მაშინ ის შეიძლება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდეს, რაც განსაზღვრულია მე-15 მუხლით, და ვის მიმართაც მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება, და ვისაც, ამგვარი რისკის არსებობის გამო, არ შეუძლია ან არ აქვს სურვილი ასეთი ქვეყნის სახელმწიფო დაცვით ისარგებლოს.

„ლტოლვილსა“ და „სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირს“ შორის არსებული ძირითადი განსხვავებები მოცემულია 38-ე ცხრილში.

ცხრილი 6: ძირითადი განსხვავებები ლტოლვილსა და სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირს შორის

„ლტოლვილი“	„სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე („eligible“) პირი“
QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი ⁽¹¹⁰⁾	QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი
—	„ვერ იქნება კვალიფიცირებული ლტოლვილად“
„მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ იმყოფება“	„თუ წარმოშობის ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, ადრინდელ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნდება“
„საფუძვლიანი შიშის გამო“	„ვის მიმართაც არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თუ... დაბრუნდება, მაშინ ის შეიძლება რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდეს“
„მის წინააღმდეგ დევნა განხორციელდეს“	„სერიოზული ზიანის მიყენების“
„რასის, მრწამსის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო“	-

⁽¹¹⁰⁾ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი სრულად ციტირებულია ნაწილში 1.2, რომელიც მოცემულია ზემოთ.



„ვის მიმართაც მე-12 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება“	„ვის მიმართაც მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება“
--	--

ისევე როგორც ლტოლვილთა დაცვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება სუბსიდიარული დაცვის მინიჭების თაობაზე „უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ შეფასებას..., რომლის მიზანია, განმცხადებლის პირადი გარემოებების გათვალისწინებით, განისაზღვროს დაკმაყოფილებულია თუ არა სტატუსის მისანიჭებლად დადგენილი კრიტერიუმები“ (იხ. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ⁽¹¹¹⁾).

1.3. მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიმართ(მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტში მოცემული სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის („eligible“) უფლების მქონე პირის განმარტების მიხედვით, QD-ის (ახალი რედაქციით) **მოქმედება პირთა წრის მიმართ** შემოიფარგლება მესამე ქვეყნის მოქალაქეებით ან მოქალაქეობის არმქონე პირებით.

სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების ფარგლებში, მესამე ქვეყნის მოქალაქეების (იხ. ზემოთ მოცემული ნაწილი 1.3.1), მოქალაქეობის ქვეყნის (იხ. ზემოთ მოცემული ნაწილი 1.3.2), მოქალაქეობის არქონისა (იხ. ზემოთ მოცემული ნაწილი 1.3.3) და, მოქალაქეობის არმქონე განმცხადებლების შემთხვევაში (იხ. ზემოთ მოცემული ნაწილი 1.3.4), აღრინდელი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ქვეყნის/ქვეყნების იდენტიფიცირება არ განსხვავდება ლტოლვილად კვალიფიცირების ფარგლებში წარმოებული იდენტიფიცირებისგან.

რაც შეეხება **სივრცეში მოქმედებას**, ფრაზა „თუ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნდება“ ან „მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, აღრინდელ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნდება“ გულისხმობს, რომ პირი უნდა იმყოფებოდეს მოქალაქეობის ან აღრინდელი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ.

გარდა ამისა, საერთაშორისო დაცვაზე განაცხადი უნდა გაკეთდეს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა ის APD-ის (ახალი რედაქციით) მოქმედების სფეროში მოექცეს (APD-ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი (ახალი რედაქციით)). მისი მოქმედება არ ვრცელდება „წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობებისთვის დიპლომატიური ან ტერიტორიული თავშესაფრის მისაღებად წარდგენილ მოთხოვნებზე“ (APD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ⁽¹¹²⁾).

1.4. სერიოზული ზიანი (მე-15 მუხლი)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტში მოცემულ „სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის („eligible“) უფლების მქონე პირის“ განმარტებაში, რომელიც სრულად არის ციტირებული ნაწილის 1.2 შესავალში, მითითებულია მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, ვინც „...შეიძლება **მე-15 მუხლით განსაზღვრული სერიოზული ზიანის მიყენების** რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდეს...“. მე-2 მუხლის „ვ“

⁽¹¹¹⁾ CJEU, 2018 წ., „*Ahmedbekova*“, op. cit., fn. 66, პუნქტი 48. გასათვალისწინებელი ფაქტორების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. EASO-ის სახელმძღვანელო „*მტკიცებულებათა და სარწმუნოების შეფასება - პრეცედენტული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 20, ნაწილი 4.

⁽¹¹²⁾ იხ. ზოგადი შესავალი, „საერთაშორისო დაცვაზე განაცხადება“, რომელიც მოცემულია ზემოთ.





პუნქტში „... მე-15 მუხლით განსაზღვრულ სერიოზულ ზიანზე ...“ არსებული მითითებიდან გამომდინარეობს, რომ მე-15 მუხლი მოიცავს სერიოზული ზიანის დეფინიციას. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს შემდეგს.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლი

სერიოზული ზიანი მოიცავს:

- (a) სასიკვდილო განაჩენს ან სიკვდილით დასჯას; ან
- (b) წარმოშობის ქვეყანაში განმცხადებლის წამებას ან მისდამი არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან მის დასჯას; ან
- (c) საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში, განურჩეველი ძალადობის გამო სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის არსებულ სერიოზულ ან ინდივიდუალურ საფრთხეს.

შესაბამისად, სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარად კვალიფიცირებისთვის უნდა დამტკიცდეს მე-15 მუხლით განსაზღვრული სამიდან ერთი ან რამდენიმე სახის ზიანის არსებობა. როგორც CJEU-იმ დაადგინა, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლით „სერიოზული ზიანის“ სამი სახეა განსაზღვრული, რომლის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, პირს შესაძლებლობა ეძლევა სუბსიდიარული დაცვა მოიპოვოს⁽¹¹³⁾. წინამდებარე მუხლის ფორმულირება თავდაპირველ QD-ში მოცემული ფორმულირების იდენტურია.

ნაწილი 1.4 დაყოფილია ხუთ ქვენაწილად, რაც ასახულია 39-ე ცხრილში.

ცხრილი 7: ნაწილის 2.4 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
1.4.1	მე-15 მუხლის საგანი, სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთქმედება	43
1.4.2	სასიკვდილო განაჩენი ან სიკვდილით დასჯა (მე-15 მუხლის „ა“ პუნქტი)	46
1.4.3	განმცხადებლის წამება ან მის მიმართ არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენება მისივე წარმოშობის ქვეყანაში (მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი)	51
1.4.4	სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში არსებული განურჩეველი ძალადობის გამო (მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი)	73
1.4.5	დასკვნა სერიოზული ზიანის შესახებ	99

1.4.1. მე-15 მუხლის საგანი, სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთქმედება

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლი უნდა განიხილოს QD-ის (ახალი რედაქციით) „საერთო სქემისა და მიზნების“ გათვალისწინებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ

⁽¹¹³⁾ CJEU, 2021 წ. „CF and DN“, op. cit., fn. 684, პუნქტი 25.



სუბსიდიარული დაცვა არ მიენიჭოთ „ისეთ მდგომარეობაში მყოფ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომელიც არ არის დაკავშირებული საერთაშორისო დაცვის მინიჭების საფუძველთან“⁽¹¹⁴⁾ (იხ. „უფრო ხელსაყრელი სტანდარტები (მუხლი 3)“, რაც მოცემულია ზემოთ).

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლით „სერიოზული ზიანის“ სამი სახეა განსაზღვრული, რომლის არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც, შესაბამის განმცხადებელს შესაძლებლობა ეძლევა სუბსიდიარული დაცვა მოიპოვოს⁽¹¹⁵⁾.

საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), CJEU-მ აღწერა ურთიერთქმედება, ერთი მხრივ, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებსა და, მეორე მხრივ, ამავე დირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტს შორის⁽¹¹⁶⁾. სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედება ვრცელდება „სიტუაციებზე, როდესაც სუბსიდიარულ დაცვის მაძიებლები კონკრეტული სახის ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ იმყოფებიან“⁽¹¹⁷⁾. თუმცა სასამართლომ განმარტა, რომ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში მოცემული ზიანის დეფინიცია „მოიცავს ზიანის მიყენების უფრო ფართოდ გავრცელებულ რისკს“, ვიდრე იმ ზიანის დეფინიცია, რომელიც მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებშია წარმოდგენილი⁽¹¹⁸⁾. მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მოცემული ზიანის დეფინიცია „ინდივიდუალიზაციის განსაზღვრული დონის“ არსებობას მოითხოვს მაშინ, როდესაც „კოლექტიური ფაქტორები მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის გამოყენებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს“⁽¹¹⁹⁾. მიუხედავად ამისა, მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი „უნდა იყოს თანმიმდევრული განმარტების საგანი დანარჩენ ორ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც [მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებშია ნახსენები] და, შესაბამისად, აღნიშნულ ინდივიდუალიზაციასთან მჭიდრო კავშირში უნდა განიმარტოს“⁽¹²⁰⁾. მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის განმარტება, რომელიც მოცემულია საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), ეხებოდა QD-ის. მიუხედავად ამისა, როგორც ეს CJEU-მ მოგვიანებით აღნიშნა, „მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის [QD (ახალი რედაქციით)] ფორმულირება სრულად იდენტურია მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის [QD] ფორმულირებასთან, რის შედეგადაც ამ უკანასკნელ დებულებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა რელევანტურია პირველი დებულების განმარტებისთვის“⁽¹²¹⁾.

მე-15 მუხლში აღწერილი ზიანის სხვადასხვა სახეებს შორის იერარქია არ არსებობს⁽¹²²⁾. მიუხედავად ინდივიდუალიზაციის დონესთან დაკავშირებით მანამდე აღნიშნული განსხვავებებისა, რაც დამახასიათებელია სერიოზული ზიანის სახეებისთვის, შესაძლებელია ასევე არსებობდეს ურთიერთგადამკვეთი მოთხოვნები, კერძოდ კი, მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებთან დაკავშირებით. ECtHR-ი მიიჩნევს, რომ „სასიკვდილო განაჩენი დასჯის მიუღებელი ფორმა გახდა, რომელიც მე-2 მუხლის [ECHR] თანახმად, # 6 და

⁽¹¹⁴⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 44, რომელიც ასევე ეხება საკვალიფიკაციო დირექტივას (QD).

⁽¹¹⁵⁾ CJEU, 2021 წ., „*CF and DN*“, op. cit., fn. 684, პუნქტი 25.

⁽¹¹⁶⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 38.

⁽¹¹⁷⁾ Ibid., პუნქტი 32, და CJEU, 2021 წ., „*CF and DN*“, op. cit., fn. 684, პუნქტი 26.

⁽¹¹⁸⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 33.

⁽¹¹⁹⁾ Ibid., პუნქტი 38.

⁽¹²⁰⁾ Ibid., პუნქტი 38.

⁽¹²¹⁾ CJEU, 2021 წ., „*CF and DN*“, op. cit., fn. 684, პუნქტი 24. CJEU-მ მიუთითა CJEU-ის 2021 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებაზე საქმეში „*Bundesrepublik Deutschland v XT*“, C-507/19, EU:C:2021:3, პუნქტი 37, რომელიც ეხებოდა QD-ის (ახალი რედაქციით) განსხვავებულ დებულებას, რომელიც არსებითად შეესაბამებოდა QD-ის დებულებას, „რის შედეგადაც ამ უკანასკნელ დებულებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა რელევანტურია პირველი დებულების განმარტებისთვის“.

⁽¹²²⁾ იხ. სტორი ჰ. (Storey, H.), ჰაილბრონერი (Hailbronner) და თიმი (Thym)(რედ.), „თავშესაფრისა და იმიგრაციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობა: კომენტარი“, op. cit., fn. 186, გვ. 1234.



13 ოქმებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უკვე დაუშვებელია, და რომ ის, მე-3 მუხლის [ECHR] მიხედვით, „არაადამიანურ თუ ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს“ უტოლდება“⁽¹²³⁾. სასიკვდილო განაჩენის შეფარდება ასევე არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის საკითხს წარმოშობს, რაც დასტურდება სასამართლოს მიერ საქმეში „სოერინგი“ (*Soering*), რადგან, აღნიშნულის გამო შესაბამისი პირი ძალიან ხანგრძლივ პერიოდს სიკვდილ მისჯილთა საკანში ატარებს⁽¹²⁴⁾. გარდა ამისა, სასამართლომ დაადასტურა, რომ სიტუაციის „ გაუარესება მხოლოდ სამართალწარმოების კანონსაწინააღმდეგო ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს, რის შედეგადაც“ სასიკვდილო განაჩენი იქნა შეფარდებული⁽¹²⁵⁾.

მიუხედავად იმისა, რომ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით მკაფიოდ არის განსაზღვრული განურჩეველი ძალადობის სიტუაციები, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის საფუძველზე წარმოიშობა, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის - თავისი შინაარსით - ECHR-ის მე-3 მუხლთან შესაბამისობის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ECtHR-ი განმარტავს, მას „არასდროს გამოურიცხავს შესაძლებლობა, რომ ზოგადი ძალადობის ვითარებას დაინიშნულების ქვეყანაში შეიძლება ჰქონდეს საკმარისი დონის ინტენსიურობა იმისათვის, რომ ამგვარ სიტუაციაში მოხვედრამ აუცილებლად გამოიწვიოს მე-3 მუხლის [ECHR] დარღვევა“⁽¹²⁶⁾.

QD-ით (ახალი რედაქციით) გათვალისწინებული სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების არმქონე პირები შეიძლება კვლავაც იყვნენ დაცულნი *გაძევებისგან*, რაც განსაზღვრულია ევროკავშირის ქარტიის მე-4 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით. მაგალითისთვის, CJEU-მ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, არის თუ არა დაკმაყოფილებული მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმები, „მესამე ქვეყნის მძიმედ დაავადებული მოქალაქის ისეთ ქვეყანაში გაძევება, სადაც შესაბამისი მკურნალობა ხელმიუწვდომელია, შეიძლება არგაძევების პრინციპისა და, შესაბამისად,

⁽¹²³⁾ ECtHR-ის 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*AL (XW) v Russia*“, # 44095/14, CE:ECHR:2015:1029JUD004409514 (შემდგომში - ECtHR, 2015 წ., „*AL (XW) v Russia*“), პუნქტი 64, რომელიც მიუთითებს ECtHR-ის 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაზე საქმეში „*Al-Saadoon and Mufdhi v United Kingdom*“, # 61498/08, CE:ECHR:2010:0302JUD00614980 (შემდგომში - ECtHR, 2010 წ., „*Al-Saadoon and Mufdhi*“), პუნქტები 115–123. აღნიშნული განმტკიცებულია ECtHR (GC)-ის 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით საქმეზე „*Khamtokhu and Aksenchik v Russia*“, # 60367/08 და # 961/11, CE:ECHR:2017:0124JUD006036708 (შემდგომში - ECtHR (GC), 2017 წ., „*Khamtokhu and Aksenchik*“), პუნქტი 73. მანამდე ECtHR-მა სიკვდილით დასჯის საკითხი, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის უფლებასთან და აღნიშნული უფლების შეზღუდვისთვის დაწესებულ მოთხოვნებთან ან/და # 6 და # 13 ოქმებთან დაკავშირებით განიხილა. იხ. ECtHR-ის დიდი პალატის (GC) 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Ocalan v Turkey*“, # 46221/99, CE:ECHR:2005:0512JUD004622199, პუნქტი 166.

⁽¹²⁴⁾ ECtHR (პლენუმი), 1989 წ., „*Soering*“, op. cit., fn. 282, პუნქტი 111, უფრო სრულად ციტირებულია სქოლიოში. 223.

⁽¹²⁵⁾ ECtHR (GC)-ის 2004 წლის 08 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Ilaşcu and Others v Moldova and Russia*“, # 48787/99, CE:ECHR:2004:0708JUD004878799, პუნქტი 431.

⁽¹²⁶⁾ ECtHR, 2008 წ., „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, პუნქტი 115. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში „*NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*“ (*NA v United Kingdom*), ECtHR-მა ECHR-ის მე-3 მუხლის დარღვევულად მიიჩნევა დაასაბუთა იმ ფაქტით, რომ განმცხადებელი მიეკუთვნებოდა ისეთ ჯგუფს, რომელიც სისტემატიურად განიცდიდა დაუნდობელ მოპყრობას, მოგვიანებით, საქმეში „*სუფი და ელმი*“ (*Sufi and Elmi*)“, ECtHR-მა მიიჩნია, რომ ქ. მოგალიძომში ზოგადი ძალადობის ექსტრემალური ვითარება იყო. ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 250.



ქარტიის მე-19 მუხლის გათვალისწინებით, დაბრუნების შესახებ ღირეპტივის მე-5 მუხლის დარღვევას წარმოადგენდეს“⁽¹²⁷⁾.

1.4.2. სასიკვდილო განაჩენი ან სიკვდილით დასჯა (მე-15 მუხლის „ა“ პუნქტი)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის ინგლისურენოვანი ვერსია შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტი

სერიოზული ზიანი მოიცავს:

(a) სასიკვდილო განაჩენს ან სიკვდილით დასჯას...

„სასიკვდილო განაჩენი“, [ინგლისურ ენაში] ასევე ცნობილი, როგორც „capital punishment“, არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი სანქცია, რომელიც მდგომარეობს პირის სიცოცხლის მოსპობაში, რაც წარმოადგენს სასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის⁽¹²⁸⁾. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ენაზე შედგენილი მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის ვერსიები მნიშვნელოვნად განსხვავდება ისეთი ტერმინის გამოყენებასთან და, შესაბამისად, მნიშვნელობასთან დაკავშირებით, როგორცაა „სიკვდილით დასჯა“ („execution“). მაგალითად, გერმანულენოვან ვერსიაში ნათქვამია „Verhängung oder Vollstreckung der Todesstrafe“ (რომლის უკუთარგმანი ინგლისურ ენაზე იკითხება, როგორც „სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ან აღსრულება“), ესპანურენოვან ვერსიაში ნათქვამია „la condena a la pena de muerte o su ejecución“ („სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ან მისი აღსრულება“), იტალიურენოვანი ვერსია ამბობს „la condanna o l'esecuzione della pena di morte“ („სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ან აღსრულება“), ხოლო უნგრულენოვანი ვერსიაში ნათქვამია „halálbüntetés kiszabása vagy végrehajtása“ (სასიკვდილო განაჩენის შეფარდება ან აღსრულება“). აღნიშნულ ენებზე წარმოდგენილ ვერსიებში სერიოზული ზიანის ორი სახეა გამოყოფილი, როგორცაა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ან სასიკვდილო განაჩენის აღსრულება. თუმცა ბულგარულ, ხორვატიულ, ჩეხურ, ჰოლანდიურ, ესტონურ, ფრანგულ, ბერძნულ, ლატვიურ, პორტუგალიურ, სლოვაკურ და სლოვენურ ენებზე წარმოდგენილი ვერსიები შეესაბამება ინგლისურენოვან ვერსიას. აღნიშნულ ენებზე წარმოდგენილ ვერსიებში სერიოზული ზიანის ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სახეა გამოყოფილი, როგორცაა „სასიკვდილო განაჩენი“ ან „სიკვდილით დასჯა“.

CJEU-ის დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „თუ არსებობს განსხვავებები ევროკავშირის საკანონმდებლო ტექსტის სხვადასხვა ვერსიებს შორის, მაშინ განხილული დებულება უნდა განიმარტოს იმ ნორმების საერთო სქემისა და მიზნების მიხედვით,

⁽¹²⁷⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 44, რომელიც მიუთითებს QD-სა და CJEU (GC)-ზე, 2014 წ., „Abdida“, op. cit., fn. 83, პუნქტი 48. იხ. ასევე, CJEU (GC), 2019 წ., „M, X and X“, op. cit., fn. 30, რომელშიც სასამართლომ მიიჩნია, რომ მაშინ, როდესაც ლტოლვილთა შესახებ კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკრეტულ გარემოებებში „ლტოლვილი ვერ ისარგებლებს... ისეთ ქვეყანაში არგაძევების პრინციპით, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება“, „წევრ სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება გაასახლონ, გააძევიან ან დააბრუნონ უცხო ქვეყნის მოქალაქე, როდესაც არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ დანიშნულების ქვეყანაში ის ქარტიის მე-4 მუხლით და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული მოპყრობის რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდება“ (პუნქტი 94).

⁽¹²⁸⁾ ჰუდი რ. (Hood, R.), „სასიკვდილო განაჩენი“ (Capital punishment), *Encyclopaedia Britannica*; აღნიშნულს [ინგლისურად] ასევე შეიძლება ეწოდოს „death penalty“.



რომლის შემადგენელ ნაწილსაც ის წარმოადგენს“⁽¹²⁹⁾. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ „ევროკავშირის სამართლებრივი ზომის გამოყენებისა და, შესაბამისად, აღნიშნული ზომის უნიფიცირებული განმარტების საჭიროება მოითხოვს, რომ მისი განმარტება მოხდეს როგორც მისივე ავტორის ნამდვილი განზრახვის, ისევე ამ ზომით დასახული მიზნის მიხედვით, კერძოდ კი, აღნიშნული ზომის ყველა ენაზე წარმოდგენილი ვერსიის გათვალისწინებით“⁽¹³⁰⁾.

ამგვარად, მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის განმარტება ვერ დაეფუძნება ბუნდოვან ფორმულირებას. დებულების ინგლისურენოვან ვერსიაში ნახსენები ორი კომპონენტი (სასიკვდილო განაჩენი და სიკვდილით დასჯა) განხილულია ქვემოთ წარმოდგენილ ორ ქვენაწილში.

1.4.2.1. სასიკვდილო განაჩენი

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის ფარგლებში, სასიკვდილო განაჩენი ითვლება სერიოზულ ზიანად, რაც განმცხადებელს სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მოპოვების უფლებას აძლევს. ევროკავშირის ქარტიის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „არავის უნდა შეეფარდოს სასიკვდილო განაჩენი ან სიკვდილით დასჯა“. ამასთან, ევროკავშირის ქარტიის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს ისეთ სახელმწიფოში გასახლებას, სადაც არსებობს სერიოზული რისკი იმისა, რომ ადამიანს შეიძლება სასიკვდილო განაჩენი შეეფარდოს⁽¹³¹⁾. განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში უნდა წარმოიშვას სასიკვდილო განაჩენის გამოტანის რისკი⁽¹³²⁾. CJEU-ს ჯერ არ გამოუტანია ოფიციალური გადაწყვეტილება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის განმარტებასთან დაკავშირებით.

გარდა აღნიშნული ვალდებულებებისა, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის ქარტიით, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტით „ეფუძნება ECHR-ის [# 6 ოქმი] პირველი მუხლიდან და ECtHR-ის პრევენციული სამართლიდან გამომდინარე წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს, რომლის თანახმადაც დაუშვებელია პირის

⁽¹²⁹⁾ CJEU (GC), 2019 წ., „M, X and X“, op. cit., fn. 30, პუნქტი 88.

⁽¹³⁰⁾ CJEU-ის 2021 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „Vogel Import Export NV v Belgische Staat“, C-62/20, EU:C:2021:288, პუნქტი 52. განმარტების მეთოდებთან დაკავშირებით დამატებითი ცნობების მისაღებად, იხ. EASO-ის სახელმძღვანელო „შესავალი CEAS-ში - პრევენციული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 8, ნაწილი 3.2. გვ. 63-65.

⁽¹³¹⁾ ევროკავშირის ქარტიის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება, რომ „დაუშვებელია ადამიანის განსახლება, გაძევება ან ექსტრადიცია ქვეყანაში, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ ის შეიძლება დაექვემდებაროს სიკვდილით დასჯას, წამებას ან სხვა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს (დამატებულია ხაზგასმა).

⁽¹³²⁾ იხ. ასევე, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი, რომელშიც მოყვანილია ფრაზა „წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში“, და ნაწილი 1.4.3.4, რომელიც მოცემულია ქვემოთ.



გაძევება ქვეყანაში, სადაც მას შეიძლება სასიკვდილო განაჩენი შეეფარდოს“⁽¹³³⁾. # 6 ოქმით გაუქმდა სასიკვდილო განაჩენის შეფარდება მშვიდობიან დროში⁽¹³⁴⁾. მისი გამოყენების სფერო გაფართოვდა # 13 ოქმით, რომლითაც იკრძალება სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ყველანაირ გარემოებაში და გამორიცხავს ყოველგვარ გამონაკლის შემთხვევებს ომის პერიოდში და ქვეყანაში არსებულ საგანგებო სიტუაციებშიც კი⁽¹³⁵⁾.

ECtHR-მა განაცხადა, რომ „სახელმწიფოს მხრიდან სიკვდილით დასჯის შეფარდების განჭვრეტა აუცილებლად გამოიწვევს ძლიერ ფსიქოლოგიურ ტანჯვას“⁽¹³⁶⁾ და რომ „მე-3 მუხლის მიხედვით, „სასიკვდილო განაჩენი ... უტოლდება „არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს““⁽¹³⁷⁾. თუ შეუძლებელია სიკვდილით დასჯის რეალური რისკის გამორიცხვა, მაშინ სასიკვდილო განაჩენის საფრთხის შედეგად, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს შიში და შფოთვა, რომელიც უტოლდება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს ECHR-ის მე-3 მუხლის მიზნებისთვის, სავარაუდოდ დადგება სერიოზული ზიანი, როგორც ეს განსაზღვრულია მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტში.

არ არის აუცილებელი რომ სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოტანილი იყოს წარმოშობის ქვეყანაში. დაბრუნების შემთხვევაში, სასიკვდილო განაჩენის გამოტანის რეალური რისკი საკმარისია ECHR-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობისთვის. როგორც ასეთი, ის შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად მოთხოვნის დასაბუთებისთვის QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად⁽¹³⁸⁾.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით „საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის შეფასება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურ საფუძველზე და ითვალისწინებს ყველა შესაბამისი ფაქტის მხედველობაში მიღებას, რამდენადაც ისინი ეხება წარმოშობის ქვეყანას..., მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის

⁽¹³³⁾ ECHR-ის # 6 ოქმის პირველი მუხლი განსაზღვრავს, რომ „სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ აღსრულდეს ასეთი განაჩენი“. იხ. საპრეზიდენტო უწყება იმიგრაციის, სახელმწიფო საზღვრისა და თავშესაფრის სტრატეგიულ საკითხებზე კომიტეტისთვის, მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ლტოლვილად ან სხვაგვარად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირად კვალიფიცირებისა და შესაბამისი სტატუსის მინიჭების მინიმალური სტანდარტების დადგენის შესახებ ევროკავშირის საბჭოს დირექტივის მიღების საკანონმდებლო წინადადება, 2002 წლის 20 სექტემბერი, 12148/02 LIMITE ASILE 43, გვ. 4. საპრეზიდენტო უწყება იტყობინება, რომ „სასიკვდილო განაჩენის შეფარდების რისკის ქვეშ ყოფნა პირდაპირ არ იყო შეტანილი კომისიის მიერ წარმოდგენილ სუბსიდიარული დაცვის დეფინიციის მიხედვით. მიუხედავად ამისა, წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომ ამგვარი რისკის ქვეშ მყოფ პირებს უნდა მიენიჭოს სუბსიდიარული დაცვა, თუ მათი გამორიცხვა შეუძლებელია“. რადგან QD-ში (რომელსაც ეხება საპრეზიდენტო უწყება) მოცემული ფორმულირება QD-ში (ახალი რედაქციით) იგივე რედაქციით არის წარმოდგენილი, აღნიშნული ასევე ვრცელდება QD-ზე (ახალი რედაქციით). იხ. ECtHR (პლენუმი), 1989 წ., „Soering“, op. cit., fn. 282; ECtHR-ის 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Hakizimana v Sweden“, # 37913/05, CE:ECHR:2008:0327DEC003791305; ECtHR-ის 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Bader and Kanbor v Sweden“, # 13284/04, CE:ECHR:2005:1108JUD001328404, პუნქტი 42; ECtHR, 2010 წ., „Al-Saadoon and Mufdhi“, op. cit., fn. 123, პუნქტი 123; ECtHR-ის 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „Al Nashiri v Poland“, # 28761/11, CE:ECHR:2014:0724JUD002876111 (შემდგომში - ECtHR, 2014 წ., „Al Nashiri v Poland“), პუნქტები 456 და 578; ECtHR, 2015 წ., „AL (XW) v Russia“, op. cit., fn. 123, პუნქტი 64; და ECtHR (GC), 2017 წ., „Khamtokhu and Aksenchik“, op. cit., fn. 123, პუნქტი 73.

⁽¹³⁴⁾ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის #6 ოქმი სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ, 1983 წლის 28 აპრილი.

⁽¹³⁵⁾ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის #13 ოქმი ნებისმიერ გარემოებებში სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ, 2002 წლის 3 მაისი.

⁽¹³⁶⁾ ECtHR, 2010 წ., „Al-Saadoon and Mufdhi“, op. cit., fn. 123, პუნქტი 115.

⁽¹³⁷⁾ ECtHR, 2015 წ., „AL (XW) v Russia“, op. cit., fn. 123, პუნქტი 64, რომელიც მიუთითებს ECtHR-ის, 2010 წ. საქმეზე „Al-Saadoon and Mufdhi“, op. cit., fn. 123, პუნქტები 115–123.

⁽¹³⁸⁾ ECtHR, 2010 წ., „Al-Saadoon and Mufdhi“, op. cit., fn. 123, პუნქტი 123: „[ECHR-ის] მე-2 მუხლით და # 13 ოქმის პირველი მუხლით იკრძალება პირის ექსტრადიციის ან დეპორტაციის სხვა სახელმწიფოში, სადაც არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ მას იქ ემუქრება სასიკვდილო განაჩენის რეალური რისკი...“.



კანონებსა და რეგულაციებს და მათი გამოყენების წესს“. საქმეში „*Fathi*“, CJEU-მ დაადგინა, რომ განდგომისთვის მისჯილი სასიკვდილო განაჩენი „თავისთავად შეიძლება წარმოადგენდეს „დევნის აქტს“,... იმ პირობით, რომ ასეთი სასჯელები რეალურად გამოიყენება წარმოშობის ქვეყანაში, რომელმაც მიიღო ასეთი კანონმდებლობა“⁽¹³⁹⁾. ანალოგიურად, სერიოზული ზიანის ფარგლებში, აუცილებელია იმის შესწავლა, რეალურად მოჰყავთ თუ არა სასიკვდილო განაჩენი სისრულეში.

CNDA-მ (საფრანგეთი) მიანიჭა სუბსიდიარული დაცვის უფლება განმცხადებელს, რომელსაც მრუშობისთვის მიესაჯა სასიკვდილო განაჩენი სომალის ისლამური ტრიბუნალის მიერ. CNDA-მ აღნიშნა, რომ ხელმისაწვდომი COI-ის მიხედვით, მსგავს შემთხვევებში ხდებოდა ისლამური კანონის პრაქტიკაში გამოიყენება⁽¹⁴⁰⁾.

როდესაც არ არსებობს განმცხადებლის საქმეზე სასიკვდილო განაჩენის აღსრულების კანონიერი შესაძლებლობა, სასიკვდილო განაჩენის უვადო აღკვეთით სავალდებულო შეცვლის გამო, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა განიხილონ, ფაქტობრივად ემუქრება თუ არა განმცხადებელს სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტში. იმ საქმეში, როდესაც ტუნისში დაწესებული იყო მორატორიუმი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებაზე, რომელიც გამონაკლისის გარეშე მოქმედებდა 1991 წლიდან, ECtHR-მა გაითვალისწინა, რომ განმცხადებელს არ შეეძლო იმის დამტკიცება, „რომ ჰქონდა სიკვდილით დასჯის საფუძვლიანი შიში, რაც გამოიწვევდა უზარმაზარ ფსიქოლოგიურ ტანჯვას“⁽¹⁴¹⁾.

1.4.2.2. სიკვდილით დასჯა

მე-15 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული სერიოზული ზიანის მეორე ტიპია **სიკვდილით დასჯა** ან, ზოგიერთ ენობრივ ვერსიაში, სიკვდილით დასჯის აღსრულება (იხილეთ სხვადასხვა ენობრივი ვერსიების განხილვა ზემოთ მოცემულ [ნაწილში 1.4.2](#)). ტერმინი „სიკვდილით დასჯა“ გულისხმობს პირის განზრახ მკვლელობას სახელმწიფოს ან არასახელმწიფო სუბიექტის მიერ, რომელიც რაიმე სახის უფლებამოსილებას ახორციელებს. ისმის კითხვა, მოიცავს თუ არა **სასამართლოგარეშე სიკვდილით დასჯას**, რაც წარმოადგენს სიცოცხლის თვითნებურ ხელყოფას ევროკავშირის ქარტიის მე-2 მუხლის დარღვევით, რომელიც შეესაბამება ECHR-ის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს მუხლს და ECHR-ის # 6 ოქმის პირველ მუხლს, ან შემოიფარგლება თუ არა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტი სასიკვდილო განაჩენით და მისი აღსრულების საკითხი ჯერ არ ყოფილა დაყენებული სასამართლოს წინაშე. თუმცა სასამართლოგარეშე სიკვდილით დასჯის

⁽¹³⁹⁾ CJEU, 2018 წ., „*Fathi*“, op. cit., fn. 214, პუნქტი 96.

⁽¹⁴⁰⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mme S.*“, # 17037345 C. იხ. ასევე CNDA-ის (საფრანგეთი) 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*M. B.*“, # 10013998 C+, იმ განმცხადებლის შესახებ, რომელსაც ბანგლადეშში ემუქრება სასიკვდილო განაჩენი. CNDA-მ განიხილა პრაქტიკაში სასიკვდილო განაჩენის გამოყენების სტატისტიკა, თუმცა ამ შემთხვევაში განმცხადებელი გამოირიცხა იმ მოტივით, რომ მან ჩაიდინა მძიმე დანაშაული.

⁽¹⁴¹⁾ ECtHR-ის 2018 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Saidani v Germany*“, # 17675/18, CE:ECHR:2018:0904DEC001767518, პუნქტი 33. 38-ე პუნქტში მოყვანილია დასკვნა, რომ „მისთვის საკმარისად პროგნოზირებადი იქნება ის რომ, სასჯელი ადრე თუ გვიან შეიცვლება სამუდამო პატიმრობით, იმის გათვალისწინებით, რომ ტუნისში ყოველი სასიკვდილო განაჩენი ადრე თუ გვიან იცვლება თავისუფლების უვადო აღკვეთით, პრეზიდენტის მიერ შეწყალების გზით“, და რომ არსებობდა პირობითი ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა, სისხლის სამართლის კანონის ობიექტური და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.



საკითხი დაყენებული იყო ECtHR-ის წინაშე ECHR-ის დებულებებთან დაკავშირებით ⁽¹⁴²⁾. მაგალითად, ECtHR-მა განიხილა საქმეები, როდესაც სახელმწიფო აგენტი მონაწილეობდა მკვლელობაში ან იცოდა ამის შესახებ, ან განაცხადა მასზე თანხმობა ⁽¹⁴³⁾ და საქმეები, როდესაც ხელისუფლებამ ვერ მიიღო გონივრული ზომები სიცოცხლის უფლების დასაცავად ⁽¹⁴⁴⁾.

ერთი მხრივ, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლში არსებული აღიარება, რომ შეიძლება არსებობდნენ სერიოზული ზიანის მიმყენებელი არასახელმწიფო სუბიექტები, და ის ფაქტი, რომ მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის ფორმულირება ზოგიერთ ენობრივ ვერსიებში მოიცავს სასიკვდილო განაჩენს ან სიკვდილით დასჯას, როგორც ჩანს, მხარს უჭერს უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე განმარტებას ⁽¹⁴⁵⁾. ჩეხეთის უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ „სასიკვდილო განაჩენი“, როგორც ეს აღნიშნულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტში, შეიძლება მიესაჯოს და აღსრულდეს მხოლოდ სახელმწიფო ან კვაზისახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ, მაშინ როცა „სიკვდილით დასჯა“ შეიძლება ასევე განხორციელდეს არასახელმწიფო სუბიექტების მიერ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად და ყოველგვარი ოფიციალური სასჯელისა და სამართალწარმოების გარეშე ⁽¹⁴⁶⁾. მეორე მხრივ, მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის სისტემატური კონტექსტი და საკანონმდებლო ისტორია გვთავაზობს განსხვავებას იმ ფაქტებს შორის, რომ „სასიკვდილო განაჩენი იქცა სასჯელის

⁽¹⁴²⁾ ECtHR, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის განმარტებითი სახელმძღვანელო: სიცოცხლის უფლება“, განახლებულია 2021 წლის 30 აპრილს (შემდგომში - ECtHR, „ECHR-ის მეორე მუხლის განმარტებითი სახელმძღვანელო: სიცოცხლის უფლება“, 2021 წ.), პუნქტი III.C.3, გვ. 28. „ძირითად უფლებათა ქარტიასთან დაკავშირებულ განმარტებებში“, [2007 წ.] ოფიციალური ჟურნალი (OJ) C 303, გვ. 17-35, ნათქვამია, რომ ევროკავშირის ქარტიის მე-2 მუხლის დებულებები შეესაბამება ECHR-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და ECHR-ის #6 ოქმის პირველი მუხლის დებულებებს.

⁽¹⁴³⁾ იხ. ECtHR-ის 2001 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „Avsar v Turkey“, # 25657/94, CE:ECHR:2001:0710JUD002565794, განმცხადებლის ძმის შესახებ, რომელიც გაიტაცა და მოკლა სოფლის დაცვამ, რომლებსაც სასამართლო აღწერს, როგორც „მოხალისე სამოქალაქო პირებს კვაზიპოლიციური ფუნქციით“; სასამართლომ განსჯის შედეგად დაადგინა, რომ დაირღვა ECHR-ის მე-2 მუხლი; პუნქტები 413-414 და 416. იხ. აგრეთვე ECtHR-ის შემდეგი საქმეები ჩეხეთში სასამართლოგარეშე სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით: 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „Khashiyev and Akayeva v Russia“, # 57942/00 და 57945/00, CE:ECHR:2005:0224JUD005794200, პუნქტები 146-147; 2006 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Estamirov and Others v Russia“, # 60272/00, CE:ECHR:2006:1012JUD006027200, პუნქტი 114; 2007 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „Musayeva and Others v Russia“, # 74239/01, CE:ECHR:2007:0726JUD007423901, პუნქტი 155; და 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Amuyeva and Others v Russia“, # 17321/06, CE:ECHR:2010:1125JUD001732106, პუნქტები 83-84. სხვა საქმეები მოიცავს ECtHR-ის 2001 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებას საქმეზე „Denizci and Others v Cyprus“, # 25316-25321/94, 27207/95, CE:ECHR:2001:0523JUD002531694 (შემდგომში - ECtHR, 2001 წ., „Denizci and Others v Cyprus“), პუნქტი 373; და ECtHR-ის 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Gonqadze v Ukraine“, # 34056/02, CE:ECHR:2005:1108JUD003405602, პუნქტი 166.

⁽¹⁴⁴⁾ ECtHR-ის 2004 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „Buldan v Turkey“, # 28298/95, CE:ECHR:2004:0420JUD002829895, პუნქტები 81 და 86, და თურქეთის საქმეები, 1993 და 1994 წლებში თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კონტრა-პარტიზანული ელემენტების მქონე კონფლიქტის შედეგად, რომლის სამიზნე იყო ქურთისტანის მუშათა პარტიის მხარდაჭერაში ეჭვმიტანილი პირები, როგორცაა ECtHR-ის 2004 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Nuray Sen v Turkey (# 2)“, # 25354/94, CE:ECHR:2004:0330JUD002535494; 2000 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Mahmut Kaya v Turkey“, # 22535/93, CE:ECHR:2000:0328JUD002253593 (შემდგომში - ECtHR, 2000 წ., „Mahmut Kaya v Turkey“), პუნქტები 89 და 101; 2004 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Seyhan v Turkey“, # 33384/96, CE:ECHR:2004:1102JUD003338496, პუნქტი 82; და 2000 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Kilic v Turkey“, # 22492/93, CE:ECHR:2000:0328JUD002249293, პუნქტები 64 და 77.

⁽¹⁴⁵⁾ იხ. ამ თვალსაზრისით IARLJ-ი, „ლტოლოკილთა სამართლის სახელმძღვანელო მოსამართლეებისთვის, QD-ისთან და APD-ისთან დაკავშირებულ საკითხებზე“, op. cit., fn. 759, გვ. 33.

⁽¹⁴⁶⁾ იხ. უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს (Nejvyšší správní soud) (ჩეხეთი) შემდეგი გადაწყვეტილებები: 2009 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „LO v Ministry of Interior“, # 5, Azs 40/2009-74 (ინგლისურენოვანი შეჯამება); 2009 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „AR v Ministry of Interior“, # 1, Azs 107/2008-78 (ინგლისურენოვანი შეჯამება); 2015 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „TB v Ministry of Interior“, # 8, Azs 92/2014-49.



მიუღებელ ფორმად“⁽¹⁴⁷⁾ და ადამიანის სიცოცხლის ზოგად დაცვას შორის. ამდენად, როგორც ჩანს, აუცილებელია მოხდეს სახელმწიფო ან არასახელმწიფო სუბიექტების მიერ განზრახ ფორმალიზებული დასჯის სულ მცირე ერთი ელემენტის მოთხოვნა, ვიდრე უბრალოდ სასამართლოგარეშე ძალადობის მსხვერპლად განდომის საშიშროება⁽¹⁴⁸⁾. შესაბამისად, მე-15 მუხლის „ა“ პუნქტი უნდა განვასხვავოთ შეიარაღებული კონფლიქტის დროს „განურჩეველი ძალადობის“ შედეგად წარმოქმნილი რისკებისგან (იხილეთ ქვემოაღნიშნული ნაწილი 1.4.4).

მე-15 მუხლის „ა“ პუნქტი არ მოითხოვს, რომ სიკვდილით დასჯას თან ახლდეს დამამძიმებელი გარემოებები. ამრიგად, სიკვდილით დასჯის ნებისმიერი რეალური რისკი საკმარისია სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების დასაბუთებისთვის, მაშინაც კი, თუ სასიკვდილო განაჩენი არის გამოტანილი საზარელი დანაშაულისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვრცელდება გამონაკლისის დაშვების ერთ-ერთი პუნქტი.

1.4.3. განმცხადებლის წამება ან მის მიმართ არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენება მისივე წარმოშობის ქვეყანაში (მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი იკითხება შემდეგნაირად.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი

სერიოზული ზიანი მოიცავს:

[...]

(b) განმცხადებლის წამებას ან მის მიმართ არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენებას მისივე წარმოშობის ქვეყანაში;

ამგვარად, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი შეიცავს სამ ნაწილს: (1) წამება, ან (2) არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება, რაც ხდება (3) წარმოშობის ქვეყანაში, როგორც ნაჩვენებია მე-5 ნახაზში.

ნახაზი 5: მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის სხვადასხვა ელემენტები



⁽¹⁴⁷⁾ ECtHR, 2015 წ., „*AL (XW) v Russia*“, op. cit., fn. 123, პუნქტი 64.

⁽¹⁴⁸⁾ ECHR-ის # 6 ოქმის პირველი მუხლის ტექსტისთვის იხილეთ სქოლიო. 133, რომელიც მოცემულია ზემოთ.



ზოგიერთი ზოგადი შენიშვნის შემდეგ, ნაწილი 1.4.3 მოიცავს ქვენაწილებს, რომელიც რიგრიგობით ეხება თითოეულ ამ ელემენტს, რომელსაც მოჰყვება ქვენაწილი მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული ვითარებების შესახებ, როგორც მითითებულია ცხრილში 40.

ცხრილი 8: ნაწილის 1.4.3 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
1.4.3.1	ზოგადი შენიშვნები	52
1.4.3.2	წამება	54
1.4.3.3	არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა	58
1.4.3.4	განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში	64
1.4.3.5	საკვალიფიკაციო ღირებულების (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული ვითარება	65

1.4.3.1. ზოგადი შენიშვნები

CJEU-ს გადაწყვეტილების თანახმად საქმეზე „MP“, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი:

უნდა იქნეს განმარტებული და გამოყენებული იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს [ევროკავშირის ქარტიის] მე-4 მუხლით გარანტირებულ უფლებებს, რომელიც იცავს კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას და აბსოლუტურია იმით, რომ ეს ღირებულება **მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ღირსების პატივისცემასთან**, რაც ექვემდებარება ქარტიის პირველ მუხლს ⁽¹⁴⁹⁾.

ევროკავშირის ქარტიის მე-4 მუხლი ადგენს, რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. უფრო მეტიც, სასამართლომ განაგრძო მსჯელობა გადაწყვეტილებაში საქმეზე „MP“, სადაც განაცხადა, რომ „ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რამდენადაც ამავე ქარტიის მე-4 მუხლით გარანტირებული უფლებები შეესაბამება ECHR-ის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებებს და ამ უფლებების მნიშვნელობა და მოქმედების სფერო არის იგივე, რაც დადგენილია ECHR-ის მე-3 მუხლით“ ⁽¹⁵⁰⁾. ECHR-ის მე-3 მუხლი ასევე ადგენს რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. ამრიგად, ECHR-ის მე-3 მუხლში მოცემული ტერმინების „წამება“ და „არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენება“ განმარტებასთან დაკავშირებული ECHR-ის სასამართლო პრაქტიკა უნდა განსაზღვრავდეს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტში მოცემული ტერმინების ინტერპრეტაციას.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის ფორმულირება მაინც განსხვავდება ECHR-ის მე-3 მუხლის ფორმულირებისგან. მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი განსაზღვრავს სერიოზულ ზიანს, როგორც განმცხადებლის წამებას ან მისდამი არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან მის დასჯას **წარმოშობის ქვეყანაში** (დამატებულია ხაზგასმა). როგორც CJEU-მ აღნიშნა საქმეში „მბოდჯი“ (M'Bodj), QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15

⁽¹⁴⁹⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 36, (დამატებულია ხაზგასმა).
⁽¹⁵⁰⁾ Ibid., პუნქტი 37.





მუხლის „ბ“ პუნქტიდან ნათლად ჩანს, რომ „ის გამოიყენება მხოლოდ განმცხადებლის მიმართ არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის დროს მისივე წარმოშობის ქვეყანაში“⁽¹⁵¹⁾. როგორც ასეთი, აქედან გამომდინარეობს, რომ „ევროკავშირის კანონმდებელი ითვალისწინებდა, რომ სუბსიდიარული დაცვის უფლება უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთ მოპყრობას ჰქონდა ადგილი განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში“⁽¹⁵²⁾ (ასევე, იხილეთ ნაწილი 1.4.3.4., რომელიც მოცემულია ქვემოთ).

გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ „გარკვეული ფაქტორები, რომელიც დამახასიათებელია იმ კონტექსტისათვის, რომელშიც უნდა განხორციელდეს [QD-ის] მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი ისევე, როგორც დირექტივის მიზნები, ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული ამ დებულების განმარტების მიზნით“⁽¹⁵³⁾.

ქმედება ან ზომა უნდა იყოს კვალიფიცირებული, როგორც წამება, ან არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება, ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება, რათა კვალიფიცირდეს, როგორც სერიოზული ზიანი მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად. ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკა კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებს არასათანადო მოპყრობის სამ ტიპს. თითოეული შეიძლება განსხვავდებოდეს **მიყენებული ტკივილის ან ტანჯვის სიმძიმის და მოპყრობის განზრახვისა და მოტივაციის მიხედვით.**

როგორც ECtHR-მა აღნიშნა, როდესაც კი მან:

დაადგინა, რომ შემოთავაზებული განსახლება არღვევდა მე-3 მუხლს არასათანადო მოპყრობის რეალური რისკის გამო, რომელიც განზრახ იქნებოდა მიყენებული მიმღებ ქვეყანაში, ის ჩვეულებრივ თავს იკავებდა იმის განხილვისგან, უნდა დახასიათებულიყო თუ არა აღნიშნული არასათანადო მოპყრობა წამებად ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად ან სასჯელის გამოყენებად⁽¹⁵⁴⁾.

ECtHR-ის თანახმად, არასათანადო მოპყრობამ, მათ შორის, სასჯელის გამოყენებამ:

უნდა მიაღწიოს სიმძიმის მინიმალურ დონეს, რათა მოექცეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში... ამ მინიმუმის შეფასება, თავისი ხასიათით არის ფარდობითი; ეს დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ან სასჯელის ხასიათი და კონტექსტი, მისი აღსრულების წესი და მეთოდი, ხანგრძლივობა,

⁽¹⁵¹⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 33. CJEU-მ ეს აღნიშნა QD-სთან დაკავშირებით.

⁽¹⁵²⁾ Ibid., პუნქტი 33.

⁽¹⁵³⁾ Ibid., პუნქტი 34.

⁽¹⁵⁴⁾ ECtHR-ის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Harkins and Edwards v United Kingdom*“, # 9146/07 და 32650/07, CE:ECHR:2012:0117JUD000914607 (შემდგომში - ECtHR, 2012 წ., „*Harkins and Edwards*“), პუნქტი 123. სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავება „ერთი მხრივ, წამებასა და, მეორეს მხრივ, არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელს შორის... უფრო ადვილად გამოიკვეთება შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტში, სადაც, მე-3 მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრების განხილვისას, სასამართლოს მოუწოდებენ შეაფასოს ან დახასიათოს ქმედებები, რომელიც უკვე მოხდა. როდესაც, ისევე როგორც ექსტრა-ტერიტორიულ კონტექსტში, საჭიროა ალბათობის შეფასება, ყოველთვის არ არის შესაძლებელი იმის დადგენა, იქნება თუ არა არასათანადო მოპყრობა, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიმღებ ქვეყანაში, საკმარისად მძიმე, რათა კვალიფიცირდეს როგორც წამება...“ (პუნქტი. 122). თუმცა „მე-3 მუხლის აბსოლუტური ხასიათი არ ნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ფორმა შეაფერხებს ხელშემკვრელი სახელმწიფოდან განსახლებას“ (პუნქტი 129).



ფიზიკური ან გონებრივი უფექტი და, ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა ⁽¹⁵⁵⁾.

1.4.3.2. წამება

CJEU-ს ჯერ არ მიუთითებია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტში მოცემული ტერმინის „წამება“ განმარტება. მიუხედავად ამისა, საქმეში „MP“ მან გაიხსენა, რომ „სუბსიდიარული დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები უნდა იქნეს მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებიდან“ ⁽¹⁵⁶⁾. CJEU-მ საქმეში „MP“ ნათლად გააკეთა მითითება CAT-ზე და კონკრეტულად მის მე-14 მუხლზე ⁽¹⁵⁷⁾. საქმე ეხებოდა განმცხადებელს, რომელიც, როგორც სასამართლომ აღნიშნა, „აწამა მისივე წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებამ და განიცდის მძიმე ფსიქოლოგიურ შედეგებს რომელიც, მის ამავე ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, შეიძლება არსებითად გამწვავდეს და გამოიწვიოს მის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის სერიოზული რისკი“ ⁽¹⁵⁸⁾ (იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილი 1.4.3.5.3).

იმის გათვალისწინებით, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი არსებითად შეესაბამება ECHR-ის მე-3 მუხლს, მაშინ ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკა უნდა იქნეს გათვალისწინებული ტერმინის „წამება“ მნიშვნელობისა და მოქმედების სფეროს განმარტებისას. იმისათვის, რომ დადგინდეს „უნდა მიენიჭოს თუ არა არასათანადო მოპყრობის კონკრეტულ ფორმას წამების კვალიფიკაცია“, ECtHR-მა დაადგინა, რომ „როგორც ჩანს, კონვენციის მიზანი იყო, ამ განსხვავების გაკეთების საშუალებით, მიენიჭებინა განსაკუთრებული სტიგმა **განზრახ არაადამიანური მოპყრობისთვის, რომელიც იწვევს ძალიან სერიოზულ და სასტიკ ტანჯვას**“ ⁽¹⁵⁹⁾.

⁽¹⁵⁵⁾ ECtHR-ის (პლენარული სხდომა) 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Ireland v United Kingdom*“, # 5310/71, CE:ECHR:1978:0118JUD000531071 (შემდგომში - ECtHR (პლენუმი), 1978 წ., „*Ireland v UK*“), პუნქტი 162. იხ. ასევე ECtHR (პლენუმი), 1989 წ., „*Soering*“, op. cit., fn. 282, პუნქტი 100; ECtHR (GC), 2011 წ., „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტი 219. გათვალისწინეთ, რომ ECtHR (GC)-ის 2021 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*Savran v Denmark*“, # 57467/15, CE:ECHR:2021:1207JUD005746715 (შემდგომში - ECtHR (GC), 2021 წ., „*Savran*“), ECtHR-მა გააკეთა მითითება შემდეგ საქმეებზე: ECtHR (GC)-ის 2008 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „*N v United Kingdom*“, # 26565/05, CE:ECHR:2008:0527JUD002656505 (შემდგომში - ECtHR (GC), 2008 წ., „*N v UK*“), პუნქტი 29; ECtHR (GC)-ის 2016 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Paposhvili v Belgium*“, # 41738/10, CE:ECHR:2016:1213JUD004173810 (შემდგომში - ECtHR (GC), 2016 წ., „*Paposhvili*“), პუნქტი 174; და ECtHR (GC)-ის, 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bouyid v Belgium*“, # 23380/09, CE:ECHR:2015:0928JUD00233800, პუნქტი 86.

⁽¹⁵⁶⁾ CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 52. ასევე, იხილეთ QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 34-ე პუნქტი.

⁽¹⁵⁷⁾ CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 52.

⁽¹⁵⁸⁾ Ibid., პუნქტი 45.

⁽¹⁵⁹⁾ ECtHR-ის (GC) 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Selmouni v France*“, # 25803/94, CE:ECHR:1999:0728JUD002580394 (შემდგომში - ECtHR (GC), 1999 წ., „*Selmouni*“), პუნქტი 96 (გდამატებულია ხაზგასმა). იხ. ECtHR (პლენუმი), 1978 წ., „*Ireland v UK*“, op. cit., fn. 155 სასამართლომ განიხილა, რომ ხუთი ტექნიკა (კელელთან დგომა, პუდინგი, ხმაურით წამება, ძილის მოკლება და საკვების და სასმელის მოკლება), რომელიც გამოიყენება ერთობლივად და სისტემატურად, აღიარებულია ჩვენების მისაღებად, „უდავოდ წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას“, მაგრამ „არ გამოუწვევია განსაკუთრებული სიმძაფრისა და სისასტიკის ტანჯვა, რომელსაც გულისხმობს სიტყვა წამება...“ (პუნქტი 167). ECtHR (GC)-ის 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Aydin v Turkey*“, # 23178/94, CE:ECHR:1997:0925JUD002317894 (შემდგომში - ECtHR (GC), 1997 წ., „*Aydin v Turkey*“), [პუნქტი 82, პუნქტში 86 გაკეთდა დასკვნა, რომ „განმცხადებლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის აქტების აკუმულაცია და გაუპატიურების განსაკუთრებით სასტიკი აქტი, რომლის მსხვერპლიც ის იყო [დაკავების პერიოდში] უტოლდება წამებას“. იხ. ასევე ECtHR-ის 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Aksoy v Turkey*“, # 21987/93, CE:ECHR:1996:1218JUD00219879 (შემდგომში - ECtHR, 1996 წ., „*Aksoy v Turkey*“), პუნქტი 64.



ECtHR-მა აღნიშნა, რომ CAT-ი ასევე აკეთებს ასეთ განსხვავებას, როგორც ჩანს მისივე პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან და მე-16 მუხლის პირველი პუნქტიდან ⁽¹⁶⁰⁾, სადაც ნათქვამია შემდეგი.

CAT-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტი და მე-16 მუხლის პირველი პუნქტი

1(1). ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლის დროსაც ადამიანს განზრახ მიაყენებენ მძიმე ტკივილს ან ტანჯვას, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ისეთი მიზნებისთვის, როგორცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მიღება, მისი დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის, მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან რაიმე სახის დისკრიმინაციული მიზეზით, როდესაც ასეთი ტკივილი ან ტანჯვა არის მიყენებული ან წაქეზებული საჯარო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან ხორციელდება ამ პირის თანხმობით ან უსიტყვო თანხმობით. ის არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც წარმოიქმნება მხოლოდ, განუყოფელია ან გამომდინარეობს კანონიერი სანქციებიდან.

[...]

16(1). თითოეული წევრი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას მის იურისდიქციის ქვეშ არსებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე აღკვეთოს სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ქმედებები, რომელიც არ უტოლდება წამებას, როგორც ეს განსაზღვრულია პირველ მუხლში, როდესაც ასეთი ქმედებები არის ჩადენილი ან წაქეზებული საჯარო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან ხორციელდება ამ პირის თანხმობით ან უსიტყვო თანხმობით. კერძოდ, მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში მოცემული ვალდებულებები გამოიყენება წამებაზე არსებული მითითებების სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯაზე არსებული მითითების ჩანაცვლებით. [დამატებულია ხაზგასმა.]

გაეროს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა საქმეში „ელმი ავსტრალიის წინააღმდეგ“ (*Elmi v Australia*), დაადგინა რომ წამება, CAT-ის პირველი მუხლის მნიშვნელობით შეიძლება ჩადენილი იყოს საჯარო მოხელეების მიერ, იქნებია ისინი *დე ფაქტო* თუ *დე იურე* ⁽¹⁶¹⁾. ამის საპირისპიროდ, ECHR-ის მე-3 მუხლი არ ზღუდავს „წამების“ მნიშვნელობას იმ ქმედებებით, რომელიც ხორციელდება საჯარო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ ან ამ პირის თანხმობით ან უსიტყვო თანხმობით. საქმეში „მაჰმუტ კაია თურქეთის წინააღმდეგ“ (*Mahmut Kaya v Turkey*), ECtHR-მა დაადგინა, რომ მე-3 მუხლი „მოითხოვს სახელმწიფოებისგან ზომების მიღებას, რომელიც განკუთვნილია, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები არ დაექვემდებარონ

⁽¹⁶⁰⁾ ECtHR (GC), 1999 წ., „*Selmouni*“, op. cit., fn. 159, პუნქტი 97.

⁽¹⁶¹⁾ გაეროს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის 1999 წლის 14 მაისის მოსაზრება საქმეზე „*SS Elmi v Australia*“, # 120/1998, CAT/C/22/D/120/1998 (შემდგომში - გაეროს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი, 1999 წ., „*SS Elmi*“, # 120/1998).



წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, მათ შორის, კერძო პირების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ჩათვლით. ⁽¹⁶²⁾.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ CAT-ის მიხედვით ტერმინი „წამება“ შემოიფარგლება მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც „ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია ან წაქეზებულია საჯარო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან ამ პირის თანხმობით ან უსიტყვო თანხმობით“, მსგავსი დათქმა არ არსებობს QD-ის (ახალი რედაქციით) ფორმულირებაში. ამრიგად, ირლანდიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი „შეზღუდვა არ ვრცელდება დირექტივის მე-15 მუხლზე“ ⁽¹⁶³⁾. გარდა ამისა, საერთაშორისო ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე დაადგინა, რომ „საჯარო მოხელის შესახებ მოთხოვნა არ წარმოადგენს მოთხოვნას ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რომელიც ეხება წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფარგლებს გარეთ ჩადენილი წამებისთვის პიროვნების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ⁽¹⁶⁴⁾.

საქმეში „სელმუნი“ (*Selmouni*), ECtHR-მა განაცხადა, რომ ტკივილის ან ტანჯვის სიმძიმე, CAT-ის პირველი მუხლის მნიშვნელობით:

„მინიმალური სიმძიმის“ მსგავსად, რომელიც საჭიროა [ECHR-ის] მე-3 მუხლის გამოსაყენებლად, თავისი ხასიათით, არის ფარდობითი; ეს დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ეფექტების ფიზიკურ ან მენტალურ მდგომარეობაზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.¹⁶⁵

ზოგიერთ შემთხვევაში, ერთმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა (მაგ., გაუპატიურება თანამდებობის პირის მიერ) ⁽¹⁶⁶⁾. სხვა შემთხვევაში, სხვადასხვა აქტების აკუმულაციით ან კომბინაციით მიიღწევა ზღვარი ⁽¹⁶⁷⁾.

ECtHR-ს არ აქვს განსაზღვრული საჭირო სიმძიმის ზუსტი დონე. საქმეში „დიკმე“ (*Dikme*), განმცხადებლის დაკითხვის სიმძიმემ დატოვა ის „მუდმივი ფიზიკური ტკივილისა და შფოთვის მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო მისი ბედის შესახებ გაურკვევლობით და ხანგრძლივი დაკითხვის დროს მისთვის არაერთხელ მიყენებული ფიზიკური დარტყმებით“

⁽¹⁶²⁾ ECtHR, 2000 წ., „*Mahmut Kaya v Turkey*“, op. cit., fn. 144, პუნქტი 115.

⁽¹⁶³⁾ უმაღლესი სასამართლოს (ირლანდია) 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*NH v Minister for Justice*“, [2007] IEHC 277, პუნქტი 51. ნებისმიერ შემთხვევაში, გაეროს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა, 1999 წ., საქმეში „*SS Elmi*“, # 120/1998, op. cit., fn. 161 დაადგინა, რომ წამება შესაძლოა განხორციელდეს *დე ფაქტო* სახელმწიფო აგენტების მიერ.

⁽¹⁶⁴⁾ ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალის(სააპელაციო პალატა), 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Prosecutor v Kunarac et Blaškić*“, # IT-96-23 და IT-96-23/1-A, პუნქტი 148.

⁽¹⁶⁵⁾ ECtHR (GC), 1999 წ., „*Selmouni*“, op. cit., fn. 159, პუნქტი 100.

⁽¹⁶⁶⁾ ECtHR (GC), 1997 წ., „*Aydin v Turkey*“, op. cit., fn. 159, პუნქტი 83: „სახელმწიფოს თანამდებობის პირის მიერ დაკავებულის გაუპატიურება უნდა ჩაითვალოს არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და ამაზრზუნ ფორმად იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მარტივად შეუძლია დამნაშავეს გამოიყენოს მისი მსხვერპლის დაუცველობა და შესუსტებული წინააღმდეგობა... გაუპატიურება ტოვებს დრმა ფსიქოლოგიურ კვალს მსხვერპლზე, რაც ისე სწრაფად არ ემორჩილება დროის გავლას, როგორც ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა ფორმები...“.

⁽¹⁶⁷⁾ ECtHR (GC), 1999 წ., „*Selmouni*“, op. cit., fn. 159, პუნქტი 82.



(¹⁶⁸). საქმეში „მენშევა“ (*Menesheva*), განმცხადებელი იყო 19 წლის ქალი, რომელსაც „დაუპირისპირდა მამრობითი სქესის რამდენიმე პოლიციელი“ (¹⁶⁹). მის შემთხვევაში, „არასათანადო მოპყრობა გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში, რომლის დროსაც იგი ორჯერ სცემეს და მის მიმართ განხორციელდა ძალადობრივი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის სხვა ფორმები“ (¹⁷⁰). საქმეში „აკსოი“ (*Aksoy*), „იმ დროს განცდილ ძლიერ ტკივილთან ერთად, სამედიცინო მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ამან გამოიწვია ორივე ხელის დამბლა, რომელიც გაგრძელდა გარკვეული დროის განმავლობაში.“ (¹⁷¹). გაძევების საკითხის ფარგლებში, საქმეში (*MA საფრანგეთის წინააღმდეგ*) (*MA c France*), ECtHR-მა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ წარმოშობის ქვეყანაში ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები იმყოფებოდნენ პატიმრობაში სასამართლო კონტროლის ან გარე სამყაროსთან ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე და „შეიძლება მათ მიმართ განხორციელებულიყო არასათანადო მოპყრობა, წამების ჩათვლით“ (¹⁷²). ECtHR-მა გაითვალისწინა რომ, ციხეში გამოყენებულმა პრაქტიკამ, რომელიც აღწერილია COI-ში, როგორცაა „განუწყვეტელი დაკითხვა დღის ან ღამის ნებისმიერ დროს, მუქარა, ცემა, ელექტროშოკი, დიდი რაოდენობით ჭყჭყიანი წყლის, მარდის ან ქიმიური პროდუქტების იძულებითი მიღება და კედლიდან ხელებით დაკიდება“, „უდავოდ მიაღწია კონვენციის მე-3 მუხლით მოთხოვნილ ინტენსივობას“ (¹⁷³).

რაც შეეხება განზრახვას, საქმეში „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Ireland v United Kingdom*), ECtHR-მა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წამება არის „განზრახ არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს ძალიან სერიოზულ და სასტიკ ტანჯვას“ (¹⁷⁴).

- (¹⁶⁸) ECtHR-ის 2000 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Dikme v Turkey*“, # 20869/92, CE:ECHR:2000:0711JUD002086992, პუნქტი 95. დაკითხვისას განმცხადებელს არაერთხელ დარტყეს მუშტი და წიხლი; თავი მიატყმევინეს კედელზე; სასჯელო ორგანოში მიაყენეს დარტყმა; იგი დიდხანს ეკიდა ჰაერში ხელებით, როცა ხელები ჰქონდა დაბმული ზურგს უკან; ფეხებზე, ენაზე, სასქესო ორგანოებზე და ყურების უკან ადგილზე მიადეს ელექტროშოკი, ხოლო მაგ დროს სხეულზე წყალს ასხამდნენ შოკის ეფექტის გასაძლიერებლად; იგი მოათავსეს ყინულივით ცივ წყალში; რამდენჯერმე გააშიშვლეს; და მის მიმართ განხორციელდა იმიტირებული სიკვდილით დასჯა (პუნქტი 74).
- (¹⁶⁹) ECtHR-ის 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Menesheva v Russia*“, # 59261/00, CE:ECHR:2006:0309JUD005926100, პუნქტი 61.
- (¹⁷⁰) *Ibid.*, პუნქტი 61. მას ახრობდა პოლიციის თანამშრომელი და „კიდევ რამდენიმე პოლიციელმა დაიწყო მისი ცემა. დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ურტყამდნენ წიხლებს და დარტყმებს აყენებდნენ ფეხებში, გადაადგდეს ოთახის ბოლოს, ურტყამდნენ ხელკეტს და თავი არტყმევინეს კედელზე. ცემის დროს ის დაადანაშაულებს სიგურის თქმაში, მიაყენეს შეურაცხყოფა და დაემუქრნენ გაუპატიურებითა და ოჯახის მიმართ ძალადობით“ (პუნქტი 14).
- (¹⁷¹) ECtHR, 1996 წ., „*Aksoy v Turkey*“, *op. cit.*, fn. 159, პუნქტი 64. განმცხადებლის მიმართ გამოყენებულ იქნა „პალესტინური ჩამოსრჩობა“ (რაც ნიშნავს, რომ „ის იყო გაშიშვლებული, ხელები ზურგსუკან ჰქონდა შეკრული და ხელებით ჩამოკიდებული იყო ჰაერში“).
- (¹⁷²) ECtHR-ის 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*MA c France*“, # 9373/15, CE:ECHR:2018:0201JUD000937315, პუნქტი 54 (არაოფიციალური თარგმანი).
- (¹⁷³) ECtHR, 2018 წ., „*MA c France*“, *op. cit.*, fn. 172, პუნქტი 55 (არაოფიციალური თარგმანი). იხ. ასევე ECtHR-ის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Daoudi c France*“, # 19576/08, CE:ECHR:2009:1203JUD001957608, პუნქტები 37 და 71; და ECtHR-ის 2017 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*X v Sweden*“, # 16744/14, CE:ECHR:2017:0126JUD001674414, პუნქტი 64.
- (¹⁷⁴) ECtHR (პლენარული), 1978 წ., „*Ireland v UK*“, *op. cit.*, fn. 155, პუნქტი 167 (დამატებულია ხაზგასმა). ანალოგიურად, საქმეში „აკსოი“ (*Aksoy*), ECtHR-მა დაადგინა, რომ „პალესტინური ჩამოსრჩობა“ შეიძლება მხოლოდ განზრახ განხორციელებულიყო; მართლაც, მის განსახორციელებლად საჭირო იქნებოდა გარკვეული მომზადება და ძალისხმევა“; ECtHR, 1996 წ., „*Aksoy v Turkey*“, *op. cit.*, fn. 159, პუნქტი 64. იხ. ECtHR, 2014 წ., „*Al Nashiri v Poland*“, *op. cit.*, fn. 133, კანონიერად სანქცირებული დაკითხვის ტექნიკის მიზანი იყო „დაკავებულის ფსიქოლოგიურად „გატეხვა“, მისი დაუცველობისა და უმწეობის განცდის მაქსიმალურად გაზრდა და მისი წინააღმდეგობის გაწევის უნარის შემცირება ან მოსპობა... კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების მცდელობისთვის“; „დაერწმუნებინათ [დაკავებულები] დროულად მიეწოდებინათ საფრთხის შესახებ ინფორმაცია და სადაზვერვო მონაცემები ტერორიზმის შესახებ“; „შეძენილი უმწეობისა და დამოკიდებულების მდგომარეობის შექმნა“; და მათი ძირითადი იდეა იყო „როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ზეწოლის გამოყენება ყოვლისმომცველი, სისტემატური და კუმულაციური გზით, რათა ზეგავლენა მოეხდინათ... დაკავებულის ქცევაზე და დაეძლიათ მის მიერ გაწეული წინააღმდეგობა“ (პუნქტი 515).



მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა გარემოება და ძირითადი მიზანი, რომელიც არის კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ტკივილის მიმყენებელი ქმედებების საფუძველი. CAT-ის პირველი მუხლის პირველ პუნქტში წარმოდგენილი ასეთი მიზნის მაგალითები მოიცავს „[ადამიანისგან] ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარებითი ჩვენების მიღებას, მის დასჯას..., ან მის ან მესამე პირის დაშინებას ან იძულებას, ან ნებისმიერ მიზანს, რომელიც ემყარება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას“⁽¹⁷⁵⁾.

საბოლოოდ, ECtHR-მა დაადგინა, რომ:

... იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონვენცია წარმოადგენს „ცოცხალ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც უნდა იქნეს განმარტებული დღევანდელი პირობების გათვალისწინებით“ ... გარკვეული ქმედებები, რომელიც წარსულში კლასიფიცირებული იყო, როგორც „არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა“ და არა „წამება“ შეიძლება მომავალში განსხვავებულად იყოს კლასიფიცირებული...⁽¹⁷⁶⁾.

1.4.3.3. არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა

CJEU-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება „არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის“ დეფინიციებზე QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, საქმეში „ჯავო“ (*Jawo*) მან აღნიშნა, რომ:

... რათა ის მოხვდეს ქარტიის მე-4 მუხლის მოქმედების სფეროში, რომელიც შეესაბამება ECHR-ის მე-3 მუხლს, და რომლის მნიშვნელობა და მოქმედების სფეროც, ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იგივეა, რაც დადგენილია ECHR-ით, [მოპყრობამ] [...] უნდა მიაღწიოს სიმძიმის განსაკუთრებით მაღალ დონეს, რაც დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე⁽¹⁷⁷⁾.

ECtHR-ის მიერვე მოცემული ECHR-ის მე-3 მუხლით დადგენილი მოპყრობის განმარტების გათვალისწინებით, ECtHR-მა არაერთხელ გაიმეორა, რომ ასეთმა მოპყრობამ „უნდა

⁽¹⁷⁵⁾ ECtHR-მა დაადგინა ეს მიზნები, მაგალითად, ECtHR-ის 2017 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*Zolotarev v Russia*“, # 13408/07, CE:ECHR:2017:0919JUD001340807, პუნქტი 71, რომელიც ეხება აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით ინფორმაციის მოპოვებას; ECtHR-ის 2014 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bulgaru v Moldavia*“, # 35840/09, CE:ECHR:2014:0930JUD003584009, პუნქტი 20: „ინფორმაციის მოპოვების, დასჯის ან დაშინების განზრახვა“; და ECtHR-ის 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Shestopalov v Russia*“, # 46248/07, CE:ECHR:2017:0328JUD004624807, პუნქტი 46: მიუთითებს „[მომჩინის] დამცირების მიზანზე, მის დამორჩილებას და მის მიერ დანაშაულის აღიარებას“. იხ., *a contrario*, ECtHR, 2001 წ., „*Denizci and Others v Cyprus*“, op. cit., fn. 143, პუნქტი 384; ECtHR-ის 2009 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Denis Vasilyev v Russia*“, # 32704/04, CE:ECHR:2009:1217JUD003270404, პუნქტი 114; და ECtHR, 2014 წ., „*Al Nashiri v Poland*“, op. cit., fn. 133 პუნქტი 515, რომელიც მიუთითებს „სპეციალურად შემუშავებულ ზომებზე..., რომელთა მიზანია დატყვევებული ეჭმიტანილი ტერორისტებისგან ინფორმაციის ან აღიარებითი ჩვენების მოპოვება ან სადაზვერვო მონაცემების მიღება“.

⁽¹⁷⁶⁾ ECtHR (GC), 1999 წ., „*Selmouni*“, op. cit., fn. 159, პუნქტი 101 (მიუთითებენ ECtHR-ის შესაბამის სასამართლო პრაქტიკაზე გამოტოვებულია).

⁽¹⁷⁷⁾ CJEU (GC)-ის 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Abubacarr Jawo v Bundesrepublik Deutschland*“, C-163/17, EU:C:2019:218 (შემდგომში - CJEU (GC), 2019 წ., „*Jawo*“), პუნქტი 91.



მიადწიოს სიმძიმის მინიმალურ დონეს⁽¹⁷⁸⁾. სასამართლომ ასევე დაადგინა: „ამ მინიმალური დონის სიმძიმის შეფასება ფარდობითია: ეს დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ეფექტები ფიზიკურ და მენტალურ მდგომარეობაზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა“⁽¹⁷⁹⁾. მის მიერ დადგენილი „დამატებითი ფაქტორები“ მოიცავს „მიზანს, რომლის გამოც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ მოპყრობას, იმ განზრახვასთან ან მოტივაციასთან ერთად, რომელიც მას საფუძვლად დაედო, ისევე როგორც მის კონტექსტს, როგორცაა მომატებულად დაძაბული და ემოციური ატმოსფერო“⁽¹⁸⁰⁾.

CNDA-მ (საფრანგეთი) განიხილა ახალგაზრდა ავღანელის საქმე, რომლის მშობლები და ძმა დაიღუპნენ და რომლის სახლიც დაინგრა მთავრობასა და თალიბანის [Taliban] ძალებს შორის შეტაკების დროს. მაშინ თალიბანი [Taliban] ცდილობდა მის გადაბირებას, მოგვიანებით კი ის ღალატში დაადანაშაულეს. ის ქვეყნიდან გაიქცა 2015 წელს, 16 წლის ასაკში. მას არ ჰყავდა ოჯახი ავღანეთში, იყო დაუცველი და იზოლირებული და ჰქონდა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. 2021 წლის აგვისტოში თალიბანის [Taliban] გამარჯვებისა და უცხოური ძალების გასვლის შემდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ დასრულდა წლების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტი, მაგრამ ქვეყანაში არსებულია ზოგადმა არეულობამ წარმოშობა მებ-ნაკლებად უკონტროლო ელემენტები, მათ შორის თალიბანის [Taliban] სხვადასხვა ადგილობრივი დაჯგუფება. სასამართლომ მიიჩნია, რომ *ფაქტო* ხელისუფლების მხრიდან ძალადობის, დაუცველობისა და თვითნებობის არსებული დონის, ასევე, განმცხადებლის ჯანმრთელობის პრობლემების გათვალისწინებით, არსებობდა მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, განმცხადებელს ემუქრებოდა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რეალური და პირადი რისკი⁽¹⁸¹⁾.

უკიდურესი მატერიალური სიღარიბის მდგომარეობა, რომელიც აღწევს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დონეს, შეიძლება გამომდინარეობდეს განმცხადებლის განსაკუთრებული დაუცველობიდან⁽¹⁸²⁾. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასეთი შეფასება უნდა განხორციელდეს „ინდივიდუალურ საფუძველზე“ და გათვალისწინებული უნდა იყოს განმცხადებლის „ინდივიდუალური პოზიცია და პირადი გარემოებები“, ნებისმიერი სახის დაუცველობის ჩათვლით⁽¹⁸³⁾.

⁽¹⁷⁸⁾ დამატებულია საზგასმა. იხილეთ, მაგალითად, სქოლიოში აღნიშნული შემთხვევები. 155 ზემოთაღნიშნული და ECtHR-ის 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bureš v Czech Republic*“, # 37679/08, CE:ECHR:2012:1018JUD003767908 (შემდგომში ECtHR, 2012 წ., „*Bureš v Czech Republic*“), პუნქტი 84; და ECtHR (GC)-ის 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Gäfgen v Germany*“, # 22978/05, CE:ECHR:2010:0601JUD002297805 (შემდგომში - ECtHR (GC), 2010 წ., „*Gäfgen v Germany*“), პუნქტი 88. იხ. ასევე CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 38.

⁽¹⁷⁹⁾ დამატებულია საზგასმა ECtHR, 2012 წ., „*Bureš v Czech Republic*“, op. cit., fn. 178, პუნქტი 84; და ECtHR (GC), 2010 წ., „*Gäfgen v Germany*“, op. cit., fn. 178, პუნქტი 88. იხ. აგრეთვე მძიმე ავადმყოფების საქმეები: ECtHR (GC), 2016 წ., „*Paposhvili*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 174, რომელიც იყო მითითებული CJEU-ის (GC) საქმეში, 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 38; და ECtHR (GC), 2021 წ., „*Savran v Denmark*“, op. cit., fn. 155. იხ. ასევე CJEU-ის 2019 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Dumitru-Tudor Dorobantu*“, C-128/18, EU:C:2019:857, პუნქტი 59.

⁽¹⁸⁰⁾ ECtHR, 2012 წ., „*Bureš v Czech Republic*“, op. cit., fn. 178, პუნქტი 84; და ECtHR (GC), 2010 წ., „*Gäfgen v Germany*“, op. cit., fn. 178, პუნქტი 88.

⁽¹⁸¹⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2021 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*M. A.*“, # 18037855 C+.

⁽¹⁸²⁾ CJEU (GC)-ის 2019 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bashar Ibrahim and Others v Bundesrepublik Deutschland and Bundesrepublik Deutschland v Taus Magamadov*“, გაერთიანებული საქმეები C-297/17, C-318/17, C-319/17 და C-438/17, EU:C:2019:219 (შემდგომში - CJEU (GC), 2019 წ., „*Ibrahim*“), პუნქტი 93, სადაც CJEU-მ განიხილა საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების დასაშვებობა სხვა წევრ სახელმწიფოში მინიჭებული სუბსიდარული დაცვის ბენეფიციარებისათვის.

⁽¹⁸³⁾ იხ. EASO, „*დაუცველობა - პრევენციული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 62, ნაწილი 6.



ECtHR-ი მიიჩნევს, რომ მოპყრობა არის „არაადამიანური“, მათ შორის, „როდესაც ის იყო წინასწარ განზრახული, გამოიყენებოდა უწყვეტად საათების მანძილზე და გამოიწვია სხეულის დაზიანება ან ძლიერი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა“⁽¹⁸⁴⁾.

განხილვის დროს, არის თუ არა მოპყრობა ან დასჯა „დამამცირებელი“, ECtHR-ი განიხილავს არის თუ არა „მისი მიზანი შესაბამისი პირის დამცირება და ღირსების შელახვა და... მოახდინა თუ არა მან უარყოფითი ზეგავლენა მის პიროვნებაზე მე-3 მუხლთან შეუთავსებელი ფორმით“⁽¹⁸⁵⁾. დამამცირებელი მოპყრობა ასევე აღწერილია, როგორც მოპყრობა „რომელიც მსხვერპლში აღძრავს შიშის, ტანჯვის და არასრულფასოვნების გრძობას, რომელსაც შეუძლია [მისი] დამცირება ან ღირსების შელახვა“⁽¹⁸⁶⁾, და რომელმაც „შესაძლოა გატეხოს [მისი] ფიზიკური ან მორალური წინააღმდეგობა ... ან აიძულოს მსხვერპლს იმოქმედოს თავისი ნების ან სინდისის წინააღმდეგ“⁽¹⁸⁷⁾. შეიძლება საკმარისი იყოს, როცა „მსხვერპლი დამცირებულია საკუთარ თავში, თუნდაც არა სხვების თვალში“⁽¹⁸⁸⁾.

რაც შეეხება არაადამიანურ ან დამამცირებელ სასჯელს, „ტანჯვა და დამცირება, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გასცდეს ტანჯვის ან დამცირების გარდაუვალ ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია კანონიერი მოპყრობის ან დასჯის მოცემულ ფორმასთან“⁽¹⁸⁹⁾.

ჩვეულებრივი დანაშაულისთვის დევნა და დასჯა, როგორც წესი, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა, თუ სასჯელი არ არის „უხეშად არაპროპორციული“. სასამართლომ განაცხადა, რომ „უხეშად არაპროპორციული სასჯელის შეფარდება არღვევს ECHR-ის მე-3 მუხლს“, მაგრამ „ამ შეფასების ტესტის (კრიტერიუმების) დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ იშვიათ და უნიკალურ შემთხვევებში“⁽¹⁹⁰⁾. პრინციპში, ეს არის „სახელმწიფოს არჩევანი განსაზღვროს კონკრეტული სისხლის სამართლის სისტემა,

⁽¹⁸⁴⁾ ECtHR (GC)-ის 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Kudła v Poland*“, # 30210/96, CE:ECHR:2000:1026JUD003021096 (შემდგომში - ECtHR (GC), 2000 წ., „*Kudła v Poland*“), პუნქტი 92; ECtHR-ის 2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Kalashnikov v Russia*“, # 47095/99, CE:ECHR:2002:0715JUD004709599 (შემდგომში - ECtHR, 2002 წ., „*Kalashnikov v Russia*“), პუნქტი 95; და ECtHR (GC), 2011 წ., „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტი 220.

⁽¹⁸⁵⁾ იხ., მაგალითად, ECtHR-ის 2001 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*Keenan v United Kingdom*“, # 272229/95, CE:ECHR:2001:0403JUD002722995 (შემდგომში - ECtHR, 2001 წ., „*Keenan v UK*“), პუნქტი 110; ECtHR, 2002 წ., „*Kalashnikov v Russia*“, op. cit., fn. 184, პუნქტი 95; ECtHR (GC), 2011 წ., „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტი 220; და ECtHR (GC)-ის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Khlaifia and Others v Italy*“, # 16483/12, CE:ECHR:2016:1215JUD001648312 (შემდგომში - ECtHR (GC), 2016 წ., „*Khlaifia and Others*“), პუნქტი 160.

⁽¹⁸⁶⁾ იხ., მაგალითად, ECtHR (GC), 2000 წ., „*Kudła v Poland*“, op. cit., fn. 184, პუნქტი 92. იხ. ასევე ECtHR-ის 1978 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*Tyrer v United Kingdom*“, # 5856/72, პუნქტი 30; ECtHR, 2001 წ., „*Keenan*“, op. cit., fn. 185, პუნქტი 110; ECtHR (GC), 2011 წ., „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტი 220; და ECtHR (GC), 2016 წ., „*Khlaifia and Others*“, op. cit., fn. 185, პუნქტი 160.

⁽¹⁸⁷⁾ იხ., მაგალითად, ECtHR, 2001 წ., „*Keenan v UK*“, op. cit., fn. 185, პუნქტი 110.

⁽¹⁸⁸⁾ იხ., მაგალითად, ECtHR (GC), 2011 წ., „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტი 220.

⁽¹⁸⁹⁾ ECtHR (GC), 2000 წ., „*Kudła v Poland*“, op. cit., fn. 184, პუნქტი 92. იხ. ასევე CAT-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტი; და ECtHR-ის 2019 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*AM c France*“, # 12148/18, CE:ECHR:2019:0429JUD001214818, პუნქტი 125. ECtHR-მა გადახედა მისივე სასამართლო პრაქტიკას, იმ საკითხის შესახებ, ეშუქრება თუ არა ეჭვმიტანილ ტერორისტს არასათანადო მოპყრობა აღუჩინოს ციხეებში. მიუხედავად იმისა, რომ აღუჩინოს სისხლის სამართლის პროცედურების ზოგიერთი ასპექტები ჯერ კიდევ ეჭვქვეშ აყენებს გარანტირებულ სამართლიან სასამართლოს (პოლიციის მიერ ხანგრძლივი პატიმრობა, ადვოკატთან და ექიმთან შეუზღუდელი ხელმისაწვდომობა), სასამართლომ არ დაადგინა არასათანადო მოპყრობის რეალური რისკი. ამის საპირისპიროდ იხილეთ ECtHR-ის 2018 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*X v Sweden*“, # 36417/16, CE:ECHR:2018:0109JUD003641716, პუნქტები 27-30 და 57, ეჭვმიტანილ ტერორისტებთან დაკავშირებით მაროკოდან, სადაც „სანდო საერთაშორისო წყაროებიდან ... ჩანს რომ გრძელდება თვითნებური დაკავება და წამება ...“.

⁽¹⁹⁰⁾ ECtHR (GC)-ის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Vinter and Others v United Kingdom*“, # 66069/09, 130/10 და 3896/10, CE:ECHR:2013:0709JUD006606909, პუნქტი 102.





სასჯელის გადახედვისა და გათავისუფლების ღონისძიებების ჩათვლით ⁽¹⁹¹⁾. მიუხედავად ამისა, ECtHR-მა კვალიფიცირება მისცა უვადო თავისუფლების აღკვეთას ყოველგვარი გადახედვისა და სასჯელის შემცირების შესაძლებლობის გარეშე, როგორც ECHR-ის მე-3 მუხლის დარღვევას ⁽¹⁹²⁾. გათავისუფლების შესაძლებლობის განხილვის შედეგებამდე არსებული ძალიან გრძელი ლოდინის პერიოდი შეიძლება საკმარისი იყოს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კანონმდებლობა არ გვთავაზობს უვადო სასჯელის დე ფაქტო შემცირებას ⁽¹⁹³⁾. გარდა ამისა, ECtHR-მა დაადგინა, რომ ჩაქოლვის მუქარა (მრუშობისთვის) შეიძლება იყოს წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ტოლფასი ⁽¹⁹⁴⁾.

პირისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ინტენსიური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვის ელემენტს, რომელიც წარმოადგენს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას. თუმცა, ECtHR-მა დაადგინა, რომ:

... არ შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი პატიმრობა თავისთავად წარმოშობს საკითხს [ECHR-ის] მე-3 მუხლის საფუძველზე. ასევე, არ შეიძლება აღნიშნული მუხლის განმარტება როგორც დაკავებული გათავისუფლების ზოგადი ვალდებულების დაწესება ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე...

მიუხედავად ამისა, აღნიშნული დებულების თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირის პატიმრობის პირობები შეთავსებადი იყოს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემასთან, რომ ღონისძიების აღსრულების წესმა და მეთოდმა არ მიაყენოს მას ტკივილი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობა აღემატება ტანჯვის გარდაუვალ ღონეს, რომელიც თან ახლავს პატიმრობას და რომ, პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი... ⁽¹⁹⁵⁾.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „პატიმრობის პირობების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ პირობების კუმულატიური ეფექტი, ასევე შესაბამისი პირის მიერ გაკეთებული კონკრეტული ბრალდებები“ ⁽¹⁹⁶⁾.

დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, დაკავებული პირის დაუცველობა არის ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ღირსების შემლახველი მოპყრობის

⁽¹⁹¹⁾ Ibid., პუნქტი 104.

⁽¹⁹²⁾ Ibid., პუნქტები 104-121. იხ. ასევე ECtHR-ის 2014 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Trabelsi v Belgium*“, # 140/10, CE:ECHR:2014:0904JUD000014010, პუნქტები 137-139; და ECtHR (GC)-ის, 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*Kafkaris v Cyprus*“, # 21906/04, CE:ECHR:2008:0212JUD002190604 (შემდგომში ECtHR (GC), 2008 წ., „*Kafkaris*“), პუნქტები 97-99.

⁽¹⁹³⁾ ამ შემთხვევაში, განხილვა შესაძლებელი იყო 40 წლის შემდეგ, რასაც თან ახლდა განხილვის პროცედურაში საკმარისი პროცედურული გარანტიების არარსებობა. ECtHR-ის 2016 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*TP and AT v Hungary*“, # 37871/14 და 73986/14, CE:ECHR:2016:1004JUD003787114, პუნქტები 49-50. იხ. ასევე ECtHR-ის 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Sándor Varga and Others v Hungary*“, # 39734/15, 35530/16 და 26804/18, CE:ECHR:2021:0617JUD003973415, პუნქტები 48-49.

⁽¹⁹⁴⁾ ECtHR-ის 2000 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება „*Jabari v Turkey*“, # 40035/98, CE:ECHR:2000:0711JUD004003598, პუნქტები 41-42.

⁽¹⁹⁵⁾ ECtHR, 2002 წ., „*Kalashnikov v Russia*“, op. cit., fn. 184, პუნქტი 95.

⁽¹⁹⁶⁾ Ibid., პუნქტი 95. იხ. ასევე ECtHR-ის (GC) 2016 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Muršić v Romania*“, # 7334/13, CE:ECHR:2016:1020JUD000733413 (შემდგომში - ECtHR (GC), 2016 წ., „*Muršić v Romania*“), პუნქტი 110; და ECtHR-ის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Al Nashiri v Romania*“, # 33234/12, CE:ECHR:2018:0531JUD003323412 (შემდგომში - ECtHR, 2018 წ., „*Al Nashiri v Romania*“), პუნქტი 675.



შეფასებისას⁽¹⁹⁷⁾. მაგალითად, ECtHR-ი ხაზს უსვამს ბავშვების⁽¹⁹⁸⁾ და ორსული ქალების უკიდურეს დაუცველობას⁽¹⁹⁹⁾ მიგრანტების დაკავების კონტექსტში. ანალოგიურად, სასამართლომ დაუცველად მიიჩნია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები⁽²⁰⁰⁾, რომლებსაც ემუქრებოდა პატიმრობა ან თავისუფლების აღკვეთა წარმოშობის ქვეყანაში. ციხეში არსებული პირობებიდან გამომდინარე, ადამიანი ასევე შეიძლება იყოს დაუცველი მისი სექსუალური ორიენტაციის გამო⁽²⁰¹⁾.

იმის შეფასების მიზნით, დგება თუ არა პირი EU-ს ქარტიის მე-4 მუხლის მიხედვით „არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის წინაშე შეკავების ზოგადი პირობების საფუძველზე“, CJEU ასევე მიემხრო ECtHR-ის პრეცედენტულ სამართალს ECHR-ის მე-3 მუხლის შესახებ, რომელიც ეხება **პატიმრობის პირობებს** დამორჩილების კონტექსტში დაკავების ევროპული ორდერის შესაბამისად⁽²⁰²⁾. CJEU-მ მიუთითა ECtHR-ის დასკვნაზე, რომ „ECHR-ის მე-3 მუხლის დარღვევის დასაბუთებული პრეზუმცია ჩნდება, მაშინ როცა პატიმრობაში მყოფი პირისთვის ხელმისაწვდომი პირადი სივრცე 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია მრავალადგილიან საცხოვრებელში⁽²⁰³⁾. დასაბუთებული პრეზუმცია:

ჩვეულებრივ, შესაძლოა იყოს წინააღმდეგობრივი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ (i) პირადი სივრცისთვის საჭირო მინიმუმ 3 კვადრატულ მეტრთან დაკავშირებით შემცირებები არის მოკლე, ადგილობრივი და მეორეხარისხოვანი, (ii) მსგავს შემცირებას მოყვება საკმარისი მოძრაობის თავისუფლება საკნის გარეთ და ადეკვატური საკნის გარეთ მიმდინარე აქტივობები, და (iii) ადგილზე დაკავების ზოგადი პირობები არის შესაბამისი და არ არსებობს დაინტერესებული პირის დაკავების პირობების სხვა დამამძიმებელი ასპექტები⁽²⁰⁴⁾.

⁽¹⁹⁷⁾ საქმეში „*ხლაიფია*“ (*Khlaifia*), ECtHR-მა გაითვალისწინა რამდენიმე ფაქტორი, რათა „დაედგინა, მიღწეულია თუ არა სიმძიმის ზღვარი“, მათ შორის, არის თუ არა მსხვერპლი დაუცველ მდგომარეობაში. იხ. ასევე ECtHR (GC), 2016 წ., „*Khlaifia and Others*“, op. cit., fn. 185, პუნქტები 160(გ) და 161-162.

⁽¹⁹⁸⁾ ECtHR-ის 2017 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*SF and Others v Bulgaria*“, # 8138/16, CE:ECHR:2017:1207JUD000813816, პუნქტები 79-83, რომელიც ეხებოდა წყვილს და მათ სამ მცირეწლოვან შვილს. მათი პატიმრობის პირობებიდან გამომდინარე, ბავშვების მიმართ განხორციელდა არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, თუმცა მხოლოდ მცირე ხნით.

⁽¹⁹⁹⁾ ECtHR-ის 2021 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*RR and Others v Hungary*“, # 36037/17, CE:ECHR:2021:0302JUD003603717, პუნქტები 58-65, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვნებს და ორსულ ქალებს.

⁽²⁰⁰⁾ ECtHR-ის 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*Babar Ahmad and Others v United Kingdom*“, # 24027/07, 11949/08, 36742/08, 66911/09 და 67354/09, CE:ECHR:2012:0410JUD002402707 (შემდგომში - ECtHR, 2012 წ., „*Babar Ahmad and Others*“); და ECtHR-ის 2013 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*Aswat v United Kingdom*“, # 17299/12, CE:ECHR:2013:0416JUD001729912 (შემდგომში - ECtHR, 2013 წ., „*Aswat v UK*“). გასათვალისწინებელია ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების დაუცველობა და მათ მიერ ჩივილის უნარის არქონა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მათზე კონკრეტული მკურნალობა. გასათვალისწინებელი ელემენტებია „(ა) პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, (ბ) პატიმრობისას გაწეული სამედიცინო დახმარებისა და მოვლის ადეკვატურობა და (გ) პატიმრობაში ყოფნის მიზანშეწონილობა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით“ (პუნქტი 50).

⁽²⁰¹⁾ ECtHR-ის 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*OM v Hungary*“, # 9912/15, CE:ECHR:2016:0705JUD000991215, პუნქტი 53.

⁽²⁰²⁾ CJEU (GC)-ის 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*Pál Aranyosi and Robert Căldăraru*“, გაერთიანებული საქმეები C-404/15 და C-659/15 PPU, EU:C:2016:198, პუნქტი 94. იხ. EASO, „*შესავალი CEAS-ში – პრეცედენტული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 8 ნაწილი 2.4.3, იმ ფაქტის შესახებ, რომ დაკავების ევროპული ორდერი, რომელიც რეგულირდება „ჩარჩო გადაწყვეტილების, როგორც EU-ს მეორეული კანონმდებლობა, შეესაბამება ღუბლინი III რეგულაციას, რამდენადაც ორივე სისტემა დაფუძნებულია სახელმწიფოებს შორის არსებული „საერთო ნდობის“ ცნებაზე.

⁽²⁰³⁾ CJEU, 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, *ML*, წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა, C-220/18 PPU, EU:C:2018:589, პუნქტი 92.

⁽²⁰⁴⁾ CJEU, 2018 წ., „*ML*“, op. cit., fn. 203, პუნქტი 93. იხ. ასევე CJEU-ის 2019 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Dumitru-Tudor Dorobantu*“, C-128/18, EU:C:2019:857.



პატიმრობაში ყოფნისას არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა მოიცავს „სრულ სენსორულ იზოლაციას, ტოტალურ სოციალურ იზოლაციასთან ერთად“, რამაც შეიძლება გაანადგუროს პიროვნება⁽²⁰⁵⁾; ავად მყოფი პირებისთვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობა⁽²⁰⁶⁾; ფსიქიატრიული დახმარების ნაკლებობა მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირებისთვის⁽²⁰⁷⁾; საგრძნობი ჭარბმოსახლეობა⁽²⁰⁸⁾; საკნის გარეთ გადაადგილების შესაძლებლობის ნაკლებობა⁽²⁰⁹⁾; ვარჯიშის ან გადატვირთული საკნის გარეთ დროის გატარების შესაძლებლობის ნაკლებობა⁽²¹⁰⁾; არასაკმარისი პირადი სივრცე, ჰიგიენის დაცვის საშუალების ნაკლებობა ან არასაკმარისი ვენტილაცია და განათება⁽²¹¹⁾; და მეტისმეტად მკაცრი დე ფაქტო იზოლაცია მეტისმეტად დიდი ხნის განმავლობაში სათავსში გარეთ ვარჯიშის შესაძლებლობის გარეშე და შედეგად, პატიმრობა, რომელიც პირს ჯანმრთელობის რისკის ქვეშ აყენებს ახალ დაკავებულ პატიმრებთან არასაჭირო მოთავსების გზით კოვიდ 19-ის კარანტინში⁽²¹²⁾. იხ. ასევე ცხრილი 41.

ECtHR-მა წარმოადგინა ფაქტორების ილუსტრირებული სია, რაც გადამწყვეტია იმ ფაქტის დასასკვნელად, რომ პატიმრები ექვემდებარებოდნენ არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას⁽²¹³⁾. ამავდროულად, დადგენილია, რომ აღნიშნული ელემენტები „მჭიდროდ არის დამოკიდებული საქმის ფაქტებზე და სავარაუდოდ არ იქნება მარტივად დადგენილი ექსტრადიციის ან გამორიცხვის კონტექსტში“⁽²¹⁴⁾.

⁽²⁰⁵⁾ ECtHR, 2012 წ., „*Al-Saadoon და Mufdhi*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 206.

⁽²⁰⁶⁾ იხ., *საწინააღმდეგოდ*, ibid., პუნქტი 215; და ECtHR, 2021 წლის 25 მარტი, „*Bivolaru et Moldovan c France*“, # 40324/16 და 12623/17, CE:ECHR:2021:0325JUD004032416 (შემდგომში - ECtHR, 2021, „*Bivolaru et Moldovan c France*“), პუნქტი 111.

⁽²⁰⁷⁾ იხ., *a contrario*, ECtHR, 2013 წ., „*Aswat v UK*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 55.

⁽²⁰⁸⁾ ECtHR (GC), 2016 წ., „*Khlaifia and Others*“, op. cit., fn. 185, პუნქტი 165. იხ. ასევე ECtHR-ის 2015 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Varga and Others v Hungary*“, # 14097/12, 45135/12, 73712/12, 34001/13, 44055/13 და 64586/13, CE:ECHR:2015:0310JUD001409712, პუნქტი 69–78 (გადაჭედული ციხეები); ECtHR (GC), 2016 წ., „*Muršić v Romania*“, op. cit., fn. 196, პუნქტი 103-141 (გადაჭედული ციხეები); ECtHR-ის 2017 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*Rezmiveş and Others v Romania*“, # 61467/12, 39516/13, 48231/13 და 68191/13, CE:ECHR:2017:0425JUD006146712, პუნქტი 75–79 (ხალხით გადატვირთვა, დაკავების მატერიალური პირობები და ჰიგიენა; და ECtHR-ის 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Nazarov v Russia*“, # 13591/05, CE:ECHR:2009:1126JUD001359105, პუნქტი 83 (ხალხით გადაჭედვა).

⁽²⁰⁹⁾ ECtHR, 2021 წ., „*Bivolaru et Moldovan c France*“, op. cit., fn. 206, პუნქტი 124.

⁽²¹⁰⁾ იხ., *a contrario*, ECtHR, 2012, „*Babar Ahmad and Others*“, op. cit., fn. 200, პუნქტები 214-222.

⁽²¹¹⁾ ECtHR, 2021 წ., „*Bivolaru et Moldovan c France*“, op. cit., fn. 206, პუნქტი 111; იხ. ასევე ECtHR-ის 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Porumb v Romania*“, # 19832/04, CE:ECHR:2010:1207JUD001983204, პუნქტი 72; ECtHR-ის 2012 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Radu Pop v Romania*“, # 14337/04, CE:ECHR:2012:0717JUD001433704, პუნქტი 96.

⁽²¹²⁾ ECtHR-ის 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Feilazoo v Malta*“, # 6865/19, CE:ECHR:2021:0311JUD00686519 (შემდგომში - ECtHR, 2021 წ., „*Feilazoo v Malta*“), პუნქტები 90-92.

⁽²¹³⁾ ECtHR, 2012 წ., „*Al-Saadoon და Mufdhi*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 178. აღნიშნული ეხება წინასწარ განსაზღვრის არსებობას; რომ შეიძლება აღნიშნული ზომა გამოთვლილი იყოს განმცხადებლის წინააღმდეგობის გაწევის ან სურვილის დასარღვევად; განმცხადებლისთვის რეპუტაციის შელახვის ან დამცირების განზრახვის მიზნით ან თუ არ არსებობს მსგავსი განზრახვა იმპლემენტირებულია იმ სახით, რომ გამოუწვევია შიშის შეგრძნება, ტანჯვა ან არასრულფასოვნება; დაკისრებული ზომისთვის ნებისმიერი კონკრეტული იურისდიქციის არარსებობის შემთხვევის; მიღებული ზომის პირობითი დასჯის სახის; იმ დროის ხანგრძლივობის, რომლისთვისაც იქნა დაწესებული ზომა; და ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა ინტენსივობას, რომელიც აჭარბებს პატიმრობაში ყოფნისას გარდაუვალი ჩვეული ტანჯვის უბედურებასა და გაჭირვებას. იხ. ასევე ECtHR, 2012 წ., „*Harkins and Edwards*“, op. cit., fn. 154, პუნქტი 130.

⁽²¹⁴⁾ ECtHR, 2012 წ., „*Al-Saadoon და Mufdhi*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 178.



ცხრილი 9: ილუსტრირებული სია პატიმრობის პირობების შესახებ, რომელიც შეიძლება შეადგენდეს არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას დაბრუნების ქვეყანაში, როგორც ეს მომდინარეობს ECtHR-ის პრეცედენტული სამართალიდან ⁽²¹⁵⁾

მენტალური აშლილობის მქონე პირისთვის საკმაოდ მაღალი შემზღუდავი რეჟიმი დიდი ხნის განმავლობაში სოციალურ იზოლაციასთან ერთად ოჯახისა და მეგობრების მხარდაჭერის გარეშე ⁽²¹⁶⁾
ავადმყოფი პირებისთვის შეუსაბამო სამედიცინო დახმარება ⁽²¹⁷⁾
ძლიერი ჭარბმოსახლეობა ⁽²¹⁸⁾ (პირადი სივრცის ნაკლებობა)
ვენტილაციის, განათების ან სანიტარული კეთილმოწყობის ნაკლებობა ²¹⁹⁾
გადაადგილების ან დასვენების ნაკლებობა გადატვირთული საკნის გარეთ ⁽²²⁰⁾
სრული სენსორული იზოლაცია, ტოტალურ სოციალურ იზოლაციასთან ერთად ⁽²²¹⁾
ფსიქიატრიული დახმარების ნაკლებობა მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირებისთვის ⁽²²²⁾

ამგვარად, პირობები პატიმრობაში მყოფი პირებისთვის, რომლებიც სიკვდილით დასჯის აღსრულებას ელოდებიან (ე.ი. **სიკვდილ მისჯილთა საკანში** მყოფი პირები), დადგენილია, რომ შეესაბამება *სოერინგის* ⁽²²³⁾ საქმესთან დაკავშირებულ მოპყრობას, „ამგვარ ექსტრემალურ პირობებში სიკვდილ მისჯილთა საკანში ხანგრძლივი პერიოდის გატარების, სიკვდილით დასჯის მოლოდინში მუდამ არსებული და მზარდი ტანჯვის და განმცხადებლის პირადი გარემოებების, განსაკუთრებით მისი ასაკისა და სამართალდარღვევის დროს არსებული მენტალური მდგომარეობის გათვალისწინებით“⁽²²⁴⁾. უკანასკნელ პერიოდში, საქმეში „ალ ნაშირი რუმინეთის წინააღმდეგ“ (*Al Nashiri v Romania*) დადასტურდა, რომ „როგორც არ უნდა იყოს აღსრულების მეთოდი, სიცოცხლის განადგურება მოიცავს ფიზიკურ ტკივილს რაღაც რაოდენობით. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ სიკვდილით დასჯის წინასწარ გაცნობიერება, აუცილებლად გამოიწვევს ძლიერ ფსიქოლოგიურ ტანჯვას“ ⁽²²⁵⁾.

1.4.3.4. განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში

საქმეზე „მბოდჯი“ (*M'Bodj*), CJEU-მ მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტში არსებული ნათელი ფორმულირების მიხედვით, დაადასტურა, რომ აღნიშნული დებულება:

განმცხადებლის მიმართ არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობა გამოიყენება მისივე წარმოშობის ქვეყანაში. აქედან გამომდინარეობს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ სუბსიდიარული დაცვის უფლება უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთ მოპყრობას ჰქონდა ადგილი **განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში** ⁽²²⁶⁾.

⁽²¹⁵⁾ იხ. ასევე ევროპის საბჭო, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელო: პატიმართა უფლებები“, 2020 წლის დეკემბერი.

⁽²¹⁶⁾ ECtHR, 2013 წ., „*Aswat v UK*“, op. cit., fn. 200, პუნქტები 56-57.

⁽²¹⁷⁾ ECtHR, 2012 წ., „*Al-Saadoon და Mufdhi*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 215.

⁽²¹⁸⁾ ECtHR, 2021 წ., „*Bivolaru et Moldovan c France*“, op. cit., fn. 206, პუნქტი 123.

⁽²¹⁹⁾ იხ., *a contrario*, ECtHR, 2012 წ., „*Babar Ahmad and Others*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 219.

⁽²²⁰⁾ ECtHR, 2021 წ., „*Bivolaru et Moldovan c France*“, op. cit., fn. 206, პუნქტი 124.

⁽²²¹⁾ ECtHR, 2012 წ., „*Al-Saadoon და Mufdhi*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 103.

⁽²²²⁾ იხ., *a contrario*, ECtHR, 2013 წ., „*Aswat v UK*“, op. cit., fn. 200, პუნქტი 55.

⁽²²³⁾ ECtHR (პლენუმი), 1989 წ., „*Soering*“, op. cit., fn. 282.

⁽²²⁴⁾ Ibid., პუნქტი 111.

⁽²²⁵⁾ ECtHR, 2018 წ., „*Al Nashiri v Romania*“, op. cit., fn. 196, პუნქტი 727.

⁽²²⁶⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 33 (დამატებულია ხაზგასმა). იხ. ასევე ნაწილი 1.3, რომელიც მოცემულია ზემოთ.





QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ო“ პუნქტის მიხედვით, „წარმოშობის ქვეყანა“ ნიშნავს „ეროვნების ან ყოფილი ჩვეული საცხოვრებლის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირების ქვეყანას ან ქვეყნებს“⁽²²⁷⁾.

1.4.3.5. საკვალიფიკაციო დირექტივის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული განსაკუთრებული ვითარება

წინამდებარე ნაწილი ეხება კონკრეტულ ვითარებას, რომელსაც გაექცნენ საერთაშორისო დაცვის მაძიებლები, მასში ასევე გამოკვლეულია აღნიშნული ვითარების შესაძლო რელევანტურობა სუბსიდიარულ დაცვასთან მიმართებით, როგორც აღნიშნული მოცემულია 42-ე ცხრილში. ზოგიერთი შემდგომ კონკრეტულ ვითარებას ეხება ნაწილი 3, რომელიც განიხილავს, როგორც ლტოლვილის, ასევე სუბსიდიარული დაცვის სტატუსით კვალიფიცირობას. აღნიშნული ეხება ადამიანებს, რომლებიც გაურბიან ადამიანთა ვაჭრობასთან (ტრეფიკინგი) და თანამედროვე მონობასთან; ეკოლოგიური საფრთხეებთან; და კოვიდ 19-თან დაკავშირებულ შემთხვევებს.

შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებას დეტალურად ეხება ნაწილი 1.4.4. აღნიშნული განხილულია ლტოლვილის სტატუსის კონტექსტში 2.2.1 ნაწილში და QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის კონტექსტში 2.2.2 ნაწილში.

ცხრილი 10: 1.4.3.5 ნაწილის სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
1.4.3.5.1	წარმოშობის ქვეყანაში არსებული ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია	65
1.4.3.5.2	ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა	66
1.4.3.5.3	სამედიცინო შემთხვევები	68

1.4.3.5.1. წარმოშობის ქვეყანაში არსებული ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია

საკუთრივ წარმოშობის ქვეყანაში არსებული საზარელი ეკონომიკური და ჰუმანიტარული პირობები, ძირითადად არ ქმნის არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობის შემთხვევებს,⁽²²⁸⁾ შესაბამისად არ ადგენს სუბსიდიარული დაცვის უფლებას. აღნიშნული განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 35-ე პუნქტში. CJEU-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც ეხება მსგავს სიტუაციას სუბსიდიარული დაცვის კონტექსტში. თუმცა, დუბლინში გადაცემის კონტექსტში, CJEU-მ დაადგინა, რომ ზოგჯერ „ექსტრემალური მატერიალური სიღარიბე“ შეიძლება გაუთანაბრდეს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას⁽²²⁹⁾.

იმ შემთხვევაშიც თუ ამგვარ პირობებს უნდა მიეღწიათ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ზღვრისთვის, იმისათვის, რომ ჩაშლილიყო QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15

⁽²²⁷⁾ ეროვნების განსაზღვრისთვის არსებული წესები ან მათი ნაკლებობა, იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.3.2.

⁽²²⁸⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 282.

⁽²²⁹⁾ CJEU (GC), 2019 წ., „*MP*“, op. cit., fn. 17792-ე პუნქტში მიჩნეულია, რომ ექსტრემალური მატერიალური სიღარიბე ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ „აღნიშნული არ აძლევს უფლებას დაიკმაყოფილოს მან საკუთარი ძირითადი მოთხოვნილებები, როგორცაა მათ შორის საჭმელი, პირადი ჰიგიენა და საცხოვრებელი ადგილი, და... ძირს უთხრის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობას ან აყენებს დეგრადაციის მდგომარეობაში, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის ღირსებას“. CJEU-ი მიემხრო ECtHR(GC)-ის 2011 წ. გადაწყვეტილებას საქმეზე „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტები 252-263. იხ. ასევე ზემოთ 1.4.3.3 მოცემული ნაწილი, რომელიც ეხება CJEU-ის გადაწყვეტილებას საქმეზე „*Jawo*“ და CJEU (GC)-ის 2019 წ. საქმეს „*Ibrahim*“, op. cit., fn. 182, პუნქტები 90-93.



მუხლის „ბ“ პუნქტის მოქმედების სფეროში, მესამე მხარის ნაწილის მხრიდან მსგავს ზიანს უნდა მიეღო ქმედების ფორმა (QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლი)⁽²³⁰⁾.

გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წარმოშობის ქვეყანაში არასაკმარისი ჰუმანიტარული სიტუაციის მიზეზით არსებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, ადგენს სუბსიდიარული დაცვის უფლებამოსილებას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მოპყრობა მიზნობრივად არის გამოყენებული სერიოზული ზიანის განმარტოვებელი სუბიექტის მიერ⁽²³¹⁾. აღნიშნულის მსგავსად, ტალინის საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური და ეკონომიკური გაჭირვება არ წარმოადგენს სუბსიდიარული დაცვის საფუძველს⁽²³²⁾.

არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ზღვრის მიღწევასთან დაკავშირებით საქმეში „ემ ეს ეს ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ“ (*M.S.S. v Belgium and Greece*), ECtHR-მა განიხილა საქმე ქუჩაში მცხოვრები განმცხადებლის შესახებ, რომელსაც არ ჰქონდა წვდომა სანიტარულ კეთილმოწყობაზე და მნიშვნელოვანი საჭიროებების საკუთარი თავისთვის მიწოდების არანაირ საშუალება⁽²³³⁾. აღნიშნულით დადგინდა, რომ „ამგვარმა საცხოვრებელმა პირობებმა ხანგრძლივ გაუგებრობასთან ერთად, რომელშიც იგი რჩებოდა და მისი სიტუაციის გაუმჯობესების პერსპექტივის სრულმა ნაკლებობამ მიაღწია სიმწვავის დონეს, რომელიც მოითხოვდა მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში ჩასაშლელად [ECHR]“⁽²³⁴⁾.

საქმეში *სუფი და ელმი* (*Sufi and Elmi*), ECtHR-მა დაასკვნა, რომ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის წარმოების ქვეყანაში არსებული ბანაკის პირობები საკმაოდ საზარელია იმისათვის, რომ გაუტოლდეს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას⁽²³⁵⁾.

ბანაკის პირობები მოიცავდა საკვებას და წყალზე შეზღუდულ წვდომას, თავშესაფარზე წვდომის შეზღუდვას, ჭარბმოსახლეობას, სანიტარული კეთილმოწყობის ნაკლებობას და დანაშაულის ჩადენასა და ექსპლუატაციას, ასევე სიტუაციის გაუმჯობესების მცირე პერსპექტივა იყო იქ.

1.4.3.5.2. ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა

ეროვნული პრეცედენტული სამართალი აჩვენებს, რომ ქალები, რომლებსაც არ აქვთ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების სურვილი სექსუალური ძალადობის, მათ შორის ოჯახური ძალადობის ან იძულებით ქორწინების შიშის გამო, შესაძლოა კვალიფიცირდნენ

⁽²³⁰⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 35.

⁽²³¹⁾ BVerwG-ის (გერმანია) 2020 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება # 1 C 11.19, DE:BVerwG:2020:200520U1C11.19.0 (შემდგომში - BVerwG (გერმანია), 2020 წ., # 1 C 11.19). სასამართლომ მიმართა CJEU-ს პრეცედენტულ სამართალს, მე-6 მუხლსა და QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 35-ე პუნქტს და განაცხადა, რომ *ემ ბოდჯის* (*M'Bodj*) საქმეში არსებული CJEU-ს დასკვნები ეხება არა მხოლოდ უმოქმედო ჯანდაცვის სისტემების უბრალო ვითარებას, არამედ წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ზოგადი არაადამიანური საცხოვრებელი პირობების შემთხვევებს (პუნქტი 12).

⁽²³²⁾ ტალინის საოლქო სასამართლოს (*Ringkonnakohtud*) (ესტონეთი) 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება # 3-19-951, რომელიც ეხება უკრაინელ განმცხადებელს ქვეყნის იმ ნაწილიდან, რომელსაც არ შეუძლია კონფლიქტი (ინგლისურენოვანი შეჯამება).

⁽²³³⁾ ECtHR (GC), 2011 წ., „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტი 263. საბერძნეთი ვალდებული იყო თავშესაფრის მაძიებლები უზრუნველყო საცხოვრებელითა და საკმარისი მატერიალური პირობებით სტანდარტებისევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივის # 2013/33/EU მიხედვით, რომელიც ადგენს სტანდარტებს განმცხადებლების მიღებას საერთაშორისო დაცვისთვის (ახალი რედაქციით), [2013 წ.] OJ L 180/96 (პუნქტი 250).

⁽²³⁴⁾ ECtHR (GC), 2011 წ., „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229, პუნქტი 263. იხ. ასევე ECtHR (GC)-ის 2014 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Tarakhel v Switzerland*, # 29217/12, CE:ECHR:2014:1104JUD002921712, პუნქტი 98.

⁽²³⁵⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტები 291-292. ECtHR-მა მოიხმო მიდგომა, რომელიც მოცემულია ECtHR (GC)-ის 2011 წ. საქმეში „*M.S.S. v Belgium and Greece*“, op. cit., fn. 229.



როგორც ლტოლვილები (იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილები 1.4.4.7 და 1.6.2.4.2). თუ ისინი არ კვალიფიცირდებიან ლტოლვილებად, მიუხედავად ამისა ისინი შეიძლება კვალიფიცირდნენ სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მქონედ სერიოზული ზიანის მიღების რეალური რისკის საფუძველზე⁽²³⁶⁾.

მაგალითად, გერმანიაში ერთ-ერთი საქმე ეხებოდა ახალგაზრდა სუნიტ ქალს, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ოჯახის საბჭოს ჩრდილოეთ ერაყში ევროპაში გაქცევის გზით. გადაწყვეტილების სახით, ბავარიის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იძულებითი ქორწინების მუქარამ, ამ შემთხვევაში ქალის მშობლების მიერ განხორციელებული მუქარამ, შეიძლება შეადგენდეს დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევას QD-ის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის მნიშვნელობით⁽²³⁷⁾. სასამართლომ განაცხადა:

ქორწინების უფლება გარანტირებულია საერთაშორისო კონვენციების მიხედვით (13-ე მუხლი ECHR [sic] მე-9 მუხლი EU-ს ქარტია, 16-ე მუხლის მე-2 პუნქტი გაეროს (UN) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). ლიტერატურაში გამოთქმული ერთმხრივი მოსაზრების მიხედვით, რომელიც ეხება უცხოელთა შესახებ არსებულ კანონმდებლობას, იძულებითი ქორწინების დაძალების ქმედება, რაც არღვევს ქალის თვითგამორკვევის უფლებას, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს დასაგმობ ქმედებას⁽²³⁸⁾.

საფრანგეთში, CNDA-მ განსაზღვრა, რომ იმ მოსახლეობაში სადაც იძულებითი ქორწინება იმდენად გავრცელებულია, რომ სოციალურ ნორმადაა დადგენილი, გოგონები და ქალები, რომლებიც აპირებენ მათის სურვილის საწინააღმდეგოდ დაწესებული ქორწინების თავიდან აცილებას, წარმოადგენენ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს⁽²³⁹⁾ და შესაბამისად, აქვთ ლტოლვილის სტატუსის მიღების უფლება. თუმცა, იმავე სასამართლომ სუბსიდიარული დაცვის სტატუსი მიანიჭა ქალს წარმოშობით დასავლეთ საჰარიდან, რომელიც დაიბადა ალჟირის ლტოლვილთა ბანაკში და ცხოვრობდა დასავლეთ საჰარაში და, რომელიც ექვემდებარებოდა ოჯახურ ძალადობას და იძულებით ქორწინებას მამინაცვლის მიერ.

⁽²³⁶⁾ ECtHR-ში, 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე *Opuz v Turkey*, # 33401/02, CE:ECHR:2009:0609JUD003340102, პუნქტი 161, სასამართლომ განსაზღვრა, რომ განმცხადებლის მიერ გადატანილი ოჯახური ძალადობა „ფიზიკური დაზიანებებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფორმით, [იყო] საკმარისად სერიოზული, რომ გატოლებოდა ბოროტად მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მოცემული მნიშვნელობის თანახმად. შემთხვევა არ მომხდარა წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების კონტექსტში. მანამ სანამ სახელმწიფო ორგანოები არ რჩებიან სრულიად პასიურად ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ECtHR-მა აღმოაჩინა ECHR-ის მე-3 მუხლის დარღვევა „სახელმწიფო ორგანოების მიერ ეფექტური შეკავების ფორმის საშუალებით წარუმატებელი დაცვითი ღონისძიებების ჩატარება ქმრის მიერ განმცხადებლის პიროვნული მთლიანობის სერიოზული დარღვევების წინააღმდეგ“ (პუნქტი 169).

⁽²³⁷⁾ VGH ბავარია, 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, # [13a B 15.30241](#) (შემდგომში - VGH Bavaria, 2016 წ., # [13a B 15.30241](#)). აღნიშნული საქმე ეხებოდა მხოლოდ სუბსიდიარულ დაცვას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადასტურებული ლტოლვილის სტატუსის უარყოფა, არ იქნა გასაჩივრებული განმცხადებლის მიერ. განმსაზღვრელმა ორგანომ გასაჩივრა გადაწყვეტილება სუბსიდიარული დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებით; თუმცა, საჩივარი უარყოფილი იქნა უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ.

⁽²³⁸⁾ VGH ბავარია, 2016 წ., # [13a B 15.30241](#), op. cit., fn. 237, პუნქტი 21 (არაოფიციალური თარგმანი). ECHR-ის მე-13 მუხლის ნაცვლად (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება), სასამართლომ პრეზუმციის სახით მოიხმო ECHR-ის მე-12 მუხლი (ქორწინების უფლება).

⁽²³⁹⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2018 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mme E.*“, # 15031912 R, პუნქტი 3; და CNDA-ის (საფრანგეთი) 2018 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mme D.*“, # 17042624 R, პუნქტი 3. იხ. ასევე CNDA-ის (საფრანგეთი) 2017 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mme H.*“, # 15013446, პუნქტი 4, რაც ეხება ქალებს ჯიბუტიდან, რომლებიც იძულებითი ქორწინების რისკის ქვეშ იმყოფებიან; 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mme C.*“, # 16034664 C, პუნქტი 4, რაც ეხება ქალებს კოტ-დ'ივუარიდან, რომლებიც იძულებითი ქორწინების რისკის ქვეშ იმყოფებიან და FGM; 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Mme T.*“, # 15004721, რაც ეხება ლესბოსელ ქალს კამერუნიდან, რომელიც იძულებით დააქორწინეს. მსგავსი შემთხვევების მეტი მაგალითებისთვის იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.6.2.4.2, განსაკუთრებით მე-17 ცხრილი.



სასამართლომ დაადგინა, რომ როგორც ჩანს ოჯახური ძალადობა დასავლეთ საჰარაში არღვევს ადგილობრივ ჩვეულებებსა და კანონებს; შესაბამისად, მსგავსი ქალები არ ქმნიან კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს. ამავდროულად, მსგავსი ქალების დაცვა მცირე რაოდენობით ხდებოდა და განმცხადებელი შესაბამისად უფლებამოსილი იყო მიეღო სუბსიდიარული დაცვის სტატუსი⁽²⁴⁰⁾.

ადამიანის უფლებების სხვა ინსტრუმენტები ასევე აწესებს დადებით მოვალეობებს სახელმწიფოებზე, სექსუალური და გენდერზე დაფუძნებული ძალადობის წინააღმდეგ ქალების დაცვის მიზნით. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ არსებული კონვენციის კომიტეტმა გამოხატა მოსაზრება, რომ სახელმწიფოები ფლობენ:

მოვალეობას, დაიცვას ქალები, რომლებიც ექვემდებარებიან რეალურ, პირად და ქალების წინააღმდეგ არსებული რისკის სერიოზული ფორმების განჭვრეტადობას, მათ შორის გენდერზე დაფუძნებულ ძალადობას, განურჩევლად იმისა, რომ მსგავს შედეგებს ადგილი შეიძლება ჰქონდეს გამგზავნი სახელმწიფო მხარის ტერიტორიულ საზღვრებს გარეთ⁽²⁴¹⁾.

1.4.3.5.3. სამედიცინო შემთხვევები

CJEU-ს საქმე ჰქონდა სამედიცინო შემთხვევებთან QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის (ბ) პუნქტის კონტექსტში.

იმ შემთხვევის შეფასებისას, რომლის დროსაც განმცხადებელი იტანჯებოდა სერიოზული ავადმყოფობით და როცა წარმოშობის ქვეყანაში არ იყო მკურნალობის შესაბამისი საშუალება CJEU-მ აღნიშნა, რომ „გარკვეული ფაქტორები, რომლებიც სპეციფიკურია იმ კონტექსტისათვის, რომელშიც უნდა განხორციელდეს [QD-ის(ახალი რედაქციით)] მე-15 მუხლის (ბ) პუნქტი ისევე, როგორც დირექტივის მიზნები, ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული ამ დებულების განმარტების მიზნით“⁽²⁴²⁾.

⁽²⁴⁰⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Mme A.“, # 15026470 C. იხ. მალვაზიო, ფ. (Malvasio, F.), „სამართლებრივი დაცვა და დაუცველთა კატეგორიები: როგორ ექვეყნად დაუცველ პირებს საფრანგეთის ეროვნული თავშესაფრის სასამართლოს წინაშე მტკიცებულებისა და ალბათობის შეფასებასთან დაკავშირებით“ კატანის IARMJ კონფერენცია, 2018 წლის 12-14 სექტემბერი.

⁽²⁴¹⁾ CEDAW-ის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაციები # 32, რომელიც ეხება ქალებისთვის ლტოლვილის სტატუსის, თავშესაფრის, ეროვნებისა და მოქალაქეობის არ ქონის შესახებ გენდერთან დაკავშირებული განზომილებებს, CEDAW/C/GC/32, 2014 წლის 15 ნოემბერი, პუნქტი 22. იხ. ასევე CEDAW-ის კომიტეტი, 2019 წლის 15 ივლისის მოსაზრებები, „RSAA et al v Denmark“, CEDAW/C/73/D/86/2015, პუნქტი 8.9. საქმე ეხებოდა იორდანელ მოქალაქეს (თავდაპირველად მოქალაქეობის არ მქონე პალესტინელი ლტოლვილი, რომელმაც მოქალაქეობა იორდანელზე ქორწინების შედეგად მოიპოვა). იგი უწინააღმდეგებოდა მისი ქალიშვილების იძულებით ქორწინებას და მას შემდეგ რაც საკუთარმა ქმარმა სცემა, მისგან გაიქცა. მან დანიაში საერთაშორისო დაცვას მიმართა. კომიტეტმა დაადასტურა ბრალდებები, რომ ის „მან ვერ მოიძია იორდანის სახელმწიფო ორგანოებისგან დაცვა გამგზავრებამდე და, რომ იგი ვერ შეძლებდა აღნიშნულის გაკეთებას დაბრუნებისთანავე... იორდანიაში ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონის, უფრო კონკრეტულად ეგრეთ წოდებული „ღირსების დანაშაულის“ შეუპოვრობის გათვალისწინებით, უახლესი სამართლებრივი შესწორებების მიუხედავად, ქალების მიერ შეურაცხყოფის შესახებ გაკეთებული საჩივრების საპასუხოდ წარუმატებლობის ნიმუში და ადმინისტრაციულ დაკავებასთან დაკავშირებით იორდანის სახელმწიფო ორგანოების უწყვეტი რეგრესი ან ქალებისა და გოგონების „დაცვითი მუხრეობა“ აღნიშნული დანაშაულების მსხვერპლად ყოფნის რისკის ფასად“ (პუნქტი 8.7). კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია სახელმწიფოს თავი შეეკავებინა მისი გადაადგილებისგან. იხ. ასევე CEDAW-ის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია # 19 (1992) ქალების მიმართ ძალადობის შესახებ, A/47/3.

⁽²⁴²⁾ CJEU (GC), 2014 წ., „M'Bodj“, op. cit., fn. 50, პუნქტი 34. განმცხადებელი განიცდიდა სერიოზულ შეურაცხყოფის შემდგომ ეფექტებს, რომელსაც იგი ექვემდებარებოდა მასპინძელ წევრ სახელმწიფოში ყოფნისას (ბელგია) (პუნქტი 17) და მიენიჭა იქ დარჩენის ნებართვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ასევე იმ ფაქტის გამო, რომ წარმოშობის ქვეყანაში არ იყო შესაბამისი მკურნალობის საშუალება (პუნქტი 24).



CJEU-მ გაუზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლი, რომელიც ეხება სერიოზული ზიანის განმარტოვებელ სუბიექტებს, „მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ მსგავსმა ფორმამ აუცილებლად უნდა მიიღოს ქვეყნის ხასიათი მესამე მხარის მხრიდან და, რომ შესაბამისად, აღნიშნული არ შეიძლება უბრალოდ იყოს წარმოშობის ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში არსებული ზოგადი დეფექტების შედეგი⁽²⁴³⁾. სასამართლო მიემხრო QD-ის პრეამბულის 26 პუნქტს (ახლა QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 35-ე პუნქტი), რომლის მიხედვითაც „ის რისკები, რომლის ქვეშაც ქვეყნის მოსახლეობა ან მოსახლეობის ნაწილი ექცევა, ჩვეულებრივ არ ქმნის ისეთ ინდივიდუალურ მუქარას, რომელიც შესაძლოა კვალიფიცირდეს სერიოზულ ზიანად“⁽²⁴⁴⁾. ასევე აღნიშნულია, რომ „დირექტივა მიზნად ისახავს შევსებასა და დამატებას სუბსიდიარული დაცვის, ლტოლვილთა დაცვის საშუალებით“ და, რომ „მისი მოქმედების სფერო არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ცხოვრების უფლება სხვა მიზეზებით, თანაგრძობის ან ჰუმანიტარული ნიშნით დისკრეციულ საფუძველზე“⁽²⁴⁵⁾.

CJEU-მ დაასკვნა:

აქედან გამომდინარეობს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის ჯანმრთელობის გაუარესების რისკი, რომელიც იტანჯება სერიოზული ავადმყოფობისგან წარმოშობის ქვეყანაში შესაბამისი მკურნალობის არარსებობის შედეგად, არ არის საკმარისი მანამ სანამ აღნიშნული მესამე ქვეყნის მოქალაქეს **მიზნობრივად აქვს ჩამორთმეული სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება**, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული პირისთვის სუბსიდიარული დაცვის მინიჭება⁽²⁴⁶⁾.

საქმეზე „ემ პი“ (MP), CJEU-მ უხეზოდა განმცხადებლის საქმეს, რომელიც „აწამა მისი წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებამ და განიცდის მძიმე ფსიქოლოგიურ შედეგებს რომელიც, მის აღნიშნულ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, შეიძლება არსებითად გამწვავდეს და გამოიწვიოს მისი თვითმკვლელობის სერიოზული რისკი“⁽²⁴⁷⁾.

პირველ რიგში, CJEU-მ აღნიშნა ის ფაქტი, რომ „შეშფოთების ქვეშ მყოფი პიროვნება, რომელიც წარსულში აწამა წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებამ, ვერ იქნება მისთვის საკმარისი გასამართლებელი საბუთი იმისათვის, რომ გახდეს უფლებამოსილი სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მისაღებად, როცა აღარ არის მსგავსი წამების გამეორების რეალური რისკი აღნიშნულ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში“⁽²⁴⁸⁾. ამავდროულად, სასამართლომ დაასკვნა, რომ:

⁽²⁴³⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 35.

⁽²⁴⁴⁾ Ibid., პუნქტი 36, რომელიც ეხება QD-ის პრეამბულის 26-ე პუნქტს, QD-ის (ახალი რედაქციით) 35-ე პრეამბულის იდენტურია.

⁽²⁴⁵⁾ Ibid., პუნქტი 36 (დამატებულია ხაზგასმა), რომელიც ეხება 37-ე პუნქტში მე-5, მე-6, მე-9 და QD-ის პრეამბულის 24-ე პუნქტებს, რომელიც შეესაბამება QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-6, მე-12, მე-15 და 33-ე პუნქტებს.

⁽²⁴⁶⁾ Ibid., პუნქტი 36 (დამატებულია ხაზგასმა). აღნიშნული დადასტურებულია CJEU-ში (GC), 2018, *MP*, op. cit., fn. 31, პუნქტი 49.

⁽²⁴⁷⁾ CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 45. განმცხადებელი „განიცდიდა წამების შედეგად გამოწვეულ ეფექტებს, მძიმე პოსტტრამაულ სტრესულ აშლილობასა და სერიოზულ დეპრესიას, ნაჩვენები იქნა შესამჩნევი თვითმკვლელობის მიდრეკილებები და ჩანს, რომ განსაკუთრებულად ჰქონდა გადაწყვეტილი თავის მოკვლა იმ შემთხვევაში, თუ მოუწევდა წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება (პუნქტი 19). CJEU-მ აღნიშნული საქმე ასევე შეადარა *ემ ბოდჯის (M'Bodj)* საქმეს, როცა პირი იტანჯებოდა ჯანმრთელობის პრობლემების გამო, როგორც მასპინძელ წევრ სახელმწიფოში შეურაცხყოფის მსხვერპლი (პუნქტი 47). იხ. ასევე ნაწილი 1.4.3.2, რომელიც მოცემულია ზემოთ.

⁽²⁴⁸⁾ CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 30. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის იმპლიკაციებისთვის აღნიშნულ საქმეში ან ზოგადი, იხილეთ ნაწილი 1.5.2.



მესამე ქვეყნის მოქალაქის ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზი..., კერძოდ, წარსულში წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების მიერ გამოწვეული წამების შემცველი ქმედებები და ფაქტი, რომ მისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შედეგად მისი მენტალური ჯანმრთელობის აშლილობა არსებითად გაუარესდებოდა ფსიქოლოგიური ტრამვის შედეგად, რომელსაც იგი კვლავ განიცდის წამების გამო, მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს [QD-ის] მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის ინტერპრეტირებისას ⁽²⁴⁹⁾.

CJEU-მ განიხილა CAT-ის მე-14 მუხლი, განსხვავებული ⁽²⁵⁰⁾ მიზნებისა და დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით, რომ QD-ი და CAT-ი ახორციელებს ⁽²⁵¹⁾. აღნიშნულმა დაადგინა, რომ საჭიროა დადგინდეს შეიძლება თუ არა დაბრუნების შემთხვევაში განმცხადებელი აღმოჩნდეს შემდეგის წინაშე:

დაუპირისპირდეს მიზნობრივად აღკვეთილ მომსახურებას ფიზიკური და მენტალური შედეგებთან დაკავშირებით, რასაც იგი ექვემდებარებოდა აღნიშნული ქვეყნის ხელისუფლების მიერ. აღნიშნული ასე იქნება, მათ შორის თუ... მესამე ქვეყნის მოქალაქე იმყოფება წამების შედეგად მიღებული ტრამვის გამო თვითმკვლელობის ჩადენის რისკის ქვეშ, რომელიც განხორციელდა წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების მიერ [და], ნათელია, რომ მიუხედავად მათი მოვალეობისა [CAT]-ის მე-14 მუხლის მიხედვით, აღნიშნული ხელისუფლება არ არის მზად იმისთვის, რომ უზრუნველყოს მისი რეაბილიტაცია. შესაძლებელია კიდევ არსებობდეს რისკი თუ ნათელია, რომ აღნიშნული ქვეყნის ხელისუფლებებმა გაატარეს ჯანდაცვის მომსახურების წვდომასთან დაკავშირებით დისკრიმინაციული პოლიტიკა, რაც შესაბამისად გაცილებით რთულს ხდის კონკრეტული ეთნიკური ან ინდივიდების კონკრეტული ჯგუფებისთვის... მოიპოვონ აღნიშნული ხელისუფლებების მიერ განხორციელებული ფიზიკური და მენტალური წამების შედეგების გამო შესაბამის მომსახურებაზე წვდომა ⁽²⁵²⁾.

იმ საქმეებში, როცა მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მათი წარმოშობის ქვეყანაში დისკრიმინაციული მიზნების გამო განზრახ არიან აღკვეთილნი წამების შედეგად მიღებული ეფექტებისთვის შესაბამისი საჭირო მომსახურებისგან, უნდა იქნას გარკვეული შეიძლება თუ არა აღნიშნული დისკრიმინაციული მიზეზები ნიშნავდეს პირისთვის ლტოლვილის სტატუსით კვალიფიცირებას (იხილეთ ზემოთ მოცემული [ნაწილი 1.6](#)).

⁽²⁴⁹⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 48.

⁽²⁵⁰⁾ Ibid., პუნქტი 52. აღნიშნული შეეხო (QD-ის) პრეამბულის 25-ე პუნქტს (ახლა QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 34-ე პუნქტი). CJEU-მ აღნიშნა, რომ CAT-ის მე-14 მუხლის მიხედვით, CAT-ის სახელმწიფო მხარეებმა „უნდა უზრუნველყონ, რომ საკუთარი სამართლებრივი სისტემის თანახმად წამების მსხვერპლი ფლობდეს უფლებას მიიღოს ანაზღაურება, მათ შორის რესურსები, რომელიც საჭიროა რეაბილიტაციის მისაღწევად რაც შეიძლება მაღე“ (პუნქტი 52).

⁽²⁵¹⁾ Ibid., პუნქტი 54. 56-ე პუნქტში, CJEU-მ განაცხადა, რომ „აღნიშნული შეუძლებელია, ორი რეჟიმის საშუალებით დაფარული განსხვავებული ტერიტორიების უფლებებელიყოფის გარეშე, მესამე ქვეყნის მოქალაქის ისეთ სიტუაციაში ყოფნისას როგორცაა მოცემული „ემ პის“ საქმეში, იმისათვის, რომ უფლებამოსილი იყოს სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მისაღებად ყველა დარღვევის შედეგად, მისი წარმოშობის ქვეყნიდან, [CAT-ის] მე-14 მუხლი“. QD-ისა (ახალი რედაქციით) და CAT-ის მიზნები განსხვავდება ერთმანეთისგან. ამ უკანასკნელის უმეტესი დებულებები ორიენტირებულია სახელმწიფოების მიერ წამების ან სხვა ბოროტების მომცველი ქმედების, არაადამიანური მოპყრობის ან დასჯის აკრძალვაზე (CAT-ის მე-2 და მე-16 მუხლები). იხ. კომიტეტი წამების წინააღმდეგ 2008 წლის 24 იანვრის ზოგადი კომენტარი # 2 სახელმწიფოების მიერ მე-2 მუხლის იმპლემენტაცია, CAT/C/GC/2, პუნქტი 3. მეორე მხრივ, QD-ის (ახალი რედაქციით) მიზანი „იმ პირების იდენტიფიკაციისთვის არსებული საერთო კრიტერიუმის გამოყენების უზრუნველყოფაა, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას“ და „სარგებლის მინიმუმ დონეს... აღნიშნული პირებისთვის“ (QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-12 პუნქტი).

⁽²⁵²⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 57.





ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის სფერო აღნიშნულ საქმეებში განსხვავდება ECHR-ის მე-3 მუხლისგან. სამედიცინო შემთხვევებში, მიუხედავად აღნიშნულისა, CJEU-მ მოიხმო EctHR-ის პრეცედენტული სამართალი, რომელიც ეხება ECHR-ის მე-3 მუხლს, იმ მიზნით, რომ მოხდეს არაადამიანური მოპყრობის ინტერპრეტაცია EU-ს ქარტიის მე-4 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით⁽²⁵³⁾.

CJEU-მ გაიხსენა, რომ ECHR-ის მე-3 მუხლი მოიცავს:

ბუნებრივად მომხდარი ავადმყოფობით გამოწვეული წამება, იქნება ეს ფიზიკური თუ მენტალური... რომელიც არის, ან არსებობს მისი მოხდენის რისკი, რომელიც გამოწვეულია მოპყრობით, იქნება ეს შეკავების, გადაადგილების ან სხვა ზომების შედეგად, რაზეც შესაძლოა პასუხს აგებდეს ხელისუფლება იმ პირობით, თუ კი გამოწვეული წამება აღნიშნული მუხლის გათვალისწინებით აღწევს სიმძიმის მინიმალურ დონეს ⁽²⁵⁴⁾.

სიმძიმის მსგავსი ზღვარი უნდა იქნას დაცული ავადმყოფობის შემთხვევაშიც, რომელიც „ბუნებრივად არ ჩნდება მაშინ როცა მომსახურების ნაკლებობა, რაც ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო პირისთვის, გაძევების შემდეგ, არ მიეკუთვნება მიმღები სახელმწიფოს მიზნობრივ ქმედებას ან უმოქმედობას“⁽²⁵⁵⁾.

საქმეში „ემ პი“ (MP) CJEU-მ განსაზღვრა, რომ მე-4 მუხლი და EU- ქარტიის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი „ხელს უშლის წევრ სახელმწიფოს გააძეოს მესამე ქვეყნის მოქალაქე, მაშინ როცა მსგავსი განდევნა, იდეაში, გამოიწვევს აღნიშნული პირის მენტალური აშლილობის მნიშვნელოვან და მუდმივ გაუარესებას, განსაკუთრებით მაშინ... როცა მსგავსი გაუარესება მის სიცოცხლეს აგდებს საფრთხეში“⁽²⁵⁶⁾. თუმცა, მან დაადგინა, რომ:

⁽²⁵³⁾ Ibid., პუნქტები 36–37 და 41.

⁽²⁵⁴⁾ Ibid., რომელიც მოიხსენიებს EctHR (GC)-ის 2016 წ. საქმეს „პაპოშვილი“, op. cit., fn. 55, პუნქტები 174-175, და CJEU, 2017 წ., „CK and Others“, op. cit., fn. 226, პუნქტი 68. „პაპოშვილის“ (Paposhvili) საქმეში, განმცხადებელი დაავადებული იყო ლეიკემიით, მან გაიარა ქიმიოთერაპიის კურსები და იმყოფებოდა სერიოზული გართულებების რისკის ქვეშ, რაც მოითხოვდა რეგულარულ მონიტორინგს სპეციალიზირებულ გარემოში. იგი მკურნალობდა ძალიან ძვირი პრეპარატებით, რაც ხელმიუწვდომელი იყო მისი წარმოშობის ქვეყანაში (საქართველო) და იმყოფებოდა ორგანოების დონაციის მოძიების ძიებაში.

⁽²⁵⁵⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 39. CJEU-მ მოიხმო EctHR-ის 2013 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „SHH v United Kingdom“, # 60367/10, CE:ECHR:2013:0129JUD006036710 (შემდგომში - EctHR, 2013 წ., „SHH v UK“), პუნქტი 89, რომელშიც განმცხადებელმა, რომელსაც ჩუბარდა ფეხის ამპუტაცია, განასხვავა მისი შემთხვევა საქმისგან „N გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (N v United Kingdom), იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მას არ აწუხებდა ბუნებრივი ავადმყოფობა და არ მოითხოვდა მკურნალობას. EctHR-მა აღნიშნა, რომ მომავალში მოსალოდნელი ზიანი წარმოიშობოდა სამედიცინო მკურნალობის ან კეთილდღეობის დეზულების საკმარისი რესურსების ნაკლებობიდან სამედიცინო მკურნალობის ან კეთილდღეობის დეზულების უზრუნველყოფით, ვიდრე მიმღების სახელმწიფოს ხელისუფლებების მხრიდან მიზნობრივი ქმედებები ან უმოქმედობა (პუნქტი 94). იხ. EctHR (GC), 2021 წ., „Savran v Denmark“, op. cit., fn. 179 EctHR-მა განაცხადა, რომ იგი „თანმიმდევრულად იყენებდა იმავე პრინციპებს იმ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა სერიოზული ავადმყოფობის მქონე განმცხადებლების გადასახლებას, განურჩევლად მათი კონკრეტული სამედიცინო პრობლემის ტიპისა-სომატური თუ მენტალური, რაც ეფუძნებოდა მათ ჯანმრთელობის პირობებს“ (პუნქტი 137). საქმე დაკავშირებული იყო შიზოფრენიით დაავადებულ განმცხადებელთან. სამედიცინო მტკიცებულებები მიუთითებდნენ, რომ მკურნალობის შეწყვეტას შეიძლება მოყოლოდა „სერიოზული შედეგები საკუთარი თავისთვისა და მის გარშემოყოფათათვის“ (პუნქტი 142). სამედიცინო განცხადებებზე დაყრდნობით, EctHR-მა დაადგინა, რომ „რეციდივს სავარაუდოდ შეუძლო გამოეწვია „აგრესიული ქვევა“ და „სხვა ადამიანების მიმართ სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის მნიშვნელოვანად მაღალი რისკი“ [...] [აღნიშნული] ვერ იქნება დახასიათებული როგორც „ინტენსიური ტანჯვის შედეგი“ საკუთრივ განმცხადებლის მიმართ (პუნქტი 143). მან შესაბამისად განსაზღვრა, რომ სიმძიმის ზღვარი ECHR-ის მე-3 მუხლის მიხედვით არ იქნა მიღწეული (პუნქტი 147).

⁽²⁵⁶⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი. 43. იხ. ასევე CJEU (GC), 2014 წ., „M'Bodj“, op. cit., fn. 50, პუნქტი 39.



ფაქტი, რომ მე-3 მუხლი [ECHR]... გამონაკლის შემთხვევებში გამორიცხავს მესამე ქვეყნის მოქალაქის სერიოზულ ავადმყოფობისას, იმ ქვეყანაში გადაადგილება, სადაც მკურნალობა არაა ხელმისაწვდომი არ ნიშნავს, რომ პირს უნდა მიენიჭოს წევრ სახელმწიფოში საცხოვრებლად გადასვლას სუბსიდიარული დაცვის გზით [QD-ის] მიხედვით⁽²⁵⁷⁾.

CJEU-ი შეეხო ECtHR-ის გადაწყვეტილებას საქმეში „პაპოშვილი“ (*Paposhvili*), რამაც „გამონაკლისი შემთხვევები“ განიხილა როგორც ვითარება, რომელიც მოიცავს:

სერიოზულად ავადმყოფი პირის გადაადგილება როცა არსებითი საფუძველი იქნა ნაჩვენები იმაში დასარწმუნებლად, რომ მიუხედავად გარდაუვალი სიკვდილის რისკის არარსებობისა, იგი შეიძლება აღმოჩნდეს რეალური რისკის ან მსგავს მკურნალობაზე წვდომის ნაკლებობის წინაშე მიმდებ ქვეყანაში, როცა იგი იმყოფება სერიოზული, სწრაფი და შეუქცევადი ჯანმრთელობის მდგომარეობის დაქვეითების წინაშე და იწვევს ინტენსიურ ტანჯვას ან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მნიშვნელოვან შემცირებას⁽²⁵⁸⁾.

საფრანგეთში CNDA-მ დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობის ექვივალენტი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში არ ფარავს ისეთ სიტუაციას, როცა სერიოზულად ავადმყოფი განმცხადებელი შეიძლება აღმოჩნდეს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინაშე დაბრუნების შემთხვევაში ადეკვატური ჯანდაცვის ნაკლებობის შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განმცხადებელ განზრახ ჩამოერთვა ამგვარი მომსახურება⁽²⁵⁹⁾.

საქმეში, რომელიც ეხება ECHR-ის მე-3 მუხლის მიხედვით წარმოდგენილ საჩვარს დაბრუნებაზე წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, გაერთიანებული სამეფოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ:

მაშინ, როცა სწორედ განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს მტკიცებულებების საშუალებით მისი სამედიცინო მდგომარეობა, მიმდინარე მკურნალობა (მათ შორის სხვა სახის მკურნალობის სავარაუდო შესაბამისობა) და მასზე წვდომის შეუძლებლობის ეფექტი, უმჯობესია დაბრუნების სახელმწიფომ შეაგროვოს მტკიცებულება მიმდებ სახელმწიფოში შესაბამისი მკურნალობის შესაძლებლობასა და ხელმისაწვდომობაზე.⁽²⁶⁰⁾

წარმოშობის ქვეყანაში არასაკმარისი სამედიცინო მომსახურება ასევე შეიძლება არსებითი იყოს არგატელების პრინციპის განსახილველად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ არსებული კონვენციის (CRPD) მე-15 მუხლის მიხედვით, რაც წამებისგან, ბოროტი მოპყრობისგან, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან

⁽²⁵⁷⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 46.

⁽²⁵⁸⁾ ECtHR (GC), 2016 წ., „Paposhvili“, op. cit., fn. 55, პუნქტი 183, შეეხო CJEU-ს (GC), 2018, *MP*, op. cit., fn. 31, პუნქტი 40. აღნიშნული ზღვარი ხელახლა იქნა დამტკიცებული ECtHR (GC)-ის 2021 წ. საქმეში „Savran v Denmark“, op. cit., fn. 179.

⁽²⁵⁹⁾ CNDA (საფრანგეთი), 2017 წლის 16 მაისი ბრძანება, *M. B.*, # 17706661 C+ (წარმოდგენილია CNDA-ის (საფრანგეთი) კრებულში „Recueil contentieux du droit d’asile, année 2017“, გვ. 98-100).

⁽²⁶⁰⁾ უზენაესი სასამართლოს (გაერთიანებული სამეფო) 2020 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „AM (Zimbabwe) v Secretary of State for the Home Department“, [2020 წ.] UKSC 17, პუნქტი 33.





და დასჯისგან თავისუფლების გარანტიას იძლევა⁽²⁶¹⁾. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტმა საქმეში „ენ ელ“ (NL) დაადგინა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს „არსებობს თუ არა არსებითი საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ ავტორი აღმოჩნდება გამოუსწორებელი ზიანის რეალური რისკის წინაშე, როგორც აღნიშნული ჩაფიქრებულია მე-10 მუხლით [სიცოცხლის უფლება] და მე-15 მუხლი გადაადგილების შემთხვევაში⁽²⁶²⁾. ამ შემთხვევაში, განმცხადებელმა წარადგინა რამდენიმე სამედიცინო მოწმობა შიდასახელმწიფოებრივ ხელისუფლებაში და მიუთითა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო და იმ მკურნალობის გარეშე, რომელსაც სახელმწიფოში იღებდა, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტმა განსაზღვრა, რომ „შიდასახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ იმ რისკის შეფასების წარუმატებლობა, რომლის წინაშეც ავტორი იყო მის ხელთ არსებული ინფორმაციის ფონზე მისსავე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მისი უფლებების დარღვევა ხდებოდა კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით“⁽²⁶³⁾.

1.4.4. სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში არსებული განურჩეველი ძალადობის გამო (მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი ადგენს შემდეგს.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი

სერიოზული ზიანი მოიცავს:

[...]

- (ა) საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში, განურჩეველი ძალადობის გამო სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის არსებულ სერიოზულ ან ინდივიდუალურ საფრთხეს.

საქმეში „ელგაფაჯი“ (Elgafaji) CJEU-მ აღნიშნა, რომ მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში გამოყენებული ტერმინები ვრცელდება „ვითარებაზე, როდესაც სუბსიდიარულ დაცვის მაძიებლები კონკრეტული სახის ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ იმყოფებიან“⁽²⁶⁴⁾. ამის საპირისპიროდ, მან განაცხადა, რომ „ღირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრული ზიანი, რომელიც შედგება „[განმცხადებლის] სიცოცხლის ან პიროვნებისთვის არსებული სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხისგან“, მოიცავს

⁽²⁶¹⁾ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტმა დაადგინა, რომ აღნიშნული არის ექსტრატერიტორიული განაცხადი. იხ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტის 2020 წლის 28 აგვისტოს მოსაზრებები საქმეში „NL v Sweden“, საკომუნიკაციო წერილი # CRPD/C/23/D/60/2019 (შემდგომში - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტი, 2020 წ., „NL“), პუნქტი 7.5. ევროკავშირმა მოახდინა CRPD-ის რატიფიცირება და რატიფიკაციის შედეგები მოკლედ არის აღწერილი სქოლიოში. 49.

⁽²⁶²⁾ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტი, 2020 წ., „NL“, op. cit., fn. 261, პუნქტი 7.8.

⁽²⁶³⁾ Ibid., პუნქტი 7.8. იხ. ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტის 2021 წლის 6 სექტემბრის მოსაზრებები საქმეში „ZH v Sweden“, CRPD/C/25/D/58/2019, პუნქტები 10.4 და 10.7, რომელშიც ასევე დადგენილ იქნა CRPD-ის მე-15 მუხლის დარღვევა.

⁽²⁶⁴⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 32.



ზიანის მიყენების უფრო ზოგად რისკს“⁽²⁶⁵⁾. სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი მიუთითებს:

უფრო ზოგადად, „სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის არსებულ... საფრთხეზე“, ვიდრე ძალადობის კონკრეტულ აქტებზე. უფრო მეტიც, ეს საფრთხე დამახასიათებელია „საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის“ ზოგადი სიტუაციისთვის“. და ბოლოს, განსახილველი ძალადობა, რომელიც იწვევს ამ საფრთხეს, აღწერილია როგორც „განურჩეველი“ - ტერმინი, რომელიც გულისხმობს, რომ ის შეიძლება გავრცელდეს ადამიანებზე, მიუხედავად მათი პირადი გარემოებებისა⁽²⁶⁶⁾.

მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სერიოზული ზიანი უნდა წარმოიშვას განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში⁽²⁶⁷⁾.

მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის სხვადასხვა ელემენტები, რომელიც სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულია ნახაზში 6. თითოეული განხილულია შემდეგ ქვენაწილებში.

ნახაზი 6: მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის სხვადასხვა ელემენტები



CJEU-ის მიდგომა აღწერილია, როგორც სისტემური ან „მეტა-ტელეოლოგიური“ მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ შესაბამისი დებულებების ობიექტსა და მიზანზე, არამედ მთლიანად ევროკავშირის რეჟიმით გათვალისწინებულ ობიექტსა და მიზანზე, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა იმ სტანდარტებს, რომელიც შედის ევროკავშირის ქარტილაში, ასევე, ორგანიზაციის ფუნდამენტურ ღირებულებებს⁽²⁶⁸⁾.

როგორც აღნიშნულია ზემოთ მოცემულ ნაწილში 1.4.3, CJEU-მ დაადგინა, რომ „[QD-ის] მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი არსებითად შეესაბამება ECHR-ის მე-3 მუხლს“⁽²⁶⁹⁾. ამის საპირისპიროდ, მან განაცხადა, რომ:

ღირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი არის დებულება, რომლის შინაარსიც განსხვავდება ECHR-ის მე-3 მუხლის შინაარსისგან და, შესაბამისად, მისი განმარტება

⁽²⁶⁵⁾ Ibid., პუნქტი 33.

⁽²⁶⁶⁾ Ibid., პუნქტი 34.

⁽²⁶⁷⁾ იხ. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი, რომელიც ეხება პირს, რომელიც „თავისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში... აღმოჩნდებოდა სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ, როგორც ეს განსაზღვრულია მე-15 მუხლით“.

⁽²⁶⁸⁾ იხ., მაგალითად, მორენო ლაქსი, ვ. (Moreno Lax, V.), „ავტონომიის, ავტარქიის, მიზანდასახულობისა და ფრაგმენტაციის შესახებ: კავშირი ევროკავშირის თავშესაფრის სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის“, კანტორი, დ. (Cantor, D.) და დურიო, ჯ-ფ (Durieux, J.-F.) (რედ.), „თავშესაფარი არაადამიანობისგან? ომს გაქცეული ლტოლვილები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“, Martinus Nijhoff, ლაიდენი, 2014 წ., გვ. 298.

⁽²⁶⁹⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 28. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილები 1.4.1 და 1.4.3.1, და ქვემოთ მოცემული ნაწილი 1.4.4.3.2.





უნდა მოხდეს დამოუკიდებლად, თუმცა ძირითადი უფლებების სათანადო გათვალისწინებით, რადგან ისინი გარანტირებულია ECHR-ით ⁽²⁷⁰⁾.

რაც შეეხება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტს, მიუხედავად იმისა, რომ CJEU-მ მიიჩნია, რომ მისი შინაარსი განსხვავდება ECHR-ის მე-3 მუხლის შინაარსისგან, ზოგიერთი მისი ასპექტი ინსპირირებულია ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკით ⁽²⁷¹⁾.

CJEU-ს ჯერ არ განუხილავს საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა, რომ განმცხადებლებს, რომლებიც არ ხვდებიან QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მოქმედების სფეროში და გაურბიან შეიარაღებულ კონფლიქტს, ჰქონდეთ სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის („eligible“) უფლება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ ან „ბ“ პუნქტის მიხედვით.

ნაწილი 1.4.4 დაყოფილია ხუთ ქვენაწილად, როგორც ეს წარმოდგენილია 43-ე ცხრილში.

ცხრილი 11: ნაწილის 1.4.4 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
1.4.4.1	„საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტი“	75
1.4.4.2	„განურჩეველი ძალადობა“	76
1.4.4.3	„სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე“	77
1.4.4.4	ურთიერთკავშირი „სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხესა“ და „განურჩეველ ძალადობას“ შორის	93
1.4.4.5	„სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან პიროვნება“	94

დანართში A შეჯამებულია შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა.

1.4.4.1. „საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტი“

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მოქმედების სფერო მოიცავს „საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებულ კონფლიქტს“.

CJEU-ს ჯერ არ განუხილავს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მნიშვნელობა. თუმცა შიდა შეიარაღებული კონფლიქტის მნიშვნელობა განმარტებული იყო CJEU-ის მიერ საქმეში „დიაკიტე“ (*Diakité*). გადაწყვეტილებით განიმარტა:

აღნიშნული დებულების გამოყენების მიზნებისათვის, შიდა შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს, თუ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები უპირისპირდება ერთ ან მეტ შეიარაღებულ დაჯგუფებას ან თუ ორი ან მეტი შეიარაღებული დაჯგუფება უპირისპირდება ერთმანეთს. არ არის აუცილებელი, რომ ეს კონფლიქტი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით კატეგორიზირებული იყოს როგორც „შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც არ არის საერთაშორისო ხასიათის“; ასევე, გარდა მოცემულ ტერიტორიაზე ძალადობის დონის შეფასებისა, არ არის

⁽²⁷⁰⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 28.

⁽²⁷¹⁾ Ibid., პუნქტი 28. მეორე მხრივ, ECtHR-ი ვერ დარწმუნდა, რომ ECHR-ის მე-3 მუხლი „არ გვთავაზობს დაცვის ისეთ ხარისხს, რომელიც [QD-ის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით] მინიჭებულ დაცვის ხარისხს შეესაბამება“. იხ. ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55 პუნქტი 226; და EASO-ის სახელმძღვანელო „*შესავალი CEAS-ში — პრევენციული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 8, გვ. 73-74.



საჭირო შეიარაღებული დაპირისპირების ინტენსივობის, ჩართული შეიარაღებული ძალების ორგანიზების დონის ან კონფლიქტის ხანგრძლივობის ცალკე შეფასება (272).

აღნიშნულ დასკვნაზე მუშაობისას, CJEU-მ ნათლად აღნიშნა, რომ სუბსიდიარული დაცვის რეჟიმს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალს „აქვს განსხვავებული მიზნები და ადგენს სრულიად განსხვავებულ დაცვის მექანიზმებს“ (273). აქედან გამომდინარე, „შეუძლებელია სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება („eligibility“) განპირობებული იყოს იმის დადგენით, რომ დაკმაყოფილებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების პირობები“ (274). შესაბამისად, CJEU-მ თავისივე დასკვნა შიდა შეიარაღებული კონფლიქტის მნიშვნელობის შესახებ, აღწერა როგორც „გამოტანილი ყოველდღიურ ენაში მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით და, ასევე, რომელიც ითვალისწინებს კონტექსტს, რომელშიც ის ხდება, და იმ წესების მიზნებს, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ის“ (275).

ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა მაინც იყოს საჭირო სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ გადაწყვეტილების მიღება, იმის თაობაზე რეალურად მინდინარეობს თუ არა შეიარაღებული დაპირისპირება სასამართლოს მიერ აღწერილი მნიშვნელობით. CJEU-ის განმარტება, მაგალითად, გამორიცხავს სიტუაციას, რომელშიც მხოლოდ ერთი შეიარაღებული დაჯგუფება უპირისპირდება ზოგადად მოსახლეობას.

1.4.4.2. „განურჩეველი ძალადობა“

„განურჩეველი ძალადობა“ ეხება კონკრეტული ტიპის სერიოზული ზიანის წყაროს, რომელიც დადგენილია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით. საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), CJEU-მ განაცხადა, რომ ძალადობა, რომელიც იწვევს სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს განმცხადებლის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის, აღწერილია როგორც „განურჩეველი“ - „ტერმინი, რომელიც გულისხმობს, რომ ის შეიძლება გავრცელდეს ადამიანებზე, მიუხედავად მათი პირადი გარემოებებისა“ (276).

მაგალითად, უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო), რომელმაც ასევე გააკეთა მითითება საქმეზე „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), განურჩეველი დაბომბვა ან ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა მიიჩნია:

(272) CJEU, 2014 წ., „*Diakité*“, op. cit., fn. 102, პუნქტი 35. იხ. ასევე CNDA-ის (საფრანგეთი) 2017 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*J-ნი ი.ბ.*“ (*Mme I.B.*), # 15030837 C (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2017 წ., „*Mme I.B.*“, 15030837 C), რომელმაც მიიჩნია, რომ სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებების შეიარაღებული დაპირისპირებები - ერთი მხრივ, ყოფილ სელეკასა [Séléka], და მეორე მხრივ, ანტი-ბალაკას [Anti-Balaka] მილიციას შორის, შეიძლება იყოს კვალიფიცირებული, როგორც შიდა შეიარაღებული კონფლიქტი. აღნიშნულ დასკვნაზე მუშაობისას, CNDA-მ, მათ შორის, მოიხსენია გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები.

(273) CJEU, 2014 წ., „*Diakité*“, op. cit., fn. 102, პუნქტი 24. იხ. ასევე პუნქტი 23, სადაც ნათქვამია, რომ: „მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შექმნილია, მათ შორის, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა კონფლიქტის ზონაში ომის ეფექტების შეზღუდვით ადამიანებზე და საკუთრებაზე, [QD-ის] მე-2 მუხლის „ე“ პუნქტისგან განსხვავებით, რომელიც წაკითხული უნდა იყოს აღნიშნული დირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტთან ერთად, ის არ ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის მინიჭებას გარკვეული სამოქალაქო პირებისთვის, რომლებიც იმყოფებიან როგორც კონფლიქტის ზონის, ასევე კონფლიქტის მხარეების ტერიტორიის გარეთ.

(274) Ibid., პუნქტი 26.

(275) Ibid., პუნქტი 27.

(276) CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 34; CJEU, 2021 წ., *CF and DN*, op. cit., fn. 684, პუნქტი 26.





როგორც განურჩეველი იმ გაგებით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ კონკრეტული ან ზოგადი სამიზნეები, ისინი აუცილებლად საფრთხეს უქმნიან უბრალო მოქალაქეს, რომელიც შეიძლება შემთხვევით იმყოფებოდეს შემთხვევის ადგილზე, რაც არგუმენტში აღწერილია როგორ თანმხლები ზიანი. კონკრეტულ სამიზნეებში ჩვენ ვგულისხმობთ ფიზიკურ პირებს ან პირთა ჯგუფებს, როგორცაა ჯარი ან პოლიციის ოფიცრები. გამოყენებული საშუალებები შეიძლება იყოს ბომბები, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს სამიზნის გარდა სხვა ადამიანებზეც, ან ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა, რომელიც წარმოშობს თანმხლები ზიანის ნაკლებ, მაგრამ მაინც რეალურ რისკს. ზოგად სამიზნეებში ჩვენ ვგულისხმობთ უფრო განურჩეველ თავდასხმებს, მაგალითად, სუნიტებზე ან შიიტებზე, ან პირიქით. ასეთი თავდასხმები შეიძლება მოიცავდეს ბომბების აფეთქებას ხალხმრავალ ადგილებში, როგორცაა ბაზრები ან სადაც ტარდება რელიგიური მსვლელობა ან შეკრება⁽²⁷⁷⁾.

რაც შეეხება ნიგერის დელტაში 2020 წელს არსებულ მძიმე გარემოსდაცვით ვითარებას, ეთნიკურ და პოლიტიკურ კონფლიქტებსა და სიღარიბეს, იტალიის უზენაესმა საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა, რომ გამოწვეულმა დაუცველობამ, რომელიც დაკავშირებულია დივერსიასთან, გატაცებებთან და პოლიციაზე თავდასხმებთან, ვერ მიაღწია განურჩეველი ძალადობის დონეს, შეიარაღებული კონფლიქტის ან ეკვივალენტური სიტუაციის კონტექსტში, რომელიც აუცილებელია სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებისთვის.⁽²⁷⁸⁾

ანალოგიურად, UNHCR-ის მიერ ტერმინი „განურჩეველი“ განიმარტება იმგვარად, რომ მოიცავს „ძალადობის აქტებს, რომელიც არ არის მიმართული კონკრეტულ ობიექტზე ან ინდივიდზე, ისევე როგორც ძალადობის აქტებს, რომელიც მიმართულია კონკრეტულ ობიექტზე ან ინდივიდზე, მაგრამ რომელზეც ზემოქმედებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვებს“⁽²⁷⁹⁾.

1.4.4.3. „სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე“

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრული ზიანი ეხება სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის არსებულ „სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს“. ეს ტერმინები განიხილება შემდეგ პუნქტებში.

1.4.4.3.1. „სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხის“ მნიშვნელობა

საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), CJEU-მ განაცხადა, რომ სიტყვა „ინდივიდუალური“ უნდა იყოს გაგებული:

რომ მოიცავს სამოქალაქო პირებისთვის მიყენებულ ზიანს, განურჩევლად მათი ვინაობისა, როდესაც მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტისთვის დამახასიათებელი განურჩეველი ძალადობის დონე... აღწევს ისეთ მაღალ დონეს, რომ არსებობს

⁽²⁷⁷⁾ უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „HM and Others (Article 15(c)) Iraq CG“, [2012 წ.] UKUT 00409 (შემდგომში - უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „HM and Others (Article 15(c)) Iraq CG“), პუნქტი 42.

⁽²⁷⁸⁾ უზენაესი საკასაციო სასამართლოს (Corte Suprema di Cassazione) (იტალია) 2020 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Applicant v Ministry of Interior (Ministero dell'interno)*, # 23925/19 (დასკვნა ინგლისურ ენაზე) (შემდგომში - უზენაესი საკასაციო სასამართლო (იტალია), 2020 წ., *Applicant v Ministry of Interior (Ministero dell'interno)*, # 23925/19 (დასკვნა ინგლისურ ენაზე)).

⁽²⁷⁹⁾ UNHCR, „ბოლო, ბოლო უსაფრთხოა? კანონმდებლობა და სამართლებრივი პრაქტიკა უკრაინის შერჩეულ წერტილებში თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებაში, რომლებიც გაურბიან განურჩევლად ძალადობას“, 2011 წლის ივლისი (შემდგომში - UNHCR, „ბოლო, ბოლო უსაფრთხოა?“), პუნქტი 103.



არსებითი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თუ სამოქალაქო პირი დაბრუნდება შესაბამის ქვეყანაში ან, შემთხვევის მიხედვით, შესაბამის რეგიონში, მაშინ მხოლოდ ამ ქვეყანაში ან რეგიონის ტერიტორიაზე მისი ყოფნის გამო, მას დაემუქრება დირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში მითითებული სერიოზული საფრთხე ⁽²⁸⁰⁾.

საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), სასამართლო აღნიშნავს, რომ განმარტება „სავარაუდოდ უზრუნველყოფს, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტს აქვს თავისი გამოყენების სფერო“ ⁽²⁸¹⁾. CJEU-მ გააკეთა მითითება QD-ის პრეამბულის 26-ე პუნქტზე (ახლა QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 35-ე პუნქტი), რომლის მიხედვითაც, „რისკები, რომელსაც ზოგადად ექვემდებარება ქვეყნის მოსახლეობა ან მოსახლეობის ნაწილი, ჩვეულებრივ არ ქმნის ინდივიდუალურ საფრთხეს, რომელიც კვალიფიცირდება როგორც სერიოზული ზიანი“. აღნიშნული პრეამბულის ფორმულირება:

მიუხედავად ამისა, სიტყვის „ჩვეულებრივად“ გამოყენებით, უშვებს იმგვარი გამოთქმის სიტუაციის არსებობის შესაძლებლობას, რომელიც ხასიათდება რისკის ისეთი მაღალი დონით, როდესაც არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ აღნიშნული პირი ინდივიდუალურად აღმოჩნდება ამ კონკრეტული რისკის ქვეშ ⁽²⁸²⁾.

CJEU-მ ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული სიტუაციის განსაკუთრებული ბუნება დასტურდება „იმ ფაქტით, რომ შესაბამისი დაცვა არის სუბსიდიარული, და დირექტივის მე-15 მუხლის ფართო ლოგიკის მიხედვით, ზიანი, რომელიც განსაზღვრულია ამავე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით. მოითხოვს ინდივიდუალიზაციის მკაფიო დონეს“ ⁽²⁸³⁾. ეს საშუალებას იძლევა მოხდეს „თანმიმდევრული ინტერპრეტაცია დირექტივის მე-15 მუხლში მითითებულ დანარჩენ ორ ვითარებასთან დაკავშირებით“ ⁽²⁸⁴⁾. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ამ კუთხით, რაც უფრო მეტად შეძლებს განმცხადებელი აჩვენოს, რომ მასზე ზეგავლენას ახდენს მისი პირადი გარემოებების განსაკუთრებული ფაქტორები, მით უფრო დაბალია განურჩეველი ძალადობის დონე, რომელიც აუცილებელია სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების („eligible“) მისაღებად“ ⁽²⁸⁵⁾.

CJEU-მ დაასკვნა:

... [QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი, წაკითხული მისივე მე-2 მუხლის „ე“ პუნქტთან ერთად, უნდა განიმარტოს შემდეგი მნიშვნელობის მქონედ:

- სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხის არსებობა სუბსიდიარულ დაცვის მაძიებლის სიცოცხლისთვის ან პიროვნებისთვის, არ ექვემდებარება იმ პირობას, რომ ამ განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მტკიცებულება, რომ ის კონკრეტულად

⁽²⁸⁰⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 35. იხ. ასევე CJEU, 2021 წ., „*CF and DN*“, op. cit., fn. 684, პუნქტები 27-28.

⁽²⁸¹⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 36.

⁽²⁸²⁾ Ibid., პუნქტი 37. საქმის „*ელგაფაჯი*“ (*Elgafaji*) შემდეგ, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ მოეთხოვება დაამტკიცოს კონკრეტულ სამიზნედ ყოფნა მისი პირადი მდგომარეობის გამო, როდესაც განურჩეველი ძალადობის მასშტაბი აღწევს ისეთ დონეს, რომ არსებობს სერიოზული და დადასტურებული მიზეზები იმის სარწმუნოდ, რომ სამოქალაქო პირი აღმოჩნდება რისკის ქვეშ, მხოლოდ მისი იმ ტერიტორიაზე ყოფნით. სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'État) (საფრანგეთი) 2009 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება # 320295, FR:CESSR:2009:320295.20090703 (შემდგომში - Conseil d'État (საფრანგეთი), 2009 წ., # 320295). სასამართლოს ცნობით, ეს ხდებოდა შრი-ლანკაში 2009 წლის შუა პერიოდში.

⁽²⁸³⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 38.

⁽²⁸⁴⁾ Ibid., პუნქტი 38.

⁽²⁸⁵⁾ Ibid., პუნქტი 39. იხ. ასევე CJEU, 2021 წ., „*CF and DN*“, op. cit., fn. 684, პუნქტი 31.





წარმოადგენს სამიზნეს მისი პირადი გარემოებებისთვის დამახასიათებელი ფაქტორების გამო;

- ასეთი საფრთხის არსებობა, გამონაკლისის სახით შეიძლება ჩაითვალოს უკვე დადგენილად, როდესაც **განურჩეველი ძალადობის დონე**, რომელიც ახასიათებს მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტს, აღწევს ისეთ მაღალ დონეს, რომ არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ თუ სამოქალაქო პირი დაბრუნდება შესაბამის ქვეყანაში ან, შემთხვევის მიხედვით, შესაბამის რეგიონში, მაშინ მხოლოდ ამ ქვეყანის ან რეგიონის ტერიტორიაზე **მისი ყოფნის გამო** მას დაემუქრება აღნიშნული საფრთხის რეალური რისკი ⁽²⁸⁶⁾.

1.4.4.3.2. ძალადობის სიმძიმის შეფასება

CJEU-მ წარმოადგინა სახელმძღვანელო მითითებები „სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხის“ შეფასების შესახებ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „CF და DN“ (*CF and DN*) ⁽²⁸⁷⁾. აღნიშნულ შემთხვევაში, CJEU-მ დაადგინა, რომ დაღუპვისა და ჭრილობის მიღების რისკის რაოდენობრივი შეფასება, რომელიც გამოიხატება შესაბამის რეგიონში დაზარალებულთა რაოდენობისა და ამ ტერიტორიის მოსახლეობის საერთო რაოდენობის თანაფარდობით, არის რელევანტური სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხის არსებობის დასადგენად, თუმცა „ის არ შეიძლება იყოს ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი“ ⁽²⁸⁸⁾. მან დამატებით განმარტა:

იმის დასადგენად, სახეზეა თუ არა „სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე“, [QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მნიშვნელობით, აუცილებელია ცალკეული საქმის ყველა შესაბამისი გარემოების ყოვლისმომცველი შეფასება, განსაკუთრებით ისეთი გარემოებების, რომელიც ახასიათებს განმცხადებლის წარმოშობის ქვეყნის ვითარებას ... მაშინაც კი, თუ განაცხადი არ ემყარება განმცხადებლის სიტუაციის სპეციფიკურ ფაქტორებს, [QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-4 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი განაცხადი უნდა ექვემდებარებოდეს ინდივიდუალურ შეფასებას, რომელთან დაკავშირებითაც გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი რიგი ფაქტორები. ეს ფაქტორები მოიცავს ... „ყველა რელევანტურ ფაქტს, რამდენადაც ისინი ეხება წარმოშობის ქვეყანას განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მომენტში“ ⁽²⁸⁹⁾.

უფრო კონკრეტულად, საქმეში „CF და DN“ (*CF and DN*), CJEU-მ განაცხადა, რომ, როგორც გენერალურმა ადვოკატმა მისივე მოსაზრების 56-ე და 59-ე პუნქტებში აღნიშნა, არსებითად, ელემენტები, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული იმის შეფასებისთვის, **არსებობს თუ არა სერიოზული ზიანის რეალური რისკი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მნიშვნელობით**, შეიძლება შეიცავდეს იმ ელემენტებს, რაც მოცემულია ცხრილში 44 ⁽²⁹⁰⁾.

⁽²⁸⁶⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი. 45 (დამატებულია ხაზგასმა). იხ. ასევე CJEU, 2021 წ., „*CF and DN*“, op. cit., fn. 684, პუნქტი 27.

⁽²⁸⁷⁾ CJEU, 2021 წ., „*CF and DN*“, op. cit., fn. 684.

⁽²⁸⁸⁾ Ibid., პუნქტები 30-31 და 33.

⁽²⁸⁹⁾ Ibid., პუნქტები 40-42.

⁽²⁹⁰⁾ Ibid., პუნქტი 43.



ცხრილი 12: ელემენტების არასრული ჩამონათვალი, რომლის გათვალისწინება უნდა მოხდეს იმის შეფასებისთვის, არსებობს თუ არა სერიოზული ზიანის რეალური რისკი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია CJEU-ის გადაწყვეტილებაში საქმეზე „CF და DN“ (CF and DN)

შეიარაღებული დაპირისპირების ინტენსივობა
ჩართული შეიარაღებული ძალების ორგანიზების დონე
კონფლიქტის ხანგრძლივობა
განურჩეველი ძალადობის მდგომარეობის გეოგრაფიული ფარგლები
განმცხადებლის რეალური დანიშნულების ადგილი იმ შემთხვევაში, თუ იგი დაბრუნდება შესაბამის ქვეყანაში ან რეგიონში
კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ პოტენციურად განზრახ განხორციელებული თავდასხმები სამოქალაქო პირებზე

გენერალური ადვოკატის მოსაზრებაში საქმეზე „CF და DN“ (CF and DN) აღნიშნულია, რომ ეროვნული სასამართლოები და ტრიბუნალები მხედველობაში იღებენ მთელ რიგ ფაქტორებს, როდესაც აფასებენ ძალადობის დონეს, რომელიც გავლენას ახდენს აღნიშნულ ქვეყანაზე ან რეგიონზე. ⁽²⁹¹⁾ აღნიშნული ფაქტორები ჩამოთვლილია ცხრილში 45.

ცხრილი 13: ფაქტორები, რომლის გათვალისწინებაც ხდება წევრი სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკაში, როდესაც ხდება იმის შეფასება, არსებობს თუ არა სერიოზული ზიანის რეალური რისკი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, როგორც ეს ჩამოთვლილია გენერალური ადვოკატის მოსაზრებაში საქმეში „CF და DN“ (CF and DN)

დადუპული და დაჭრილი სამოქალაქო პირების რაოდენობა შესაბამის გეოგრაფიულ რაიონებში
შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა
გამოყენებული ომის წარმოების მეთოდები და ტაქტიკა და მათი შედეგები სამოქალაქო პირებისთვის
ადამიანის უფლებების დარღვევა
მოცემული ტერიტორიის მაკონტროლებელი სახელმწიფოს ან ორგანიზაციების უნარიანობა დაიცვან სამოქალაქო პირები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარება

საქმეში „CF და DN“ (CF and DN), CJEU-მ განმარტა დაზარალებულთა რაოდენობის რელევანტურობა, როგორც მთლიანი მოსახლეობის პროპორცია აღნიშნულ რეგიონში, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა „სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე“. მან განაცხადა:

თუ კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ სამოქალაქო პირების სიცოცხლის ან პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის რეალური მსხვერპლის რაოდენობა შეადგენს აღნიშნულ რეგიონში მცხოვრები სამოქალაქო მოსახლეობის საერთო რაოდენობის დიდ ნაწილს, მაშინ ეს სავარაუდოდ მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მომავალში აღნიშნულ რეგიონში შესაძლოა კიდევ იყვნენ დაზარალებულნი სამოქალაქო პირებს შორის. ამრიგად, ასეთი დასკვნა შესაძლებელს ხდის სერიოზული საფრთხის არსებობის დადგენას, რომელიც მითითებულია [QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში ⁽²⁹²⁾.

ეს დასკვნა შეიძლება იქნეს გაგებული როგორც იმის დაზუსტება, რომ არსებობს შესაძლო - მაგრამ არა ერთადერთი - გზა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა საფრთხის რეალური

⁽²⁹¹⁾ CJEU, გენერალური ადვოკატის, პიკამაეს [Pikamäe] 2021 წლის 11 თებერვლის მოსაზრება საქმეში „CF and DN v Bundesrepublik Deutschland“, C-901/19, EU:C:2021:116 (შემდგომში - გენერალური ადვოკატის, პიკამაეს [Pikamäe] მოსაზრება, 2021 წ., „CF and DN“), პუნქტი 59.

⁽²⁹²⁾ CJEU, 2021 წ., „CF and DN“, op. cit., fn. 684, პუნქტი 32.





რისკი, რომელიც აღწერილია მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში, რაც გამოწვეულია მხოლოდ განმცხადებლის ყოფნით იმ ქვეყნის ან რეგიონის ტერიტორიაზე.

CJEU-მ ასევე დაადგინა, რომ:

ასეთი დასკვნის არარსებობა თავისთავად არ შეიძლება იყოს საკმარისი იმისათვის, რომ ამ დებულების მნიშვნელობით სისტემატურად და ყველა ვითარებაში გამოირიცხოს ასეთი საფრთხის არსებობის რისკი და, შესაბამისად, ავტომატურად და გამონაკლისის გარეშე გამოიწვიოს სუბსიდიარული დაცვის გამორიცხვა⁽²⁹³⁾.

არ არსებობს დამატებითი მითითებები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს ზემოაღნიშნული „დიდი ნაწილი“ რიცხვითი თვალსაზრისით. თუმცა, CJEU-ს არ მოსთხოვეს ამის დაზუსტება. მიმმართველმა სასამართლომ განიხილა კითხვა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ძალადობის დონე სხვა კუთხით და იკითხა, შეიძლება თუ არა რომ არსებობდეს „სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე სამოქალაქო პირების სიცოცხლისთვის ან პიროვნებისთვის შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში განურჩეველი ძალადობის გამო... მხოლოდ იქ, სადაც უკვე დადგენილია სამოქალაქო პირთა შორის დაზარალებულების (დაღუპულთა და დაჭრილთა) მინიმალური რაოდენობა“⁽²⁹⁴⁾.

ამიტომ, შეიარაღებული კონფლიქტის დროს განურჩეველი ძალადობის შედეგად დაზარალებული სამოქალაქო პირების დიდი რაოდენობა, სავარაუდოდ, დაადასტურებს სერიოზული საფრთხის არსებობას QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მნიშვნელობით, როდესაც დაზარალებული სამოქალაქო პირების რაოდენობა შეადგენს შესაბამის რეგიონში მცხოვრები ყველა სამოქალაქო პირის დიდ ნაწილს. თუმცა, საპირისპირო დასკვნა, რომლის მიხედვითაც ხდება ასეთი საფრთხის ავტომატურად გამორიცხვა იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულთა რაოდენობა შედარებით დაბალია, არ შეესაბამება QD-ის (ახალი რედაქციით). როგორც CJEU-მ დაადგინა:

წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ერთიანი რაოდენობრივი კრიტერიუმის სისტემატური გამოყენება, რომელიც შეიძლება სარგებლობდეს სადავო სანდოობით იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს სპეციფიკური სირთულეები ობიექტური და დამოუკიდებელი საინფორმაციო წყაროების დადგენასთან დაკავშირებით შეიარაღებული კონფლიქტის ზონებთან ახლოს, როგორიცაა დაზარალებული, დაჭრილი ან დაღუპული, სამოქალაქო პირების მინიმალური რაოდენობა, იმისთვის რომ მოხდეს სუბსიდიარული დაცვის მინიჭებაზე უარის თქმა, სავარაუდოდ, აიძულებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს უარი თქვან საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე, რაც არღვევს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას იმ პირების იდენტიფიცირების შესახებ, რომლებსაც ნამდვილად ესაჭიროებათ ამ სუბსიდიარული დაცვის მინიჭება.⁽²⁹⁵⁾

როგორც CJEU-მ აღნიშნა საქმეში „ელგაფაჯი“ (Elgafaji) „[QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის] შინაარსი განსხვავდება ECHR-ის მე-3 მუხლის შინაარსისგან და მისი

⁽²⁹³⁾ Ibid., პუნქტი 33. ეს ეხება იმ დასკვნას, რომ „კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ სამოქალაქო პირების სიცოცხლის ან პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის რეალური მსხვერპლის რაოდენობა შეადგენს აღნიშნულ რეგიონში მცხოვრები სამოქალაქო პირების საერთო რაოდენობის დიდ ნაწილს“, როგორც ეს აღწერილია ზემოთ.

⁽²⁹⁴⁾ Ibid., პუნქტი 20. მითითება გაკეთდა VGH ბადენ-ვიურტემბერგის [VGH Baden-Württemberg] 2019 წლის 29 ნოემბრის ბრძანებით, [A 11 S 2374/19](#).

⁽²⁹⁵⁾ CJEU, 2021 წ., „CF and DN“, op. cit., fn. 684, პუნქტი 35.



განმარტება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად, თუმცა ECHR-ით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების სათანადო გათვალისწინებით ⁽²⁹⁶⁾.

ეროვნული სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლოებმა ზოგჯერ დაადგინეს, რომ მიღწეულია ძალადობის ისეთი მაღალი დონე, რომლის დროსაც საფრთხე არსებობს **მხოლოდ განმცხადებლის კონკრეტულ ტერიტორიაზე ყოფნის გამო**. მაგალითად, CNDA-მ (საფრანგეთი) აღმოაჩინა ასეთი ვითარება 2017 წელს ქ. ჯუბაში, სამხრეთ სუდანი, როდესაც ალ-შაბაბის [al-Shabaab] მილიციელები ახორციელებდნენ სამოქალაქო პირების თვითნებურ სიკვდილით დასჯას და სხვა დარღვევებს. მილიციელებს თავს დაესხნენ სომალის მთავრობის ძალები და აფრიკის კავშირის მისია სომალიში და აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავებით განხორციელებული დარტყმებით, რამაც გამოიწვია მრავალი სამოქალაქო პირის დაზარალება და მოსახლეობის მასიური იძულებითი გადაადგილება ⁽²⁹⁷⁾. საფრანგეთის იმავე სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი ვითარება არსებობდა ქ. დამასკოში, სირიაში, 2018 წელს, მათ შორის სკოლების, საავადმყოფოების ან საცხოვრებელი ზონების დაბომბვის და ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად, სიტუაციის დასტაბილურების ნიშნების გარეშე ⁽²⁹⁸⁾. 2021 წელს მან დაადგინა, რომ ასეთი ვითარება იყო ტიგრაიში, ეთიოპია, განურჩეველი დაბომბვის, ერიტრეის არმიის მიერ სამოქალაქო პირების ხოცვა-ჟლეტის, კატასტროფული ჰუმანიტარული სიტუაციისა და კონფლიქტის გამო, რომელიც არ წყდებოდა ⁽²⁹⁹⁾. ანალოგიურად, 2021 წელს მან დაადგინა, რომ ასეთი საფრთხე არსებობდა მოპტის რეგიონში, მალი, სადაც იყო ბევრი შეიარაღებულ მემამოხეთა ჯგუფი, ძალადობას ჰქონდა ეთნიკური განზომილება და ჯიჰადისტური მოძრაობის სამიზნე ძირითადად იყო სამოქალაქო მოსახლეობა ⁽³⁰⁰⁾.

ამის საპირისპიროდ, გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ 2020 წელს დადგინა რომ მოგადიშოში, სომალი:

დოკუმენტირებულ თავდასხმებს ... აქამდე არ მიუღწევია ისეთი რაოდენობისა და დონისთვის, რომ დაადასტუროს ის ვარაუდი, რომ ქ. მოგადიშოში მყოფი მთელი სამოქალაქო მოსახლეობა საფრთხეშია. ამ დასკვნის გამოტანისას [სასამართლომ] გაითვალისწინა, რომ ამჟამად მოგადიშო არ არის სომალის იმ რეგიონებს შორის, რომელიც განსაკუთრებით დაზარალებულ კონფლიქტით, და ანგარიშებში მინიმუმ ნახსენებია უსაფრთხოების ვითარების გაუმჯობესება, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტუაცია ჯერ კიდევ უნდა შეფასდეს როგორც ცუდი ⁽³⁰¹⁾.

ძალადობის დონის გასაანალიზებლად ეროვნული სასამართლოები იყენებენ როგორც **ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ ანალიზს**.

⁽²⁹⁶⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 28.

⁽²⁹⁷⁾ CNDA-მ დაადგინა, რომ ჯუბაში, სამხრეთ სუდანი, იყო ზოგადი რისკის სიტუაცია. CNDA-ის (საფრანგეთი) 2017 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეში „*M. M.A.*“, # 16038980 C. იხ. ასევე CNDA (საფრანგეთი), 2018 წ., „*M. M.A.*“, # 16039973 C, op. cit., fn. 416, პუნქტი 8.

⁽²⁹⁸⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება საქმეში „*Mme A.*“, # 17021233.

⁽²⁹⁹⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2021 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეში „*M. B.*“, # 19050187 C+, პუნქტი 11.

⁽³⁰⁰⁾ CNDA, Grande Formation (საფრანგეთი), 2021 წ., „*M. S.*“, # 20029676, op. cit., fn. 737, პუნქტი. 12. განსაკუთრებული ინტენსივობის განურჩეველი ძალადობის სხვა შემთხვევები ეხება ნიგერიის ტილაბერის პროვინციას (ბურკინა-ფასოსა და მალის საზღვართან ახლოს) CNDA-ის (საფრანგეთი) 2021 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*M. M. et Mme A.*“, # 21008772 და # 21008773 C+, და ავღანეთში ბალღანის პროვინციას CNDA-ის (საფრანგეთი) 2021 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*M. G.*“, # 20015236 C (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2021 წ., „*M. G.*“, # 20015236 C).

⁽³⁰¹⁾ BVerwG (გერმანია), 2020 წ., # 1 C 11.19, op. cit., fn. 231, პუნქტი. 21 (არაოფიციალური თარგმანი).



ბადენ-ვიურტემბერგის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შეიარაღებული კონფლიქტების საერთო შედეგები. მან შემდგომში განაცხადა:

გაჭიანურებული შეიარაღებული კონფლიქტების საერთო ზეგავლენის მნიშვნელობა საერთო შეფასების ფარგლებში მდგომარეობს - მინიმუმ ასევე - იმაში, რომ კონფლიქტის ხანგრძლივობის ზრდა, როგორც წესი, და პროგნოზირებადად იწვევს ფსიქიკური დაავადებების რაოდენობისა და სიმძიმის ზრდას, რაც არის მუდმივად საფრთხის შემცველ სიტუაციაში ყოფნის შედეგი. თუმცა, ასეთი შედეგები არ არის გასათვალისწინებელი რაოდენობრივი თვალსაზრისით, რადგან უბრალოდ წარმოდგენილია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოება კრიზისის ზონაში ⁽³⁰²⁾.

უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) უპირატესობა მიანიჭა ინკლუზიურ მიდგომას, რომელიც:

მოითხოვს ძალადობის ანალიზს, რომელიც არის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი და არ უნდა შემოიფარგლოს დაღუპული და დაჭრილი სამოქალაქო პირების რაოდენობის წმინდა რაოდენობრივი ანალიზით... ამ ანალიზთან დაკავშირებული ფაქტორების ჩამონათვალი არასრულია, მაგრამ მოიცავს კონფლიქტის მონაწილე მხარეების ქცევას და შესაბამის ძალას ...), დაღუპული და დაჭრილი სამოქალაქო პირების რაოდენობას, კონფლიქტით გამოწვეული ფსიქოლოგიური ზიანის ჩათვლით, იძულებით გადაადგილების მასშტაბსა და კონფლიქტის გეოგრაფიული მასშტაბს ⁽³⁰³⁾.

უზენაესი ტრიბუნალის მოსაზრებით, „არასდროს იქნება მართებული მიზნობრივი ძალადობის მარტივი გამოკლების მცდელობა განურჩეველი ძალადობის საერთო ჯამიდან“ ⁽³⁰⁴⁾.

საფრანგეთში, CNDA-ის დიდი პალატა განიხილავს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ კრიტერიუმებს ⁽³⁰⁵⁾. მის მიერ მხედველობაში მიღებული ფაქტორები მოიცავს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს და მათ სამხედრო ძალას; მათ მეთოდებს და საბრძოლო ტაქტიკას; გამოყენებული იარაღის ტიპებს; კონფლიქტის გეოგრაფიულ მასშტაბს, ხანგრძლივობას და მის კონკრეტულ მდებარეობას; ინციდენტების სიხშირეს და ინტენსივობას ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში; კონფლიქტის მხარეების მიერ გამოყენებულ მეთოდებს და მათ მიზნებს; ძალადობის გეოგრაფიულ მასშტაბს;

⁽³⁰²⁾ VGH ბადენ-ვიურტემბერგის [VGH Baden-Württemberg] 2018 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, [A 11 S 316/17](#) (შემდგომში - VGH ბადენ-ვიურტემბერგი, 2018 წ., [A 11 S 316/17](#)), პუნქტი 99 (არაოფიციალური თარგმანი).

⁽³⁰³⁾ უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „AA (Article 15(c)) Iraq CG“, [2015 წ.] UKUT 00544, პუნქტი 89, რომელშიც გაკეთებულია მითითება წინა სასამართლო პრაქტიკაში წარმოდგენილ ანალიზზე. იხ. აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს (ინგლისი და უელსი, გაერთიანებული სამეფო) 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „QD (Iraq) v Secretary of State for the Home Department“, [2009 წ.] EWCA Civ 620, პუნქტი 27; უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „HM and Others (Article 15(c)) Iraq CG“, op. cit., fn. 277, პუნქტები 42 და 44; და უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2014 წ., „MOJ and Others (Return to Mogadishu) Somalia CG“, op. cit., fn. 552.

⁽³⁰⁴⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „AK (Article 15(c)) Afghanistan CG“, op. cit., fn. 252, პუნქტი 207.

⁽³⁰⁵⁾ CNDA, Grande Formation-ის (საფრანგეთი) 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „M. N.“, # 19009476, პუნქტი 13. იხ. ასევე CNDA, Grande Formation-ის (საფრანგეთი) 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „M. M.“, #18054661 R.



დამავებული სამოქალაქო მოსახლეობის რიცხვს, მათ შორის კონფლიქტის შედეგად დაჭრილებს, შესაბამის გეოგრაფიულ ზონაში მცხოვრები ხალხის მიმართ, როგორცაა ქალაქი, პროვინცია ან რეგიონი; კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობას; ნებაყოფლობით დაბრუნებულთა რაოდენობას; და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას. სხვა ფაქტორებს შორისაა ადამიანის უფლებების დარღვევა; ძირითადი საჯარო სერვისების, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა; ხელისუფლების ორგანოების შესაძლებლობა გააკონტროლონ სიტუაცია ქვეყანაში და დაიცვან სამოქალაქო მოსახლეობა და უმცირესობები; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ ნებისმიერ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა; და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა მათი დაბრუნებისთანავე ⁽³⁰⁶⁾. შეფასება მოითხოვს აღნიშნული რეგიონების ანალიზს და არა ქვეყნის მასშტაბით არსებული ზოგადი ვითარების ანალიზს ⁽³⁰⁷⁾.

სლოვენიაში ადმინისტრაციულმა სასამართლომ გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები: ბრძოლაში დაღუპული და დაჭრილი სამოქალაქო მოსახლეობა, მათ შორის, დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობის შესაძლო დროებითი დინამიკა; იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა; ძირითადი ჰუმანიტარული პირობები იძულებით გადაადგილებულ პირთა ცენტრებში, მათ შორის საკვების მიწოდება, ჰიგიენა და უსაფრთხოება; და „სახელმწიფოს წარუმატებლობის“ დონე ძირითადი მატერიალური ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანდაცვის, საკვების მიწოდებისა და სასმელი წყლის გარანტირებისთვის. მან დაადგინა, რომ ეს არის არა მხოლოდ საერთაშორისო დაცვის მაძიებლების „თვითგადარჩენის“, არამედ არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის საკითხიც, რაც დაცულია მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით ⁽³⁰⁸⁾. შემდგომში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ფაქტორები იყო „კანონიერად შესაბამისი“ ⁽³⁰⁹⁾.

ნიდერლანდებში, სახელმწიფო საბჭომ თავის წინა სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით დაადგინა რომ:

როდესაც ხდება იმის შეფასება, დადგება თუ არა ასეთი სიტუაცია, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია არის თუ არა სამოქალაქო მოსახლეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული მხარეების სამიზნე თუ ეს მხარეები იბრძვიან ისეთი მეთოდით, რაც გაზრდის საოქალაქო მოსახლეობის შემთხვევით დაზარალების რისკს, ძალადობის ისეთი საშუალებების გამოყენება ფართოდაა გავრცელებული, შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება შემოიფარგლოს ან არ შემოიფარგლოს გარკვეული ტერიტორიებით, უსაფრთხოების სტრუქტურის არსებობა ან არარსებობა, ასევე, იმ სამოქალაქო მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც ამის შედეგად გახდა ძალადობის მსხვერპლი ან მოუწია ტერიტორიის იძულებით დატოვება ⁽³¹⁰⁾.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სტატისტიკა არის არასრული, რადგან ის არ შეიცავს მონაცემებს თანმხლები მსხვერპლის, სამოქალაქო პირთა შორის ადამიანის უფლებათა

⁽³⁰⁶⁾ CNDA (საფრანგეთი), 2020 წ., „M. N.“, # 19009476, op. cit., fn. 305 პუნქტი 13, სადაც ხაზგასმულია მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა, რომელიც ეფუძნება განახლებულ და შესაბამის COI-ს.

⁽³⁰⁷⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „M. M.A.“; # 12017575 C.

⁽³⁰⁸⁾ ადმინისტრაციული სასამართლოს (Upravno Sodišče) (სლოვენია) 2013 წლის 25 სექტემბრის I U 498/2012-17 და 2014 წლის 29 იანვრის I U 1327/2013-10 გადაწყვეტილებები.

⁽³⁰⁹⁾ უზენაესი სასამართლოს (Vrhovno sodišče) (სლოვენია) 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, I Up 117/2014, SI:VRSR:2014:I.UP.117.2014.

⁽³¹⁰⁾ სახელმწიფო საბჭომ (Raad van State) (ნიდერლანდები) 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება, [201706705/1/V2](#), NL:RVS:2018:1, პუნქტი 5.1 (არაოფიციალური თარგმანი).



დარღვევის მსხვერპლის, ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლის ან ძალადობით გამოწვეული ტრავმის მქონე ადამიანების რაოდენობის შესახებ ⁽³¹¹⁾.

ბელგიაში, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭოს 2019 წლის გადაწყვეტილებაში განხილულია შემდეგი ფაქტორები: ძალადობის მსხვერპლის რაოდენობა; კონფლიქტთან დაკავშირებული ინციდენტების რაოდენობა; ამ ინციდენტების ინტენსივობა; კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ არჩეული სამიზნეები; გამოყენებული ძალადობის ტიპი; რამდენად იყო სამოქალაქო მოსახლეობა მიზანმიმართული ან თვითნებური ძალადობის მსხვერპლი; ზემოქმედების ზედაპირის ფართობი; შემთხვევითი ძალადობის შემთხვევები; მსხვერპლად მიჩნეულ პირთა რაოდენობა აღნიშნული ტერიტორიის მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში; ამ ძალადობის გავლენა სამოქალაქო მოსახლეობის ცხოვრებაზე; და რამდენად აიძულა ასეთმა ძალადობამ სამოქალაქო მოსახლეობა დაეტოვებინა ბელადი ⁽³¹²⁾. 2020 წლის გადაწყვეტილებაში განხილული დამატებითი ფაქტორებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გამოყენებული იარაღის ტიპი და გამოყენებული მეთოდები (მაგ., თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები, არტილერია, საჰაერო დაბომბვა, მძიმე შეიარაღება); მოძრაობის მარშრუტების უსაფრთხოება; გახშირდა თუ არა ადამიანის უფლებების დარღვევა; დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი; გარემოებები, როდესაც სამოქალაქო პირები გახდნენ მსხვერპლნი; უსაფრთხოების ძალების შემადგენლობაში მსხვერპლის რაოდენობა; დაბრუნებულ პირთა მდგომარეობა; ნებაყოფლობით დაბრუნებულთა რაოდენობა; გადაადგილების თავისუფლება; ძალადობის გავლენა ჩვეულებრივ ცხოვრებაზე; ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობა; სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები; და ხელისუფლების შესაძლებლობა გააკონტროლოს სიტუაცია და დაიცვას სამოქალაქო მოსახლეობა და უმცირესობები. ძალადობრივი ინციდენტების რაოდენობა და მსხვერპლის რიცხვი ხშირად განიხილება, როგორც აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობის პროპორცია ⁽³¹³⁾.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის განმარტება უნდა განხორციელდეს ECHR-ით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების სათანადო გათვალისწინებით. საქმეზე „CF და DN“ (CF and DN) მიღებულ გადაწყვეტილებაში, ძალადობის დონის შესაფასებლად გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი შთაგონებულია ECtHR-ის მიერ გამოყენებული კრიტერიუმებით ⁽³¹⁴⁾. ამრიგად, ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკა მოცემულია ქვემოთ.

საქმეში „სუფი და ელმი“ (Sufi and Elmi), ECtHR-მა გამოიყენა შემდეგი კრიტერიუმები ძალადობის დონის შესაფასებლად:

პირველი, იყენებდნენ თუ არა კონფლიქტში მონაწილე მხარეები ომის მეთოდებსა და ტაქტიკას, რომელიც ზრდიდა სამოქალაქო მოსახლეობის დაზარალების რისკს, ან სამოქალაქო მოსახლეობა იყო მისი პირდაპირი სამიზნე; მეორეც, იყო თუ არა ფართოდ გავრცელებული მსგავსი მეთოდების ან/და ტაქტიკის

⁽³¹¹⁾ სახელმწიფო საბჭო (Raad van State) (ნიდერლანდები), 2018 წ., [201706705/1/V2](#), op. cit., fn. 310, პუნქტები 4 და 6.

⁽³¹²⁾ RVV/CCE-ის (ბელგია) 2019 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება # [221.342](#) (შემდგომში - RVV/CCE (ბელგია), 2019 წ., # [221.342](#)), პუნქტი 2.5.2.5.

⁽³¹³⁾ RVV/CCE-ის (ბელგია) 2020 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება # [231.259](#) (შემდგომში - RVV/CCE (ბელგია), 2020 წ., # [231.259](#)), პუნქტი 25.2.

⁽³¹⁴⁾ CJEU, 2021 წ., „CF and DN“, op. cit., fn. 684, პუნქტი 43; და გენერალური ადვოკატის, პიკამაეს [Pikamäe] 2021 წლის მოსაზრება საქმეში „CF and DN“, op. cit., fn. 291, პუნქტები 51 და 59.



გამოყენება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის; მესამე, იყო თუ არა ბრძოლა ლოკალიზებული თუ ფართოდ გავრცელებული; და ბოლოს, ბრძოლის შედეგად დაღუპული, დაჭრილი და იძულებით გადაადგილებული სამოქალაქო მოსახლეობის რაოდენობა⁽³¹⁵⁾.

მიუხედავად იმისა, რომ ECtHR-ი არ თვლიდა ამ კრიტერიუმებს, როგორც ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც უნდა გამოყენებულიყო ყველა სამომავლო საქმეში, მან მიიჩნია, რომ ისინი „ქმნიან შესაბამის საზომს, რომლითაც შეფასდება ძალადობის დონე“. (316).

ECtHR-ი თავის გადაწყვეტილებაში „*NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*“ (*NA v UK*) იყენებს ცნებას „ზოგადი ძალადობის ყველაზე ექსტრემალური შემთხვევები“, რაზეც CJEU-ი აკეთებს მითითებას საქმეში „*ელგაფაჯი*“ (*Elgafaji*)⁽³¹⁷⁾. საქმეში „*NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*“ (*NA v UK*), ECtHR-მა განაცხადა, რომ:

არასოდეს გამოურიცხავს შესაძლებლობა, რომ დანიშნულების ქვეყანაში არსებული ძალადობის ზოგადი ვითარება იქნებოდა საკმარისი ინტენსივობის, რის გამოც მანდ გასახლება აუცილებლად დაარღვევდა მე-3 მუხლს[ECHR]. მიუხედავად ამისა, სასამართლო გამოიყენებდა ასეთ მიდგომას მხოლოდ ზოგადი ძალადობის ყველაზე ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც იარსებებდა არასათანადო მოპყრობის რეალური რისკი მხოლოდ იმის გამო, რომ პირი დაბრუნებისთანავე აღმოჩნებოდა ძალადობის პირისპირ (318).

ECtHR-მა განაგრძო მსჯელობა განცხადებით, რომ „გამონაკლისის სახით, თუმცა იმ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ის არის **ჯგუფის წევრი, რომელიც სისტემატურად ექვემდებარება** არასათანადო მოპყრობის პრაქტიკას“, ასეთი ჯგუფის

⁽³¹⁵⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 241, რომელიც მიუთითებს AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაზე საქმეში „*AM and AM (armed conflict: risk categories)*“, შესწ.1 სომალის CG, [2008 წ.] UKAIT 00091 (შემდგომში - AIT (გაერთიანებული სამეფო), 2009 წ., „*AM and AM (armed conflict: risk categories)*“).

⁽³¹⁶⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 57, პუნქტი 241. ECtHR-მა გამოიყენა იგივე კრიტერიუმები ECtHR-ის 2013 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*KAB v Sweden*“, op. cit., fn. 713, პუნქტები 77 და 86 (სადაც მან დაადგინა, რომ ძალადობის დონე არ აღწევდა განზოგადებული ძალადობის დონეს); და მისი 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*SK v Russia*“, # 52722/15, CE:ECHR:2017:0214JUD005272215, პუნქტი 61. ECtHR-ის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*LM and Others v Russia*“, # 40081/14, 40088/14 და # 40127/14, CE:ECHR:2015:1015JUD004008114 (შემდგომში - ECtHR, 2015 წ., „*LM and Others v Russia*“), პუნქტი 123, ECtHR-მა გააკეთა მითითება გაეროს ანგარიშებზე, რომელშიც 2016 წელს სირიაში არსებული მდგომარეობა აღწერილია როგორც „ჰუმანიტარული კრიზისი“, რომელიც მოიცავდა სამოქალაქო მოსახლეობის „განუზომედ ტანჯვას“, ყველა მხარის მიერ ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის მასობრივ დარღვევას“, რის შედეგადაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარს მოუწია ტერიტორიის დატოვება.

⁽³¹⁷⁾ ECtHR, 2008 წ., „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, გაკეთდა მითითება CJEU (GC)-ის 2009 წ. საქმეზე „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 44.

⁽³¹⁸⁾ ECtHR, 2008 წ., „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, პუნქტი 115. თუმცა, საქმეში „*NA*“ ECtHR-მა მიიჩნია, რომ არ წარმოქმნილა განზოგადებული რისკი. განზოგადებული ძალადობის ვითარება დაფიქსირდა ECtHR-ის 2011 წლის საქმეში „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 57, პუნქტი 248, მოგადიშუს მიმართ, სომალის. რამდენიმე წლის შემდეგ მან მიიჩნია, რომ სომალისში არსებული სიტუაცია აღარ აღწევდა ძალადობის ამ ინტენსივობას (ECtHR, 2013 წ., „*KAB v Sweden*“, op. cit., fn. 713; და ECtHR-ის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*RH v Sweden*“, #4601/14, CE:ECHR:2015:0910JUD000460114 (შემდგომში - ECtHR, 2015 წ., „*RH v Sweden*“)).



წევრობა საკმარისია იმისათვის, რომ ამოქმედდეს ECHR-ის მე-3 მუხლი ⁽³¹⁹⁾. ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რისკი შეიძლება გამომდინარეობდეს „ძალადობის ზოგადი ვითარებიდან, განმცხადებლის პიროვნული მახასიათებლებიდან ან ამ ორის კომბინაციიდან“ ⁽³²⁰⁾. (პიროვნული მახასიათებლების მაგალითებისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილი 1.4.4.3.3.)

UNHCR-მა აღნიშნა, რომ ძალადობის დონის შეფასების მოთხოვნებმა არ უნდა შელახოს „მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის საგანი და მიზანი“ ⁽³²¹⁾. მან გასცა რეკომენდაცია, რომ ქვეყნებმა უნდა ჩაატარონ „ძალადობის პრაგმატული, ჰოლისტიკური და წინდახედული შეფასება წარმოშობის ქვეყანაში, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ელემენტების ჩათვლით“ ⁽³²²⁾. გარდა ამისა, მან განაცხადა:

ძალადობის დონის და ინდივიდუალური რისკის შეფასება არ შეიძლება დაყვანილი იყოს ალბათობის მათემატიკურ გამოთვლამდე. შეფასება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ უსაფრთხოების ინციდენტებისა და დაზარალებულების რაოდენობას, რომელიც დაღუპვისა და დაჭრის გარდა, მოიცავს პიროვნებისთვის არსებულ სხვა საფრთხეებს, არამედ ასევე ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოების ზოგად გარემოს, მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას და ძალადობის ზეგავლენას საერთო ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე⁽³²³⁾.

1.4.4.3.3. პირადი გარემოებები, რომელმაც შეიძლება დამატებითი საფრთხე წარმოშოს

საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*) CJEU-მ მიიჩნია, რომ „რაც უფრო მეტად შეძლებს განმცხადებელი აჩვენოს, რომ მასზე კონკრეტულად გავლენას ახდენს მისი პირადი გარემოებების განსაკუთრებული ფაქტორები, მით უფრო დაბალია განურჩეველი ძალადობის დონე, რომელიც საჭიროა, რათა მან მიიღოს სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება („eligible“)“ ⁽³²⁴⁾. ეს კონცეფცია აღწერილია და ფართოდ არის ცნობილი, როგორც „მცოცავი შეფასების შკალის“ კონცეფცია. ⁽³²⁵⁾.

პირადი გარემოებების გათვალისწინების მოთხოვნა გამომდინარეობს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტიდან. აღნიშნული მუხლი მოითხოვს, რომ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის შეფასება განხორციელდეს ინდივიდუალურ

⁽³¹⁹⁾ ECtHR, 2008 წ., „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, პუნქტი 116, (დამატებულია ხაზგასმა). იხ. ასევე ECtHR (GC), 2016 წ., „*JK and Others v Sweden*“, op. cit., fn. 227, პუნქტები 103 და 105. ECtHR-ის 2007 წლის საქმეში „*Salah Sheekh*“, op. cit., fn. 682, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამრაფის [Ashraf] უმცირესობის წევრებმა დაადგინეს განმასხვავებელი ნიშნები (პუნქტი 148). ამის საპირისპიროდ, ECtHR-ის 2008 წლის საქმეში „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, მან მიიჩნია, რომ „არ შეიძლება ითქვას, რომ ტამილებისთვის [Tamils] არსებობს განზოგადებული რისკი [ტამილ ეელამის (Tamil Eelam) განთავისუფლების ვეფხვები]-სგან მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, როგორცაა კოლომბო [Colombo]“ (პუნქტი 128). ECtHR-ის (GC) 2016 წლის საქმეში „*JK and Others v Sweden*“, op. cit., fn. 227, სასამართლომ დაადგინა, რომ „პირები, რომლებიც ომის შემდეგ სხვადასხვა გზით თანამშრომლობდნენ ერაყის საოკუპაციო ძალების სახელმწიფო ორგანოებთან, იყვნენ და კვლავაც არიან ალ-ქაიდას [al-Qaeda] და სხვა ჯგუფების სამიზნე“ (პუნქტები 17 და 117).

⁽³²⁰⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 218; და ECtHR, 2015 წ., „*RH v Sweden*“, op. cit., fn. 318, პუნქტი 60.

⁽³²¹⁾ UNHCR, „*ბოლო, ბოლო უსაფრთხოა?*“, op. cit., fn. 279, გვ. 104.

⁽³²²⁾ Ibid., გვ. 104.

⁽³²³⁾ Ibid., გვ. 104.

⁽³²⁴⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 39, (დამატებულია ხაზგასმა). იხილეთ ასევე CJEU, 2014 წ., „*Diakité*“, op. cit., fn. 102, პუნქტი 31.

⁽³²⁵⁾ კონცეფცია, როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა UNHCR-ის პუბლიკაციის „*ბოლო, ბოლო უსაფრთხოა?*“ შემდეგ, op. cit., fn. 279, გვ. 49.



საფუძველზე და მოიცავდეს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებში არსებული ფაქტორების გათვალისწინებას, მათ შორის:

განმცხადებლის ინდივიდუალურ პოზიციასა და პირად გარემოებებს, მათ შორის, ისეთ ფაქტორებს, როგორცაა წარმომავლობა, სქესი და ასაკი, რათა, განმცხადებლის პირადი გარემოებებიდან გამომდინარე, შეფასდეს ის ქმედებები, რომელსაც ექვემდებარებოდა ან შეიძლება დაექვემდებარებოდა განმცხადებელი, შეადგენდა თუ არა ღვეზას ან სერიოზულ ზიანს ⁽³²⁶⁾.

ამიტომ, ინდივიდუალური შეფასება მოითხოვს **განმცხადებლის დაუცველობის გათვალისწინებას.**

ბელგიის უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭოს თანახმად, საქმეში „ელგაფაჯი“ (Elgafaji) CJEU-მ არ დააზუსტა თუ როგორი უნდა იყოს „განმცხადებლის პირადი გარემოებების განსაკუთრებული ფაქტორების“ ხასიათი. იმისათვის, რომ განმარტება იყოს გამოსადეგი, სასამართლომ განაცხადა, რომ ეს ფაქტორები არ შეიძლება იყოს ისეთივე ხასიათის, როგორც ის ფაქტორები, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობენ ღვეზის საფუძვლიანი შიშის შეფასებაში. აქედან გამომდინარე, მასში ჩამოთვლილია გარემოებები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უფრო დიდი რისკი კონკრეტული პირისთვის გახდეს განურჩეველი ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე სხვებისთვის, მაშინაც კი, თუ ისინი არ წარმოადგენენ კონკრეტულ სამიზნეს. ასეთი ფაქტორების მაგალითებს წარმოადგენდა გაზრდილი დაუცველობა და უფრო მეტად საშიში მდებარეობა ან სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელს ემუქრებოდა უფრო მაღალი რისკი, ვიდრე სხვა სამოქალაქო პირების სიცოცხლეს ან პიროვნებას, რომელსაც ემუქრება განურჩეველი ძალადობის სერიოზული საფრთხე ⁽³²⁷⁾.

სხვა ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს რომ დაუცველობა, რომელიც გამოწვეულია, მაგალითად, ინვალიდობით, ოჯახში მცირეწლოვანი შვილების ყოლით ან როდესაც ქალი არის მამაკაცის მხარდაჭერის გარეშე, არის პირადი გარემოებების განსაკუთრებული ფაქტორი ⁽³²⁸⁾. საფრანგეთის რამდენიმე საქმეში, CNDA-მ გაითვალისწინა ავღანეთიდან განმცხადებლების ახალგაზრდა ასაკი; მათ ახალგაზრდა ასაკთან დაკავშირებული ულემენტები, როგორცაა მათი მშობლის (მშობლების) გარდაცვალება; ოჯახური კავშირების ნაკლებობა; ძალადობის პირისპირ ყოფნა; და იძულებითი გაწვევა ერთ-ერთ შეიარაღებულ ძალებში/ჯგუფში, როგორც პირადი გარემოებების განსაკუთრებული ფაქტორი, მათთვის სუბსიდიარული დაცვის მინიჭებისას. ⁽³²⁹⁾. იმავე სასამართლომ ასევე მიანიჭა სუბსიდიარული დაცვის უფლება ახალგაზრდას, რომელიც ერაყიდან გაიქცა როგორც 16 წლის ობოლი ბავშვი, იმ მოტივით, რომ მისი იზოლაცია ობოლად ყოფნის გამო, მას ჩააყენებდა განსაკუთრებულად დაუცველ მდგომარეობაში, მის ერაყში დაბრუნების

⁽³²⁶⁾ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. იხ. ასევე EASO, „მტკიცებულებათა და სარწმუნოების შეფასება - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 23, პუნქტი 4.3.1.

⁽³²⁷⁾ RVV/CCE (ბელგია), 2020 წ., # 231.259, op. cit., fn. 313, პუნქტი 25.5. იხ. ტექსტი სქოლიოში 313 RVV/CCE-ის (ბელგია) მიერ ამ გადაწყვეტილების 25.2-ე პუნქტში მითითებული კრიტერიუმების სრული ჩამონათვალისთვის.

⁽³²⁸⁾ იხ. ასევე EASO, „საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა დაუცველობის საკითხი“, 2021 წ., პუნქტი 6.3.2 „დაუცველობა, შეიარაღებული კონფლიქტი და განურჩეველი ძალადობა“.

⁽³²⁹⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, M. Y.K., # 12025577 C (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2013 წ., M. Y.K., # 12025577 C); 2012 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, M. A.Z., # 12006088 C (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2012 წ., M. A.Z., # 12006088 C); 2011 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, M. H., # 10003854 C+ (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2011 წ., M. H., # 10003854 C+).



შემთხვევაში, იქ არსებული განურჩეველი ძალადობის მდგომარეობის გამო⁽³³⁰⁾. ავსტრიაში, არასრულწლოვანი შვილების მყოფი ოჯახის შემთხვევაში, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაუშვა სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ ოჯახის, როგორც განსაკუთრებით დაუცველი პირების მდგომარეობა ქაბულში, საფუძვლიანად არ იყო შესწავლილი.⁽³³¹⁾

მარტოხელა ქალებთან დაკავშირებით, ბელგიის უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭომ სუბსიდიარული დაცვა მიანიჭა პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის მქონე ქალს, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა მამაკაცის მხარდაჭერა მისი ქმრისა და მისი ძმების გარდაცვალებამდე და ჰქონდა პირადი გარემოებები, რომელიც მას აყენებდა გაზრდილი რისკის ქვეშ, ბაღდადში ქალთა მიმართ არსებული სახიფათო მდგომარეობისა და უსაფრთხოების რთული სიტუაციის გათვალისწინებით ⁽³³²⁾. ანალოგიურად, CNDA-მ (საფრანგეთი) მიანიჭა სუბსიდიარული დაცვა მარტოხელა ახალგაზრდა ქალს, რომელმაც დაკარგა ყოველგვარი კონტაქტი თავის ოჯახთან ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, რადგან ასეთ ვითარებაში მხარდაჭერის არმქონე ქალები იყვნენ შეიარაღებული ჯგუფების მიერ სექსუალური ძალადობის სამიზნეები. ⁽³³³⁾.

ზოგიერთ შემთხვევაში, აქტუალურია განმცხადებლის პროფესია. მაგალითად, CNDA-ი (საფრანგეთი) დაეთანხმა, რომ გაძლიერებული რისკი წარმოიშვა კაცის შემთხვევაში ჩრდილოეთ კივუდან [North Kivu] (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც იყო მოვაჭრე და რომელსაც უწევდა ანგოლაში გამზავრება და უკან წამოსვლა და რომლის ცოლი და დედა იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი ⁽³³⁴⁾. გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მოიყვანა ინდივიდუალური გარემოებების მაგალითები, რომელიც ზრდის განურჩეველი ძალადობის საშიშროებას, მაგალითად, თუ განმცხადებლის პროფესია (მაგ., ექიმი, ჟურნალისტი) აიძულებს მას, ახლოს იყოს ძალადობის შემთხვევებთან ⁽³³⁵⁾.

გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თუ არ არსებობს თავშესაფრის მინიჭების მიზეზები, მაშინ რელიგიური მრწამსი ან ეთნიკური წარმომავლობა შეიძლება პირად გარემოებებზე ჩაითვალოს ⁽³³⁶⁾. თუმცა, ეს დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. ბავარიის უმაღლესმა

⁽³³⁰⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2020 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება, „M.A.“, # 17016120 C. ანალოგიურად, სუბსიდიარული დაცვის უფლება მიენიჭა განმცხადებელს ცენტრალურ და ჩრდილოეთ მალიში არსებული დაბალი ინტენსივობის განზოგადებული ძალადობის კონტექსტში, მისი ოჯახისგან იზოლაციის, მცირე ასაკისა და რესურსების ნაკლებობის გამო, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მიერ მისი მალაზიის განადგურებასთან. CNDA-ის (საფრანგეთი) 2018 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება „M. K.“, # 17043779 (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2018 წ., „M. K.“, # 17043779). იხ. ასევე EASO, „საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა დაუცველობის საკითხი“, 2021 წ., გვ. 147.

⁽³³¹⁾ მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშებმა აჩვენა, რომ ქაბული იყო შედარებით უსაფრთხო და სტაბილური ადგილი, ეს არ ნიშნავს, რომ იგივე მდგომარეობა იქნებოდა დაუცველი პირებისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ ავღანეთში, კონკრეტულად კი ქაბულში, ძალიან დიდი იყო არასრულწლოვანთა და სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლის რაოდენობა. VwGH-ის (ავსტრია) 2018 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, Ra 2017/18/0474, AT:VwGH:2018:RA2017180474.L00 (შემდგომში - VwGH (ავსტრია), 2018 წ., Ra 2017/18/0474).

⁽³³²⁾ RVV/CCE (ბელგია), 2019 წ., # 221.342, op. cit., fn. 312.

⁽³³³⁾ CNDA (საფრანგეთი), 2017 წ., Mme I.B., # 15030837 C, op. cit., fn. 272. იხ. ასევე ECtHR, 2015 წ., „RH v Sweden“, op. cit., fn. 318, რომლითაც დადგენილია, რომ მარტოხელა ქალს, რომელსაც არ აქვს მამაკაცის მხარდაჭერა, დაემუქრება განსაკუთრებული რისკი სომალიში.

⁽³³⁴⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2013 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეში „M. M.“, # 13001980 C (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2013 წ., „M. M.“, # 13001980 C).

⁽³³⁵⁾ BVerwG-ის (გერმანია) 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება # 10 C 4.09, DE:BVerwG:2010:270410U10C4.09.0 (ინგლისურენოვანი თარგმანი) (შემდგომში - BVerwG (გერმანია), 2010 წ., # 10 C 4.09), პუნქტი 33.

⁽³³⁶⁾ BVerwG (გერმანია), 2013 წ., # 10 C 23.12 (ინგლისურენოვანი თარგმანი), op. cit., fn. 241, პუნქტი 33.



ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ განმცხადებელი ეკუთვნოდა ჰაზარას [Hazara] უმცირესობას (ავღანეთში), რაც შეიძლება ყოფილიყო ინდივიდუალური „რისკების გამაძლიერებელი“ გარემოება. ⁽³³⁷⁾. იგივე გადაწყვეტილებით ასევე არ იყო გათვალისწინებული განმცხადებლის წევრობა შიიტების რელიგიურ ჯგუფში, რაც შეიძლება ყოფილიყო ინდივიდუალური „რისკების გამაძლიერებელი“ გარემოება, იმ სიტუაციაში როდესაც ავღანეთის მოსახლეობის 15% იყო შიიტი ⁽³³⁸⁾. „HM და სხვები“ (*HM and Others*), უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) მიიჩნია, რომ:

მთლიანობაში არასაკმარისია იმის დადგენა, რომ სუნიტური ან შიიტური იდენტობა თავისთავად წარმოადგენს „გაძლიერებული რისკის კატეგორიას“ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, [მაგრამ დაეთანხმა], რომ დამოკიდებულია ინდივიდუალურ გარემოებებზე და, კერძოდ, მათ დაბრუნებაზე იმ ტერიტორიაზე, სადაც მათი სუნიტი ან შიიტი მოძმეები არიან უმცირესობაში, შეუძლია თუ არა ადამიანს დაადგინოს მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული რეალური რისკი. (მათ, რა თქმა უნდა, შეუძლიათ ასევე დაადგინონ რეალური რისკი ლტოლვილთა კონვენციით გათვალისწინებული დევნის ან მოპყრობის, რომელიც ეწინააღმდეგება ECHR-ის მე-3 მუხლს)⁽³³⁹⁾.

ზემოთ აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა განსაზღვრავს სხვადასხვა პირად გარემოებებს, რომელმაც შეიძლება, ინდივიდუალურად ან ერთობლივად, შეუქმნას სერიოზული საფრთხე სამოქალაქო პირის სიცოცხლეს ან პიროვნებას იმ კონტექსტში, როდესაც განურჩეველი ძალადობის დონე არ აღწევს იმ დონემდე, როდესაც უბრალოდ ტერიტორიაზე ყოფნა ადამიანს აყენებს ასეთ საფრთხის წინაშე. ცხრილში 46 მოცემულია ასეთი გარემოებების მაგალითები.

⁽³³⁷⁾ VGH ბავარია, 2011 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, [13a B 10.30394](#). სასამართლოს დასკვნა ეყრდნობოდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჰაზარების [Hazaras] ზოგადი მდგომარეობა, რომლებიც ტრადიციულად დისკრიმინირებული იყვნენ, გაუმჯობესდა, მაშინაც კი, თუ ტრადიციული დაძაბულობა გრძელდებოდა და დროდადრო ხელახლა იჩენდა თავს. UNHCR-ის თანახმად, ბევრი ჰაზარა [Hazaras] დაბრუნდა ფარვანისა [Parwan] და ქაბულის [Kabul] პროვინციებში, სადაც ისინი ტრადიციულად ცხოვრობდნენ.

⁽³³⁸⁾ VGH ბავარია, 2011 წ., [13a B 10.30394](#), op. cit., fn. 337.

⁽³³⁹⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „*HM and Others (Article 15(c)) Iraq CG*“, op. cit., fn. 277, პუნქტი 297. ანალოგიურად, RVV/CCE-მ დაადგინა, რომ ბაღდადში ოჯახური კავშირების არმქონე სუნიტების პირადი გარემოებები წარმოადგენდა ფაქტორს, რომელსაც შეეძლო გაეზარდა რისკი, რომ ისინი გახდებოდნენ განურჩეველი ძალადობის მსხვერპლნი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოებები არ გამოარჩევდა მათ სხვა ადამიანებზე მეტად. RVV/CCE-ის (ბელგია) 2018 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება # [201.900](#) (შემდგომში - RVV/CCE (ბელგია), 2018 წ., # [201.900](#)).



ცხრილი 14: პირადი გარემოებების ელემენტების მაგალითები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უფრო დიდი რისკი განურჩეველი ძალადობის კონტექსტში

დაუცველობა	ინვალიდობა ⁽³⁴⁰⁾
	ახალგაზრდობის ასაკში ან/და ობლად ყოფნა ⁽³⁴¹⁾
	იზოლაცია და ოჯახური კავშირების ნაკლებობა ⁽³⁴²⁾
	ოჯახები მცირეწლოვანი შვილებით ⁽³⁴³⁾
	მარტოხელა ქალები მამაკაცის მხარდაჭერის გარეშე, ისეთი შემთხვევების ჩათვლით, როდესაც ასეთი ქალები არიან შეიარაღებული ჯგუფების მიერ სექსუალური ძალადობის სამიზნეები ⁽³⁴⁴⁾
	სარისკო სიტუაციაში მყოფი ქალები ⁽³⁴⁵⁾
	ძალადობის პირისპირ მყოფი და იძულებითი გაწვევას დაქვემდებარებული პირები ერთ-ერთ შეიარაღებულ ძალებში/ჯგუფში ⁽³⁴⁶⁾
	პირები, რომელთა ოჯახის წევრებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი ⁽³⁴⁷⁾
	პოსტტრავმული სტრესული აშლილობის მქონე პირები ⁽³⁴⁸⁾
	პროფესია
კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე ჟურნალისტები ⁽³⁵⁰⁾	
უცხოური შეიარაღებული ძალების თანამშრომლები, მათ შორის, თარჯიმნები ⁽³⁵¹⁾	
მოვაჭრეები, რომლებსაც უწევთ კონფლიქტური ტერიტორიების გავლა საარსებო წყაროსთვის ⁽³⁵²⁾	
პირები, რომელთა საარსებო წყაროც განადგურებულია	
სხვა ინდივიდუალური მახასიათებლები	რელიგია (თუ არ არსებობს თავშესაფრის მინიჭების მიზეზი) ⁽³⁵³⁾
	ეთნიკურობა (თუ არ არსებობს თავშესაფრის მინიჭების მიზეზი) ⁽³⁵⁴⁾
რეგიონი	წარმოშობის რეგიონი ან ინტერესის ცენტრი ⁽³⁵⁵⁾
	რეგიონი, რომელიც უნდა გაიაროს პირმა, რათა დაბრუნდეს თავის დანიშნულების ადგილზე ⁽³⁵⁶⁾

⁽³⁴⁰⁾ RVV/CCE-ის (ბელგია) 2020 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება # 231.907 (ინგლისურენოვანი შეჯამება). საქმის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ სქოლიო. 426, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

⁽³⁴¹⁾ CNDA (საფრანგეთი), 2013 წ., „M. Y.K.“, # 12025577 C, op. cit., fn. 329; CNDA (საფრანგეთი), 2012 წ., „M. A.Z.“, # 12006088 C, op. cit., fn. 329; CNDA (საფრანგეთი), 2011 წ., „M. H.“, # 10003854 C+, op. cit., fn. 329; და CNDA (საფრანგეთი), 2018 წ., „M. K.“, No 17043779, op. cit., fn. 330.

⁽³⁴²⁾ CNDA (საფრანგეთი), 2013 წ., „M. Y.K.“, # 12025577 C, op. cit., fn. 329; CNDA (საფრანგეთი), 2012 წ., „M. A.Z.“, # 12006088 C, op. cit., fn. 329; და CNDA (საფრანგეთი), 2011 წ., „M. H.“, # 10003854 C+, op. cit., fn. 329.

⁽³⁴³⁾ VwGH (ავსტრია), 2018 წ., Ra 2017/18/0474, op. cit., fn. 331.

⁽³⁴⁴⁾ CNDA (საფრანგეთი), 2017 წ., „Mme I.B.“, # 15030837 C, op. cit., fn. 272; და ECtHR, 2015 წ., „RH v Sweden“, op. cit., fn. 318.

⁽³⁴⁵⁾ RVV/CCE (ბელგია), 2019 წ., # 221.342, op. cit., fn. 312.

⁽³⁴⁶⁾ VwGH-ის (ავსტრია) 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, Ra 2017/19/0425, AT:VwGH:2018:RA2017190425.L00 (შემდგომში - VwGH (ავსტრია), 2018 წ., Ra 2017/19/0425).

⁽³⁴⁷⁾ CNDA (საფრანგეთი), 2013 წ., „M. M.“, # 13001980 C, op. cit., fn. 334.

⁽³⁴⁸⁾ RVV/CCE (ბელგია), 2019 წ., # 221.342, op. cit., fn. 312.

⁽³⁴⁹⁾ BVerwG (გერმანია), 2010 წ., # 10 C 4.09, op. cit., fn. 335.

⁽³⁵⁰⁾ Ibid.

⁽³⁵¹⁾ VwGH (ავსტრია), 2018 წ., Ra 2017/19/0425, op. cit., fn. 346.

⁽³⁵²⁾ CNDA (საფრანგეთი), 2013 წ., „M. M.“, # 13001980 C, op. cit., fn. 334.

⁽³⁵³⁾ BVerwG (გერმანია), 2013 წ., # 10 C 23.12 (ინგლისურენოვანი თარგმანი), op. cit., fn. 241; უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „HM and Others (Article 15(c)) Iraq CG“, op. cit., fn. 1019; და RVV/CCE (ბელგია), 2018 წ., # 201.900, op. cit., fn. 1081.

⁽³⁵⁴⁾ BVerwG (გერმანია), 2013 წ., # 10 C 23.12 (ინგლისურენოვანი თარგმანი), op. cit., fn. 241; და უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „HM and Others (Article 15(c)) Iraq CG“, op. cit., fn. 277.

⁽³⁵⁵⁾ RVV/CCE (ბელგია), 2020 წ., # 231.259, op. cit., fn. 313.

⁽³⁵⁶⁾ CNDA (საფრანგეთი), 2013 წ., „M. M.“, # 13001980 C, op. cit., fn. 334.



1.4.4.3.4. წარმოშობის რეგიონის ფაქტორის რელევანტურობა

ასევე, განაცხადის ინდივიდუალური შეფასების აუცილებლობაზე მითითებით, CJEU-მ საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*) დამატებით აღნიშნა, რომ შეიძლება გათვალისწინებული იყოს შემდეგი:

- განურჩეველი ძალადობის სიტუაციის გეოგრაფიული ფარგლები და განმცხადებლის რეალური დანიშნულების ადგილი შესაბამის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, როგორც ირკვევა ღირებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტიდან;
- რეალურ რისკის მნიშვნელოვანი მაჩვენებლის არსებობა გარემოების შესაბამისად, როგორც მაგალითად, მითითებულია ღირებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში, და მაჩვენებელი, რომლის გათვალისწინებითაც განურჩეველი ძალადობის დონე, რომელიც აუცილებელია უსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების („eligibility“) მისაღებად, შეიძლება იყოს უფრო დაბალი ⁽³⁵⁷⁾.

ქვემოთ მოცემული ნაწილში 1.8.1 განხილულია შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საკითხი, თუ დაცვა ვერ იქნება უზრუნველყოფილი განმცხადებლის რეალური დანიშნულების ადგილზე დაბრუნების შემთხვევაში.

წარმოშობის რეგიონის გათვალისწინებით, სადაც უნდა დაბრუნდეს განმცხადებელი, ბადენ-ვიურტემბერგის [Baden-Württemberg] (გერმანია) უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ:

QD-ის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის საკვანძო ათვლის წერტილია დაინტერესებული პირის წარმოშობის რეგიონი, სადაც ის ჩვეულებრივ დაბრუნდება. კითხვაზე, თუ რომელი რეგიონი უნდა ჩაითვალოს უცხოელის დაბრუნების დანიშნულების ადგილად, ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ რეგიონს აირჩევს მიუკერძოებელი დამკვირვებელი გონივრულად და არც იმაზე, თუ რომელ რეგიონს ეძებს დაინტერესებული უცხოელი მისი სუბიექტური თვალსაზრისით. „ფაქტობრივი დაბრუნების ადგილის“ კონცეფცია, CJEU-ის სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობით, არ არის წმინდა ემპირიული კონცეფცია, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს რეალურად ყველაზე სავარაუდო ან სუბიექტურად გამიზნულ დაბრუნების რეგიონს. ვინაიდან QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი იცავს სამშობლოში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხისგან - არ არის აუცილებელი, რომ ეს ხდებოდეს ქვეყნის მასშტაბით - წარმოშობის რეგიონს, როგორც კლასიფიკაციისა და მიკუთვნების მახასიათებელს, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ფაქტობრივი (სავარაუდო) დაბრუნების ადგილის დადგენაში. აქედან გამომდინარე, წარმოშობის რეგიონიდან გადახრა ასევე არ შეიძლება იყოს გამართლებული იმით, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უცხოელმა დაკარგა პირადი კავშირი მის წარმოშობის რეგიონთან⁽³⁵⁸⁾.

ანალოგიურად, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ რეალური რისკის შეფასება ეხება არა მთელ ქვეყანას, არამედ ქვეყნის იმ ნაწილს, სადაც დაინტერესებული პირს ჰქონდა ძირითადი ინტერესი მათ გამგზავრებამდე ან სადაც ისინი უნდა დასახლდნენ დაბრუნების შემდეგ, და რომ ის ასევე უნდა მოიცავდეს იმ რისკების შეფასებას, რომელსაც

⁽³⁵⁷⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 40.

⁽³⁵⁸⁾ VGH ბადენ-ვიურტემბერგი [VGH Baden-Württemberg], 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, [A11 S 1923/17](#) (არაოფიციალური თარგმანი).





ისინი შეიძლება წააწყდნენ ამ დანიშნულების ადგილისკენ მიმავალ გზაზე⁽³⁵⁹⁾. აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებისას, CNDA-ი (საფრანგეთი) განსაზღვრავს შესაბამის რეგიონს, წარმოშობის/დაბადების რეგიონისა და იმ რეგიონის შეფასებით, სადაც განმცხადებელ ჰქონდა ძირითადი ინტერესი⁽³⁶⁰⁾.

1.4.4.4. ურთიერთკავშირი „სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხესა“ და „განურჩეველ ძალადობას“ შორის

მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის ფორმულირებიდან ირკვევა, რომ სამოქალაქო პირის სიცოცხლისა ან პიროვნებისთვის სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე უნდა არსებობდეს განურჩეველი ძალადობის „გამო“. CJEU-მ არ წარმოადგინა მკაფიო მითითებები სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხესა და განურჩეველ ძალადობას შორის ურთიერთკავშირის შესახებ.

უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) განაცხადა, რომ:

ურთიერთკავშირი განზოგადებულ შეიარაღებულ კონფლიქტსა და განურჩეველ ძალადობას შორის, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და პიროვნებას, ხდება მაშინ, როდესაც კონფლიქტის ინტენსივობა მოიცავს საბრძოლო საშუალებებს (მიუხედავად იმისა დაშვებულია ისინი თუ არა ომის კანონებით), რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის არამებრძოლებსაც, ისევე როგორც იწვევს კანონისა და წესრიგის ისეთ ფართო დარღვევას, რომ იწყება ანარქია და კრიმინალური დანაშაულების ჩადენა, რაც იწვევს დირექტივაში მითითებულ სერიოზულ ზიანს. ასეთი ძალადობა ფაქტობრივად განურჩეველია, მაშინაც კი, თუ ის არ არის მიზანმიმართული ... არ არის აუცილებელი, რომ სიცოცხლისა და პიროვნების საფრთხე გამომდინარეობდეს აღნიშნული შეიარაღებული კონფლიქტის მოქმედი პირებისგან: ის უბრალოდ შეიძლება იყოს კანონისა და წესრიგის მოშლის შედეგი⁽³⁶¹⁾.

საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ⁽³⁶²⁾ და ჰოლანდიის სახელმწიფო საბჭომ⁽³⁶³⁾ ასევე განიხილეს კავშირი სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხესა და განურჩეველ ძალადობას შორის, რომელიც წარმოიქმნება შიდა შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად.

შეიარაღებული კონფლიქტის არაპირდაპირი შედეგების შესახებ გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კრიმინალური ძალადობის ფაქტი, რომელიც არ არის ჩადენილი კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მიერ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ სიცოცხლის ან პიროვნებისთვის

⁽³⁵⁹⁾ სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'État) (საფრანგეთი) 2017 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „M. A.“, # 401585 B, FR:CECHR:2017:401585.20171016.

⁽³⁶⁰⁾ CNDA (საფრანგეთი), 2021 წ., „M. G.“, # 20015236 C, op. cit., fn. 300, პუნქტი 6.

⁽³⁶¹⁾ უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „HM and Others (Article 15(c)) Iraq CG“, [2010 წ.] UKUT 331, პუნქტი 80. ეს დასკვნა კიდევ ერთხელ დაადასტურა უზენაესმა ტრიბუნალმა (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2012 წ. საქმეში „HM and Others (Article 15(c)) Iraq CG“, op. cit., fn. 277, პუნქტი 45.

⁽³⁶²⁾ Conseil d'État (საფრანგეთი), 2009 წ., # 320295, op. cit., fn. 282. სასამართლომ დაადგინა, რომ განურჩეველი ძალადობა განმცხადებლის წარმოშობის რეგიონში ხასიათდებოდა სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმებითა და ძალადობით, რასაც მოჰყვა მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, და აღნიშნა, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები დამნაშავეები იყვნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევაში სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ.

⁽³⁶³⁾ სახელმწიფო საბჭოს (Raad van State) (ნიდერლანდები), 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, 200802709/1, NL:RVS:2008:BD7524. სასამართლომ განიხილა, იყო თუ არა კავშირი განმცხადებლის წარმოშობის რეგიონში მომხდარ გაუპატიურებებს შორის, სადაც არ იყო შეიარაღებული კონფლიქტი და შიდა შეიარაღებულ კონფლიქტს შორის, რომელიც მიმდინარეობდა წარმოშობის ქვეყნის სხვა ადგილზე.



სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხის ხასიათის შეფასების დროს ⁽³⁶⁴⁾. სასამართლოს თანახმად, „სიცოცხლისთვის ზოგადი საფრთხეები, რომელიც არის მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგი – მაგალითად, მომარაგების პირობების გაუარესების შედეგად – არ შეიძლება შედიოდეს საფრთხის მასშტაბის შეფასებაში“ ⁽³⁶⁵⁾; შესაბამისად, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ისინი წარმოადგენს საფრთხეს მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მნიშვნელობით.

UNHCR-ის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია კანონისა და წესრიგის მოშლა განურჩეველი ძალადობის ან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად. UNHCR-მ ასევე განაცხადა, რომ წყარო, საიდანაც გამომდინარეობს განურჩეველი ძალადობა არის არამატერიალური ⁽³⁶⁶⁾.

1.4.4.5. „სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან პიროვნება“

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე განურჩეველი ძალადობის კონტექსტში უნდა ემუქრებოდეს „სამოქალაქო პირის სიცოცხლეს ან პიროვნებას“.

შემდეგი ორი ქვეპუნქტი განიხილავს ტერმინების „სამოქალაქო პირი“ და „სიცოცხლე ან პიროვნება“ მნიშვნელობას.

1.4.4.5.1. „სამოქალაქო პირი“

ტერმინი „სამოქალაქო პირი“ არ არის განსაზღვრული QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლით და ჯერ არ არის განსაზღვრული CJEU-ს მიერ სუბსიდიარული დაცვის კონტექსტში.

ვინაიდან სუბსიდიარული დაცვის რეჟიმი, ერთი მხრივ, და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, მეორე მხრივ, „ისახავს განსხვავებულ მიზნებს და ადგენს სრულიად განსხვავებულ დაცვის მექანიზმებს“ ⁽³⁶⁷⁾, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „სამოქალაქო პირის“ დეფინიცია უნდა გამომდინარეობდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიდან. რაც შეეხება „შიდა შეიარაღებული კონფლიქტის“ მნიშვნელობას, რომელიც ასევე არ არის განსაზღვრული QD-ით (ახალი რედაქციით), CJEU-მ განაცხადა, რომ „ამ ფრაზის მნიშვნელობა და მოქმედების სფერო, როგორც სასამართლო ამას მუდმივად ადგენდა, უნდა განისაზღვროს მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით ყოველდღიურ ენაში, იმავდროულად, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ის

⁽³⁶⁴⁾ BVerwG-ის (გერმანია) 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება # 10 C 43.07, DE:BVerwG:2008:240608U10C43.07.0, პუნქტი 35.

⁽³⁶⁵⁾ BVerwG (გერმანია), 2008 წ., 10 C 43.07, op. cit., fn. 364, პუნქტი 35.

⁽³⁶⁶⁾ UNHCR, „ბოლო, ბოლო უსაფრთხოა?“, op. cit., fn. 279, გვ. 60 და 103.

⁽³⁶⁷⁾ CJEU, 2014 წ., „Diakité“, op. cit., fn. 102, პუნქტი 24.



ხდება, და იმ წესების მიზნების მხედველობაში მიღებით, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ის⁽³⁶⁸⁾.

საფრანგეთში, სახელმწიფო საბჭოს *საჯარო მომხსენებელმა [rapporteure publique]* გააკეთა მითითება საქმეში „დიაკიტე“ (*Diakité*) გამოყენებულ განმარტების მეთოდზე და მივიდა იგივე დასკვნამდე სიტყვა „სამოქალაქო პირის“ განმარტებასთან დაკავშირებით.⁽³⁶⁹⁾

ეს გადაწყვეტილება უხეობდა მომჩივანს, რომელიც იყო ადგილობრივი პოლიციის წევრი ავღანეთში. საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ ძალაში დატოვა CNDA-ის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა, მათ შორის, იმ მოტივით, რომ, როგორც პოლიციელი, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო პირად მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის⁽³⁷⁰⁾. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ *საჯარო მომხსენებლის [rapporteure publique]* დასკვნაში ნათქვამია, რომ პოლიცია იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული თალიბანის [Taliban] წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან, რომ არ უნდა გაკეთდეს განსხვავება პოლიციასა და ოფიციალურ ჯარს შორის⁽³⁷¹⁾. აღნიშნულ დასკვნებში ასევე ნათქვამია, რომ თუკი საქმეში „დიაკიტე“ (CJEU-მ განაცხადა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ოფიციალური უსაფრთხოების ძალების წევრებს, არამედ ასევე მუამბოხე არასახელმწიფო დაჯგუფების წევრებსაც კი არ აქვთ „სამოქალაქო პირის“ სტატუსი. იმავე ლოგიკით, არარელევანტურია არმიასა და პოლიციას შორის განსხვავების გაკეთება და მოქმედებენ თუ არა ისინი ფედერალურ, ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე⁽³⁷²⁾. სახელმწიფო საბჭომ გადაწყვეტილებაში დააზუსტა, რომ ადგილობრივი პოლიციის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია სოფლის უსაფრთხოებაზე და მუამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლაზე, არ გახდა სამოქალაქო პირი ქვეყნის დატოვების შემდეგ, თუ არ არსებობს საბუთი, რომელიც დაადასტურებს, რომ მან გაწვიტა ყველანაირი კავშირი პოლიციასთან⁽³⁷³⁾.

⁽³⁶⁸⁾ Ibid., პუნქტი 27. საქმეზე „დიაკიტე“ (*Diakité*), AIT-მა (გაერთიანებული სამეფო) აღნიშნა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ის ფაქტი, რომ ჯარისკაცი არ იმყოფება სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ან არის ავად, არ არის აუცილებელი, რომ იწვევდეს სამოქალაქო პირის სტატუსის მინიჭებას. იხ. AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2009 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ZQ (serving soldier) Iraq CG“, [2009 წ.] UKAIT 00048 (შემდგომში - AIT (გაერთიანებული სამეფო), 2009 წ., „ZQ (serving soldier) Iraq“). ტრიბუნალმა მოახდინა ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატის ციტირება, რომელიც აღნიშნავდა, რომ „... მსხვერპლის სპეციფიკური სიტუაცია დანაშაულების [ომის დანაშაულები ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები] ჩადენის დროს შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი მისი, როგორც სამოქალაქო პირის ან არასამოქალაქო პირის სტატუსისთვის. თუ ის მართლაც არის შეიარაღებული ორგანიზაციის წევრი, მაშინ ის ფაქტი, რომ ის არ არის შეიარაღებული ან არ არის ჩართული საბრძოლო მოქმედებებში დანაშაულის ჩადენის დროს, არ ანიჭებს მას სამოქალაქო პირის სტატუსს. ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატის 2004 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „Prosecutor v Blaškić“, საქმის # IT-95-14-A, პუნქტი. 114.

⁽³⁶⁹⁾ სახელმწიფო საბჭო (Conseil d'État) (საფრანგეთი), *საჯარო მომხსენებლის [rapporteure publique]* 2019 წლის 11 დეკემბრის დასკვნა საქმეში „BA v OFPRA“, # 424219 B.

⁽³⁷⁰⁾ სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'État) (საფრანგეთი) 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „M. M.“, # 424219 B, FR:CECHR:2019:424219.20191211.

⁽³⁷¹⁾ Ibid.; და „M. M... et OFPRA c/ M. A...“, # 424219 და # 427714, 2019 წლის 11 დეკემბერი (რომელშიც არსებობს *საჯარო მომხსენებლის [rapporteure publique]* მითითება დასკვნებზე იგივე საკითხთან დაკავშირებით).

⁽³⁷²⁾ სახელმწიფო საბჭო (Conseil d'État) (საფრანგეთი), 2019 წ., „M. M.“, # 424219 B, op. cit., fn. 370; და „M. M... et OFPRA c/ M. A...“, # 424219 და # 427714, 2019 წლის 11 დეკემბერი (*საჯარო მომხსენებლის [rapporteure publique]* დასკვნები იგივე საკითხთან დაკავშირებით).

⁽³⁷³⁾ სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'État) (საფრანგეთი), 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „M. A.B.“, # 427714 B, FR:CECHR:2019:427714.20191211. იხ. ასევე CNDA-ს (საფრანგეთი), 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება „M. O.“, # 18000865, სადაც ნათქვამია, რომ ავღანეთის შეიარაღებული ძალების დეზერტირი, რომელსაც არ იყო ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირებული, არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო პირად, რადგან შეუძლებელია ავღანეთის ეროვნულ არმიასთან მისი ურთიერთობის შეწყვეტის სავარაუდო პირობების დადგენა.



საქმეში „HM და სხვებში“ (*HM and Others*), უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) დაადგინა, რომ:

სამოქალაქო პირი უნდა ნიშნავდეს ნამდვილად არამებრძოლ პირს. ნებისმიერი პირი, ვინც თავად ჩაერთვება შეიარაღებულ კონფლიქტში, არ უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო პირად და იგივე ეხება აღნიშნული ქვეყნის შეიარაღებული ძალების ან პოლიციის წევრს ⁽³⁷⁴⁾.

ამის საპირისპიროდ, გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა ძირითად ფაქტებს, CNDA-მ (საფრანგეთი) დაადგინა, რომ პირი, რომელიც არ მონაწილეობდა არცერთ ორგანიზებულ შეიარაღებულ ქვედანაყოფში და არ იმყოფებოდა რომელიმე ხელისუფლების ორგანოს მეთაურობის ქვეშ, მაგრამ გამოიყენა იარაღი ოჯახისა და ნივთების დასაცავად, როდესაც მის სოფელს თავს დაესხნენ, არ დაკარგავს სამოქალაქო პირის სტატუსს ⁽³⁷⁵⁾.

UNHCR-ი რეკომენდაციას უწევს შემდეგ მიდგომას:

ამასთან დაკავშირებით, [QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში არსებული ტერმინი „სამოქალაქო პირი“ არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც ყოფილი მებრძოლების გამორიცხვის მიზეზი, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ, რომ მათ უარი თქვეს სამხედრო საქმიანობაზე. ის ფაქტი, რომ პირი წარსულში იყო მებრძოლი, სულაც არ გამორიცხავს მისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებას, თუ მან ჭკმშიარტად და სამუდამოდ უარი თქვა სამხედრო საქმიანობაზე. კრიტერიუმები, იმის დასადგენად აკმაყოფილებს თუ არა პირი აღნიშნულ შეფასების ტესტს, დადგენილია UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ⁽³⁷⁶⁾.

1.4.4.5.2. „[სამოქალაქო პირის] სიცოცხლე ან პიროვნება“

უნდა აღნიშნოს, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის სხვადასხვა ენობრივი ვერსიები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან. ბულგარული ვერსია აღნიშნავს „срещу живота или личността на цивилно лице“ („საფრთხე სამოქალაქო პირის სიცოცხლისა ან პიროვნებისთვის“, ჰოლანდიური ვერსია აღნიშნავს „van het leven of de persoon van een burger“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან პიროვნება“), ინგლისური ვერსია აღნიშნავს „საფრთხეს ... სამოქალაქო პირის სიცოცხლესა ან პიროვნებისთვის“, ფრანგული ვერსია აღნიშნავს „contre la vie ou la personne d'un civil“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლისა ან პიროვნების წინააღმდეგ“), ბერძნული ვერსია აღნიშნავს „απειλή κατά της ζωής ή της σωματικής ακεραιότητας“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლისა ან პიროვნებისთვის“) და იტალიური ვერსია აღნიშნავს „alla vita o alla persona di un civile“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლისა ან პიროვნებისთვის“) (არაოფიციალური ინგლისური თარგმანები). ესპანურ ვერსიაში, ეს მითითება შეიძლება არაოფიციალურად ითარგმნოს ინგლისურ ენაზე როგორც „სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან ფიზიკური ხელშეუხებლობა“ („la vida o la integridad física de un civil“). ის არის ესტონური ვერსიის მსგავსი, რომელიც აღნიშნავს „elu või

⁽³⁷⁴⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „*HM and Others (Article 15(c)) Iraq CG*“, op. cit., fn. 277, პუნქტი 36, ასევე ციტირებულია AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2009 წლის საქმეში „*ZQ (serving soldier) Iraq*“, op. cit., fn. 368 („აღნიშნული ქვეყანა“ ეხება ერაყის კონკრეტულ კონტექსტს).

⁽³⁷⁵⁾ CNDA-ს (საფრანგეთი) 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*M. A.*“, # 16005729 C+.

⁽³⁷⁶⁾ UNHCR-ის განცხადება ევროკომისიის საკვალიფიკაციო დირექტივით გათვალისწინებული სუბსიდიარული დაცვის შესახებ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ემუქრებათ განურჩეველი ძალადობის საფრთხე, 2008 წ. იანვარი. გვ. 7. ასევე, იხილეთ UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა # 94 თავშესაფრის სამოქალაქო და ჰუმანიტარული ხასიათის შესახებ (LIII), 2002 წლის 8 ოქტომბერი, პუნქტი (გ) (vii).



isikupuutumatus“ („ადამიანის სიცოცხლე ან ხელშეუხებლობა“), უნგრული ვერსია, რომელიც აღნიშნავს „polgári személy életének vagy testi épségének“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან ფიზიკური ხელშეუხებლობა“), პოლონური ვერსია, რომელიც აღნიშნავს „życia lub fizycznej integralności osoby cywilnej“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან ფიზიკური ხელშეუხებლობა“) და სლოვენური ვერსია, რომელიც აღნიშნავს „življenju ali telesni celovitosti civilista“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან ფიზიკური ხელშეუხებლობა“). ჩეხური და გერმანული ვერსიები აღნიშნავს „života nebo nedotknutelnosti civilisty“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლე და ხელშეუხებლობა“) და „des Lebens oder der Unversehrtheit einer Zivilperson“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლისა და ხელშეუხებლობისთვის“). სლოვაკური ვერსია აღნიშნავს „života občana alebo osoby“ („სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან მისი პიროვნება“). ხორვატული ვერსია აღნიშნავს მხოლოდ „სიცოცხლე“ და არა „პიროვნებას“ („životu“). შვედური ვერსია აღნიშნავს „სამოქალაქო პირის სიცოცხლესა და მისი სხეულის ნაწილს“ („civilpersons liv eller lem“) ⁽³⁷⁷⁾. და ბოლოს, ლატვიური ვერსია აღნიშნავს „სამოქალაქო პირის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის საფრთხეს“ („draudi civiliedzīvotāja dzīvībai vai veselībai“).

არ ყოფილა CJEU-ის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა განსხვავებებს საკანონმდებლო ტექსტის სხვადასხვა ენობრივ ვერსიებს შორის. ასეთ შემთხვევებში, ევროკავშირის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის პრინციპები აღწერილი იყო ზემოთ მოცემულ ნაწილში 1.4.2 და EASO-ის სახელმძღვანელოში „შესავალი თავშესაფრის ერთიან ევროპულ სისტემაში სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის – პრევენციული სამართლის ანალიზი“, [პუნქტი 3.2](#), გვ. 63-65.

უნდა გვახსოვდეს, რომ საქმეში „დიაკიტე“ (*Diakité*), CJEU-მ განასხვავა სუბსიდიარული დაცვის რეჟიმი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რეჟიმები ⁽³⁷⁸⁾ და გადაწყვიტა, რომ სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება („eligibility“) არ უნდა იყოს დამოკიდებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების პირობებზე (იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.4.4.1). CJEU-მ დაადგინა, რომ სუბსიდიარული დაცვის რეჟიმს, ერთი მხრივ, და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, მეორე მხრივ, „აქვს განსხვავებული მიზნები და ადგენს სრულიად განსხვავებულ დაცვის მექანიზმებს“ ⁽³⁷⁹⁾. როგორც აღნიშნულია ზემოთ მოცემულ ნაწილში 1.4.4.5.1, „შიდა შეიარაღებული კონფლიქტის“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, CJEU-მ განაცხადა, რომ „ამ ფრაზის მნიშვნელობა და მოქმედების სფერო, როგორც ამას მუდმივად ადგენდა სასამართლო, უნდა განისაზღვროს მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით ყოველდღიურ ენაში, ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კონტექსტი, რომელშიც ის ხდება და იმ წესების მიზნები, რომლის შემადგენელი ნაწილიც ის არის“ ⁽³⁸⁰⁾.

CJEU-ის ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა იგივე მიდგომა გამოყენებული „სიცოცხლის ან პიროვნების“ მნიშვნელობის მიმართ, ან არის თუ არა მიზანშეწონილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება. საქმეში, რომელიც წინ უძღოდა CJEU-ის გადაწყვეტილებას საქმეში „დიაკიტე“ (*Diakité*), AIT-მა

⁽³⁷⁷⁾ ეს გამოთქმა გამოიყენება სასაუბრო შვედურში და არა წერილობით შვედურში.

⁽³⁷⁸⁾ CJEU, 2014 წ., „*Diakité*“, op. cit., fn. 102, პუნქტი 24. ასევე იხილეთ პუნქტი 23, სადაც ნათქვამია, რომ: „მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შექმნილია, მათ შორის, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა კონფლიქტის ზონაში ომის ეფექტების შეზღუდვით ადამიანებზე და საკუთრებაზე, [QD-ის] მე-2 მუხლის „ე“ პუნქტისგან განსხვავებით, რომელიც წაკითხული უნდა იყოს აღნიშნული დირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტთან ერთად, ის არ ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის მინიჭებას გარკვეული სამოქალაქო პირებისთვის, რომლებიც იმყოფებიან როგორც კონფლიქტის ზონის, ასევე კონფლიქტის მხარეების ტერიტორიის გარეთ.“

⁽³⁷⁹⁾ CJEU, 2014 წ., „*Diakité*“, op. cit., fn. 102, პუნქტი 24.

⁽³⁸⁰⁾ Ibid., პუნქტი 27.



(გაერთიანებული სამეფო) განმარტა „სამოქალაქო პირის სიცოცხლე ან პიროვნება“ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან მიმართებით და აღნიშნულ ტერმინებს მიანიჭა ფართო მნიშვნელობა. 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი იყენებს ფრაზას „სიცოცხლე და პიროვნება“ (და არა „სიცოცხლე ან პიროვნება“) ⁽³⁸¹⁾. საქმეში „KH (Iraq)“ (KH (Iraq)), AIT-მა (გაერთიანებული სამეფო) აღნიშნა, რომ ეს ფრაზა აშკარად არ არის შესაფერისი, რათა მოიცვას რაიმე, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო ობიექტებთან ⁽³⁸²⁾. „სამოქალაქო ობიექტების“ დეფინიცია მოცემულია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, რომელიც მოიცავს „საცხოვრებლებს, მალაზიებს, სკოლებსა და არასამხედრო საქმიანობის სხვა ადგილებს, დასვენებისა და რელიგიასთან დაკავშირებული ადგილებს, სატრანსპორტო საშუალებებს კულტურულ ფასეულობებს, საავადმყოფოებსა და სამედიცინო დაწესებულებებს და დანაყოფებს“ ⁽³⁸³⁾.

გაერთიანებული სამეფოს ტრიბუნალმა დაადგინა განსხვავებები საერთო მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, ერთი მხრივ, „სიცოცხლესა და პიროვნების მიმართ“ ძალადობის შესახებ „ა“ პუნქტსა და, მეორე მხრივ, „ადამიანის ღირსების შეურაცხყოფის, კერძოდ კი, ღირსების შემლახველ და დამამცირებელ მოპყრობის“ შესახებ „გ“ პუნქტს შორის ⁽³⁸⁴⁾. ამის შედეგად ტრიბუნალმა ეჭვქვეშ დააყენა, რომ ფრაზის „სიცოცხლე და პიროვნება“ საგნობრივი მოქმედების სფერო შეიძლება გავრცელდეს საფრთხეებზე, რომელიც წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. „სიცოცხლის ან პიროვნების“ ცნებისთვის დამახასიათებელ შეზღუდვაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში დამატებით მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1977 წლის დამატებით ოქმში II ⁽³⁸⁵⁾ (იმ დროისთვის ითვლებოდა, რომ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას უნდა მინიჭებოდა უფრო ფართო საგნობრივი მოქმედების სფერო) გამოყენებული იქნა დამატებითი ფორმულირება, რათა ეს დაცვა გამხდარიყო უფრო გაფართოებული ხასიათის. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი კრძალავს „ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური ან ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მიმართ ძალადობას, განსაკუთრებით მკვლელობას, აგრეთვე, სასტიკ მოპყრობას, როგორცაა წამება, დასახიჩრება ან ფიზიკური დასჯის ნებისმიერი ფორმა“. დიდი ბრიტანეთის ტრიბუნალმა დაასკვნა: „თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ „სიცოცხლეს ან პიროვნებას“ უნდა მიენიჭოს ფართო მნიშვნელობა, ჩვენ უნდა დავეთანხმებით იმას, რომ ფრაზა უნდა მოიცავდეს პიროვნების გადარჩენის საშუალებებს“ ⁽³⁸⁶⁾.

უახლეს საქმეში, გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის [Baden-Württemberg] უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გაითვალისწინა გაჭიანურებული შეიარაღებული კონფლიქტების კუმულატიური ეფექტები და აღნიშნა, რომ:

⁽³⁸¹⁾ ჟენევის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, 1949 წლის 12 აგვისტო; ჟენევის კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, 1949 წლის 12 აგვისტო; ჟენევის კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ, 1949 წლის 12 აგვისტო; და ჟენევის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, 1949 წლის 12 აგვისტო.

⁽³⁸²⁾ AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2008 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „KH (Article 15(c) Qualification Directive) Iraq CG“, [2008] UKAIT 00023 (შემდგომში - AIT (გაერთიანებული სამეფო), 2008 წ., „KH (Article 15(c) QD) Iraq CG“).

⁽³⁸³⁾ AIT (გაერთიანებული სამეფო), 2008 წ., „KH (Article 15(c) QD) Iraq CG“, op. cit., fn. 382, პუნქტი. 103.

⁽³⁸⁴⁾ Ibid., პუნქტი 107.

⁽³⁸⁵⁾ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის მქონე შეიარაღებულ კონფლიქტთა მსხვერპლის დაცვის შესახებ (ოქმი II), 1977 წლის 8 ივნისი.

⁽³⁸⁶⁾ AIT (გაერთიანებული სამეფო), 2008 წ., „KH (Article 15(c) QD) Iraq CG“, op. cit., fn. 382, პუნქტი 104.



გაჭიანურებული შეიარაღებული კონფლიქტების კუმულატიური ეფექტების მნიშვნელობა საერთო შეფასების ფარგლებში მდგომარეობს მინიმუმ ასევე იმაში, რომ კონფლიქტის ხანგრძლივობის ზრდა, როგორც წესი, და პროგნოზირებადად იწვევს ფსიქიკური დაავადებების რაოდენობისა და სიმძიმის ზრდას, რაც არის მუდმივად საფრთხის შემცველ სიტუაციაში ყოფნის შედეგი ⁽³⁸⁷⁾.

1.4.5. დასკვნა სერიოზული ზიანის შესახებ

ჯამში, თუ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილად კვალიფიცირების კრიტერიუმებს, მაშინ უნდა შემოწმდეს, ემუქრება თუ არა მას სერიოზული ზიანი სასიკვდილო განაჩენის ან სიკვდილით დასჯის სახით (ნაწილი 1.4.2), წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის სახით (ნაწილი 1.4.3), ან სერიოზული ან ინდივიდუალური საფრთხე სამოქალაქო პირის სიცოცხლისა ან პიროვნების მიმართ განურჩეველი ძალადობის გამო საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში (ნაწილი 1.4.4).

თუ მიჩნეულია, რომ განმცხადებელს ემუქრება ერთი ან რამდენიმე სახის სერიოზული ზიანი, მაშინ აუცილებელია დადგინდეს, არსებობს თუ არა მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ მათ ემუქრებათ ასეთი ზიანის რეალური რისკი (ნაწილი 1.5), ვინ არის სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი (ნაწილი 1.6), იქნება თუ არა ამგვარი ზიანისგან დაუცველობა სახეზე (ნაწილი 1.7) და თუ მოხდა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლის ტრასნპოზიცია ეროვნულ კანონმდებლობაში, მაშინ არსებობს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (პუნქტი 1.8).

დანართი A შეიცავს გადაწყვეტილების დიაგრამას, რომელიც აჯამებს ნაწილში 1 განხილულ მასალას.

1.5. რეალური რისკის არსებობის მტკიცე საფუძველი

ნაწილი 1.5 დაყოფილია ოთხ ქვენაწილად, რაც ასახულია 47-ე ცხრილში.

ცხრილი 15: ნაწილის 1.5 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
1.5.1	რეალური რისკი (მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი)	99
1.5.2	რისკის არსებობის მოთხოვნა (მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი) და ადრინდელი სერიოზული ზიანის (მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის) მნიშვნელობა	101
1.5.3	ანალოგიურ პირობებში მყოფი პირებისთვის რისკის არსებობის მტკიცებულება	103
1.5.4	საქმიანობის დამალვის საკითხი	106

1.5.1. რეალური რისკი (მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი)

მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტში მოცემული „სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების [„eligible“] მქონე პირის“ დეფინიცია მოითხოვს, რომ „არსებობდეს მტკიცე საფუძველი იმის

⁽³⁸⁷⁾ VGH ბადენ-ვიურტემბერგი [VGH Baden-Württemberg], 2018 წ., A 11 S 316/17, op. cit., fn. 302 (არაოფიციალური თარგმანი).



სავარაუდოდ, რომ შესაბამისი პირი [...] დაბრუნების შემთხვევაში აღმოჩნდება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის წინაშე“ (დამატებულია ხაზგასმა).

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი

„სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების [„eligible“] მქონე პირი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ვინც ვერ იქნება კვალიფიცირებული ლტოლვილად, თუმცა ვის მიმართაც არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ თუ შესაბამისი პირი დაბრუნდება წარმოშობის ქვეყანი ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, ძველ მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში, მაშინ ის შეიძლება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ აღმოჩნდეს, რაც განსაზღვრულია მე-15 მუხლით, და ვისზეც არ ვრცელდება მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება და ვისაც, ამგვარი რისკის არსებობის გამო, არ შეუძლია ან არ აქვს სურვილი ისარგებლოს ასეთი ქვეყნის სახელმწიფო დაცვით. [დამატებულია ხაზგასმა.]

საქმეში „CF და DN“ (CF and DN), გენერალურმა ადვოკატმა პიკამეემ [Pikamäe] თავის მოსაზრებაში გააკეთა კომენტარი:

[QD-ის (ახალი რედაქციით)] შესაბამისი დებულებები ეხება „რეალური რისკის“ არსებობას, რომ საერთაშორისო დაცვის მაძიებელს შეიძლება მიაღგეს სერიოზული ზიანი, რაც განისაზღვრება, როგორც სერიოზული საფრთხე სამოქალაქო პირის „სიცოცხლისთვის ან პიროვნებისთვის“. „რეალური რისკის“ კონცეფცია ეხება რისკების შეფასებისთვის მოქმედ მტკიცებულების სტანდარტს, რომელიც არის ფაქტობრივი შეფასება და წარმოადგენს ალბათობის კრიტერიუმს, რომელიც არ შეიძლება შემცირდეს უბრალო ალბათობამდე ...⁽³⁸⁸⁾.

დღემდე, CJEU-ს არ მოუცია „რეალური რისკის“ ცნების ზუსტი განმარტება. შეიძლება ჩაითვალოს, რომ სერიოზული ზიანის „რეალური რისკის“ სტანდარტი არ განსხვავდება იმ სტანდარტისგან, რომელიც გამოიყენება ლტოლვილთა დეფინიციით გათვალისწინებული დევნის „საფუძვლიანი შიში“ შესაფასებლად, რომელიც წარმოადგენს „გონივრულ შიშს“⁽³⁸⁹⁾. ეს ხდება იმიტომ, რომ CJEU-ი ურთიერთმონაცვლეობით იყენებს ტერმინებს „რეალური რისკი“ და „საფუძვლიანი შიში“⁽³⁹⁰⁾. აღნიშნული, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ მტკიცებულების იგივე სტანდარტი ვრცელდება „რეალური რისკის“ და „საფუძვლიანი შიშის“ შეფასებაზე. „საფუძვლიანი შიშის /რეალური რისკის“ ხსენებული შეფასების ტესტი ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენების უბრალო შემთხვევითობა ან შორეული შესაძლებლობა არასაკმარისია დევნის საფუძვლიანი შიშის ან სერიოზული ზიანის რეალური რისკის დასადგენად, განმცხადებელს არ სჭირდება იმის დამტკიცება, რომ არსებობს მისი დევნის ამკარა ალბათობა ან რომ მას

⁽³⁸⁸⁾ გენერალური ადვოკატის პიკამეეს [Pikamäe] მოსაზრება, 2021 წ. „CF and DN“, op. cit., fn. 291, პუნქტი 32. გენერალურმა ადვოკატმა პიკამეემ [Pikamäe] ამასთან გააკეთა შენიშვნა, რომ სერიოზული ზიანის შეფასებას დროს, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, „მოცემულ ტერიტორიაზე დაზარალებული სამოქალაქო პირების რიცხვი არ არის ჰიპოთეტური მოსაზრება, არამედ პირიქით, ის არის დაფუძნებული რეალურ ფაქტებზე და, ამგვარად, მის მიხედვით შესაძლებელია გათვალისწინებული რისკის დადგენა“ (პუნქტი 32).

⁽³⁸⁹⁾ CJEU (GC), 2012 წ., „Y and Z“, op. cit., fn. 35, პუნქტი 76; CJEU (GC), 2010 წ., „Abdulla“, op. cit., fn. 29, პუნქტი 89; და CJEU, 2013 წ., „X, Y and Z“, op. cit., fn. 28, პუნქტი 72. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ნაწილი 1.5.2.

⁽³⁹⁰⁾ CJEU (GC), 2012 წ., „Y and Z“, op. cit., fn. 35, პუნქტები 75 და 79-80. იხილეთ ასევე ნაწილი 1.5.2.





მიადგება სერიოზული ზიანი (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ზემოთ აღნიშნული პუნქტი 1.5).

ვინაიდან „რეალური რისკი“ წარმოიშვა ECtHR-ის იურისპრუდენციიდან, ამიტომ რელევანტურია ამ სასამართლოს სასამართლო პრაქტიკა. „სოერინგის“ (Soering) საქმის შემდეგ, ECtHR-მა არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტკიცებულების სპეციფიკური სტანდარტი, რომელიც საჭიროა არგაძვეების საქმეებში, არის ის, რომ „არსებობს მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ მოცემულ პირს, მიმღებ ქვეყანაში გაძევების შემთხვევაში, დაემუქრება ისეთი მოპყრობის რეალური რისკი, რომელიც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს. (391). მან ასევე განსაზღვრა:

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა არასათანადო მოპყრობის რისკი, [საჭიროა, რომ] მოხდეს განმცხადებლის მიმღებ ქვეყანაში გაგზავნის მოსალოდნელი შედეგების განხილვა, იქ არსებული ზოგადი მდგომარეობისა და მისი პირადი გარემოებების გათვალისწინებით (392).

საქმეში „ვილვარაჯაჰ“ (Vilvarajah), ECtHR-ის თანახმად, რეალური რისკის ეს წინდახედული შეფასება ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვანია, იყო თუ არა „განმასხვავებელი ნიშნები [აღნიშნულ საქმეებში], რომელსაც შეეძლო ან უნდა მიეცა [გადაწყვეტილების მიმღებისთვის] იმის გათვალისწინების საშუალება, რომ მათ მოეპყრობოდნენ ასეთი ფორმით [ე.ი., დაქვემდებარებოდნენ არასათანადო მოპყრობას] (393).

საქმეში „ვილვარაჯაჰ“ (Vilvarajah), ECtHR-მა დაადგინა, რომ არასათანადო მოპყრობის „უბრალო შესაძლებლობა“ არ აკმაყოფილებს „რეალური რისკის“ მინიმალურ მოთხოვნებს [„threshold“](394). ამის საპირისპიროდ, საქმეში „საადი“ (Saadi) მან დაადგინა, რომ მინიმალური მოთხოვნები [„threshold“] იმაზე უფრო დაბალია, ვიდრე „უფრო სავარაუდოა, ვიდრე არა“ (395). ECtHR-მა ასევე დაადგინა, რომ იგივე მინიმალური მოთხოვნები [„threshold“] ვრცელდება ყველა განმცხადებელზე, განურჩევლად მათი მონაცემებისა. უფრო კონკრეტულად კი, საქმეში „საადი“ (Saadi) მან დაადგინა, რომ „რეალური რისკის“ იგივე შეფასების ტესტი ვრცელდება იმ განმცხადებლებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეროვნულ უსაფრთხოებას, რაც ნიშნავს რომ ასეთ განმცხადებლებს არ სჭირდებათ რისკის არსებობის უფრო მაღალი მინიმალური მოთხოვნების [„threshold“] დაკმაყოფილება, ვიდრე სხვა განმცხადებლებს (396).

1.5.2. რისკის არსებობის მოთხოვნა (მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი) და ადრინდელი სერიოზული ზიანის (მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის) მნიშვნელობა

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის მიხედვით, „სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების [„eligible“] მქონე პირის“ დეფინიცია მოითხოვს, რომ განმცხადებელი იყოს „სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ“.

(391) ECtHR (პლენუმი), 1989 წ., „Soering“, op. cit., fn. 282, პუნქტი 91.

(392) ECtHR (GC), 2008 წ., „Saadi“, op. cit., fn. 362, პუნქტი 130, (დამატებულია ხაზგასმა). ასევე, იხილეთ ECtHR-ის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Auad v ბულგარეთი“, # 46390/10, CE:ECHR:2011:1011JUD004639010, პუნქტი 99(გ).

(393) იხილეთ ECtHR-ის 1991 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Vilvarajah and Others v United Kingdom“, # 13163/87, 13164/87, 13165/87, 13447/87 და 13448/87, CE:ECHR:1991:1030JUD001316387, პუნქტი. 112.

(394) ECtHR, 1991 წ., „Vilvarajah and Others“, op. cit., fn. 393, პუნქტი 111.

(395) ECtHR (GC), 2008 წ., „Saadi“, op. cit., fn. 362, პუნქტი 140, (დამატებულია ხაზგასმა).

(396) Ibid., პუნქტი 140 (დამატებულია ხაზგასმა).



სიტყვა „რისკი“ ასახავს ამ დეფინიციით გათვალისწინებულ პროგნოზირებადობას. საქმეში „CF და DN“ (CF and DN), გენერალურმა ადვოკატმა პიკამეემ [Pikamäe] აღნიშნა, რომ „როგორც ჩანს, კომპეტენტური ეროვნული ორგანოს მიერ განსაზოციელებელი ანალიზი გულისხმობს ჰიპოთეტური მომავალის სიტუაციის შეფასებას, რომელიც აუცილებლად მოიცავს ერთგვარ ვარაუდს“⁽³⁹⁷⁾.

APD-ის (ახალი რედაქციით) 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასევე მოითხოვს საქმის მიმდინარე შეფასებას სააპელაციო პროცედურების ფარგლებში. ის წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს „როგორც ფაქტების, ისე სამართლებრივ საკითხთა სრულ და შემდგომ გამოკვლევას..., სულ მცირე, პირველი ინსტანციის სასამართლოს ან ტრიბუნალის სააპელაციო პროცედურებში“⁽³⁹⁸⁾.

სერიოზული ზიანის არსებული რისკის შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, უკვე მიაღწა თუ არა განმცხადებელს სერიოზული ზიანი ან იყო თუ არა ასეთი ზიანის პირდაპირი მუქარის ობიექტი. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი არის სავალდებულო დებულება. მასში ნათქვამია შემდეგი.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი

ის ფაქტი, რომ განმცხადებელს უკვე მიაღწა ... სერიოზული ზიანი, ან იყო ასეთი ზიანის პირდაპირი მუქარის ობიექტი... არის სერიოზული მანიშნებელი იმისა, რომ განმცხადებელს ემუქრება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი, თუ არ არსებობს საფუძვლიანი მიზეზები, რათა ჩაითვალოს, რომ ასეთი... სერიოზული ზიანი არ განმეორდება. [დამატებულია ხაზგასმა.]

ვინაიდან QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ეხება როგორც დევნას, ასევე სერიოზულ ზიანს, შესაძლებელია ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებების მოძიება CJEU-ის სასამართლო პრაქტიკაში წარსულში განხორციელებული დევნის მნიშვნელობის შესახებ (იხილეთ ზემოთ მოცემული [ნაწილი 1.5.3](#)).

წარსულში მიყენებული სერიოზული ზიანი, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში, მოიცავს არა მხოლოდ სერიოზული ზიანის მიყენების ქმედებებს, არამედ სერიოზული ზიანის მიყენების მუქარას⁽³⁹⁹⁾. თუ განმცხადებელს უკვე მიაღწა სერიოზული ზიანი ან იყო სერიოზული ზიანის პირდაპირი მუქარის ობიექტი, მაშინ ეს არის რეალური რისკის სერიოზული მანიშნებელი მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად⁽⁴⁰⁰⁾. საქმეში „ელგაფაჯი“ (Elgafaji), CJEU-მ ჩათვალა, რომ განურჩეველი ძალადობის დონე, რომლის არსებობაც აუცილებელია სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლებით სარგებლობისთვის QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, „შეიძლება იყოს უფრო დაბალი“, როდესაც დადგენილია, რომ

⁽³⁹⁷⁾ CJEU, გენერალური ადვოკატის პიკამეეს [Pikamäe] 2021 წლის მოსაზრება საქმეში „CF and DN“, op. cit., fn. 291, პუნქტი 46.

⁽³⁹⁸⁾ მეტისთვის იხილეთ EASO, „თავშესაფრის პროცედურები და არგამეხების პრინციპი – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, 2018, ნაწილი 6.2.3.

⁽³⁹⁹⁾ იხ., შესაბამისი ცვლილების გათვალისწინებით, CJEU (GC), 2010 წ., „Abdulla“, op. cit., fn. 29, პუნქტები 94 და 96–97.

⁽⁴⁰⁰⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 33. იხ. ასევე, შესაბამისი ცვლილების გათვალისწინებით, CJEU (GC), 2012 წ., „Y and Z“, op. cit., fn. 35, პუნქტი 75; და CJEU, 2013 წ., „X, Y and Z“, op. cit., fn. 28, პუნქტი 64, რომელშიც სასამართლომ განიხილა მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი წარსულში განხორციელებულ დევნასთან ან დევნის მუქარასთან დაკავშირებით.



განმცხადებელს უკვე მიაღვა სერიოზული ზიანი, ვინაიდან, როგორც გათვალისწინებულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, ეს შეიძლება თავად იყოს რეალური რისკის სერიოზული მანიშნებელი ⁽⁴⁰¹⁾.

თუმცა ეს სერიოზული მანიშნებელი შეიძლება უარყოფილი იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ წარმოშობის ქვეყანაში არსებული გარემოებები მნიშვნელოვნად და სამუდამოდ შეიცვალა (იხილეთ [ნაწილი 1.5.3](#)).

ასე იყო საქმის „MP“ შემთხვევაში, რომელიც ეხებოდა განმცხადებელს, რომელიც დააკავს და აწამეს შრი-ლანკის უსაფრთხოების ძალებმა. წარმოდგენილი იყო სამედიცინო მტკიცებულება იმისა, რომ განმცხადებელი განიცდიდა წამების შემდგომ შედეგებს, განსაკუთრებით კი აღნიშნებოდა მძიმე პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და სერიოზული დეპრესია და სუიციდური ტენდენციები. CJEU-მ განაცხადა:

ის ფაქტი, რომ შესაბამისი პირი წარსულში აწამეს მისი წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებმა, თავისთავად არ არის საკმარისი დასაბუთება იმისთვის, რომ მას ჰქონდეს სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება, როდესაც აღარ არსებობს ასეთი წამების განმეორების რეალური რისკი, თუ ის დაბრუნდა იმავე ქვეყანაში ⁽⁴⁰²⁾.

QD-ის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, წარსულში მიყენებული სერიოზული ზიანი წარმოადგენს რეალური რისკის სერიოზულ მინიშნებას, მაგრამ „ეს არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც არსებობს პატივსაცემი მიზეზები იმის სავარაუდოდ, რომ წარსულში მიყენებული სერიოზული ზიანი არ განმეორდება ან გაგრძელდება“ ⁽⁴⁰³⁾. გარდა ამისა, CJEU-მ განაგრძო იმის აღნიშვნით, რომ „[QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-16 მუხლის შესაბამისად, მინიჭებული სუბსიდიარული დაცვა შეწყდება მაშინ, როდესაც გარემოებები, რამაც გამოიწვია სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მოყოფი პირის სტატუსის მინიჭება, ან აღარ იარსებებს ან შეიცვლება ისეთ დონეზე, რომ დაცვა აღარ იქნება საჭირო“ ⁽⁴⁰⁴⁾.

1.5.3. ანალოგიურ პირობებში მყოფი პირებისთვის რისკის არსებობის მტკიცებულება

იმის შეფასება, აღმოჩნდება თუ არა პირი სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ, სულაც არ არის საჭირო, რომ ეფუძნებოდეს განმცხადებლის საკუთარ გამოცდილებას.

⁽⁴⁰¹⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 40. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი იგივეა, რაც QD-ის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁽⁴⁰²⁾ CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 30.

⁽⁴⁰³⁾ Ibid., პუნქტი 33. აღნიშნული დებულება იგივეა QD-ში (ახალი რედაქციით). იმის ანალიზი, თუ რატომ აღარ არსებობს არასათანადო მოპყრობის განმეორების რისკი, გაკეთდა უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2013 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებაში „*GJ და სხვები (სამოქალაქო ომის შემდეგ: დაბრუნებულები) შრი-ლანკა CG*“ (*GJ and Others (post-civil war: returnees) Sri Lanka CG*), [2013 წ.] UKUT 00319, რომელიც იძლევა „ქვეყნისთვის სახელმძღვანელო მითითებებს“ ტამილებისთვის [Tamils] რისკის არსებობის შესახებ შრი-ლანკის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ. ECtHR-ი, თავის სასამართლო პრაქტიკაში ასევე განიხილავს წარსულში არასათანადო მოპყრობის ფაქტს, როგორც „მომავალში ისეთი მოპყრობის რეალური რისკის სერიოზულ მანიშნებელს, რომელიც ეწინააღმდეგება [ECHR-ის] მე-3 მუხლს“, იმ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებელმა წარმოადგინა მოვლენების თანმიმდევრული და სანდო ვერსია, რომელიც შეესაბამება COI-ს. ასეთ ვითარებაში, მთავრობას დაეკისრება ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლება ამ რისკის შესახებ. იხ. ECtHR (GC), 2016 წ., „*JK and Others v Sweden*“, op. cit., fn. 227, პუნქტი 102.

⁽⁴⁰⁴⁾ CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 34. შეწყვეტის შემთხვევებში, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირს უკვე მიაღვა სერიოზული ზიანი. იხ. EASO, „*საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტა - პრევენციული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 21, პუნქტი 6.2.4.



CJEU-ს ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა ეს საკითხი მხოლოდ საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის კონკრეტულ ფარგლებში⁽⁴⁰⁵⁾. QD-ის პრეამბულის 26-ე პუნქტზე მითითებით (QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 35-ე პუნქტი)⁽⁴⁰⁶⁾ CJEU-მ დაადგინა:

მიუხედავად იმისა, რომ პრეამბულის [26-ე] პუნქტი გულისხმობს, რომ მხოლოდ რისკის ობიექტური აღმოჩენა, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ ზოგად ვითარებასთან, როგორც წესი, არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ დირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში განსაზღვრული პირობები იყო დაკმაყოფილებული კონკრეტული პირის მიმართ, მისი ფორმულირება მაინც იძლევა - სიტყვის „ჩვეულებრივად“ გამოყენებით - განსაკუთრებული სიტუაციის არსებობის შესაძლებლობას, რომელიც დახასიათდება რისკის ისეთი მაღალი დონით, რომ დემონსტრირებული იქნება მტკიცე საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ პირი ინდივიდუალურად დაექვემდებარება აღნიშნულ რისკს.

მაშინ როდესაც აღიარებულია, რომ კოლექტიური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის გამოყენებაში, რადგან შესაბამისი პირი, სხვა ადამიანების მსგავსად, მიეკუთვნება განურჩეველი ძალადობის პოტენციურ მსხვერპლად მიჩნეულ პირთა წრეს საერთაშორისო ან შიდა შეირაღებულ კონფლიქტის ვითარებაში, მიუხედავად ამისა, ეს დებულება უნდა ექვემდებარებოდეს თანმიმდევრულ განმარტებას დირექტივის მე-15 მუხლში მითითებულ დანარჩენ ორ სიტუაციასთან მიმართებაში და, შესაბამისად, უნდა იქნეს განმარტებული ამ ინდივიდუალურიზაციაზე მჭიდრო მითითებით⁽⁴⁰⁷⁾.

ბელგიის სახელმწიფო საბჭომ განიხილა ეს საკითხი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის ფარგლებში. მან დაადგინა, რომ, როდესაც მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ ჯგუფი სისტემატურად არის არასათანადო მოპყრობისთვის სამიზნე, ასეთი ჯგუფის უბრალო წევრობა შეიძლება წარმოადგენდეს მტკიცე საფუძველს იმის სავარაუდოდ, რომ განმცხადებელს, დაბრუნების შემთხვევაში, ემუქრება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით⁽⁴⁰⁸⁾. სახელმწიფო საბჭომ ცალსახად უარყო ბელგიის თავშესაფრის მინიჭების ორგანოების მოსაზრება, რომ განმცხადებელმა უნდა დაადგინოს **შემდგომი** ინდივიდუალური გარემოებები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელგაფაჯი (*Elgafaji*) აიგივებს QD-ის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტს (ამჟამად QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი) ECHR-ის მე-3 მუხლთან. შემდეგ მან განიხილა, რომ საქმეში „საადი“ (*Saadi*), ECtHR-მა დაადგინა, რომ ისეთი სახის ჯგუფის წევრობამ, რომელიც სისტემატურად ექვემდებარება არასათანადო მოპყრობის პრაქტიკას, შეიძლება წარმოშოს დაცვის მოთხოვნის უფლება ECHR-ის მე-3 მუხლის მიხედვით⁽⁴⁰⁹⁾. სახელმწიფო საბჭომ დაასკვნა, რომ მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დაცვის უფლება უნდა მიენიჭოს ისეთ განმცხადებლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ჯგუფს, რომელიც სისტემატურად წარმოადგენს სამიზნეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ ადასტურებენ შემდგომ ინდივიდუალურ გარემოებებს⁽⁴¹⁰⁾.

⁽⁴⁰⁵⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 38.

⁽⁴⁰⁶⁾ პრეამბულის პუნქტი ციტირებულია ზემოთ მოცემულ ნაწილში 1.4.4.3.1.

⁽⁴⁰⁷⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტები 37–38.

⁽⁴⁰⁸⁾ სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'État/Raad van State) (ბელგია) 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება # 218.075 (შემდგომში - Conseil d'État (ბელგია), 2012 წ., # 218.075). იხ. ასევე AIT (გაერთიანებული სამეფო), 2009 წ., „*AM and AM (armed conflict: risk categories)*“, op. cit., fn. 315.

⁽⁴⁰⁹⁾ ECtHR (GC), 2008 წ., „*Saadi*“, op. cit., fn. 362, პუნქტი 132.

⁽⁴¹⁰⁾ Conseil d'État (ბელგია), 2012 წ., # 218.075, op. cit., fn. 408.



„საადის“ (*Saadi*) მსგავს საქმეებში, როდესაც ჯგუფის წევრობა სავარაუდოდ იწვევს სისტემატიურ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკას მისი წევრების მიმართ, ECtHR-მა დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირმა უნდა დაადასტუროს, რომ ნახსენები პრაქტიკის არსებობის სავარაუდოდ არსებობს სერიოზული მიზეზები და რომ ეს [პირი] არის აღნიშნული ჯგუფის წევრი“⁽⁴¹¹⁾. ამ გარემოებებში, ECtHR-ი არ „ითხოვს დაჟინებით, რომ განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს დამატებითი განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშნების არსებობა, თუ ამის გაკეთება მოჩვენებით გახდის იმ დაცვას, რომელსაც გვთავაზობს მე-3 მუხლი“⁽⁴¹²⁾.

გერმანიის თავშესაფრის კონსტიტუციური უფლებით გათვალისწინებული ჯგუფური დევნის ანალოგიურ კონცეფციაზე მითითებით, ბადენ-ვიურტემბერგის [Baden-Württemberg] უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა:

სხვების ბედისაგან დასკვნების გასაკეთებლად, რომ არსებოს რეალური საფრთხე იმისა, რომ დაბრუნების შემთხვევაში, პიროვნება დაექვემდებარება ისეთ მოპყრობას, რომელიც ეწინააღმდეგება ECHR-ის მე-3 მუხლს, ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია – ჯგუფური დევნის კონცეფციის მსგავსად, რომელიც შემუშავებულია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავშესაფრის მინიჭების ძირითადი უფლებისთვის, GG-ის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად [(ძირითადი კანონი ან კონსტიტუცია)]

[...]

რომელიც ასევე ანალოგიურად გამოიყენება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში,

[...]

ერთი მხრივ, რომ პირთა ჯგუფის არსებობა, რომელთა მიმართაც უკვე შეიძლება დადგენილი იყოს ECHR-ის მე-3 მუხლის დარღვევა და, მეორე მხრივ, რომ შეიძლება იმის დადგენა, რომ შესაბამისი პირი ამ პირებთან იზიარებს იმ მახასიათებლებს, რომელიც იყო გადამწყვეტი იმ გარემოებების წარმოშობისთვის, რამაც გამოიწვია ისეთი სახის მოპყრობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ECHR-ის მე-3 მუხლს⁽⁴¹³⁾.

განმცხადებლის ოჯახის, მეგობრებისა და მის მსგავს მდგომარეობაში მყოფი ადამიანების გამოცდილება ასევე შეიძლება მიუთითებდეს სერიოზული ზიანის რეალურ რისკზე (ასევე, იხილეთ ზემოთ მოცემული [ნაწილი 1.5.4](#)).

⁽⁴¹¹⁾ ECtHR (GC), 2008 წ., „*Saadi*“, op. cit., fn. 362, პუნქტი 132.

⁽⁴¹²⁾ ECtHR (GC), 2016 წ., „*JK and Others v Sweden*“, op. cit., fn. 227 პუნქტი 105, რომელიც განსაზღვრავს, რომ „პირები, რომლებიც ომის შემდეგ სხვადასხვა გზით თანამშრომლობდნენ ერაყის საოკუპაციო ჯარების ორგანოებთან, იყვნენ და კვლავაც არიან ალ-ქაიდას [al-Qaeda] და სხვა ჯგუფების სამიზნე“ (პუნქტი 117). ასევე, იხილეთ, ECtHR, 2008 წ., „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, პუნქტები 114 და 116 (გარკვეული მონაცემების მქონე ტამილები [Tamils]); ECtHR, 2007 წ., „*Salah Sheekh*“, op. cit., fn. 682, პუნქტები 146–148 (აშრაფის [Ashraf] თემის წევრები).

⁽⁴¹³⁾ VGH ბადენ-ვიურტემბერგის [Baden-Württemberg] 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება #A 11 S 1923/17, პუნქტები 137-141 (არაოფიციალური თარგმანი). გადაწყვეტილება ეხებოდა ECHR-ის მე-3 მუხლის ვალდებულებებს ავღანელი განმცხადებლის მიერ საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განაცხადის არდაკმაყოფილების საქმეში.



1.5.4. საქმიანობის დამალვის საკითხი

ზოგჯერ ჩნდება საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა, რომ საქმიანობის დამალვით თავიდან იქნეს აცილებული სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი. ლტოლვილად კვალიფიცირების ფარგლებში საქმიანობის დამალვის საკითხი განხილულია ზემოთ მოცემულ ნაწილში 1.5.5 და ანალოგიური მოსაზრებები ვრცელდება სუბსიდიარულ დაცვაზე.

1.6. სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები (მუხლი 6)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლი

დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები

დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები მოიცავს:

- (a) სახელმწიფო;
- (b) მხარეებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს;
- (c) არასახელმწიფო სუბიექტები, თუ შეიძლება იმის დადასტურება, რომ „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ სუბიექტებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ ან არ სურთ უზრუნველყონ დაცვა დევნიდან ან სერიოზული ზიანისგან, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 მუხლში.

ეს დებულება საერთოა საერთაშორისო დაცვის ორივე ფორმისთვის და, შესაბამისად, ვრცელდება სერიოზული ზიანის მიმყენებელ სუბიექტებზე, სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების მიზნით, იმავე საფუძველზე, როგორც დევნისა და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირების ფარგლებში. ამგვარად, ზემოთაღნიშნულ ნაწილში 1.7 შემუშავებული ანალიზი დევნის განმახორციელებელი სუბიექტების შესახებ ასევე გამოიყენება სერიოზული ზიანისგან დაცვასთან დაკავშირებით. მე-6 მუხლის დეტალური ანალიზისთვის, გთხოვთ, იხილოთ ზემოთაღნიშნული პუნქტი 1.7.

1.7. სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტები (მუხლი 7)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლი არის **სავალდებულო დებულება**, რომელიც საერთოა როგორც ლტოლვილთა დაცვის, ასევე სუბსიდიარული დაცვისთვის. ამგვარად, ნაწილში 1.8 შემუშავებული ანალიზი დაცვის უზრუნველყოფ სუბიექტებთან დაკავშირებით ასევე გამოიყენება სერიოზული ზიანისგან დაცვასთან დაკავშირებით. მე-7 მუხლის დეტალური ანალიზისთვის, შესაბამისად, იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.8.





1.8. სერიოზული ზიანის მიყენებისგან შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (მუხლი 8)

თავიდანვე უნდა გვახსოვდეს, რომ მე-8 მუხლი არის არასავალდებულო დებულება. შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციისა და წევრი სახელმწიფოს მიერ გამოყენების შემთხვევაში, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლი წარმოადგენს დებულებას, რომელიც გამოიყენება როგორც ლტოლვილის სტატუსის, ისე სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებისთვის. ამრიგად, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ განმცხადებელს არ სჭირდება სუბსიდიარული დაცვა, თუ წარმოშობის ქვეყნის ნაწილში უზრუნველყოფილია შიდასახელმწიფოებრივი დაცვა. ამგვარად, ზემოთ მოცემულ ნაწილში 1.9 წარმოდგენილი ანალიზი თანაბრად ვრცელდება შიდასახელმწიფოებრივ დაცვაზე სუბსიდიარული დაცვის ფარგლებში. აქ მოცემულ მოკლე ანალიზში განხილულია შიდასახელმწიფოებრივი დაცვის კონკრეტული ასპექტები, რომელიც წარმოიქმნება სუბსიდიარული დაცვის ფარგლებში, კერძოდ კი, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტთან დაკავშირებით. ის არის პუნქტში 1.9 მოცემული ანალიზის დამატება, რომელსაც უნდა იყოს მითითებული უფრო ყოვლისმომცველი ანალიზისთვის და იძლევა მაგალითებს, თუ როგორ გამოიყენება მე-8 მუხლში მითითებული კრიტერიუმები სუბსიდიარული დაცვის კვალიფიკაციისთვის შეფასებასთან დაკავშირებით.

1.8 პუნქტს აქვს ორი ქვეპუნქტი რაც ასახულია 48-ე ცხრილში.

ცხრილი 16: ნაწილის 1.8 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
1.8.1	შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხარისხი (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი)	107
1.8.2	განხილვის მოთხოვნა (მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი)	112

დანართი A შეიცავს გადაწყვეტილების დიაგრამებს, რომელიც მოიცავს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის შეფასებას.

1.8.1. შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხარისხი (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი)

უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) დაადასტურა, რომ იგივე არსებითი მოთხოვნები - უსაფრთხოება, წვდომა და გონივრულობა - რაც გამოიყენება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირებისთვის, უნდა იყოს გამოყენებული სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების შეფასებისას. ტრიბუნალმა განაცხადა:

[QD-ის] მე-8 მუხლის სტრუქტურულიდან ირკვევა, რომ შიდა გადაადგილება არის აუცილებელი ელემენტი, რომელიც რელევანტურია არა მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის უფლების არსებობის დადგენისათვის (მე-2 და მე-9 მუხლების შესაბამისად), არამედ ასევე სუბსიდიარული ...დაცვის მოთხოვნის უფლების დადგენისთვის მე-15 მუხლის სამივე ნაწილის - მე-15 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების მიხედვით ⁽⁴¹⁴⁾.

⁽⁴¹⁴⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „AK (Article 15(c)) Afghanistan CG“, op. cit., fn. 252, პუნქტი 228.



QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს რაც შეეხება, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ზღუდავს დაცვის უზრუნველყოფ სუბიექტებს „(ა) სახელმწიფოთი; ან (ბ) მხარეებით ან ორგანიზაციებით, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებით, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს; იმ პირობით, რომ მათ სურთ და შეუძლიათ შესთავაზონ დაცვა მე-2 პუნქტის შესაბამისად“⁽⁴¹⁵⁾. ეს ეწინააღმდეგება ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკას ECHR-ის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც აღიარებს, რომ დაცვა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს არასახელმწიფო სუბიექტების მიერ, როგორცაა ოჯახები და კლანები.

შემდეგი ქვეპუნქტი განიხილავს კონკრეტულ საკითხებს, რომელიც წარმოიქმნება შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში.

1.8.1.1. იმ განმცხადებლების შიდასახელმწიფოებრივ დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, ვინც მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ

შიდასახელმწიფოებრივი დაცვის შეფასებისას საჭიროა განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინება იმ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებლის წარმოშობის რეგიონში მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტი. როგორც CJEU-მ განაცხადა საქმეში „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*), აღნიშნული ფაქტორები მოიცავს „განურჩეველი ძალადობის მდგომარეობის გეოგრაფიულ ფარგლებს და განმცხადებლის რეალურ დანიშნულების ადგილს იმ შემთხვევაში, თუ ის დაბრუნდება შესაბამის ქვეყანაში, რაც ამკარად გათვალისწინებულია ღირებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით“⁽⁴¹⁶⁾. როგორც UNHCR-მა აღნიშნა, შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ვითარება „ხშირად არის ცვალებადი, თან ახლავს საზღვრების ცვლილება ან/და ძალადობის ესკალაცია“⁽⁴¹⁷⁾.

გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ცხადყო, რომ შეიარაღებული კონფლიქტის ვითარების ჩათვლით, შიდასახელმწიფოებრივი დაცვა უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დადგენილი იქნება, რომ რეალურ დანიშნულების ადგილზე დაბრუნების შემთხვევაში განმცხადებელი აღმოჩნდება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ (იხილეთ ნაწილები 1.9.1 და 1.4.4.3.4). მან დაადგინა:

[QD-ის და QD-ის (ახალი რედაქციით)] მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნები ასევე შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებული კონფლიქტი არ ვრცელდება აღნიშნული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და საფრთხის შესახებ პროგნოზის საწყისი წერტილი არის უცხოელის რეალური დანიშნულების ადგილი

⁽⁴¹⁵⁾ ადმინისტრაციული სასამართლოს (Upravno Sodišče) (სლოვენია) 2014 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეში „Rahimi“, I U 925/2014 (შემდგომში - ადმინისტრაციული სასამართლო (სლოვენია), 2014 წ., „Rahimi“, I U 925/2014). სასამართლომ განასხვაა ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმები და ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმები შიდასახელმწიფოებრივი დაცვის გამოყენებისათვის და მიიჩნია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა უფრო მკაცრია, ვინაიდან, ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დაცვა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს არასახელმწიფო სუბიექტების მიერ, როგორცაა ოჯახები და კლანები. მასში გაკეთებულია მითითება ECtHR-ის 2007 წ. საქმეზე „Salah Sheekh“, op. cit., fn. 682; ECtHR, 2013 წ., „KAB v Sweden“, op. cit., fn. 713; ECtHR, 2015 წ., „RH v Sweden“, op. cit., fn. 318; და ECtHR-ის 2012 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეში „AA and Others v Sweden“, # 14499/09, CE:ECHR:2012:0628JUD001449909. იხ. ასევე UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 41, სადაც ნათქვამია, რომ „დაცვა უნდა უზრუნველყოფილი იყოს ორგანიზებული და სტაბილური ხელისუფლების მიერ, რომელიც ახორციელებს სრულ კონტროლს მოცემულ ტერიტორიაზე და მოსახლეობაზე“.

⁽⁴¹⁶⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 40, (დამატებულია ხაზგასმა).

⁽⁴¹⁷⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 40.



დაბრუნების შემთხვევაში. ეს, როგორც წესი, არის უცხოელის წარმოშობის რეგიონი, სადაც ის ჩვეულებრივ ბრუნდება.

[...]

თუ წარმოშობის რეგიონი ვერ იქნება დანიშნულების ადგილი, რადგან იქ უცხოელს ემუქრება საფრთხე, მაშინ მისი გაძევება შესაძლებელია ქვეყნის სხვა რეგიონში მხოლოდ 8 [QD-ის] მე-8 მუხლის შემზღუდავი მოთხოვნების გათვალისწინებით.⁽⁴¹⁸⁾

ანალოგიურად, უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) განაცხადა:

რაც შეეხება შიდა გადაადგილებას, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მიზნებისთვის, CJEU-ის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ელგაფაჯი“ (*Elgafaji*) დადასტურდა, რომ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის საკითხი შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ მთელ ქვეყანასთან, არამედ ასევე მის ნაწილ(ებ)თან მიმართებით ... თუ სამოქალაქო პირის საცხოვრებელი ტერიტორია ან რეგიონი არის განურჩეველი ძალადობის მდგომარეობაში, რაც აღემატება, მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით დადგენილ ზღვარს, მაშინ ის მაინც ვერ შეძლებს ისარგებლოს სუბსიდიარული... დაცვის მოთხოვნის უფლებით, თუ ვერ შეძლებს იმის წარმოჩენას, რომ ან არსებობს სერიოზული ზიანის მიყენების მუდმივი რისკი (მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უსაფრთხოების“ ნაწილი) ან იმგვარი გარემოებები, რომელიც არაგონივრულს განდის მის სხვა რაიონში ან რეგიონში გადასვლას (მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გონივრულობის“ ნაწილი) ⁽⁴¹⁹⁾.

როგორც აღნიშნა უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო), შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში „აუცილებელია გავითვალისწინოთ (როგორც „უსაფრთხოების“, ისევე „გონივრულობის“ შეფასებისას) არა მხოლოდ ამ ქალაქში არსებული ძალადობის დონე, არამედ ასევე ის სირთულეებიც, რასაც განიცდიან ქალაქში მცხოვრები დარბევი და ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი“ ⁽⁴²⁰⁾. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს იმის შეფასებას, სარგებლობს თუ არა ადამიანი სოციალური მხარდაჭერის კავშირებით, ან რომ „არ აქვს ალტერნატივა გარდა იმისა, რომ იცხოვროს იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკში არსებულ დროებით საცხოვრებელში, სადაც არსებობს ისეთ პირობებში ცხოვრების რეალური საშიშროება, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს მისაღებ ჰუმანიტარულ სტანდარტებს“⁽⁴²¹⁾.

⁽⁴¹⁸⁾ BVerwG (გერმანია), 2013 წ., # 10 C 15.12 (ინგლისურენოვანი თარგმანი), op. cit., fn. 198, პუნქტები 13–14. სასამართლომ განმარტა „ელგაფაჯის“ (*Elgafaji*) საქმეზე გადაწყვეტილებაში მოხსენიებული „დაბრუნების რეალური დანიშნულების ადგილის“ კონცეფცია და დაასკვნა, რომ თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილი შეიძლება აღარ იყოს დანიშნულების ადგილი, თუ „უცხოელმა გაწყვიტა კავშირი ამ რეგიონთან ქვეყნის დატოვებამდე კი, განურჩევლად იმ გარემოებებისა, რამაც გამოიწვია გაქცევა, და დასახლდა ქვეყნის სხვა რეგიონში უახლოეს მომავალში იქ ცხოვრების მიზნით“. იხ. ასევე უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „AAH (Iraqi Kurds – internal relocation) Iraq CG“, [2018 წ.] UKUT 00212, პუნქტი 149: „თუ ჩვეულებრივ სამოქალაქო პირს შეუძლია დაადგინოს სერიოზული ზიანის რეალური რისკი, რომელიც მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე აღემატება მე-15 მუხლის (გ) პუნქტით დადგენილ ზღვარს, მაშინ იმისთვის, რომ მოხდეს ჰუმანიტარული (სუბსიდიარული) დაცვის უფლების მიღების დადგენა, ასევე უნდა დადასტურდეს, რომ ასეთი ადამიანს არ შეუძლია სხვა რეგიონში გადაადგილება იმიტომ, რომ არსებობს სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი ასეთ რეგიონში, ან მისკენ მიმავალ გზაზე, ან იმის გამო, რომ არსებობს გარემოებები, რომლებიც ამ პირის გადაადგილებას სხვაგვარად გახდის არაგონივრულს ან ზედმეტად უხემს“

⁽⁴¹⁹⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „AK (Article 15(c)) Afghanistan CG“, op. cit., fn. 252, პუნქტი 228 (დამატებულია ხაზგასმა).

⁽⁴²⁰⁾ Ibid., პუნქტი 243.

⁽⁴²¹⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2014 წ., „MOJ and Others (Return to Mogadishu) Somalia CG“, op. cit., fn. 552, პუნქტი 425.



ჩვენებში, პრადის რეგიონულმა სასამართლომ განიხილა **წარმოშობის ქვეყნის ნაწილში არსებული უსაფრთხოების** ანალიზის მოქმედების სფერო (იხილეთ ნაწილი 1.9.1.1), იმ საქმეში, რომელიც ეხება განმცხადებლის შესაძლო გადაადგილებას შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ზოგიერთ პროვინციაში არსებული სიტუაცია არ ხასიათდებოდა განურჩეველი ძალადობით, ასევე საჭირო იყო იმის შეფასება, გადაჭრიდა თუ არა განმცხადებლის შიდა გადაადგილება სერიოზული ზიანის ნებისმიერი ინდივიდუალური რისკის საკითხს ეროვნული დებულებების შესაბამისად, რომლითაც მოხდა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის ტრანსპოზიცია ⁽⁴²²⁾.

შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი, მუქდება თუ არა განმცხადებელს „**უსაფრთხოდ და ლეგალურად გამგზავრება და შესვლის უფლების მიღება**“ წარმოშობის ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც ითვლება, რომ სთავაზობს შიდასახელმწიფოებრივ დაცვას. გასათვალისწინებელი ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს უსაფრთხოების დონეს აეროპორტის/დაბრუნების ქალაქის გარშემო, მარშრუტის უსაფრთხოებასთან ერთად, რომლის გავლაც საჭიროა ქვეყნის იმ ნაწილში გასამგზავრებლად, რომელიც არ არის დაზარალებული შეიარაღებული კონფლიქტით. გარდა ამისა, აუცილებელია ასევე გავითვალისწინოთ განმცხადებლის ნებისმიერი პირადი გარემოება, რამაც შეიძლება ასეთი მგზავრობა უფრო საშიში გახადოს. გარდა ამისა, ქვეყანაში, სადაც შიდა გადაადგილების თავისუფლება შეზღუდულია, შესაძლოა საჭირო გახდეს დასკვნის გაკეთება წარმოშობის ქვეყნის იმ შემოთავაზებულ ნაწილში გამგზავრებისა და დასახლების კანონიერების შესახებ, რომელიც გთავაზობთ შიდასახელმწიფოებრივ დაცვას.

მაგალითად, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ სასამართლო ვალდებულია განიხილოს, მოუწევდა თუ არა განმცხადებელს განზოგადებული ძალადობის ზონების (ამ შემთხვევაში, ქაბულის) გავლა მათი წარმოშობის რეგიონისკენ მიმავალ გზაზე და არსებობდა თუ არა მტკიცე საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ დაინტერესებულ პირს დაემუქრებოდა სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი ⁽⁴²³⁾.

იმის შეფასებისას, **გონივრულად მოსალოდნელია თუ არა რომ განმცხადებელი დასახლება** წარმოშობის ქვეყნის სხვა ნაწილში, სლოვენიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ დააზუსტა, რომ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ხარისხი მოითხოვს განმცხადებლის შესაძლებლობის შეფასებას უზრუნველყოს თავისი ყველაზე ძირითადი საჭიროებები, როგორცაა საკვები, ჰიგიენა და თავშესაფარი, საკუთარი დაუცველობა

⁽⁴²²⁾ პრადის რეგიონული სასამართლო (Krajský soud v Praze) (ჩვენები), 2019 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება, # 45, Az 23/2018 (დასკვნა ინგლისურ ენაზე) (შემდგომში - პრადის რეგიონალური სასამართლო (Czechia), 2019 წ., # 45, Az 23/2018 (დასკვნა ინგლისურ ენაზე)). შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება გაუქმდა, რადგან მასში ვერ მოხდა იმის შესწავლა, ემუქრებოდა თუ არა განმცხადებელს სასიკვდილო განაჩენის ან სიკვდილით დასჯის რისკი, ან არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან წამების რისკი თალიბანისგან [Taliban] ქვეყნის სხვა ნაწილში.

⁽⁴²³⁾ სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'Etat) (საფრანგეთი) 2017 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*OFPRA c MS*“, # 401585. ასევე, იხილეთ CNDA-ის (საფრანგეთი) 2016 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *MO*, # 15033384 C+. ამ შემთხვევაში, CNDA-მ დაადგინა, რომ შიდასახელმწიფოებრივი დაცვა ხელმისაწვდომი იყო პირდაპირი ფრენებით ქალაქებში, რომელიც მდებარეობდა ქურთისტანის [Kurdish] ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ რეგიონებში, სადაც პირდაპირ მისვლა შესაძლებელი იყო ჩრდილოეთ ერაყის დოჰუკის [Dohuc] პროვინციაში მდებარე ლტოლვილთა ბანაკიდან, სადაც ცხოვრობდა განმცხადებლის ოჯახი. ანალოგიურად, მისივე 2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, # 17042467 C, დადგინდა, რომ განმცხადებელს შეეძლო ერაყის უსაფრთხო ნაწილში გადასვლა, რომლის მიმართულებითაც გაუქმდა საერთაშორისო ფრენები, ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტში საერთაშორისო ფრენიდან შიდა ფრენაზე გადასვლის გზით.



არასათანადო მოპყრობის მიმართ და საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა გონივრულ ვადაში ⁽⁴²⁴⁾.

სხვა შემთხვევაში, CNDA-მ (საფრანგეთი) მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ განმცხადებლებს დაემუქრებოდათ სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით, თუ ისინი დაბრუნდებოდნენ მალის მოპტის [Mopti] რეგიონში, შეაფასა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის შესაძლებლობა წარმოშობის ქვეყნის სხვა ნაწილში. სასამართლომ დაადგინა, რომ ბამაკოს [Bamako] შემოთავაზებულმა რაიონმა ვერ უზრუნველყო განმცხადებელი შიდასახელმწიფოებრივი დაცვით (QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლი). სასამართლომ გააკეთა იმ ფაქტის შეფასება, რომ ადგილი ჰქონდა მალის სასამართლო სისტემის საერთო მოშლას, განსაკუთრებით სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით. განმცხადებელს არ ჰქონდა ოჯახური კავშირები და, სავარაუდოდ, მას მოუწევდა დასახლება მოპტის [Mopti] რეგიონიდან დევნილთა ბანაკში. ამ ბანაკების რაოდენობა გაიზარდა ბამაკოს [Bamako] გარეუბანში და მათი მაცხოვრებლები ცხოვრობდნენ იმპროვიზირებულ დასახლებებში უდიდეს გაჭირვებაში. ეს იძულებით გადაადგილებული პირთა ბანაკები აღარ წარმოადგენდნენ სატრანზიტო ცენტრებს, როგორც ეს შესაძლებელია თავიდანვე ასეც იყო, არამედ იყო ბოლო დანიშნულების ადგილი მოპტის [Mopti] მიმდინარე კონფლიქტისგან გაქცეული ადამიანებისთვის. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის იქ დასახლება არ იყო გონივრული ⁽⁴²⁵⁾.

1.8.2. განხილვის მოთხოვნა (მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი წევრ სახელმწიფოებს აკისრებს კონკრეტულ ვალდებულებას, რომ როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას, აქვს თუ არა განმცხადებელს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ეფექტური ალტერნატივა, მათ შესაბამისი წყაროებიდან უნდა მიიღონ ზუსტი და განახლებული ინფორმაცია შემოთავაზებული ქვეყნის ალტერნატიულ ნაწილ(ებ)ში არსებული პირობების შესახებ (იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.9.2).

მე-8 მუხლის შეფასებაში მნიშვნელოვანია პირადი გარემოებების განსაკუთრებული ფაქტორები. მაგალითად, ბელგიის უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭომ გაითვალისწინა, რომ სმენის დაქვეითების მქონე განმცხადებელს, რომელიც განიცდიდა პოსტტრავმულ სტრესს და არ ჰქონდა კავშირები ქალაქ ქაბულში, უფრო გაუჭირდებოდა დროებითი დაცვის ძებნა თავდასხმებისა და ჩხუბის შემთხვევაში. სმენის დაქვეითების გამო, მას ასევე გაუჭირდებოდა განურჩეველი ძალადობის საფრთხეების შეფასება ⁽⁴²⁶⁾. გაერთიანებული სამეფოს საქმეში, უზენაესმა ტრიბუნალმა გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო პირების უმეტესობისთვის შესაძლოა არაგონივრული ყოფილიყო თალიბანის [Taliban] მიერ კონტროლირებად პროვინციაში გადასვლა, „თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თალიბანის [Taliban] მხარდამჭერ ოჯახის წევრს შეუქმნებოდა რაიმე სირთულეები; ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე ⁽⁴²⁷⁾.

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ გაითვალისწინონ წარმოშობის ქვეყანაში არსებული გარემოებები „განაცხადის შესახებ გადაწყვეტილების

⁽⁴²⁴⁾ ადმინისტრაციული სასამართლო (სლოვენია), 2014 წ., „*Rahimi*“, I U 925/2014, op. cit., fn. 415.

⁽⁴²⁵⁾ CNDA, Grande Formation (საფრანგეთი), 2021 წ., „*M. S.*“, op. cit., fn. 737, პუნქტები 21-22.

⁽⁴²⁶⁾ RVV/CCE-ის (ბელგია) 2020 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება # 231.907 (ინგლისურენოვანი შეჯამება).

⁽⁴²⁷⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., *AK (Article 15(c)) Afghanistan CG*, op. cit., fn. 252, პუნქტი 244.



მიღების დროს“. გადაწყვეტილების მიმღებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ რას აჩვენებს განახლებული COI-ი, როცა საქმე ეხება ძალადობის გეოგრაფიულ ფარგლებს და არის თუ არა მისი გადატანის ან გავრცელების რეალური რისკი ამჟამად უსაფრთხო ზონაში ⁽⁴²⁸⁾.

1.9. სუბსიდიარული დაცვის საჭიროება, რომელიც ადგილზე წარმოიშობა (მუხლი 5)

ადგილზე წარმოშობილი სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარის კონცეფცია დადგენილია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-5 მუხლით და ეხება როგორც ლტოლვილთა დაცვას, ასევე სუბსიდიარულ დაცვას. მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესები ვრცელდება როგორც ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად, ასევე, სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების შეფასებაზე ⁽⁴²⁹⁾ (იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილები 1.10.2 და 1.10.3).

ამის საპირისპიროდ, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად კვალიფიცირების შეფასებაზე და მხოლოდ შემდგომ განცხადებებზე. ამდენად, იგი არარელევანტურია სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების შეფასებისთვის (იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.10.4).

⁽⁴²⁸⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2012 წ., „AK (Article 15(c) Afghanistan CG“, op. cit., fn. 252 პუნქტი 248, რომელშიც სასამართლომ ხაზი გაუსვა „რისკის წინასწარ შეფასებას“ და გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ „მიმდინარე ზოგადი ტენდენცია წარმოადგენდა ძალადობის ერთ-ერთ მზარდ დონეს რამდენიმე წლის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც [ეს იყო] შედარებით თანდათანობითი და, ასევე, „ნატოს [NATO] და საერთაშორისო ჯარების უმეტესი ნაწილის დაგეგმილი გაყვანა 2014 წელს“.

⁽⁴²⁹⁾ RVV/CCE-ის მიერ გადაწყვეტილი ორი საქმე ასახავს იმას, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები განმცხადებლის მიერ წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადგილზე კვალიფიცირება სუბსიდიარული დაცვით სარგებლობისთვის. იხ. RVV/CCE-ის (ბელგია) 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება # 148.663, რომელშიც ერაყის ქურთისტანის [Kurdish] რეგიონში მცხოვრები ქურთი ეროვნების ქალის მიერ თავშესაფრის მოთხოვნა, რომელმაც მეოთხე განაცხადი შეიტანა თავშესაფრის შესახებ, არ იყო მიჩნეული როგორც სანდო. თუმცა ბელგიაში ყოფნისას მას შეეძინა ქალიშვილი (მამა უცნობი იყო). იმ ქურთი ქალების მდგომარეობის გათვალისწინებით, ვისაც ჰყავთ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, და, ამასთან ერთად, ქურთისტანის [Kurdish] რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა მასიური ნაკადის და, ასევე, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ერაყის ფარგლებს გარეთ დაბადებულ ერაყელ ბავშვებს ავტომატურად არ ენიჭებათ ერაყის მოქალაქეობა, სასამართლომ მას მიანიჭა სუბსიდიარული დაცვა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად. იხ. ასევე RVV/CCE-ის (ბელგია) 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება # 153.571, რომელშიც ხანდაზმულ ერაყელ მამაკაცს, რომელიც იყო სომეხი ქრისტიანი ერაყის ქურთისტანის ავტონომიური რეგიონიდან [Kurdish Autonomous Region of Iraq], არ მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, ვინიდან მხოლოდ და მხოლოდ სომეხ ქრისტიანად ყოფნის ფაქტი ქურთისტანის რეგიონიდან არ აღმოჩნდა საკმარისი. თუმცა, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შემდეგ, მას დაემართა ინსულტი, რის შედეგადაც ის ვეღარ ლაპარაკობდა გამართულად და გადაადგილებოდა ეტლით. ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონში [Kurdish Autonomous Region] არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, იძულებით გადაადგილებულ პირთა მასიური შემოდინების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი მიეკუთვნებოდა რელიგიურ უმცირესობას ქურთისტანის [Kurdish] რეგიონში, მას მიენიჭა სუბსიდიარული დაცვა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.



Part 2. განსაკუთრებული ვითარება

ნაწილი 2 შეიცავს ხუთ ნაწილს, როგორც აღნიშნულია ცხრილში 49.

ცხრილი 17: თავის 2 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
2.1	შესავალი	113
2.2	შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარება	114
2.3	ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	130
2.4	ეკოლოგიური საფრთხეები	147
2.5	კოვიდ-19-თან დაკავშირებული ვითარება	162

2.1. შესავალი

პრევენციული სამართლის წინამდებარე ანალიზში უკვე განხილულია ლტოლვილთა (ნაწილი 1) და სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების (ნაწილი 1) საკითხები. ამ ნაწილში უფრო დეტალურად არის განხილული ოთხი კონკრეტული საკითხი: შეიარაღებული კონფლიქტის და განზოგადებული ძალადობის ვითარება; ტრეფიკინგი; ეკოლოგიური საფრთხეები; და COVID-19-თან დაკავშირებული ვითარება. აღნიშნული საკითხები შერჩეულ იქნა, რადგან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოებისა და ტრიბუნალების წევრებმა ისინი გლობალურ პრობლემად მიიჩნიეს, რომელიც განსაკუთრებულ გამოწვევებს ქმნიდა და გარკვეულწილად უფრო სიღრმისეულ მიდგომას მოითხოვდა, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ ისინი ინკორპორირებული იქნებოდა ნაწილში 1 და ნაწილში 1.

არ არის გათვალისწინებული ამ ოთხი თემის ამომწურავად განხილვა, არც რომელიმე მათგანის სრულად განხილვა. ამის ნაცვლად, მთავარი მიზანია მათი ძირითადი ასპექტების გამოყოფა შერჩევის საფუძველზე. რეალური საქმეების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ოთხი შერჩეული საკითხიდან ორი ან მეტი შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს.

შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარების შესახებ ნაწილის (ნაწილი 2.2) შემთხვევაში, გამოყენებული მიდგომა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ნაწილში 1 უკვე დეტალურად არის გადმოცემული, თუ როგორ გამოიყენება მე-15 მუხლის დებულებებით გათვალისწინებული სუბსიდიარული დაცვა ზემოთ აღნიშნულ ვითარებებში. **შესაბამისად, ამ ნაწილის მიზანია, პირველ რიგში, ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამგვარი ვითარების არსებობისას ს გამოყენებულ იქნეს ლტოლვილთა დაცვის შესახებ დებულებები, და რამდენად აუცილებელია მათი განხილვა სუბსიდიარული დაცვის შესახებ დებულებების განხილვამდე.**

ტრეფიკინგის შესახებ ნაწილი (ნაწილი 2.3) ეყრდნობა საერთაშორისო და ევროპულ სამართლებრივ სტანდარტებს, რათა გამოკვეთოს ზოგიერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც წარმოიქმნება ამ კონტექსტში და ეხება როგორც ლტოლვილთა დაცვას, ასევე სუბსიდიარულ დაცვას.

მე-2 თავის ბოლო ორი ნაწილის შემთხვევაში, რომელიც ეხება ეკოლოგიურ საფრთხეებს (ნაწილი 2.4) და COVID-19-თან დაკავშირებულ ვითარებას (ნაწილი 2.5), ანალიზი თავის მიდგომაში უფრო სელექციურია და ცდილობს გამოკვეთოს ის ძირითადი საკითხები,



რომელიც ეხება როგორც ლტოლვილთა დაცვას, ისე სუბსიდიარულ დაცვას, ვიდრე სრულად ცალ-ცალკე განიხილოს თითოეული თემა. ითვლება, რომ ეს უფრო მეტად ეხმაურება იმ საკითხების მოულოდნელობას, რომელიც ამ გარემოებების გამო წარმოიქმნებიან. ბოლო ნაწილის შემთხვევაში, რომელიც ეხება COVID-19-თან დაკავშირებულ ვითარებას, განხილული საკითხები მჭიდრო კავშირშია იმ საკითხებთან, რომელიც წარმოიქმნება ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა შემთხვევების დროს. ამავდროულად უკვე აშკარაა, რომ მიუხედავად იმისა, რამდენად სწრაფად შეიძლება შემცირდეს პანდემია, COVID-19-ის გამომწვევი შემთხვევები, მინიმუმ, ერთი რელევანტური საფუძვლის მქონე ფაქტორის სახით, შესაძლებელია მომავალშიც დიდი ხნით წარმოიქმნას.

საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების შეფასებისას, ქვემოთ განხილული ოთხი კონკრეტული ვითარებიდან თითოეულის შემთხვევაში, ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინდივიდუალური შეფასების პრინციპი, რომელიც მითითებულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლში. QD-ის (ახალი რედაქციით) **მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოითხოვება განმცხადებლის „ინდივიდუალური პოზიციისა და პირადი გარემოებების“ და „წარმოშობის ქვეყანასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ფაქტის“ განხილვა.** ამიტომ, ქვემოთ მოცემული ოთხი ვითარებიდან თითოეულის განხილვა იწყება როგორც პერსონალური, ასევე ზოგადი გარემოებების ხაზგასმით.

2.2. შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარება

ქვემოთ მოყვანილი ნაწილებისგან განსხვავებით, რომელიც ეხება დანარჩენ სამ განსაკუთრებულ ვითარებას, ამ პირველი თემის განხილვა შეიძლება შეიზღუდოს. ამის მიზეზი ისაა, რომ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის სათანადოდ განსახილველად საჭირო იყო ნაწილში 1 მრავალი სხვა ისეთი საკითხის სიღრმისეული განხილვა, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება. შესაბამისად, პრეცედენტული სამართლის ანალიზის აღნიშნული ნაწილი მკითხველისთვის უფრო ზოგადი სახით არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, დანართი A შეიცავს საკითხების კონკრეტულ გადაწყვეტილების დიაგრამას შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებულ საქმეებში საერთაშორისო დაცვის შეფასების შესახებ. **ამ ნაწილის უპირველესი (მაგრამ არა ექსკლუზიური) განხილვის საგანია ლტოლვილთა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარებაში.** შესაბამისად, შემდეგი საკითხები უნდა იყოს პრიორიტეტული.

კვლევებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის ზოგიერთი სასამართლო და ტრიბუნალი, რომელიც ასეთ საქმეებს განიხილავს, თითქმის ექსკლუზიურად ორიენტირებულია სუბსიდიარულ დაცვაზე⁽⁴³⁰⁾. ასეთი პრაქტიკა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ QD-ი (ახალი რედაქციით) და APD-ი (ახალი რედაქციით) მოითხოვს, ლტოლვილთა დაცვაზე უფლების მქონე

⁽⁴³⁰⁾ UNHCR, „ბოლო, ბოლო უსაფრთხოება?“, op. cit., fn. 279, გვ. 17. იხილეთ ასევე, ვ. ჰოლცერი „ლტოლვილები შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად“, Intersentia, კემბრიჯი, 2015 წ., გვ. 8 (Holzer, V., *Refugees from Armed Conflict*, Intersentia, Cambridge, 2015, p. 8); მ. გარლიკი, „სუბსიდიარული დაცვა“, თურქულად, ა. ედვარდსი და ს. ვოუტერსი „კონფლიქტისგან და ძალადობისგან გაქცევისას“ (Garlick, M., ‘Subsidiary protection’, in Türk, V., Edwards, A. and Wouters, C. (eds), *In Flight from Conflict and Violence*): გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) კონსულტაციები ლტოლვილის სტატუსისა და საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმების შესახებ“, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემი, კემბრიჯი, 2017 წ., გვ. 249, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სირიის პრეტენზიების მიმართ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი ზოგიერთ სახელმწიფოში უპირატესად გამოიყენება, მიუხედავად ლტოლვილის სტატუსის კანონით უპირატესად მიჩნევისა და ისეთი პროცესუალური გარანტიებისა, რომელიც შექმნილია იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ეს სტატუსი მიენიჭოს მათ, ვისაც აქვს უფლება ამ სტატუსზე, ასევე იმის მიუხედავად, ცნობილია თუ არა წარმოშობის ქვეყანა, და მიუხედავად ინტერპრეტაციული მითითებებისა.



პირად კვალიფიცირების საკითხი პირველ რიგში იყოს განხილული⁽⁴³¹⁾. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარებაში, თავისი თვისებიდან გამომდინარე, ხშირად შეიძლება გამოიკვეთოს დევნის აქტები და არა მხოლოდ სერიოზული ზიანის მიყენების აქტები. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) აღნიშნავს:

შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ვითარება ხშირად გულისხმობს ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევას ან სხვა სერიოზულ ზიანს, რაც დევნის საფუძველს ქმნის. ასეთი დევნა შეიძლება მოიცავდეს, თუმცა არ შემოიფარგლებოდეს ისეთი ვითარებებით, როგორცაა გენოციდი და ეთნიკური წმენდა; წამება და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სხვა ფორმები; გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები; იძულებითი დაქირავება, მათ შორის, ბავშვების; თვითნებური დაკავება და დაპატიმრება; მძევლების აყვანა და იძულებითი ან თვითნებური გაუჩინარება; და სერიოზული ზიანის სხვა ფორმების ფართო დიაპაზონი. ⁽⁴³²⁾.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტში ლტოლვილთა დაცვაზე უფლების მქონე პირად კვალიფიცირების შეფასება არ არის პრობლემური. ასეთი ვითარება დიდი წინდახედულებით უნდა იქნეს განხილული, რადგან ეს ის ვითარებაა, რომელიც პირდაპირ მოითხოვს ლტოლვილთა შესახებ კონვენციის გათვალისწინებას. ამდენად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო, მიუხედავად იმისა, რომ მასში აღიარებულია, რომ ადამიანები, რომლებიც გაურბიან შეიარაღებულ კონფლიქტს და ძალადობის სხვა ვითარებას, შეიძლება კვალიფიცირებულნი იყვნენ ლტოლვილებად ლტოლვილთა შესახებ 1951 წლის კონვენციის ფარგლებში, ის ითვალისწინებს, რომ მხოლოდ კონფლიქტისგან და ძალადობისგან გაქცევის ფაქტი, როგორც ასეთი, არ არის საკმარისი. ⁽⁴³³⁾.

რაც შეეხება ინდივიდუალურ გარემოებებს, ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის განსხვავებული გზები, რომლითაც შეიარაღებულმა კონფლიქტმა და განზოგადებულმა ძალადობამ შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულ ინდივიდებზე ან ადამიანთა კატეგორიებზე. ⁽⁴³⁴⁾. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) სახელმძღვანელო მითითებებში არის აღნიშნული:

... შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის გაჭიანურებულ ვითარებას, მაგალითად, შეიძლება ჰქონდეს სერიოზული მავნე ზეგავლენა განმცხადებლების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ან მის პიროვნულ განვითარებაზე, რაც უნდა შეფასდეს მისი ხასიათის, წარმომავლობის, სოციალურ სტატუსის, ასაკის, სქესის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ⁽⁴³⁵⁾.

იგივე სახელმძღვანელო მითითებები ეხება, მაგალითად, „სექსუალურ ძალადობას და ძალადობას გენდერულ საფუძველზე, მათ შორის, გაუპატიურებას, ადამიანებით ვაჭრობას, სექსუალურ მონობას და ცოლქმრულ მონობას/იძულებით ქორწინებას, [როგორც]

⁽⁴³¹⁾ CJEU, 2014 წ., „*HN*“, op. cit., fn. 26, პუნქტი 35. იხილეთ APD-ის (ახალი რედაქციით) მუხლი 10(2).

⁽⁴³²⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 13.

⁽⁴³³⁾ UNHCR, „სახელმძღვანელო“, op. cit., fn. 103, პუნქტები 164–165.

⁽⁴³⁴⁾ EASO, „დაუცველობა – პრევენციული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 62, ნაწილი 6.3. 2.

⁽⁴³⁵⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 12.



დევნის გავრცელებულ ფორმებს შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის მრავალ ვითარებაში.“⁽⁴³⁶⁾.

რაც შეეხება ზოგად გარემოებებს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის გარემოების და განურჩეველი ძალადობის გარკვეული დონის მიმართ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნებისგან განსხვავებით, ლტოლვილის დეფინიცია ასეთ მოთხოვნებს არ მოიცავს. ლტოლვილის სტატუსით სარგებლობისთვის დაწესებული კრიტერიუმები გამოიყენება როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს⁽⁴³⁷⁾.

შესაბამისი ზოგადი გარემოებები, რომელიც გასათვალისწინებელია შეიარაღებული კონფლიქტისა და საერთო ძალადობის კონტექსტში, შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე მათგანს, რომელიც მოცემულია სქემაზე 7.

სქემა 7: განცხადებების განხილვასთან დაკავშირებული ზოგადი გარემოებების მაგალითები, რომელიც მოიცავს შეიარაღებული კონფლიქტის და განზოგადებული ძალადობის ვითარებას

ლეტალური ძალის გამოყენება	ფართომასშტაბიანი სამომარო მოქმედებები	გენოციდი	კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
სასამართლოგარეშე სიკვდილით დასჯა	იძულებითი გაუჩინარება	მიზანმიმართული და არამიზანმიმართული თავდასხმები	საჰაერო დაბომბვები
კასეტური საბრძოლო საშუალებების, ბარელური ბომბების ან ქიმიური იარაღის გამოყენება	საარტილერიო ან სნაიპერული ცეცხლი	თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები და ნაღმები	დანადგომი ავტომობილები ან თვითმკვლელები/ ტერორისტი კამიკაძეები
ალყაში მოქცევის ტაქტიკა	იძულებითი დაქირავება, მათ შორის არასრულწლოვანი ბავშვების	თავისუფლების თვითნებური აღკვეთა	სამოქალაქო მოსახლეობის მიზანში ამოღება
იძულებითი გადაყვანა და თვითნებური გადაადგილება	თვითნებური დაკავებები	ეთნიკური წმენდა	კონკრეტული ხელობების ან პროფესიების მიზანში ამოღება

⁽⁴³⁶⁾ Ibid., პუნქტი 26.

⁽⁴³⁷⁾ ერთადერთი გამონაკლისი QD-ში (ახალი რედაქციით) არის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი სამხედრო კონფლიქტის დროს სამხედრო სამსახურის შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.





ორგანიზებული დანაშაულის გავრცელება (ბანდები, კარტელები და ა.შ.)	ავადმყოფი და დაჭრილი ადამიანებისთვის მარაგის ნაკლებობა	სახელმწიფო ადმინისტრაციისა და სამსახურების, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიციის და მართლმსაჯულების სისტემის სრული ან	დანაშაულის გაზრდილი დონეები
მაროდორობა და კორუფცია	საკვების მოკლება	სიდატაკე	წყალმომარაგებისა და ელექტროენერჯის შეწყვეტა
საკანალიზაციო ობიექტების არარსებობა	ქონების განადგურება	მილიტარიზაცია ან საავადმყოფოების და სკოლების დახურვა	ტრავმის შემთხვევების მატება მოსახლეობაში

2.2.1. ლტოლვილთა დაცვა

ლტოლვილად კვალიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები იმ განმცხადებლებთან მიმართებით, რომლებიც გაექცნენ შეიარაღებულ კონფლიქტს და განზოგადებულ ძალადობას, მოცემულია შემდეგ ქვენაწილებში.

2.2.1.1. დევნის აქტები (მუხლი 9)

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნა უნდა გაანალიზდეს „ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევის“ კუთხით, ან მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც სხვადასხვა ზომების კომპლექსი, მათ შორის, მსგავსი სიმძიმის მქონე „ადამიანის უფლებების დარღვევის“ კუთხით. იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.4.1.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) თანახმად, QD-ი (ახალი რედაქციით) უნდა იყოს „ინტერპრეტირებული ქარტიით აღიარებულ უფლებებთან შესაბამისობაში“⁽⁴³⁸⁾. ევროკავშირის ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რამდენადაც ეს ქარტია შეიცავს უფლებებს, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (ECHR) გარანტირებულ უფლებებს, აღნიშნული უფლებების მნიშვნელობა და მოქმედების სფერო იგივეა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (ECHR) გათვალისწინებული უფლებები და მოქმედების სფერო. შესაბამისად, „დევნის აქტების“ ინტერპრეტაციის მცდელობისას, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) უნდა როგორც ევროკავშირის ქარტიით გათვალისწინებულ უფლებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (ECHR) გარანტირებულ შესაბამის უფლებებს⁽⁴³⁹⁾. ამჟამად, ძირითადი უფლებების დარღვევის ინტერპრეტაციის შესახებ ყველაზე დეტალური ინფორმაცია, როგორც წესი, გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. თუმცა, იმის გათვალისწინებით,

⁽⁴³⁸⁾ CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Osso*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 29; და CJEU, 2018 წ., „*Ahmed*“, op. cit., fn. 30. QD-სთან დაკავშირებით ასევე იხილეთ CJEU-ის (GC) 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bundesrepublik Deutschland v Y and Z*“, გაერთიანებული საქმეები C-71/11 და C-99/11, EU:C:2012:518 (შემდგომში - CJEU (GC), 2012 წ., „*Y and Z*“), პუნქტი. 48; და CJEU (GC), 2012 წ., „*El Kott and Others*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 43.

⁽⁴³⁹⁾ CJEU (GC), 2012 წ., „*Y and Z*“, op. cit., fn. 35, პუნქტი 56.



რომ ყველას აქვს სიცოცხლის უფლება (ევროკავშირის ქარტიის მე-2 მუხლი, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის No 6 ოქმის პირველ მუხლს და ამავე კონვენციის No 13 ოქმის პირველ მუხლს), ეს ინტერპრეტაციები პირდაპირ არ გავრცელდება შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებულია ძალადობის ვითარებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულია შემდეგი.

ECHR-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი

სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

- (a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
- (b) კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
- (c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამი კვალიფიკაციის შედეგია ის, რომ კონვენციით გარანტირებული სიცოცხლის უფლების ეხება მხოლოდ სიცოცხლის თვითნებურ ხელყოფას და თანაარსებობს სახელმწიფოს თავდაცვის უფლებასთან და უფლებასთან, რომ ომის დროს მოქალაქეებმა უნდა იბრძოლონ, რამდენადაც ამ დროს ძალის გამოყენება არის „აბსოლუტურად აუცილებელი“. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს გადახვევას მე-2 მუხლიდან „გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა“.

საწინააღმდეგოდ ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შეუზღუდავ უფლებას შეიძლება განსაკუთრებული გამოყენება ჰქონდეს. საქმეში „NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*NA v UK*), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობის ზოგადი ვითარება დანიშნულების ქვეყანაში უნდა იყოს საკმარისად ინტენსიური იმისათვის, რომ ასეთ ქვეყანაში გადაყვანამ აუცილებლად გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა „ზოგადი ძალადობის მხოლოდ ყველაზე ექსტრემალურ შემთხვევებში“⁽⁴⁴⁰⁾. თუმცა, ამ და სხვა საქმეებში სასამართლომ ასევე გამოიყენა „მცოცავი შეფასების შკალის“ მიდგომა. ეს მიდგომა ნიშნავს, რომ გარემოებებიდან გამომდინარე, განმცხადებლებს, რომლებიც შეიძლება დაბრუნდნენ ზოგადი ძალადობის ნაკლებად ექსტრემალურ ვითარებაში, შეუძლიათ გამოავლინონ ისეთი ინდივიდუალური თვისებები,

⁽⁴⁴⁰⁾ ECtHR, 2008 წ., „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, პუნქტი 115. იხ. ასევე ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55; და ECtHR, 2015 წ., „*LM and Others v Russia*“, op. cit., fn. 316. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში იმ საქმეებს შორის, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევას, იხილეთ, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „ისაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (*Isayeva and Others v Russia*), # 57947/00, # 57948/00 და #57949/00, CE:ECHR:2005:0224JUD005794700, პუნქტები 168–200, ეყრდნობა რა, სხვათა შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე „ერგი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Ergi v Turkey*), # 23818/94, CE:ECHR:1998:0728JUD002381894.



რომელმაც შეიძლება წარმოშვან რისკი, რომელიც სცილდება არასათანადო მოპყრობის ფარგლებს. საქმეში „ჯ.კ. და სხვები“ (*JK and Others*), ცალკეული ფაქტორების შეფასებისას, რომელსაც შეუძლია წარმოშვას რეალური რისკი, სასამართლომ აღნიშნა, რომ „იგივე ფაქტორებმა, ერთობლივად, შეიძლება წარმოშვას რეალური რისკი, როდესაც ისინი განიხილება ზოგადი ძალადობისა და გაძლიერებული უსაფრთხოების ვითარებაში“.⁴⁴¹ ფაქტორები, რომელიც მან დაასახელა, მოიცავდა „დასაბრუნებელი პირის ასაკს, სქესს და წარმომავლობას, წინა ჩანაწერს იმის შესახებ, ყოფილა თუ არა ეს პირი ექვმიტანილი ან დევნაში მყოფ პირთა ჯგუფის წევრი, ასევე, ინფორმაციას იმისა შესახებ, წარდგენილი ჰქონია თუ არა ამ პირს უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნა“⁴⁴². როგორც სასამართლომ ადრე აღნიშნა, მოთხოვნა, რომ „თავშესაფრის მაძიებელს უნდა შეეძლოს დანიშნულების ქვეყანაში არსებული საერთო საშიშროებისგან საკუთარი მდგომარეობის გამორჩევა, გარკვეულ ვითარებებში შემსუბუქებულია, მაგალითად, როდესაც მაძიებელი ამტკიცებს, რომ ის არის ჯგუფის წევრი, რომელიც სისტემატიურად ექვემდებარება არასათანადო მოპყრობას“⁴⁴³.

საქმეში „LM და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (*LM and Others v Russia*), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) მიუთითა „გაეროს ანგარიშებზე“, სადაც 2015 წლის ვითარება სირიაში დახასიათებულია „ჰუმანიტარულ კრიზისად“ და სადაც საუბარია სამოქალაქო მოსახლეობის „განუზომებლ ტანჯვაზე“, ყველა მხარის მიერ ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევაზე და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაზე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა“⁴⁴⁴. ძალადობის ამ ზოგადი ვიტარების გათვალისწინებით, მან დაასკვნა, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ დაედგინათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლის დარღვევა ამ საერთო გარემოების გამო მხოლოდ სამ ინდივიდუალურ გარემოებასთან ერთად. ეს გარემოებები იყო ის, რომ (1) ისინი იყვნენ მოქალაქეობის არმქონე პალესტინელები – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) განაცხადა, რომ „თითქმის ყველა ის ტერიტორია, რომელიც პალესტინელი ლტოლვილების დიდ რაოდენობას მასპინძლობს, კონფლიქტის უშუალო ზემოქმედების ქვეშაა“; (2) მათი წარმოშობის ადგილი იყო „ალეპო და დამასკო, სადაც განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები მიმდინარეობდა“; და (3) ისინი იყვნენ „ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებსაც, Human Rights Watch-ის აზრით, დაკავების და არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებოდათ“⁴⁴⁵.

ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ნებას რთავს სახელმწიფოებს გადაუხვიონ ასეთი უფლებებიდან „ომის ან სხვა სახელმწიფო საგანგებო სიტუაციის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს“. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა ინტერპრეტაცია უნდა იქნეს გამოყენებული იმ ქმედებების მიმართ, რომელიც შეიძლება დაშვებული იყოს ომის დროს ან სახელმწიფო საგანგებო სიტუაციის დროს უფლებებიდან გადახვევის შესახებ მუხლებით. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ თუ სახელმწიფო

⁴⁴¹) ECtHR (GC), 2016 წ., „*JK and Others v Sweden*“, op. cit., fn. 227, პუნქტები 77-105, რომელშიც მოცემულია მითითება ECtHR-ის 2008 წ. საქმეზე „*NA v UK*“, op. cit., fn. 243, პუნქტი 130.

⁴⁴²) ECtHR (GC), 2016 წ., „*JK and Others v Sweden*“, op. cit., fn. 227, პუნქტი 95.

⁴⁴³) Ibid., პუნქტი 103 (დამატებულია ხაზგასმით).

⁴⁴⁴) ECtHR, 2015 წ., „*LM and Others v Russia*“, op. cit., fn. 316 პუნქტი 123.

⁴⁴⁵) ECtHR, 2015 წ., „*LM and Others v Russia*“, op. cit., fn. 316, პუნქტები 123-124. უახლესი (განსხვავებული) შეფასებისთვის იხილეთ ლტოლვილთა საბჭოს (Flygtningenaevnet) (დანია), 2021 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*Applicant (Syria) v Danish Immigration Service*“ (ინგლისურენოვანი შეჯამება).



შეასრულებს კანონიერ ფარგლებში უფლებებიდან გადახვევის პირობებს, როგორც ეს განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, აქტი, რომელიც სხვაგვარად შეიძლება ჩაითვალოს შეზღუდვად უფლებების დარღვევად, არ წარმოადგენს დარღვევას⁽⁴⁴⁶⁾. მაშასადამე, ის არ ხვდება QD-ის (ახალი ვერსიით) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში. თუმცა ასეთ შესაბამისობას ადგილი არ ექნება, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები (მათ შორის, ის, რომ ხელისუფლებამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა) სრულად არ შესრულდება. იმის დადგენისას, გაცდა თუ არა სახელმწიფო მკაცრი მოთხოვნის ფარგლებს, სასამართლო სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა უფლებების მასასიათებელი, რომელზეც გავლენას ახდენს ისეთი გადახვევა და ის გარემოებები, რომელიც იწვევს საგანგებო მდგომარეობას და საგანგებო მდგომარეობის ხანგრძლივობა⁽⁴⁴⁷⁾.

როგორც QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ნათლად განსაზღვრავს, დევნის აქტებმა, მათ შორის, სექსუალური ძალადობის აქტებმა, შეიძლება მიიღოს ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის ფორმა. შესაბამისად, შეიარაღებული პირების მიერ განხორციელებული გაუპატიურება ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, თუნდაც შემთხვევითი ან/და განხორციელებული კერძო (არასახელმწიფო) პირების მიერ, შეიძლება წარმოადგენდეს დევნის აქტს⁽⁴⁴⁸⁾.

ის, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ - „ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ქმედებები შეიძლება იყოს ჩართული შეიარაღებული კონფლიქტის საქმეებში, კარგად ჩანს „შეფერდისა“ (Shepherd) და „EZ“-ის საქმეებში. ამ უკანასკნელ საქმეში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU), სხვათა შორის, დაინტერესებული იყო, შეიძლება თუ არა სამოქალაქო ომში ჩართულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოიყენოს თავისი კანონები და წესები, რომელიც არეგულირებს სამხედრო სამსახურს და გამოიყენება სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო წვევამდელის დევნის მიმართ, საწინააღმდეგოდ მე-9 მუხლის მე-2

⁽⁴⁴⁶⁾ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ „ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის მიზნით მხოლოდ იმ იმდენად, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს“. იხილეთ ასევე უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2013 წ., „MS (Coptic Christians) Egypt CG“, op. cit., fn. 206, პუნქტი 120, რომელიც აცხადებს რა, რომ „... დაცვის აღკვეთის შიშის შეფასებისას ქვეყანაში, სადაც მოქმედებს ნამდვილი საგანგებო მდგომარეობა, მინიმუმ იმ მიღებულ ზომებთან მიმართებით, რომელიც მკაცრად არის მოთხოვნილი გარემოების აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფოსგან არ შეიძლება მოსალოდნელი იყოს მისი მოქალაქეებისთვის აბსოლუტური და შეუქცევადი უფლებების უზრუნველყოფა“.

⁽⁴⁴⁷⁾ ECtHR-ის (პლენუმი) 1993 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „Brannigan and McBride v United Kingdom“, # 14553/89 და # 14554/89, CE:ECHR:1993:0526JUD001455389, პუნქტი 43; ECtHR (GC)-ის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „A and Others v United Kingdom“, # 3455/05, CE:ECHR:2009:0219JUD000345505, პუნქტი 173; ECtHR-ის 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Sahin Alpay v Turkey“, # 16538/17, CE:ECHR:2018:0320JUD001653817; და ECtHR-ის 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Mehmet Hasan Altan v Turkey“, # 13237/17, CE:ECHR:2018:0320JUD001323717. იხი. ასევე, ECtHR-ის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „Alparslan Altan v Turkey“, # 12778/17, CE:ECHR:2019:0416JUD001277817; ECtHR-ის 2019 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Kavala v Turkey“, # 28749/18, CE:ECHR:2019:1210JUD002874918; ECtHR-ის 2020 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Baş v Turkey“, # 66448/17, CE:ECHR:2020:0303JUD006644817; ECtHR-ის 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Sabuncu and Others v Turkey“, # 23199/17, CE:ECHR:2020:1110JUD002319917; ECtHR-ის 2020 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Sik v Turkey (No 2)“, # 36493/17, CE:ECHR:2020:1124JUD003649317; ECtHR-ის 2021 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „Atilla Taş c Turquie“, # 72/17, CE:ECHR:2021:0119JUD00007217; ECtHR-ის 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „Ahmet Hüseyin Altan v Turkey“, # 13252/17, CE:ECHR:2021:0413JUD001325217; და ECtHR-ის 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „Murat Aksoy c Turquie“, # 80/17, CE:ECHR:2021:0413JUD00008017.

⁽⁴⁴⁸⁾ იხილეთ ასევე ნაწილი 1.4.4.2, რომელიც მოცემულია ზემოთ.



პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა⁽⁴⁴⁹⁾. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ „დევნას ან დასჯას კონფლიქტის დროს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო, როდესაც სამხედრო სამსახურის შესრულება მოიცავს დანაშაულებს ან ქმედებებს, რომელიც ექცევა გამორიცხვის საფუძვლების ფარგლებში, დევნის ხასიათი აქვს, როგორც ეს მოცემულია მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში“⁽⁴⁵⁰⁾.

„შეფერდის“ (Shepherd) ადრინდელი საქმიდან ირკვევა, რომ თუ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი არ არის გამოყენებული, შეიძლება მაინც იყოს საჭირო იმის განხილვა, შეიძლება თუ არა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ან „გ“ პუნქტები, ან ორივე იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები ჯარისკაცებთან ან წვევამდებლებთან მიმართებით დისკრიმინაციული ან არაპროპორციული ხასიათისაა⁽⁴⁵¹⁾. პრინციპში, არ ჩანს მიზეზი იმისა, ამ ტიპის საქმეებში რატომ არ უნდა იყოს გამოყენებული მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც ეხება „საწინააღმდეგო სარჩელის წარდგენაზე უარის თქმას, რომელიც იწვევს არაპროპორციულ ან დისკრიმინაციულ დასჯას“.

2.2.1.2. საფუძვლიანი შიში

როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) ხაზგასმით აღნიშნა, დევნის საფუძვლიანი შიშის დასადგენად განმცხადებელმა უნდა წარმოაჩინოს, რომ „მის წარმოშობის ქვეყანაში არსებული გარემოებებისა და დევნის ჩამდენ პირთა ქცევის გათვალისწინებით“, „ის პირადად მოექცევა დევნის ქვეშ [QD]-ში და [ლტოლვილთა სტატუსის შესახებ] კონვენციაში ჩამოთვლილი ხუთი მიზეზიდან ერთის გამო მაინც...“⁽⁴⁵²⁾.

თუმცა, შესაბამისად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ განმცხადებლებმა უნდა წარმოაჩინონ, რომ ისინი გამოარჩიეს დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენებისთვის⁽⁴⁵³⁾. საქმეში „ელგაფაჯი და დიაკიტე“ (*Elgafaji and Diakité*) ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) გამოარკვია, რომ იმ ვითარებაში, როდესაც შეიარაღებულ კონფლიქტში გახვეულ კონკრეტულ რეგიონში წარმოიქმნება უმაღლესი დონის განურჩეველი ძალადობა, საოქალაქო მოსახლეობა შეიძლება აღმოჩნდეს რისკის ქვეშ უბრალოდ იმის გამო, რომ ისინი ამ ტერიტორიაზე ან ამ რეგიონში იმყოფებიან.⁽⁴⁵⁴⁾ მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმეები ეხებოდა სუბსიდიარულ დაცვას, აღნიშნული პუნქტი ასევე ეხება ლტოლვილთა დაცვას, თუ განმცხადებელს არ შეუძლია დაადგინოს კავშირი დევნის მიზეზთან (QD -ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი და მე-10 მუხლი)⁽⁴⁵⁵⁾. მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში, ზედა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) დაადგინა, რომ დარფურის [Darfuris] რეგიონის არა-არაბ მოსახლეობას ჰქონდა დევნის საფუძვლიანი

⁽⁴⁴⁹⁾ CJEU, 2020 წ., „EZ“, op. cit., fn. 31, პუნქტები 47 და 60-61.

⁽⁴⁵⁰⁾ Ibid., პუნქტი 38; იხილეთ ასევე CJEU, 2015 წ., „Shepherd“, op. cit., fn. 163, პუნქტი 48. იხილეთ, ზოგადად, ნაწილი 1.4.4.6, რომელიც ეხება მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს, რომელშიც ორივე გადაწყვეტილება უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი.

⁽⁴⁵¹⁾ CJEU, 2015 წ., „Shepherd“, op. cit., fn. 163 პუნქტები 47-56, განსაკუთრებით, პუნქტი 49.

⁽⁴⁵²⁾ CJEU (GC), 2012 წ., „Y and Z“, op. cit., fn. 35, პუნქტი 51 (დამატებულია ხაზგასმა); CJEU, 2013 წ., „X, Y and Z“, op. cit., fn. 28, პუნქტი 43. იხ. ასევე სასამართლოს ადრინდელი ფორმულირება CJEU (GC)-ის 2010 წლის საქმეში „Abdulla“, op. cit., fn. 29, პუნქტი 57. იხ. ასევე CJEU, 2021 წ., „QA“, op. cit., fn. 197, პუნქტი 57.

⁽⁴⁵³⁾ „შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ვითარებაში, განმცხადებელს შეიძლება ემუქრებოდეს დევნის მიზნით გამორჩევის ან დევნის სამიზნედ ყოფნის რისკი. მსგავსად ამისა, ასეთ გარემოებებში, მთელი ჯგუფები ან მოსახლეობა შეიძლება იყოს დევნის რისკის ქვეშ.“ (UNHCR), „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები No 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 17).

⁽⁴⁵⁴⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 43; და CJEU, 2014 წ., „Diakité“, op. cit., fn. 102, პუნქტი 30.

⁽⁴⁵⁵⁾ იხილეთ ნაწილი 2.2.1.3, რომელიც მოცემულია ქვემოთ.



შიში მხოლოდ ეთნიკური იდენტობის გამო⁽⁴⁵⁶⁾. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ უახლეს ინფორმაციაზე, მაგრამ, პრინციპში, შეიარაღებული კონფლიქტის ან განზოგადებული ძალადობის ვითარებამ, გარკვეულ დროს, შეიძლება შექმნას ჯგუფური დევნის ფენომენი⁽⁴⁵⁷⁾.

რაც შეეხება მტკიცებულების სტანდარტს, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში „საფუძვლიანი შიშის“ შეფასებისას, არ არსებობს სხვა საქმეებში გამოყენებული სტანდარტისგან განსხვავებული სტანდარტის გამოყენების საფუძველი (იხილეთ ნაწილი 1.5.2, რომელიც მოცემულია ზემოთ). ეს უგულებელყოფს ლტოლვილთა დეფინიციის ფორმულირებას, რომელიც არ განასხვავებს ვითარებას მშვიდობიან დროს და კონფლიქტის დროს. აქედან გამომდინარე, არასწორი იქნება განმცხადებლისგან „განმასხვავებელი რისკის“ ან იმაზე მეტი ზემოქმედების წარმოჩენის მოთხოვნა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ასეთ ვითარებაში ხდება⁽⁴⁵⁸⁾.

2.2.1.3. დევნის მიზეზები (მუხლი 10)

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) სახელმძღვანელო მითითებებში აღნიშნულია:

შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ვითარება ხშირად წარმოიშობა სხვადასხვა მოტივის საფუძველზე ან განპირობებულია სხვადასხვა მოტივით, ან გააჩნია შედეგები, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა ჯგუფებზე. შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ვითარება ხშირად მოიცავს ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური განზომილებების ნაზავს, რომლის მონაწილე მხარეებიც მოქმედებენ ეთნიკური, რელიგიური ან სოციალური ნიშნების მიხედვით და ახორციელებენ – ან აღიქმება, რომ ახორციელებენ – პოლიტიკურ ან/და რელიგიურ მიზნებს⁽⁴⁵⁹⁾.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს და ძალადობის სხვა ვითარებაში ზიანი შეიძლება იყოს განურჩეველი თავისი ბუნებით, მაგალითად, თუ ვინმე მოხვდება ჯვარედინ ცეცხლში. მაგრამ ის ასევე შეიძლება იყოს განმასხვავებელი, თუ, მაგალითად, ჯგუფი განსაკუთრებით დაზარალებულია. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ არსებობს დევნის რისკი დევნის ხუთი მიზეზიდან ერთ-ერთის საფუძველზე, რომელიც მითითებულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლში. ის მიზეზები, რომ დევნის განმასხვავებელი სუბიექტი არ არის ან არის სახელმწიფო (თუ ეს დევნა ეფუძნება ხუთიდან ერთ ან მეტ მიზეზს) შეიძლება საკმარისი იყოს საჭირო კავშირის დასადგენად. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის

⁽⁴⁵⁶⁾ AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2009 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „AA (non-Arab Darfuris – relocation) Sudan CG“, [2009 წ.] UKAIT 00056. ამ გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ „არა-არაბი მოსახლეობა დარფურის [Darfur] რეგიონში დევნის საფრთხის ქვეშ იყო და მათი ნებისმიერ ადგილას გადაადგილება სულანში არ შეიძლება გონივრულად მოსალოდნელი ყოფილიყო“. იხ. ასევე IAC-ის (გაერთიანებული სამეფო) უზენაესი ტრიბუნალის 2015 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „MM (Darfuris) Sudan CG“, [2015 წ.] UKUT 00010, რომელმაც განმეორებით დაადასტურა AIT-ის (გაერთიანებული სამეფო), 2009 წლის საქმე „AA (non-Arab Darfuris – relocation) Sudan CG“. მიუხედავად ამისა, ECtHR-მა მოგვიანებით დაასკვნა, ECtHR-ის 2020 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე „SA v The Netherlands“, # 49773/15, CE:ECHR:2020:0602JUD004977315, რომ, უახლესი COI-ის გათვალისწინებით, სასამართლო „ვერ მიიჩნევს, რომ მოცემული ვითარება შესაძლებელია ჩაითვალოს იმდენად შემადრწუნებლად, რომ უნდა იქნეს გაკეთებული დასკვნა, რომ ეთნიკურად არაარაბი წარმომავლობის ადამიანები არიან დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენების ქვეშ ხარტუმში [Khartoum] მხოლოდ მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო...“ (პუნქტი 69).

⁽⁴⁵⁷⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტები 17-20.

⁽⁴⁵⁸⁾ Ibid., პუნქტები 12 და 22-23.

⁽⁴⁵⁹⁾ Ibid., პუნქტი 35.



მიხედვით, „უნდა არსებობდეს კავშირი მე-10 მუხლში აღნიშნულ მიზეზებსა და დევნის აქტებს შორის ... ან ასეთი აქტებისგან დაცვის არარსებობას შორის“.

მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც სახელმწიფო, რომელიც სამოქალაქო ომის ვითარებაშია, იღებს აქტიური მებრძოლის როლს და იგი აღარ არსებობს როგორც წესრიგის უზრუნველყოფი წყარო მშვიდობის დროს, შეიძლება დადგინდეს კავშირი 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ საფუძველთან ⁽⁴⁶⁰⁾. სასამართლომ დაადგინა, რომ დევნას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ძალები აწარმოებენ საომარ მოქმედებებს ისეთი მეთოდით, რომლის მიზანია იმ პირების ფიზიკურად განადგურება, რომლებიც მიეკუთვნებიან ან მიჩნეულია, რომ მიეკუთვნებიან, მოწინააღმდეგე მხარეს და რომლებსაც უდგინდებათ „თავშესაფრის მოთხოვნისთვის შესაფერისი“ კრიტერიუმები, როგორცაა რასა ან რელიგია და ვისაც არ სურს ან არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ან რომლებიც არ არიან ჩართულნი საომარ მოქმედებებში ⁽⁴⁶¹⁾. დიდ ბრიტანეთში, თავშესაფრისა და საიმვიგრაციო საქმეთა სასამართლომ დაადგინა, რომ „როდესაც ... [ის] თავდასხმა [რომელიც განიცადა მომჩივანმა] განიხილება ძალადობის კონტექსტში იტურში [კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა], მომჩივანი უბრალოდ სამოქალაქო ომის მსხვერპლი არ იყო, არამედ თავდასხმა მოტივირებული იყო ამ რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტებით“ ⁽⁴⁶²⁾.

იმის შეფასებისას, არსებობს თუ არა დევნის მიზეზი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტისა და მე-10 მუხლის შესაბამისად, ისეთ საქმეებში, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტს შეეხება, უნდა გვახსოვდეს, რომ მიზეზები არ არის ურთიერთგამომრიცხავი; მათ შეიძლება ერთმანეთი გადაფარონ ⁽⁴⁶³⁾. მაგალითად, **შეიარაღებულმა ჯგუფებმა განმცხადებელი შეიძლება მიზანში ამოიღონ რასის, რელიგიისა და პოლიტიკური მრწამსის გამო**. გარდა ამისა, ხუთი მიზეზიდან რომელიმე უნდა იყოს მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორი; ის არ უნდა იყოს ერთადერთი ან მთავარი ფაქტორი ⁽⁴⁶⁴⁾. მაგალითად, განმცხადებელი შეიძლება გახდეს იმ ორგანიზებული ბანდის სამიზნე, რომელიც დაკავებულია იარაღის კონტრაბანდით მოგების მიღების მიზნით, მაგრამ ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამ ბანდის მიერ მძიებლის მიზანში ამოღების მოტივებს შორის იყოს რასა, რელიგია, პოლიტიკური მრწამსი და ა.შ. ⁽⁴⁶⁵⁾.

შეიარაღებული კონფლიქტის გარემოებაში იმ ჯგუფის წევრობა, რომელიც დევნაში იმყოფება, შეიძლება საკმარისი იყოს დევნის მიზეზთან კავშირის დასადგენად.

⁽⁴⁶⁰⁾ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BVerfG) (გერმანია), 1989 წ., 2 BvR 502/86 u.a. (ინგლისურენოვანი თარგმანი), op. cit., fn. 407, პუნქტი 4.ა; ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BVerfG) (გერმანია), 2000 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, 2 BvR 752/97, DE:BVerfG:2000:rk20000215.2bvr075297, პუნქტი II.1.ა.

⁽⁴⁶¹⁾ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BVerfG) (გერმანია), 1989 წ., 2 BvR 502/86 u.a. (ინგლისურენოვანი თარგმანი), op. cit., fn. 407, პუნქტი 4.ა.

⁽⁴⁶²⁾ AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „NA (risk categories – Hema) Democratic Republic of Congo CG“, [2008 წ.] UKAIT 00071, პუნქტი 37.

⁽⁴⁶³⁾ იხილეთ ნაწილი 1.6.1.1, რომელიც მოცემულია ზემოთ.

⁽⁴⁶⁴⁾ Ibid.

⁽⁴⁶⁵⁾ თავშესაფრისა და საიმვიგრაციო საქმეთა სასამართლოს (AIT) (დიდი ბრიტანეთი) 2004 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „NS (სოციალური ჯგუფი – ქალები – იძულებითი ქორწინება) ავღანეთი მინაგან საქმეთა დეპარტამენტის სახელმწიფო მდივნის წინააღმდეგ CG“ (NS (Social Group – Women – Forced Marriage) Afghanistan v Secretary of State for the Home Department CG), [2004 წ.] UKIAT 00328, პუნქტები 74-79, რომლითაც დადგინდა, რომ „შევიწროვება, არასათანადო მოპყრობა და სერიოზული ზიანი, რომლის ზეგავლენის ქვეშაც მოექცა მომჩივანი და მისი ოჯახი, [მსხვილი მილიტარისტების მიერ, რომლებიც აკონტროლებდნენ იმ ტერიტორიას, საიდანაც ის წარმოიშვა], არ იყო უბრალოდ საერთო დანაშაული“ და დადგინდა, რომ არსებობდა „მიზეზობრივი კავშირი მომჩივანის პოლიტიკურ მრწამსს და მისი, როგორც დაუცველი ქალის სტატუსსა და ავღანეთში ქალების კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობას შორის.



რაც შეეხება კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობას, არ არის გამორიცხული, რომ სამოქალაქო მოსახლეობის ზოგიერთი ქვეჯგუფი შეიძლება ქმნიდეს ასეთი ჯგუფებს. ასეთ შემთხვევას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, სამხედრო სამსახურში გაწვევის ასაკის მქონე პირებთან დაკავშირებით, რომლებმაც დატოვეს წარმოშობის ქვეყანა სამხედრო სამსახურში გამოძახებისგან თავის არიდების მიზნით (ის, რომ ისინი სამოქალაქო პირები იყვნენ, მნიშვნელოვანია, რადგან ისინი არ გახდნენ შეიარაღებული ძალების წევრები). მათ შეეძლოთ ეჩვენებინათ, როგორც ამას მოითხოვს ⁽⁴⁶⁶⁾ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორმაგი პირობები, რომ მათ ჰქონდათ „დაცული მახასიათებელი“ და რომ ისინი აღიქმებოდნენ ან შეიძლება აღქმული ყოფილიყვნენ, როგორც ასეთი ჯგუფი. იმისათვის, რომ კონკრეტული სოციალური ჯგუფი ჩაითვალოს შექმნილად, არ არის აუცილებელი, რომ ჯგუფის ყველა წევრი იყოს რისკის ქვეშ შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში ⁽⁴⁶⁷⁾. უფრო ხშირად, პოტენციური კონკრეტული სოციალური ჯგუფები მოიცავენ უფრო ვიწრო ჯგუფებს, როგორცაა პირები, რომლებმაც თავი აარიდეს სამხედრო სამსახურს ან დეზერტირები (რომლებიც ექვემდებარებიან დასჯას ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით) ⁽⁴⁶⁸⁾, ბავშვი ჯარისკაცები და სამედიცინო პერსონალი.

2.2.1.4. დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები (მუხლი 6)

შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის ვითარებაში, დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები შეიძლება მოიცავდნენ არა მხოლოდ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, მის სამართალდამცავ უწყებებს და უშიშროების ძალებს, არამედ გასამხედროებულ ჯგუფებს და კერძო სამხედრო და უსაფრთხოების კომპანიებს, რომლებიც მოქმედებენ მთავრობის ბრძანების საფუძველზე ან სახელმწიფო შემსრულებლებთან თანამონაწილეობის საფუძველზე ⁽⁴⁶⁹⁾.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტი განსაზღვრავს დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტის ერთ კატეგორიას, რომელიც არის „პარტიები ან ორგანიზაციები, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს“ ⁽⁴⁷⁰⁾. ეს დებულება შეიძლება განსაკუთრებით რელევანტური იყოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ვითარებას, როდესაც სახელმწიფო და კონფლიქტის მხარეები რიგრიგობით აკონტროლებენ ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებს.

დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი არასახელმწიფო სუბიექტები შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) მილიციას, მეამბოხეებს, ბანდიტებს, მეკობრეებს, კრიმინალურ დაჯგუფებებს, ტერორისტულ ორგანიზაციებს,

⁽⁴⁶⁶⁾ იხ. ნაწილი 1.6.2.4.1, სადაც ნათქვამია, რომ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თითოეული ელემენტი კვალიფიცირდება ტერმინით „კერძოდ“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის შესაბამისი, მაგრამ არა ამომწურავი ფაქტორები.

⁽⁴⁶⁷⁾ იხ. ნაწილი 1.6.2.4.1 და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 2“, op. cit., fn. 441, პუნქტი 17.

⁽⁴⁶⁸⁾ იხ. CJEU, 2020 წ., „EZ“, op. cit., fn. 31, პუნქტი 44, „[QD (ახალი რედაქციით)] მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ ეს მუხლი მოითხოვდეს კავშირის არსებობას აღნიშნული დირექტივის მე-10 მუხლში აღნიშნულ მიზეზებსა და ამავე დირექტივის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში [უარი სამხედრო სამსახურის შესრულებაზე] მითითებულ დევნასა და დასჯას შორის“. იხილეთ, ასევე, ნაწილი 1.6.2.5.3, რომელიც ეხება დევნის ერთ-ერთ საფუძველს - პოლიტიკურ მრწამსს, სამხედრო სამსახურში გაწვევისთვის თავის არიდების კონტექსტში და მოიცავს საქმეს „შეფერდი და EZ“ (Shepherd and EZ).

⁽⁴⁶⁹⁾ იხილეთ ასევე ნაწილი 1.7, რომელიც მოცემულია ზემოთ.

⁽⁴⁷⁰⁾ იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.7.2.



მეზობელ ქარებს და სხვა ჯგუფებს ან პირებს, რომლებიც არიან შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის მონაწილენი. თუმცა მე-6 მუხლის „გ“ პუნქტით დადგენილი პირობების თანახმად, არასახელმწიფო სუბიექტებთან მიმართებით, საჭირო იქნება დადგინდეს სახელმწიფოს, ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მკონტროლებელი პარტიების ან ორგანიზაციების მხრიდან უუნარობა ან სურვილის უქონლობა, უზრუნველყონ დაცვა მე-7 მუხლის ფარგლებში (იხილეთ [ნაწილი 1.8.2](#), რომელიც მოცემულია ზემოთ და [ნაწილი 2.2.1.5](#), რომელიც მოცემულია ქვემოთ).

2.2.1.5. დევნიდან ან სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტები (მუხლი 7)

მე-7 მუხლით დადგენილია დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტთა ორი კატეგორია: სახელმწიფო და პარტიები ან ორგანიზაციები, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. ორივე შემთხვევაში, დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სუბიექტის მიერ, რომელსაც სურს და შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და მუდმივი დაცვა (იხილეთ [ნაწილი 1.8](#)). უნდა აღინიშნოს, რომ მე-7 მუხლი ცალსახად განსაზღვრავს შესაძლებლობას, რომ დაცვის უზრუნველყოფის ასეთი სუბიექტები შეიძლება ასევე იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. საქმეში „აბდულა“ (Abdulla), ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) განაცხადა, რომ „ღირექტივის მე-7 მუხლის პირველ პუნქტი არ გამორიცხავს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაცვის გარანტიას, მათ შორის, დაცვას, რომელიც უზრუნველყოფილია მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალეროვნული ძალების ყოფნის მეშვეობით“⁽⁴⁷¹⁾.

განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ვითარებაში, დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტთა ორი კატეგორიად დაყოფა - სახელმწიფოსა და პარტიებს თუ ორგანიზაციებს შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს - შეიძლება ყოველთვის არ იყოს მკაფიო. შესაძლოა არსებობდეს მცოცავი ალიანსები ან პარტიებმა ან ორგანიზაციებმა შეიძლება შეაღწიონ სახელმწიფო ინსტიტუტებსა ან/და სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ან დაეუფლონ მათ⁽⁴⁷²⁾.

გარდა ამისა, სახელმწიფოს იდენტობა და ბრძოლაში ჩართული პარტიებისა თუ ორგანიზაციების ზუსტი იდენტობა შეიძლება ყოველთვის არ იყოს ცნობილი⁽⁴⁷³⁾. ასევე, როდესაც არსებობს პარტია ან ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებს ტერიტორიას, მას შეიძლება არ ჰქონდეს ადმინისტრაციული შესაძლებლობები, შეასრულოს დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტის ფუნქცია ისე, რომ დააკმაყოფილოს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები⁽⁴⁷⁴⁾.

2.2.1.6. შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (მუხლი 8)

ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში, რომელიც იყენებს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლს, იმის გათვალისწინება, არის თუ არა უზრუნველყოფილი შიდასახელმწიფოებრივი დაცვა

⁽⁴⁷¹⁾ CJEU (GC), 2010 წ., „Abdulla“, op. cit., fn. 29, პუნქტი 75.

⁽⁴⁷²⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 25.

⁽⁴⁷³⁾ უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს (Nejvyšší správní soud) (ჩეხეთი), 2021 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება # 5, Azs 454/2019. იხ. ასევე UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 40.

⁽⁴⁷⁴⁾ იხ. ასევე ნაწილი 1.8.2.



ქვეყნის სხვა ნაწილში (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი), უნდა იყოს „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შეფასების შემადგენელი ნაწილი“. როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) აღნიშნა საქმეში „ელგაფაჯი“ (Elgafaji), ეს მოითხოვს შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის გავრცელების გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებას. ⁽⁴⁷⁵⁾ შეიარაღებული კონფლიქტის გავრცელების გეოგრაფიული არეალები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, მაგრამ იქ, სადაც ასეთი ვითარება ხასიათდება ფართოდ გავრცელებული ბრძოლებით, შეიძლება არსებობდეს ქვეყნის ერთზე მეტი ტერიტორია, რომელიც დაუცველი ან მიუდგომელია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ზოგადად, ასეთი გარემოებების სახასიათო თვისებაა ისაა, რომ ბრძოლამ შეიძლება გადაინაცვლოს ტერიტორიულად სხვა ადგილას, შეიძლება შეიცვალოს ფრონტის ხაზი და შეიზღუდოს უსაფრთხოება, ტერიტორიასთან მისადგომობა და განსახლების შესაძლებლობა ⁽⁴⁷⁶⁾.

შეიძლება იყოს განსაკუთრებული პრობლემები ქვეყნის ნებისმიერ პოტენციურად ალტერნატიულ ნაწილში გამგზავრებასთან დაკავშირებით. მგზავრობის ერთადერთი მარშრუტი შეიძლება იყოს სახიფათო ნაღმების, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების, სნაიპერების და ა.შ. გამო. ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის ან განზოგადებული ძალადობის ვითარებაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს უცხო პირების მიმართ განსაკუთრებული წინააღმდეგობის ან ბოროტი განზრახვის გამოვლენას ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე მყოფი მოსახლეობის მხრიდან, ეთნიკური, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა განსხვავებების გამო, რაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ საფუძველმოკლებულია იმის მოლოდინი, რომ იქ უცხო პირები დასახლდებიან.

ყველა ასეთ საკითხთან დაკავშირებით, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მოიპოვონ და გაითვალისწინონ „ზუსტი და უახლესი ინფორმაცია ... რომელიც მიღებულია შესაბამისი წყაროებიდან, როგორცაა [გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)] და [ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUA)]“. ⁽⁴⁷⁷⁾

2.2.1.7. საერთაშორისო დაცვის საჭიროებები რომელიც წარმოიშობა ადგილზე

განმცხადებელს შეუძლია ადგილზე წარმოშობილი საერთაშორისო დაცვის საჭიროების შესახებ მოთხოვნა დაასაბუთოს იმარგუმენტით, რომ მისი წარმოშობის ქვეყანაში მდგომარეობა შეიცვალა, მაგალითად, თუ შეიარაღებულმა კონფლიქტმა იფეთქა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან დატოვა წარმოშობის ქვეყანა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) თავის „საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო მითითებებში #12“ აღნიშნა:

შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის ვითარებასთან დაკავშირებული ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის კონტექსტში, პირს შეიძლება მიიღოს ლტოლვილის სტატუსი ადგილზე, მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის გარემოებების დადგომის გამო, მის წარმოშობის ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის მანამდე არსებული, მაგრამ ფარული გარემოების გაძლიერების გამო, ან იმის გამო, რომ მან გამოთქვა პროტესტი ან

⁽⁴⁷⁵⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 40; და CJEU, 2021 წ., „CF and DN“, op. cit., fn. 684, პუნქტი 43.

⁽⁴⁷⁶⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482 პუნქტი 41-43 და 60; და UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 4“, op. cit., fn. 613, პუნქტი 27.

⁽⁴⁷⁷⁾ იხ. ასევე პუნქტები 1.9 და 1.8.





დაიკავა წინააღმდეგობრივი პოზიცია შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის გარემოებების მიმართ⁽⁴⁷⁸⁾.

2.2.2. სუბსიდიარული დაცვა

როგორც დასაწყისში აღინიშნა, იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა შეიარაღებული კონფლიქტით ან განზოგადებული ძალადობით დაზარალებული ქვეყნიდან წარმომდგარი განმცხადებელი სუბსიდიარული დაცვის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს (შესაძლოა თუ არა, რომ კვალიფიცირებული იყოს სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად), შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიმღები დაასკვნის, რომ ის არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს. ყველაზე გავრცელებული სცენარი, რომლის დროსაც ასეთი გარემოება წარმოიქმნება, არის, როდესაც განმცხადებელს, იმის მიუხედავად, რომ მას შეუძლია დევნის საფუძვლიანი შიშის დემონსტრირება, არ შეუძლია დაადგინოს დევნის მიზეზი QD -ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლის მნიშვნელობით.

თუ ვივარაუდებთ, რომ შეიარაღებული კონფლიქტით და განზოგადებული ძალადობით დაზარალებულ ქვეყნიდან წარმომავალ განმცხადებელს არ შეუძლია წარმოაჩინოს დევნის მიზეზი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლის შესაბამისად, მისი საქმე მაინც უნდა იქნეს განხილული QD-ის (ახალი რედაქციით) მე- 15 მუხლის ფარგლებში. თუ არსებობს სიკვდილით დასჯის ან აღსრულების რეალური რისკი, მაშინ შესაძლებელია მე-15 მუხლის „ა“ პუნქტის გამოყენება (იხილეთ [ნაწილი 1.4.2](#)).

QD-ის (ახალი რედაქციით) **მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი** შეიძლება ასევე იქნეს გამოყენებული (იხილეთ [ნაწილი 1.4.3](#))⁽⁴⁷⁹⁾. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, რომ „მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი ... არსებითად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე- 3 მუხლს⁽⁴⁸⁰⁾. აქედან გამომდინარე, პრევენციული სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის ან განზოგადებული ძალადობის ვითარებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე- 3 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. თავის პრევენციულ სამართალში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) განმარტა, რომ:

- „მიუხედავად იმისა, რისკი მომდინარეობს თუ არა ძალადობის ზოგადი ვითარებიდან, განმცხადებლის პერსონალური მახასიათებლიდან თუ ამ ორის კომბინაციიდან“, მთავარი საკითხია, დაბრუნებისას მოექცევა თუ არა განმცხადებელი არასათანადო მოპყრობის რეალური რისკის ქვეშ⁽⁴⁸¹⁾;

⁽⁴⁷⁸⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 482, პუნქტი 31. იხ. ასევე ნაწილი 1.10, რომელიც მოცემულია ზემოთ.

⁽⁴⁷⁹⁾ ეს ილუსტრირებულია პრადის რეგიონული სასამართლოს საქმეში, რომელმაც ბათილად ცნო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განიხილა მე-15 მუხლის სამივე ნაწილი შეიარაღებული კონფლიქტის გარემოებაში შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ანალიზისას და განიხილა მხოლოდ მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი. იხ. პრადის რეგიონალური სასამართლო (ჩეხეთი) 2019 წლის გადაწყვეტილება # 45, Az 23/2018 (ინგლისურენოვანი შეჯამება), op. cit., fn. 422 (იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი 1.8.1). იხ., ასევე თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს (CNDA) (საფრანგეთი) 2021 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „M. A“ (M. A.), # 18037855 C+, სადაც განხილულია, რომ გაურკვევლობა, რომელშიც ქვეყანა ჩაეფლოთ თალიბების გამარჯვების შემდეგ და ძალადობის, დაუცველობისა და თვითნებობის მუდამ მაღალი დონის გამო, უნდა მოგვარდეს იმით, რომ განმცხადებელს უნდა მიენიჭოს სუბსიდიარული დაცვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საშიშროების საფუძველზე.

⁽⁴⁸⁰⁾ CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 28.

⁽⁴⁸¹⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 218.



- ზოგადი ძალადობის ყველა ვითარება არ წარმოშობს ასეთ რისკს – „ძალადობის ზოგადი ვითარება უნდა იყოს საკმარისად ინტენსიური, რომ წარმოშვას ასეთი რისკი „ყველაზე ექსტრემალურ შემთხვევებში“, როდესაც არსებობდა არასათანადო მოპყრობის რეალური რისკი იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რისკის წინაშე დადგება პირი დაბრუნებისას⁽⁴⁸²⁾;
- მაშინაც კი, როდესაც ძალადობის დონე დაეცემა ამ მაღალ ზღვარს („threshold“) ქვემოთ, განმცხადებელს შეუძლია დაადგინოს მე-3 მუხლით გათვალისწინებული არასათანადო მოპყრობის რეალური რისკი, თუ არსებობს ინდივიდუალური გარემოებები, რომელიც ერთობლივად აღწევს ასეთი რისკისთვის დადგენილ ზღვარს („threshold“) (483).

როდესაც განმცხადებლის წინაშე არსებული რისკი წარმოადგენს მიზანმიმართულ არასათანადო მოპყრობას, რომელიც უპირატესად გამოწვეულია კონფლიქტის მონაწილე მხარეების პირდაპირი ან არაპირდაპირი მოქმედებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს ჩვეულებრივ ზღვარს მე-3 მუხლით დადგენილი არასათანადო მოპყრობის მიმართ⁽⁴⁸⁴⁾.

მე-15 მუხლის „გ“ პუნქტისგან განსხვავებით, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის ფარგლებში არ არის შეზღუდული შეიარაღებული კონფლიქტის ვითარების მასშტაბი; ის ასევე მოიცავს განზოგადებულ ძალადობას. ამგვარად, თავშესაფრის სამართლის ეროვნულმა სასამართლომ (CNDA) (საფრანგეთი) დაადგინა, რომ გაურკვევლობა, რომელშიც ავღანეთი აღმოჩნდა თალიბების გამარჯვების შემდეგ და ძალადობის, დაუცველობისა და თვითნებობის მუდამ მაღალი დონე განმცხადებელს ანიჭებდა სუბსიდიარული დაცვის უფლებას იმ საფუძველზე, რომ არსებობდა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე⁽⁴⁸⁵⁾.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) ჯერ უნდა გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა QD -ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის გამოყენება განზოგადებული ძალადობის ვითარებაში, რომელიც არ არის გამოწვეული შეიარაღებული კონფლიქტიდან QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მნიშვნელობით და როდესაც მომავალი ზიანის რისკი არ გამომდინარეობს მიზანმიმართული არასათანადო მოპყრობიდან. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) განცხადებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ინტერპრეტაციის საფუძველზე, საქმეში „ელგაფაჯი“ (Elgafaji):

სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი, როგორც განმარტებულია საქმეში „NA“, არ გვთავაზობს დირექტივით გათვალისწინებული დაცვის შესაბამის დაცვას. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ორივე დებულებით განსაზღვრული ზღვარი, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება მიღწეული იყოს ისეთი ინტენსივობის ზოგადი ძალადობის ვითარების არსებობის შედეგად, როდესაც ნებისმიერი აღნიშნული პირი, რომელიც დაბრუნდება მოცემულ რეგიონში, აღმოჩნდება რისკის ქვეშ მხოლოდ იმ ადგილას ყოფნის გამო⁽⁴⁸⁶⁾.

⁽⁴⁸²⁾ Ibid., პუნქტი 218, რომელშიც მოცემულია მითითება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) 2008 წლის საქმეზე „NA v UK“, op. cit., fn. 243, პუნქტი 115; ECtHR, 2015 წ., „RH v Sweden“, op. cit., fn. 318, პუნქტი 60; და ECtHR, 2015 წ., „LM and Others v Russia“, op. cit., fn. 316, პუნქტები 123–124.

⁽⁴⁸³⁾ ECtHR (GC), 2016 წ., „JK and Others v Sweden“, op. cit., fn. 227, პუნქტი 95.

⁽⁴⁸⁴⁾ ECtHR, 2011 წ., „Sufi and Elmi“, op. cit., fn. 55, პუნქტი 282.

⁽⁴⁸⁵⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2021 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „M. A.“, # 18037855 C+.

⁽⁴⁸⁶⁾ ECtHR, 2011 წ., „Sufi and Elmi“, op. cit., fn. 55, პუნქტი 226.



ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) განმარტება საქმეში „ელგაფაჯი“ იყო შემდეგი:

... უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინები „სასიკვდილო განაჩენი“, „სიკვდილით დასჯა“ და „წამება ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა განმცხადებლის მიმართ მისივე წარმომობის ქვეყანაში“, რომელიც გამოყენებულია [QD]-ის მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში, მოიცავს ვითარებას, როდესაც სუბსიდიარული დაცვის მაძიებელი კონკრეტულად ექვემდებარება სპეციალური ტიპის ზიანის მიღების რისკს. საპირისპიროდ ამისა, ღირექტივის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტში განსაზღვრული ზიანი, რომელიც შეიცავს „[განმცხადებლის] სიცოცხლის ან პიროვნებისთვის არსებულ სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს“, მოიცავს ზიანის მიყენების უფრო ზოგად რისკს ⁽⁴⁸⁷⁾.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ანალიზი აქ, როგორც ჩანს, გვთავაზობს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში, როდესაც განმცხადებელი განსაკუთრებულად ექვემდებარება კონკრეტული ტიპის ზიანის მიღების რისკს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება სიკვდილით დასჯას ან აღსრულებას, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტი შესაძლოა იყოს წინააღმდეგობრივი. **საწინააღმდეგოდ ამისა, ჩანს, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის გამოყენება შეზღუდულია განზოგადებული ძალადობისა და სხვა სახის სერიოზული ზიანის მიყენების ზოგადი რისკების არსებობის ვითარებაში.** ეს კიდევ უფრო შეესაბამება რეალობას, როდესაც გავითვალისწინებთ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) განმარტებას იმ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს ერთი მხრივ, მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებსა და მეორე მხრივ მე-15 მუხლის „გ“ პუნქტს შორის.

შეიარაღებული კონფლიქტისა და განურჩეველი ძალადობის შესახებ ცალსახა მითითების საფუძველზე, მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი შეიძლება ასევე იყოს გამოყენებული (იხილეთ [ნაწილი 1.4.4](#)).

დანართი A შეიცავს გადაწყვეტილების დიაგრამას, რომელიც ეხება გადაწყვეტილების მიღებას კონკრეტულად შეიარაღებული კონფლიქტისა და განზოგადებული ძალადობის შემთხვევაში.

2.3. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

EU-ის თავშესაფრის შესახებ კანონმდებლობაში ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემები უნდა განიხილებოდეს სამ მთავარ ინსტრუმენტთან მიმართებით. პირველ რიგში, არსებობს EU-ის ღირექტივა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციისა და აღმოფხვრის და ტრეფიკინგის მსხვერპლის დაცვის შესახებ, მოხსენიებული როგორც „ევროკავშირის ღირექტივა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“⁽⁴⁸⁸⁾. ასევე, არსებობს ცალკეული

⁽⁴⁸⁷⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტები 32-33.

⁽⁴⁸⁸⁾ 2011 წლის 5 აპრილის ევროკავშირის საბჭოს ღირექტივა # 2011/36 EU ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციისა და აღმოფხვრის და ტრეფიკინგის მსხვერპლის დაცვის შესახებ, [2011 წ.] OJ L 101/1 (ევროკავშირის ღირექტივა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ). გარდა საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირებისა, ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული პრობლემები გვხვდება EU-ის თავშესაფრის შესახებ კანონმდებლობის სფეროებში: იხილეთ, მაგალითად, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი (ახალი რედაქციით) მე-5 პუნქტის მიღების პირობების შესახებ ღირექტივის და დუბლინი III რეგულაციის (ბავშვები) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.



საერთაშორისო ხელშეკრულება, გაეროს (UN) ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, ცნობილი როგორც, პალერმოს ოქმი ⁽⁴⁸⁹⁾ და ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რაც წარმოადგენს ევროსაბჭოს სამართლებრივ ინსტრუმენტს ⁽⁴⁹⁰⁾.

რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, EU-ის წევრი სახელმწიფოები შებოჭილნი არიან სამივე სამართლებრივი ინსტრუმენტის საშუალებით. პალერმოს ოქმის მე-3 მუხლი უზრუნველყოფს შემდეგს.

პალერმოს ოქმის მე-3 მუხლი

ტერმინების გამოყენება

აღნიშნული ოქმის მიზნებისთვის:

- (a) „ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშავე იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმი, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის მიზნით ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, კატორღულ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას;
- (b) წინამდებარე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ექსპლუატაციაზე ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ მიცემული თანხმობა არარელევანტურია, როდესაც მოხდა აღნიშნული „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საშუალების გამოყენება;
- (c) ბავშვის სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაყვანა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით მიიჩნევა „ტრეფიკინგად“ მაშინაც კი, როდესაც მის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა წინამდებარე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება;
- (d) „ბავშვი“ გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ასაკამდე.

⁽⁴⁸⁹⁾ ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, რომელიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დამატებითი ინსტრუმენტი, 2000 წლის 15 ნოემბრით დათარიღებული (პალერმოს ოქმი).

⁽⁴⁹⁰⁾ ევროპის საბჭო, 2005 წლის 16 მაისის კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, (ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ).



ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-4 მუხლში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიცია მოიცავს იმავე კომპონენტებს, რასაც პალერმოს ოქმის ⁽⁴⁹¹⁾ მე-3 მუხლი.

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მე-2 მუხლში მოცემული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დეფინიცია, რამდენადაც აღნიშნული მნიშვნელოვანია, იკითხება შემდეგნაირად.

მუხლი 2 ევროკავშირის დირექტივა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული დანაშაულის სახეები

1. ჩწევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები შემდეგი განზრახ ქმედებების დასჯადობის უზრუნველყოფის მიზნით:

ექსპლუატაციის მიზნით, ადამიანთა დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, აღნიშნულ პირებზე არსებული კონტროლის გაცვლით ან გადაცემით, მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით იმ პირის თანხმობის მოსაპოვებლად, ვისი კონტროლის ქვეშაც იმყოფება მეორე პირი.

2. უმწეო მგომარეობა ნიშნავს სიტუაციას, როდესაც შესაბამის პირს არ გააჩნია რეალური ან მისაღები ალტერნატივა გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ სასტიკ მოპყრობას.

3. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმი, გულისხმობს სხვა პირთა პროსტიტუციის მიზნით ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, კატორღულ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობა ექსპლუატაციაზე, იქნება ის განზრახული თუ ფაქტობრივი, არ არის რელევანტური, როდესაც გამოყენებულია პირველი პუნქტით განსაზღვრულია რომელიმე საშუალება ...

როგორც ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მე-11 პუნქტით აშკარად არის დადგენილი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიცია მიზნად ისახავს # 2002/629/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებასთან შედარებით უფრო ფართო ცნების ასახვას, თუ რა უნდა ითვლებოდეს ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად)⁽⁴⁹²⁾.

⁽⁴⁹¹⁾ გარდა ამისა, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია მე-4 მუხლში დამატებულია მეხუთე პუნქტი – „ე“ – რომლის მიხედვითაც „„მსხვერპლი“ უნდა განისაზღვრებოდეს, როგორც ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) დაქვემდებარებული ნებისმიერი ფიზიკური პირი, როგორც აღნიშნული განსაზღვრულია წინამდებარე მუხლში“.

⁽⁴⁹²⁾ 2002 წლის 19 ივლისის ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2002/629/JHA).



ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დირექტივის პრეამბულის მე-11 პუნქტი

მათხოვრობის მიზნით ექსპლუატაცია, მათ შორის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი სარჩენი პირის მათხოვრობისთვის გამოყენება, ხვდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აქვს ადგილი იძულებითი შრომის ან მომსახურების ელემენტებს... გამოთქმა „კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მიზნით ექსპლუატაცია“ უნდა იქნეს გაგებული როგორც პირის ექსპლუატაცია, რათა მან ჩაიდინოს, მათ შორის, ჯიბის ქურდობა, მაღაზიაში ქურდობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა და სხვა მსგავსი ქმედებები, რაც ექვემდებარება სანქციებს და გულისხმობს ფინანსური სარგებლის მიღებას. დეფინიცია ასევე მოიცავს ორგანოთა გადანერგვის მიზნით ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), რაც წარმოადგენს ადამიანის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უხეშ დარღვევას, ასევე, მაგალითად, სხვა ქვეყნებს როგორცაა უკანონო შვილად აყვანა ან იძულებითი ქორწინება იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემადგენელ კომპონენტებს.

სამივე სამართლებრივი ინსტრუმენტი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის ჩარჩოს. ურთიერთკავშირის დემონსტრირებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენცია აღიარებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის საერთაშორისო დაცვის შესაძლო საჭიროებებს და მოითხოვს სახელმწიფოებისგან ამგვარი დაცვის საჭიროებების სათანადოდ შეფასებას ⁽⁴⁹³⁾.

პალერმოს ოქმით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციით და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის დირექტივით დადგენილ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციას აქვს სამი შემადგენელი კომპონენტი, როგორც ეს მოცემულია 50-ე ცხრილში.

⁽⁴⁹³⁾ მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: „წინამდებარე კონვენციის არც ერთმა პუნქტმა არ უნდა მოახდინოს გავლენა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სახელმწიფოებისა და ინდივიდების უფლებებზე, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე, მათ შორის, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე, კერძოდ, გათვალისწინებულ შემთხვევებში, 1951 წლის კონვენციაზე და 1967 წლის ოქმზე ლტოლვილის სტატუსის შესახებ და მასში წარმოდგენილ არგამეხვედის პრინციპზე“. იხილეთ ასევე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.



ცხრილი 18: ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის სამი კომპონენტი

1	ქმედება	ადამიანთა დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება
2	საშუალებები	მუქარით ან ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით; მოტაცებით; თაღლითობით; მოტყუებით; ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით; ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი კონტროლის ქვეშ იმყოფება მეორე პირი ⁽⁴⁹⁴⁾
3	ექსპლუატაციური მიზანი	მათ შორის, როგორც მინიმუმი, სხვა პირთა ექსპლუატაცია პროსტიტუციის მიზნით ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმა, იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა ან მონობის მსგავსი მდგომარეობა, კატორღული შრომა ან ორგანოთა გადანერგვა ⁽⁴⁹⁵⁾

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ ანგარიში გააკეთა იმის შესახებ, რომ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიცირებული მსხვერპლის 65 % -ს წარმოადგენს ქალები და გოგონები, ვინაიდან ფართოდ ხდებოდა მათი ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით⁽⁴⁹⁶⁾. ადამიანობით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შეიძლება ასევე ეხებოდეს ბიჭებსა და მამაკაცებს, ძირითადად იძულებითი შრომის მიზნით, თუმცა სექსუალური ექსპლუატაციისა და იძულებითი გაშვილების მიზნითაც⁽⁴⁹⁷⁾.

ბავშვის შემთხვევაში, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიცია ოდნავ განსხვავდება იმათგან, რომელიც უკავშირდება მოზრდილებს. მაგალითად, პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი განაპირობებს, რომ ბავშვთა „დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით, უნდა ითვლებოდეს „ადამიანთა ვაჭრობად (ტრეფიკინგად)“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ მოიცავს აღნიშნული მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემულ რომელიმე ფორმას. ჩვეულებრივ, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ბავშვები ხდებიან ასევე სექსუალური ექსპლუატაციის, იძულებითი შრომის, ოჯახში მსახურების, იძულებითი მათხოვრობის, იძულებითი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ან/და იძულებითი ქორწინების მსხვერპლიც⁽⁴⁹⁸⁾.

რაც შეეხება პირად გარემოებებს, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაში QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში, შესაძლო მნიშვნელოვანი საკითხები მოიცავს სუსტ ემოციურ ჯანმრთელობას; დაბალ თვითშეფასებას; განსხვავებულობის შეგრძნებას, სექსუალური ორიენტაციის შედეგად გამოწვეულ სირცხვილს ან/და სტიგმას, გაუპატიურებას ან ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის ყოლას; და ანტაგონიზმის ან ოსტრაკიზმს ოჯახში ან/და ადგილობრივ საზოგადოებაში ან მათი მხრიდან. შესაბამისად, ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება იმის განხილვა შესაძლებელია თუ არა ზიანის მიყენების შიშმა მსგავს ადამიანებზე უფრო ძლიერი ზეგავლენა იქონიოს, ვიდრე სხვებზე⁽⁴⁹⁹⁾ და შეიძლება თუ არა, რომ ამგვარმა გარემოებებმა

⁽⁴⁹⁴⁾ აღნიშნული მეორე კომპონენტის არსებობის დამტკიცება არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი ბავშვია, ვინაიდან ბავშვი ვერ განაცხადებს თანხმობას, რაც აღნიშნულიაზე მოთ ციტირებულ პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტში.

⁽⁴⁹⁵⁾ ECtHR (GC), 2020 წ., „S.M. v Croatia“, op. cit., fn. 179, პუნქტები 290 და 303.

⁽⁴⁹⁶⁾ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2020 წლის გლობალური ანგარიში“, 2021 წლის იანვარი, გვ. 31.

⁽⁴⁹⁷⁾ იხილეთ ასევე ფერლი რენი, რ. (Fairley Raney, R.), „სექსუალური ექსპლუატაციის უხილავი მსხვერპლი“, ფსიქოლოგიის მონიტორი, ტომი 48, # 4, 2017 წ., გვ. 22.

⁽⁴⁹⁸⁾ იხ. ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი ტრეფიკინგის საკითხებში (GRETA), „ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ბავშვებში“ GRETA-ს საქმიანობაზე მე-6 ძირითადი ანგარიში, 2018 წლის მაისი, გვ. 5.

⁽⁴⁹⁹⁾ იხ. EASO, „დაუცველობა – პრევენციული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 62, ნაწილები 6.2.1, 6.3.1 და 6.3.2.



ხელი შეუწყოს განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) რისკის გაზრდას. UNHCR-ის საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო მითითებები # 7 მიმოიხილავს იმ ფაქტს, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცალკეული შემთხვევაც კი შეიძლება იწვევდეს დევნას, რა დროსაც მსხვერპლი განიცდის „მიმდინარე ტრამპულ ფსიქოლოგიურ ეფექტებს, რაც მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებას გაუსაძლის ხდის“⁵⁰⁰). საქმეში „S.M. ხორვატიის წინააღმდეგ“ (*S.M. v Croatia*), ECtHR-მა კვლავ გაიმეორა საქმეში „ჩოუდური და სხვები“ (*Choudury and Others*) გამოთქმული მოსაზრება, რომ „როცა დამსაქმებელი ბოროტად იყენებს საკუთარ ძალაუფლებას ან დასაქმებულების დაუცველობით სარგებლობს მათი ექსპლუატირების მიზნით, როცა ისინი ნებაყოფლობით არ ერთვებიან სამსახურში“ და რომ „მსხვერპლის წინასწარი თანხმობა არასაკმარისია სამუშაოს, როგორც იძულებითი შრომის დახასიათების გამოსარიცხად ...“⁵⁰¹).

ზოგადი გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ გამოიყენება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) უმეტესი ნაწილი მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში, მოცემულია მე-8 სქემაში.

ნახაზი 8: ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული განცხადებების განხილვასთან დაკავშირებული ზოგადი გარემოებების მაგალითები

პოლიტიკური არასტაბილურობა	რევოლუციური გადატრიალება	შეიარაღებული კონფლიქტი და განზოგადებული ძალადობა	ეკონომიკური გარდაქმნა
პრევენციის მექანიზმების ნაკლებობა	დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები (მაგ., დასაქმების შესაძლებლობის ნაკლებობა, სუსტი საგანმანათლებლო უზრუნველყოფა)	ოჯახური გაჭირვების მაღალი მაჩვენებლები	ვალზე დამოკიდებულება
არასტაბილური საცხოვრებელი პირობები	ემიგრაციის მაღალი ღონე	მრავალრიცხოვანი კრიმინალური დაჯგუფება ან/და კონტრაბანდისტების მასშტაბური ქსელები	დოკუმენტების ჩამორთმევის მუქარა
მკაცრი გენდერული ნორმები	ოჯახური და სექსუალური ძალადობის მაღალი ღონეები	ექსპლუატატორი პარტნიო	ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებისა და ნარკოდამოკიდებულების მაღალი ღონეები

გარდა ამისა, განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკების განხილვისას აღნიშნულ კონტექსტში, შესაბამისი გარემოებები შეიძლება მოიცავდეს, სახეზეა თუ არა შემდეგი:

⁽⁵⁰⁰⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 7“, op. cit., fn. 402, პუნქტი 16.
⁽⁵⁰¹⁾ ECtHR (GC), 2020 წ., „S.M. v Croatia“, op. cit., fn. 179, პუნქტი 285; და ECtHR-ის 2017 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „Choudury and Others v Greece“, # 21884/15, CE:ECHR:2017:0330JUD002188415 (შემდეგში - ECtHR, 2017 წ., „Choudury and Others v Greece“).





- სახელმწიფოს მხრიდან რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ნაკლებობა,
- ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის მზადყოფნა და კომპეტენცია,
- ხელისუფლებისა და ამგვარი დაჯგუფების თანამონაწილეობა.

2.3.1. ლტოლვილთა დაცვა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ლტოლვილად კვალიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია შემდეგ ქვენაწილებში.

2.3.1.1. დევნის აქტები (მუხლი 9)

რაც შეეხება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ჩვეულებრივ გულისხმობს ძირითადი ადამიანის უფლებების დარღვევებს (ECHR-ის მე-3 ან/და მე-4 მუხლები) ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის ფორმებით, რაც მოიცავს, მაგალითად, მოტაცებას, უკანონო დამწყვდევას, გაუპატიურებას, სექსუალურ დამონებას, პროსტიტუციას, იძულებით შრომას, ორგანოების გადანერგვას, ცემას, შიმშილს ან/და მედიკამენტოზური მკურნალობის საშუალების ჩამორთმევას. როგორც UNHCR-მა აღნიშნა, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ყველა ფორმის საერთო მახასიათებელი არის ის, რომ ადამიანით მოვაჭრე მსხვერპლს ექცევა, როგორც „კუთვნილ“ საქონელს, ადამიანის უფლებებისა და ღირსების მწირი პატივისცემით“⁽⁵⁰²⁾. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ვრცელდება „ფიზიკურ ან მენტალურ ძალადობაზე“ (დამატებულია ხაზგასმა), შესაძლოა რელევანტური იყოს იმის თქმა, რომ ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებები ხშირად მოიცავს ფსიქოლოგიური ტრავმის ფაქტორს. იმის გაცნობიერებით, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია „გენდერით განპირობებული ან ბავშვის წინააღმდეგ მიმართული აქტები“ როგორც დევნის პოტენციური აქტები, მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების იძულებითი ან შეცდომით შეყვანით დაქირავება იძულებითი პროსტიტუციის ან სექსუალური ექსპლუატაციის⁽⁵⁰³⁾ მიზნით, წარმოადგენს გენდერით განპირობებულ და ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ დევნის სავარაუდო ფორმას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მიერ წარსულში ან სავარაუდოდ მომავალში განცდილი ზიანი არ განიხილება ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევად, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუცილებელი ხდება იმის შესწავლა არის თუ არა მათი კუმულაციური ეფექტი საკმარისად მძიმე, რათა განისაზღვროს დევნად.

ECtHR-მა აღიარა, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ზოგჯერ ისეთ ზიანს განიცდის, როგორცაა მონობა; უხეში ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური

⁽⁵⁰²⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 7“, op. cit., fn. 402, პუნქტი 3.

⁽⁵⁰³⁾ ჩვეულებრივად გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის კონტროლის ფორმად გამოყენება მაშინაც კი, როცა ხდება ბავშვებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) კრიმინალური ან შრომითი ექსპლუატაციის მიზნით. აღნიშნული ხდება როგორც ბიჭებისა და ახალგაზრდა მამაკაცების, ასევე გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების შემთხვევაში. იხ. შინაგან საქმეთა სამინისტრო (გაერთიანებული სამეფო), „დამონების თანამედროვე დანაშაულის ფორმები გაერთიანებულ სამეფოში“, 2017 წ., პუნქტები iii-v.



ძალადობა⁽⁵⁰⁴⁾; ოჯახური დამონება⁽⁵⁰⁵⁾; სექსუალური ექსპლუატაცია⁽⁵⁰⁶⁾; და იძულებითი შრომა⁽⁵⁰⁷⁾. მსგავს შემთხვევებში, თანხმობები ზიანის დონე შესაძლოა იყოს საკმარისად მძიმე, რათა შეესაბამებოდეს ECHR-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, და, აქედან გამომდინარე, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით წარმოადგენდეს ადამიანის ძირითადი უფლებების უხეშ დარღვევას. უფრო კონკრეტულად, ECtHR-მა საქმეში „M და სხვები იტალიისა და ბულგარეთის წინააღმდეგ“ (*M and Others v Italy and Bulgaria*) აღნიშნა, რომ „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), საერთაშორისო კონვენციებში მოცემული დეფინიციის მიხედვით ... უდავოდ, ასევე, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას“⁽⁵⁰⁸⁾.

ECHR-ის მე-4 მუხლის მიხედვით, რომელიც კრძალავს მონობასა და იძულებით შრომას, არ არის აუცილებელი ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგი) ჩართული პირი კავშირში იყოს ორგანიზებულ დანაშაულთან⁽⁵⁰⁹⁾. სასამართლოსთვის ფაქტობრივი საკითხია მოიცავს თუ არა კონკრეტული სიტუაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემადგენელ ყველა კომპონენტს ან/და წამოჭრის თუ არა იძულებითი პროსტიტუციის ცალკეულ საკითხს, რაც უნდა განიხილებოდეს საქმის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით⁽⁵¹⁰⁾. როცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ბავშვია, მნიშვნელოვანია შეფასება დაფუძნებული იყოს ბავშვის წინააღმდეგ მიმართული დევნის ცნებაზე, რაც უზრუნველყოფს ბავშვის სასიცოცხლო ინტერესების პრიორიტეტულობას⁽⁵¹¹⁾.

⁽⁵⁰⁴⁾ ევროპის საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (GRETA), „სახელმძღვანელო მითითებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ქვეშ მყოფ პირთათვის საერთაშორისო დაცვის უფლების მინიჭების შესახებ“, 2020 წლის ივნისი (შემდგომში - GRETA, „სახელმძღვანელო მითითებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისთვის საერთაშორისო დაცვის უფლების მინიჭების შესახებ“), 32-33 პუნქტებში ციტირებული საქმეები.

⁽⁵⁰⁵⁾ ECtHR-ის 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Siliadin v France*“, # 73316/01, CE:ECHR:2005:0726JUD007331601; ECtHR-ის 2022 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*CN and V v France*“, # 67724/09, CE:ECHR:2012:1011JUD006772409.

⁽⁵⁰⁶⁾ ECtHR, 2010 წ., „*Rantsev*“, op. cit., fn. 179; ECtHR-ის 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*LE c Grèce*“, # 71545/12, CE:ECHR:2016:0121JUD00715451; ECtHR-ის 2019 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Ti et autres c Grèce*“, # 40311/10, CE:ECHR:2019:0718JUD004031110; ECtHR-ის 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*M and Others v Italy and Bulgaria*“, # 40020/03; და ECtHR (GC), 2020 წ., „*S.M. v Croatia*“, op. cit., fn. 179, პუნქტი 297.

⁽⁵⁰⁷⁾ ECtHR, 2017 წ., „*Choudhury and Others v Greece*“, op. cit., fn. 501. იხ. ასევე ECtHR-ის 2021 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*VCL and AN v United Kingdom*“, # 77587/12 და # 74603/12, CE:ECHR:2021:0216JUD007758712 (შემდგომში - ECtHR, 2021 წ., „*VCL and AN v UK*“), რომელშიც აღიარებულია კრიმინალური ექსპლუატაცია. იხ. ასევე უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო (ჩეხეთი), 2021 წ., # 5, *Azs 317/2020-28*, op. cit., fn. 402, განხილულია სქოლიოში. 538, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

⁽⁵⁰⁸⁾ ECtHR, 2021 წ., „*M and Others v Italy and Bulgaria*“, op. cit., fn. 534, პუნქტი 106. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწილი 2.3.2.

⁽⁵⁰⁹⁾ ECtHR (GC), 2020 წ., „*S.M. v Croatia*“, op. cit., fn. 179, პუნქტები 296 და 303.

⁽⁵¹⁰⁾ Ibid., პუნქტები 302–303. იხ. ასევე ECtHR, 2021 წ., „*VCL and AN v UK*“, op. cit., fn. 507.

⁽⁵¹¹⁾ იხ. EASO, „*დაუცველობა – პრევენციული სამართლის ანალიზი*“, op. cit., fn. 62, ნაწილი 6.8.1.1; იხილეთ ასევე 6.4 და 6.8.2 ნაწილები. იხ., მაგალითად, ECtHR, „*ადამიანით ვაჭრობა: პრევენცია, ბრძოლა, დაცვა*“, 2011 წლის ნოემბერი, გვ. 70: „საუკეთესო ინტერესის დადგენა უნდა მოხდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, რაც გავლენას მოახდენს ბავშვებზე, და, როგორც ასეთი, უნდა წარმოადგენდეს ფორმალურ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია პროცედურული გარანტიები, და მოიცავს შეფასების ოქმის წერილობით გაფორმებას და გასაჩივრების შესაძლებლობას. პროცესში ჩართული უნდა იყვნენ შესაბამის სფეროში გამოცდილი სპეციალისტები (როგორცაა ბავშვთა დაცვის ორგანოები, ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები ან ბავშვთა ფსიქოლოგები) და ბავშვთა უფლების დამცველს, რაც აბალანსებს შესაბამის ფაქტორებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ბავშვებისთვის არსებული საუკეთესო არჩევნის შეფასების მიზნით. ბავშვთა უფლება, გამოხატონ და გათვალისწინებული იყოს მათი საკუთარი აზრი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რიგი სააგენტოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც ბავშვის წარმოშობის ქვეყანაში, ასევე იმ ქვეყანაში სადაც ხდება მისი ვაჭრობის მიზნით გადაყვანა.“



მნიშვნელოვანია იმის გახსენება, რომ CJEU-ის მიერ წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, დევნის აქტები შეიძლება მუქარასაც მოიცავდეს⁽⁵¹²⁾.

2.3.1.2. საფუძვლიანი შიში

მიუხედავად იმისა, რომ „საფუძვლიანი შიში“ მოიცავს რისკის წინასწარ შეფასებას, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს ამგვარი შეფასებით გათვალისწინებული იყოს, რომ წარსულში დევნა ან სერიოზული ზიანი წარმოადგენს „განმცხადებლის მიერ განცდილ დევნის საფუძვლიან შიშზე ან სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის არსებობაზე სერიოზულ მინიშნებას, ვიდრე ამგვარი დევნის ან სერიოზული ზიანის განმეორების გამორიცხვისთვის არ იარსებებს სათანადო მიზეზები⁽⁵¹³⁾. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კონტექსტში, აღნიშნული აშკარად საჭიროებს განმცხადებლის მიერ განცდილი ძალადობისა და ექსპლუატაციის დეტალურ განხილვას⁽⁵¹⁴⁾. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი შეესაბამება განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკების შეფასებას. აღნიშნული მოითხოვს წარსულში განხორციელებული დევნის ან მიყენებული სერიოზული ზიანის, ასევე, ამგვარი მოპყრობის მუქარის (იქნება ეს ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) თუ არატრეფიკინგული კონტექსტი) შეფასებას. იხილეთ ასევე ზემოთ მოცემული ნაწილი 1.5.3⁽⁵¹⁵⁾.

რაც შეეხება განმეორებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკს, ის მოითხოვს კონკრეტული საქმის ყველა გარემოების, როგორც განმცხადებლის პირადი, ასევე ზოგადი გარემოებების შეფასებას. იტალიაში ბოლონიის საერთო ტრიბუნალის [Ordinary Tribunal of Bologna] განჩინება, რომელიც დაკავშირებულია ნიგერიიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის საქმესთან, ილუსტრირებს უკეთეს საკითხებს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას აღნიშნულ კონტექსტში. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ თუკი ის დაბრუნდებოდა, მას ექნებოდა არა მხოლოდ მის ტრეფიკინგზე პასუხისმგებელი პირისგან სასტიკი შურისძიების, არამედ განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ან მის სიცოცხლესა და ფიზიკური ხელშეუხებლობაზე კრიმინალური ორგანიზაციის წევრების მხრიდან თავდასხმის საფუძვლიანი შიში⁽⁵¹⁶⁾.

აღნიშნული ასევე საყურადღებოა განმცხადებელთან დაკავშირებული განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღბათობის რისკის შეფასების კონტექსტში, რათა განიხილებოდეს, წარმოადგენს თუ არა ადამიანით მოვაჭრეების მიერ სამაგიეროს გადახდა

⁽⁵¹²⁾ CJEU, 2018 წ., „Ahmedbekova“, op. cit., fn. 66, პუნქტები 46 და 51.

⁽⁵¹³⁾ იხ. ლეჩეს სამოქალაქო სასამართლოს (Tribunale di Lecce) (იტალია) 2021 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება # 4906/2020 (ინგლისურენოვანი შეჯამება), რომელიც ეხება ნიგერიიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქალ მსხვერპლს, რომელიც ადამიანით მოვაჭრეებმა აწამეს და იძულებით ჩართეს პროსტიტუციაში. QD-ის (ახალი რედაქციით) აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

⁽⁵¹⁴⁾ GRETA, „სახელმძღვანელო მითითებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისთვის საერთაშორისო დაცვის უფლების მინიჭების შესახებ“, op. cit., fn. 504, პუნქტი 4.

⁽⁵¹⁵⁾ პოტენციურ რისკებს, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი აწყდება, გავრთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (GRETA) შემდეგნაირად აღწერს: „განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად გახდომის, მოქალაქეობის ქვეყანაში დევნის, ან ადამიანით მოვაჭრეების ან მათი თანამზრახველების შურისძიების აქტებზე დაქვემდებარების აღბათობა, სპეციალიზირებული დახმარების ან დაცვის ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო“. იხილეთ GRETA, „სახელმძღვანელო მითითებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისთვის საერთაშორისო დაცვის უფლების მინიჭების შესახებ“, op. cit., fn. 504, პუნქტი 31.

⁽⁵¹⁶⁾ ბოლონიის საერთო ტრიბუნალის (Tribunale ordinario di Bologna) (იტალია), 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება, არ გააჩნია საქმის ნომერი (ინგლისურენოვანი შეჯამება). ასევე, მან მიიჩნია, რომ დაბრუნების შემთხვევაში, იგი შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთ დაუცველ სიტუაციაში, რომ კვლავ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლად გახდომის რისკის ქვეშ აღმოჩნდეს.



ან შურისძიება დევნას, რაც ასევე შეიძლება ემუქრებოდეს მის ოჯახის წევრებსაც. როგორც UNHCR-ის სახელმძღვანელო მითითებებშია მოცემული:

ადამიანით მოვაჭრეების მიერ სამაგიეროს გადახდა შესაძლებელია მსხვერპლის ოჯახის წევრების სასტიკი დასჯით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მსხვერპლის მიერ დევნის განცდის საფუძვლიანი შიში, იმ შემთხვევაშიც კი თუ ქალი ან მამაკაცი უშუალოდ არ ექვემდებარებოდა მსგავს ქმედებას. ხშირად ჩადენილი ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების გადმოსახედიდან..., განმეორებითი ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ჩვეულებრივ წარმოადგენს დევნას⁽⁵¹⁷⁾.

ზოგიერთ შემთხვევაში, რისკის ქვეშ მყოფი პირები შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, ვინც ტრეფიკინგში განმეორებით ჩართვის რისკის ქვეშ იმყოფება, არამედ ასევე ისინი, ვინც შეიძლება, წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, ⁽⁵¹⁸⁾**პირველად აღმოჩნდნენ ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში) ჩართვის რისკის ქვეშ.**

2.3.1.3. დევნის მიზეზები (მუხლი 10)

გამომდინარე იქედან, რომ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ძირითადად კომერციული სარგებლის მიზნით ხორციელდება, წარმოიშვება საკითხი, შეუძლია თუ არა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლს დაადგინოს დევნის მიზეზი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლის მნიშვნელობით. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გახსენება, რომ დევნის აქტებისთვის მსგავსი მიზეზის დასადგენად, არ არის აუცილებელი მიზეზი (ხუთიდან ერთი ან მეტი) იყოს ერთადერთი ან თუნდაც მთავარი მოტივი. მთავარია აღნიშნული იყოს არსებითი ხელშემწყობი ფაქტორი (იხილეთ ნაწილი 1.6.1.1). UNHCR-ის სახელმძღვანელო მითითებები, სხვა წყაროებთან ერთად, კომერციული კონტექსტის მიუხედავად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მსხვერპლის მიზნად აღება შესაძლოა მოხდეს მისი ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე⁽⁵¹⁹⁾.

გენდერმა შესაძლოა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს დევნის მიზეზის დადგენაში. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „გენდერთან დაკავშირებული ასპექტები, მათ შორის, გენდერული იდენტობა სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის დადგენის მიზნებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც უკვე აღინიშნა, გაეროს (UN) ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მოხსენება ეხება, იმას რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიცირებული მსხვერპლის 65 % -ს

⁽⁵¹⁷⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 7“, op. cit., fn. 402, პუნქტი. 17. იხ. ასევე, GRETA, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 12“, op. cit., fn. 1247, პუნქტი 3, რომელიც ეხება „განმეორებით ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ადამიანით მოვაჭრეების შურისძიებას (მაგალითად, თუ პირმა თავი დააღწია ადამიანით მოვაჭრეებს ან/და სახელმწიფო ორგანოებს დაეხმარა ადამიანით მოვაჭრეების სისხლისსამართლებრივ დევნაში), დახმარების ან აღკვეთური ზრუნვის ნაკლებობას, ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ოჯახის ან საზოგადოების მიერ განხორციელებულ ოსტრაციზმს იმ დოზით, რომ მათი რეინტეგრაციის შესაძლებლობა გარდაუვალად კომპრომეტირებულია“.

⁽⁵¹⁸⁾ GRETA, „სახელმძღვანელო მითითებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისთვის საერთაშორისო დაცვის უფლების მინიჭების შესახებ“, op. cit., fn. 504, პუნქტი 15.

⁽⁵¹⁹⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 7“, op. cit., fn. 402, პუნქტები 31–32. იხილეთ ასევე უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო (ჩეხეთი), 2021 წ., # 5, Azs 317/2020-28, op. cit., fn. 402, მე-20 პუნქტი, რომელშიც განხილულია, მაგრამ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, უარყოფილია იძულებითი შრომის კონტექსტში პოლიტიკური მოსაზრების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო მიზეზის არსებობის შესაძლებლობა.



წარმოადგენენ ქალები და გოგონები⁽⁵²⁰⁾, სავსებით შესაძლებელია, რომ ქალებმა და გოგონებმა, რომელთა ვაჭრობაც მოხდა იძულებითი პროსტიტუციის მიზნით, დაადგინონ დევნის ფაქტი კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობით, რომელიც შედგება ქალების ან/და გოგონების ან იმავე ქვეჯგუფისგან⁽⁵²¹⁾. ამავდროულად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მამაკაცები ან/და ბიჭები ან აღნიშნული ჯგუფების კონკრეტული სოციალური ქვეჯგუფები, შეიძლება ასევე კვალიფიცირდნენ როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფი, თუ ისინიც აკმაყოფილებენ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მოცემულ კუმულაციურ კრიტერიუმებს.

ზოგიერთმა სასამართლომ და ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად მიჩნეულ პირთა ქვეკატეგორიები, როგორც საკუთრივ კონკრეტული სოციალური ჯგუფი, შეიძლება ხვდებოდეს მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოქმედების სფეროს ფარგლებში⁽⁵²²⁾. საქმეში „AZ (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლი ქალები) ტაილანდი“, უზენაესმა ტრიბუნალმა (გაერთიანებული სამეფო) დაადგინა კავშირის არსებობა კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან არა მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარსულში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკუთარ თავზე გამოცდის ფაქტის, არამედ ასევე ასაკის, როგორც კონკრეტული მახასიათებლის, გათვალისწინებით. ტრიბუნალმა გამოავლინა კონკრეტული სოციალური ჯგუფი - „ახალგაზრდა ქალები, რომლებიც სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით იყვნენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი“, და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი იყო განსაკუთრებულად დაუცველი ახალგაზრდა ქალი, და სწორედ ამიტომ ის არ იმყოფებოდა იმავე პოზიციამში, როგორც ტაილანდში დაბრუნებული სხვა ქალები⁽⁵²³⁾.

როგორც ამ შემთხვევიდან ჩანს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ყოფილ მსხვერპლად მიჩნეული პირები შეიძლება ასევე შეადგენდნენ სოციალურ ჯგუფს იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ისინი იზიარებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის უცვლელ, საერთო და ისტორიულ მახასიათებლებს, და სოციუმში არიან ან შესაძლოა აღიქმებოდნენ ცალკეულ ჯგუფად⁽⁵²⁴⁾. მსგავსად ამისა, CNDA-მ საფრანგეთში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ქალი ლტოლვილად აღიარა, ნიგერიის ედოს და დელტას შტატებში ქალთა იმ კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის საფუძველზე, რომელიც არის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

⁽⁵²⁰⁾ გაერთიანებული ერების (UN) ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ 2020 წლის გლობალური ანგარიში“, 2021, op. cit., fn. 496, გვ. 31.

⁽⁵²¹⁾ იხ., მაგალითად, AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „SB (PSG – Protection Regulations – Reg 6) Moldova CG“, [2008 წ.] UKAIT 00002, პუნქტი 107 და ზემოთ მოცემული ნაწილი 1.6.2.4.2.

⁽⁵²²⁾ უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2016 წ., „JA (child – risk of persecution) Nigeria“, op. cit., fn. 329; უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2016 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „TD and AD (Trafficked women) CG“, [2016 წ.] UK 92 (შემდგომში - უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2016 წ., „TD and AD (Trafficked women) CG“; და უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2010 წ., „AM and BM (Trafficked women) Albania CG“, op. cit., fn. 564.

⁽⁵²³⁾ უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „AZ (Trafficked women) Thailand CG“, [2010 წ.] UKUT 118, პუნქტი 140; და უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2016 წ., „JA (child – risk of persecution) Nigeria“, op. cit., fn. 329.

⁽⁵²⁴⁾ იხ., მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს (ინგლისი და უელსი, გაერთიანებული სამეფო) 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „PO (Nigeria) v Secretary of State for the Home Department“, [2007 წ.] EWCA Civ 1183.



მსხვერპლად მიჩნეული პირებისგან შემდგარი ჯგუფი, ვინც აღნიშნული ქსელიდან თავის დაღწევა მოახერხა ⁽⁵²⁵⁾.

2.3.1.4. დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები (მუხლი 6)

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებისას დევნის განმახორციელებელ ან სერიოზული ზიანის მიმყენებელ სუბიექტებად ჩვეულებრივ ითვლებიან არასახელმწიფოებრივი სუბიექტები, როგორცაა ადამიანით მოვაჭრეები/კრიმინალური საწარმოს წევრები ან, ზოგიერთ სიტუაციაში, ოჯახის ან საზოგადოების წევრები ან ექსპლუატაციის განმახორციელებელი მეგობარი მამაკაცები.⁽⁵²⁶⁾ თუმცა ისინი არ ჩაითვლებიან დევნის განმახორციელებელ ან სერიოზული ზიანის მიმყენებელ სუბიექტებად მანამ, სანამ, „არ იქნება იმის დემონსტრირება შესაძლებელი, რომ „ა“ და „ბ“ პუნქტებში ნახსენებ სუბიექტებს [„სახელმწიფო“ და „პარტიები ან ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამისად აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფო ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს“], მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ ან არ სურთ დევნის ან სერიოზული ზიანის წინააღმდეგ დაცვის უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია მე-7 მუხლით“ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის „გ“ პუნქტი).

2.3.1.5. დევნიდან ან სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტები (მუხლი 7)

დევნის ან სერიოზული ზიანის წინააღმდეგ დაცვა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სახელმწიფოს, პარტიების ან ორგანიზაციების, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფო ან სახელმწიფო ტერიტორიის არსებით ნაწილს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის შესაბამისად. ასე რომ, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის წინააღმდეგ არ ნიშნავს, რომ არსებობს დაცვის განმახორციელებელი მოქმედი სუბიექტი, რადგან მხოლოდ მე-7 მუხლში მითითებულ სუბიექტებს შეუძლიათ დაცვის უზრუნველყოფა. QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით, შეუძლიათ თუ არა წარმოშობის ქვეყნის ორგანოებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის დაცვა, დამოკიდებული იქნება, პირველ რიგში, იმაზე, მართავენ თუ არა დაცვის განმახორციელებელი სუბიექტები მოქმედ სამართლებრივ სისტემას დევნის შემადგენელი ქმედებების ან სერიოზულ ზიანის გამოვლენის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის მიზნით, რაც მითითებულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კონტექსტში, აღნიშნული, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ მათ გამართული აქვთ ეფექტური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციისთვის და აღკვეთისთვის, გამოვლენისთვის, ადამიანით მოვაჭრეების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის და დასჯისთვის და მსხვერპლის დაცვისთვის და დახმარებისთვის.

⁽⁵²⁵⁾ იხ., მაგალითად, CNDA-ის (საფრანგეთი) 2020 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „Mme O.“, # 19017840 C+ (ინგლისურენოვანი შეჯამება). პროსტიტუციის ქსელიდან თავის წარმატებით დაღწევის კრიტერიუმი სტანდარტული კრიტერიუმია საფრანგეთში ადამიანით ვაჭრობის ბევრი შემთხვევისთვის და რეგულარულად გამოიყენება იმ საქმეებში, რომელიც მოიცავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ ქალებთან დაკავშირებულ შემთხვევებს ნიგერიის ედოს და დელტას შტატებიდან.

⁽⁵²⁶⁾ ლტოლვილთა საბჭოს (პოლონეთი) 2010 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება (ინგლისურენოვანი შეჯამება); და უზუნაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2010 წ., „AM and BM (Trafficked women) Albania CG“, op. cit., fn. 564, პუნქტები 165 და 167-170.



მეორე მხრივ, აღნიშნული დამოკიდებული იქნება იმაზე, არის თუ არა მექანიზმები პრაქტიკაში ეფექტური. ანტიტრეფიკინგული კანონებისა და რეგულაციების უბრალო არსებობა არ იქნება საკმარისი, თუ არ მოხდა მათი ეფექტური იმპლემენტაცია. შესაბამისად, მაშინ როცა ჩართულნი არიან დევნის განმარტორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი არასახელმწიფოებრივი სუბიექტები, საჭიროა იმის გამოკვლევა, შეუძლიათ თუ არა და აქვთ თუ არა სურვილი წარმოშობის ქვეყნის ორგანოებს დაიცვან მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლი მათი დაბრუნებისას. საქმეში „S.M. ხორვატიის წინააღმდეგ“ (*S.M. v Croatia*), სახელმწიფო ორგანოების მიერ ECHR-ის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებების ნაწილის დარღვევის აღმოჩენისას, ECtHR-მა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ T.M.-ს მხრიდან S.M.-ს მიმართ ტრეფიკინგის განხორციელების შესახებ ამ უკანასკნელის საჩივრის სახელმწიფო ორგანოების მიერ განხილვასთან დაკავშირებით:

პროკურატორის ორგანოებმა ეფექტურად არ გამოიძიეს საქმის ყველა შესაბამისი გარემოება ან არ მიყვნენ გამოძიების აშკარა ლოგიკურ ჯაჭვს, რათა, მე-4 მუხლით მათზე დაკისრებული პროცედურული ვალდებულების შესაბამისად, ხელმისაწვდომი მტკიცებულებები შეეგროვებინათ. აღნიშნულის ნაცვლად, ისინი დიდწილად დაეყრდნენ განმცხადებლის განცხადებას და, შესაბამისად, ფაქტობრივად შექმნეს ვითარება სასამართლოს მომდევნო საქმის წარმოებებში, რომელშიც განმცხადებლის ბრალდებები უნდა შეჯერდეს T.M.-ის მიერ ბრალდების უარყოფასთან, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე⁽⁵²⁷⁾.

გაერთიანებული სამეფოს ქვეყნის სახელმძღვანელო საქმეში, რომელიც ეხება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) ჩინეთში, უზენაესმა ტრიბუნალმა გადაწყვიტა:

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის სახელმწიფო ორგანოები მიზნად ისახავენ პროსტიტუციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი ქალებისა და გოგონების ხსნასა და რეაბილიტაციას, მაინც არასრულფასოვანია ის განხორციელებული ღონისძიებები, რომელსაც ისინი ატარებდნენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემის დასამარცხებლად. არასრულფასოვნების ძირითადი მიზეზია კორუმპირებული სამართალდამცველების ან სახელმწიფო მოხელეების თანამონაწილეობასთან გამკლავების არასაკმარისი ძალისხმევა და იძულებითი შრომის, ვალით დამორჩილების, იძულების, არამოხალისეობრივი მსახურების ან მამრობითი სქესის მამაკაცების წინააღმდეგ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის სანქციების არგამოყენება⁽⁵²⁸⁾.

სურვილის არ ქონა შეიძლება მოიცავდეს ვითარებას, როცა სახელმწიფო სუბიექტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული არის მსხვერპლის პრობლემა ან როცა სახელმწიფო მოხელეები თანამონაწილეობენ არასახელმწიფო სუბიექტებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქმედებებში.

როგორც დაცვის უნარის, ასევე დაცვის სურვილის შეფასებისას, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რაც წარმოშობის ქვეყნის შესახებ განახლებულ საინფორმაციო ანგარიშშია (COI) მოცემული. იმ ანგარიშებს შორის, რომელიც შეიძლება იყოს სასარგებლო წყარო წარმოშობის ქვეყნის მიერ გატარებული ისეთი ღონისძიებების შეფასებისთვის,

⁽⁵²⁷⁾ ECtHR (GC), 2020 წ., „*S.M. v Croatia*“, op. cit., fn. 179, პუნქტი 343.

⁽⁵²⁸⁾ AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2009 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*HC and RC (Trafficked women) China CG*“, [2009 წ.] UKAIT 00027, პუნქტი 82. იხ. ასევე IAC-ის (გაერთიანებული სამეფო) 2008 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*JFK and Secretary of State for the Home Department*“, [2018 წ.] UKUT PA/06854/2016.



რომელიც ემსახურება გენმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციას ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ყოფილ მსხვერპლად მიჩნეული პირების ხელახალ ვიქტიმიზაციას, GRETA-ის ქვეყნაში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშები, რომელიც აფასებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე ევროპის საბჭოს კონვენციის მონაწილე მხარეების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, შესაძლოა განსაკუთრებით გამოსადეგი იყოს ⁽⁵²⁹⁾.

2.3.1.6. შიდასახელმწიფოებრივი დაცვა (მუხლი 8)

როდესაც წამოიჭრება საკითხი განიცდიდა თუ არა განმცხადებელი საფუძვლიან შიშს ან აღმოჩნდებოდა თუ არა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)/განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რეალური რისკის ქვეშ, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლი შეიძლება ამოქმედდეს იმ წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ დებულებას. შეკითხვა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა განმცხადებელს ესარგებლა შიდასახელმწიფოებრივი დაცვით ქვეყნის სხვა ნაწილში გადაადგილებით, შესაძლოა რელევანტური იყოს⁽⁵³⁰⁾. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება საჭირო გახდეს მეტი შეკითხვების დასმა დამატებით იმ შეკითხვებთან ერთად, რომელიც ეხება სხვა კრიტერიუმებს, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის გამოყენების მიზნით⁽⁵³¹⁾. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ყოფილი მსხვერპლის შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სანდო და განახლებულ წარმომშობის ქვეყნის შესახებ საინფორმაციო ანგარიშებში (COI), მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 51-ე ცხრილში მოცემულ შეკითხვებზე პასუხის მოძიებით.

ცხრილი 19: გასათვალისწინებელი საილუსტრაციო შეკითხვები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ყოფილი მსხვერპლის შესაძლებელ შიდასახელმწიფოებრივ დაცვასთან დაკავშირებით

კონკრეტულად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ყოფილ მსხვერპლთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საკითხები	
1	ექნება თუ არა ადამიანით მოვაჭრეს უნარი ან შეძლება თუ არა განმცხადებლის ადგილსამყოფელის განსაზღვრას?
2	შეიძლება ნიშნავდეს თუ არა განმცხადებლის დაუცველობა (იხილეთ პუნქტი პირადი გარემოებების შესახებ, რომელიც მოცემულია ზემოთ ნაწილში 2.3) იმას, რომ ისინი შეიძლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სხვადასხვა ქსელის ბოროტი განზრახვის სამიზნე აღმოჩნდნენ?
3	იმოქმედებს თუ არა რეაბილიტაციისთვის და რეინტეგრაციისთვის განკუთვნილი შესაბამისი დაწესებულებები, განმცხადებლის ექსპლუატაციის მსხვერპლად ჩავარდნის ან სხვების ხელში ზიანის მიღების პრევენციის მიზნით?
4	არსებობს თუ არა ოჯახის წევრების, საზოგადოების მიერ და ა.შ. ოსტრაკიზმის რისკები ტრეფიკინგთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მსხვერპლის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ თვითგადარჩენას?

⁽⁵²⁹⁾ იხ. ევროპის საბჭოს „ქვეყნის მონიტორინგი“.

⁽⁵³⁰⁾ იხ., მაგალითად, თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლო (CNDA) (საფრანგეთი), 2017 წ., „*Mme F.*“, # 16015058, op. cit., fn. 532, პუნქტები 14-15; უზენაესი ტრიბუნალის (IAC) (გაერთიანებული სამეფო) 2016 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*HD (Trafficked women) Nigeria CG.*“, [2016 წ.] UKUT 000454; და უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2016 წ., „*TD and AD (Trafficked women) CG.*“, op. cit., fn. 522.

⁽⁵³¹⁾ იხ., ზოგადად, ნაწილი 1.9.





ზოგად გარემოებებთან დაკავშირებით, ქვეყნის ან/და ადამიანით მოვაჭრე დაჯგუფების ზომა შესაძლოა რელევანტური იყოს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის სიცოცხლისუნარიანობისთვის⁽⁵³²⁾.

2.3.1.7. საერთაშორისო დაცვის საჭიროებები რომელიც წარმოიშობა ადგილზე

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ტრანსნაციონალური ხასიათი გულისხმობს, რომ განმცხადებლებს, რომელთაც არ გააჩნიათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ისტორია, შესაძლოა ადამიანით მოვაჭრე დაჯგუფებების მსხვერპლად გახდნენ საკუთარი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნების დამუშავების პროცესში ყოფნისას. სხვადასხვა მიზეზების გამო, დაბრუნების შემთხვევაში, შედეგად ისინი შეიძლება დაჯგუფებათა ქსელის წევრების ან/და საკუთარი ოჯახის ან/და საზოგადოების მიერ ოსტრაციზმის განხორციელების რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ. მათ შემთხვევებს პოტენციურად შეიძლება ეხებოდეს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-5 მუხლი. ნამდვილად, მათი განცხადების ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული ადგილზე წარმოშობის აღნიშნული ასპექტი, ერთადერთი საკამათო საკითხია. UNHCR-ის სახელმძღვანელო მითითებებში აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაში, თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლმა ქვეყანა არა დევნის საფუძვლიანი შიშის გამო დატოვა, მაშინ მსგავსი შიში შეიძლება წარმოიშვას მათი წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის შეფასება სწორედ რომ აღნიშნულ საფუძველზე ხდება“⁽⁵³³⁾.

2.3.2. სუბსიდიარული დაცვა

იმ შემთხვევებში, თუ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლში აღნიშნული დევნის მიზეზ(ებ) ისა და დევნის აქტ(ებ)ს ან მსგავსი აქტების წინააღმდეგ დაცვის არარსებობას შორის კავშირის დადგენა შეუძლებელია, მაშინ განმცხადებელი შეიძლება აღმოჩნდეს სერიოზული ზიანის მიყენების რისკის ქვეშ, რაც განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით. ECtHR-მა აღიარა, რომ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შეიძლება

⁽⁵³²⁾ გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, უზენაესმა ტრიბუნალმა, შიდასახელმწიფოებრივი დაცვის სიცოცხლისუნარიანობის შეფასებისას, ალბანეთის ტერიტორიის შედარებით მცირე ზომა აპელაციის დამუშავებისთვის რელევანტურ საკითხად განიხილა, უზენაესი ტრიბუნალი (IAC) (გაერთიანებული სამეფო), 2010 წ., საქმე „AM and BM (Trafficked women) Albania CG“, op. cit., fn. 564. თუმცა იმ ფაქტმა, რომ ნიგერია შედარებით დიდ ტერიტორიას მოიცავს, იმ ფაქტორთან ერთად, რომ ადამიანით მოვაჭრე დაჯგუფებები ჩვეულებრივ ადგილობრივები არიან ან ოჯახურ გაფართოებულ ქსელზე დაყრდნობით მოქმედებენ, სხვადასხვა შედეგებამდე მიგვიყვანა იმიგრაციის სააპელაციო ტრიბუნალის (გაერთიანებული სამეფო) 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „JO (შიდასახელმწიფოებრივი გადაადგილება, განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის არ არსებობა) ნიგერია“ (JO (internal relocation, no risk of re-trafficking) Nigeria), [2004 წ.] UKAIT 251; და AIT-ის (გაერთიანებული სამეფო) 2009 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „PO (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლი ქალები) ნიგერია CG“ (PO (Trafficked women) Nigeria CG), [2009 წ.] UKAIT 46. თუმცა, იტალიაში, რომის საერთო ტრიბუნალმა საზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგში) ჩართულობა არ იყო მიმდინარე, განმცხადებლის ნიგერიაში დაბრუნების შემთხვევაში, დევნისა და განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად გახდომის რისკი განმცხადებლის გენდერისა და წარმოშობის ფონზე საფუძვლიანი იყო. იხ. რომის საერთო ტრიბუნალის (Tribunale Ordinario di Roma) (იტალია) 2019 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება # 17758/2019 (ინგლისურენოვანი შეჯამება). იხ. ასევე CNDA (საფრანგეთი), 2015 წ., „Mlle E“, # 10012810 (ინგლისურენოვანი შეჯამება), op. cit., fn. 179; და CNDA (საფრანგეთი), Grande Formation, 2017 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, „Mme F“, # 16015058 (შემდგომში - CNDA (საფრანგეთი), 2017 წ., „Mme F“, # 16015058).

⁽⁵³³⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 7“, op. cit., fn. 402, პუნქტი 25.



წარმოადგენდეს როგორც მე-3, ასევე მე-4 მუხლის დარღვევას ECHR⁽⁵³⁴⁾ და დაადგინა, რომ აღნიშნული „აღნიშნული უდავოდ ... [ECHR]-ის მე-3 მუხლის მიხედვით, შეადგენს არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას“⁽⁵³⁵⁾.

ზოგიერთი განმცხადებელი მიჩნეულ იქნა სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უღებების მქონედ იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული პირები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან მონობის მსხვერპლი იყვნენ და წარსულში მიღებული სერიოზული ზიანის გამო ამჟამად საშიშროებების წინაშე იმყოფებიან. მაგალითად, თავშესაფრის სამართლის ეროვნულმა სასამართლომ (CNDA) საფრანგეთში სუბსიდიარული დაცვის მქონე პირის სტატუსი ახალგაზრდა მამაკაცს მიანიჭა, რომელიც წარმოშობით იყო კონგოს დამოუკიდებელი რესპუბლიკიდან, 10 წლის ასაკში დაობლდა და იძულებით ჩართეს ახალგაზრდულ კრიმინალურ დაჯგუფებაში. როგორც დაჯგუფების წევრი, იგი ექვემდებარებოდა სექსუალურ ძალადობას, როგორც კონტროლის ზომას, და იძულებული იყო განეხორციელებინა შეიარაღებული დარცვა დაჯგუფების უფროსის მიერ მისთვის მიწოდებული ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. მას ემინოდა, რომ წარსულში დაჯგუფებაში განხორციელებული როლის გამო პოლიციის მხრიდან დაექვემდებარებოდა სასამართლო პროცესის გარეშე სიკვდილით დასჯას ან წამებას. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან პოლიციის მხრიდან მიყენებული ზიანი მის მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებების გამო მოხდა. შესაბამისად, დგინდება, რომ აღნიშნული ზიანი არ უკავშირდება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტისა და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ დევნის მიზეზს. თუმცა, მას ჰქონდა სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება როგორც QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, ასევე მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, რადგან შესაძლოა გამხდარიყო სახელმწიფო ორგანოებისგან სერიოზული ზიანის მიყენებისა და კინძასას მოსახლეობის მხრიდან შურისძიების ობიექტი, წარსულში კრიმინალურ დაჯგუფებაში განხორციელებული ქმედებების გამო⁽⁵³⁶⁾.

⁽⁵³⁴⁾ ECtHR-ის 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*M and Others v Italy and Bulgaria*“, # 40020/03, CE:ECHR:2012:0731JUD004002003 (შემდგომში - ECtHR, 2012 წ., „*M and Others v Italy and Bulgaria*“), პუნქტები 107-108; ECtHR, 2021 წ., „*VCL and AN v UK*“, op. cit., fn. 507, პუნქტები 152 და 161; და ECtHR (GC), 2020 წ., „*S.M. v Croatia*“, op. cit., fn. 179, პუნქტი 241. იხ. ECtHR, 2010 წ. „*Rantsev*“, op. cit., fn. 179, პუნქტი 282, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) აღნიშნა, რომ „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საფრთხეს უქმნის მსხვერპლის ღირსებასა და ძირითად თავისუფლებებს და ვერ იქნება განხილული დემოკრატიულ საზოგადოებასთან და კონვენციაში ასახულ ღირებულებებთან თავსებადად“.

⁽⁵³⁵⁾ ECtHR, 2021 წ., „*M and Others v Italy and Bulgaria*“, op. cit., fn. 534, პუნქტი 106. იხ. ასევე ნაწილი 2.3.1.1. კიდევ სხვა ორ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) აზრით, ნიგერიაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ყოფილი მსხვერპლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო დაცვა, ასევე იგი ECHR-ის მე-3 მუხლის გათვალისწინებით საჩივრებს დაუშვებლად მიიჩნევს. იხ. ECtHR-ის 2015 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „*LO c France*“, # 4455/14, CE:ECHR:2015:0526DEC000445514, პუნქტები 35-36 (განმცხადებელს ყოფილი პროკურორის და არა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ქსელის მხრიდან ზიანის მიყენების ემინოდა); და ECHR-ის მე-4 მუხლთან დაკავშირებით, ECtHR-ის 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*VF c Franc*“, # 7196/10, CE:ECHR:2011:1129DEC000719610.

⁽⁵³⁶⁾ CNDA-ის (საფრანგეთი) 2016 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*M. V.*“, # 15031596 C. განმცხადებელს ასევე მეზობლების მხრიდან ბრალი ედებოდა ჯადოქრობაში მისი მშობლების გარდაცვალების შემდეგ. სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლის გაძევებაზე, რადგან დანაშაულები მან არასრულწლოვან ასაკში ჩაიდინა, ხოლო იგი იძულებული იყო ჯგუფის ლიდერის მიერ, რომელმაც განმცხადებელი სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარა და ფსიქოლოგიური კონტროლი დაამყარა მასზე. მსგავსად ამისა, ქალი, რომელიც ექვემდებარებოდა ლიბიაში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების მიერ განხორციელებულ გაუპატიურებასა და ძალადობას, მას შემდეგ რაც მისი ქმარი მოკლეს, ემინოდა აღნიშნული დაჯგუფებების მხრიდან უფრო მეტი ძალადობის განხორციელების. CNDA-ის (საფრანგეთი) 2017 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*Mme AA*“, # 17015488 C, სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მტკიცებოდა დევნის მიზეზი, მას ჰქონდა სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება.



თავშესაფრის სამართლის ეროვნულმა სასამართლომ (CNDA) (საფრანგეთი) ასევე მიიჩნია, რომ მაშინ როცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლმა ელოდან და ნიგერიის სხვა სამხრეთ შტატებიდან ჩამოაყალიბეს კონკრეტული სოციალური ჯგუფი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლნი წარმოშობით ლაგოსიდან ვერ ჩაითვლებოდნენ ამავე სოციალური ჯგუფის წევრებად, ვინაიდან არ მომხდარა მათი გამოძევება საზოგადოებიდან ამ დოზით. ვინაიდან დევნის მიზეზი QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლის მნიშვნელობით არ არსებობდა, ამ შემთხვევაში, განმცხადებელს არ ჰქონდა უფლება ლტოლვილის დაცვით ესარგებლა. მიუხედავად ამისა, დადგინდა, რომ მას ჰქონდა სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან იგი კვლავ იქნებოდა პროსტიტუციის ქსელის იმ რეპრესალიების ობიექტი, რომელსაც ის გაექცა, და ასევე, გახდებოდა სოციალური ოსტრაკიზმის მსხვერპლი⁽⁵³⁷⁾.

უზბეკ მოქალაქეებზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული იძულებითი შრომის საქმეში, ჩეხეთის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო ადგენს, რომ იძულებითი შრომა ხშირად ისეთ პირობებში ხდება, რომელიც ადამიანს არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ობიექტად ხდის⁽⁵³⁸⁾. სუბსიდიარული დაცვის გათვალისწინებით, QD-ის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის ფარგლებში, სასამართლომ დაადგინა, რომ როცა განმცხადებელი უარს ამბობდა ბამბის მინდვრებში იძულებითი სამუშაოს შესრულებაზე და შედეგად პოლიციაში დაიბარეს, გადაწყვეტილების მიმღებმა ვერ გამოიკვლია ის პირობები, რომელშიც განხორციელდა იძულებითი შრომა, და ის ფაქტი, რომ ბევრი უცხოეთიდან დაბრუნებული განმცხადებელი დაკავებული იყო ცრუ ბრალდებებზე დაყრდნობით და რომ პატიმრობისას მათ აწამებდნენ⁽⁵³⁹⁾. საჭირო იყო იმის გამორკვევა, დაექვემდებარებოდა თუ არა განმცხადებელი არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, თუ მას კვლავაც აიძულებდნენ შრომას, ან იმ შემთხვევაში, თუ აურს განაცხადებდა ამგვარ შრომაზე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სასამართლომ არ გამორიცხა, რომ იძულებითი შრომაზე უარის თქმის საფუძველი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ მოსაზრებად და, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იძულებითი შრომას დაექვემდებარებულ პირებს შეუძლიათ კონკრეტული სოციალური ჯგუფის ჩამოყალიბება, თუკი ისინი იზიარებენ იმ საერთო მახასიათებლებს, რაც ამგვარი ჯგუფის წევრებს შორის ნამდვილად არსებობს და რაც წმინდა დევნის რისკისგან განსხვავებულია. თუმცა ამ შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ წარმოშობის ქვეყნის შესახებ საინფორმაციო ანგარიშში (COI) უზბეკეთის თაობაზე არ არის მოცემული საკმარისი ინფორმაცია იძულებითი შრომის ვალდებულებების შესრულების პირობების შესახებ და აღნიშნული შრომის განხორციელებაზე უარის თქმის გამო დასჯაზე.

სერიოზული ზიანი შეიძლება მოიცავდეს განმეორებითი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საშიშროებას წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ. ამ შემთხვევაში, აუცილებელია იმის გამორკვევა, გამოთქვამენ თუ არა სურვილს სახელმწიფო, პარტიები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფო ტერიტორიის

⁽⁵³⁷⁾ CNDA (საფრანგეთი), 2021 წ., # 20013918, „Mme A“ (ინგლისურენოვანი შეჯამება), op. cit., fn. 443. თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს (CNDA) საქმეებისთვის, რომელიც მოიცავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს ნიგერიის ელოსა და დელტას შტატებიდან, ვინც აღიარებული იყო ლტოლვილად, იხილეთ სქოლიო. 525.

⁽⁵³⁸⁾ უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო (ჩეხეთი), 2021 წ., # 5, [Azs 317/2020-28](#), op. cit., fn. 402, პუნქტი 20.

⁽⁵³⁹⁾ Ibid., პუნქტები 53-54.



მნიშვნელოვან ნაწილს და შეუძლიათ თუ არა მათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ეფექტური, არადროებითი დაცვა და დახმარება⁽⁵⁴⁰⁾.

2.4. ეკოლოგიური საფრთხეები

2.4.1. შესავალი

აღნიშნული ნაწილი მიზნად ისახავს იმ შერჩეული საკითხების ხაზგასმას, რომელიც სავარაუდოდ გამოწვევის წინაშე დააყენებს სასამართლოებსა და ტრიბუნალებს არსებულ და სამომავლო სასამართლო საქმეების შესწავლისას. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ამ საკითხთან დაკავშირებით პრეცედენტული სამართალი ან დამკვიდრებული სამართლებრივი პრაქტიკა, აღნიშნულ ნაწილში მიღებული მიდგომა უმთავრესად ილუსტრაციული სახისაა და ქვესათაურები შეზღუდული რაოდენობით გამოიყენება.

ამჟამად, ეკოლოგიური საფრთხეები მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილზე ახდენს ზეგავლენას და აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს პირების როგორც საკუთარი ქვეყნის ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ გადაადგილების მიზეზად. ამგვარი შემთხვევები შეიძლება წარმოადგენდეს კონკრეტულ გამოწვევებს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ფართო გაგებით, ძირითადად „სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებული პირები“, „ეკოლოგიური მიგრანტები“, „კლიმატის ცვლილების შედეგად გადაადგილებული პირები“ ან „ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტში გადაადგილებული პირები“ (როგორც ისინი სხვადასხვანაირად არიან აღწერილნი), იმ შემთხვევაშიც კი როცა ისინი საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან, მარტივად არ ხვდებიან ლტოლვილთა დაცვის ან სუბსიდიარული დაცვის ქვეშ. თუმცა ეკოლოგიური საფრთხეები სულ უფრო და უფრო შეიძლება გახდეს მინიმუმ ხელშემწყობი ფაქტორი, რომელსაც ეყრდნობიან საერთაშორისო დაცვის მაძიებლები.

გლობალური შეთანხმება მიგრაციის შესახებ [Global Compact for Migration], რომელიც დამტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის (UNGA) აბსოლუტური უმრავლესობით 2018 წლის დეკემბერში, აღნიშნავს კავშირს მიგრაციულ ნაკადებსა და „ბუნებრივი კატასტროფების მოულოდნელ და ნელ წამოჭრასთან, კლიმატის ცვლილების არასასურველ ეფექტებთან, ეკოლოგიური დეგრადაციასთან, ასევე, სხვა გაურკვეველ ვითარებასთან“⁽⁵⁴¹⁾. ასევე, 2018 წელს მიღებული გლობალური შეთანხმება მიგრანტების შესახებ ადგენს, რომ „თუკი ისინი თავისთავად არ იწვევს მიგრანტთა ნაკადებს, კლიმატის, ეკოლოგიური დეგრადაცია და ბუნებრივი კატასტროფები სულ უფრო და უფრო მეტად ახდენს ინტერაქციას მიგრანტთა ნაკადების გამომწვევ მიზეზებთან“⁽⁵⁴²⁾. 2021 წელს დედამიწის დღესთან თანხვედრით, აღნიშნული წლის 22 აპრილს, UNHCR-მა გამოაქვეყნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც ნაჩვენებია თუ როგორ შეიძლება „კლიმატთან დაკავშირებულმა ბუნებრივმა კატასტროფებმა გააღრმავოს სიღარიბე, შიმშილი და

⁽⁵⁴⁰⁾ ფინეთის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო (Korkein hallinto-oikeus) (ფინეთი), 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, KHO:2017:42. სასამართლომ მიმართა საკუთარ პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ 2014 წლის 26 ივნისი, KHO:2014:112.

⁽⁵⁴¹⁾ UNGA, „გლობალური შეთანხმება უსაფრთხო, მოწესრიგებული და რეგულარული მიგრაციის შესახებ“

, 2018 წლის 19 დეკემბერი, A/RES/73/195, პუნქტი 18(თ); UNHCR, „UNHCR-ის სტრატეგიული მიმართულებები 2017–2021“, 2017 წ.; და შიდასახელმწიფოებრივი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი, „GRID 2019: გლობალური ანგარიში შიდასახელმწიფოებრივი გადაადგილების შესახებ“, 2019 წ.

⁽⁵⁴²⁾ UNGA, „გლობალური შეთანხმება მიგრანტების შესახებ“, 2018 წლის 19 დეკემბერი, A/RES/73/151, პუნქტი 8.



გართულოს ბუნებრივ რესურსებთან წვდომა, გაადვივოს არასტაბილურობა და ძალადობა“⁽⁵⁴³⁾.

ევროპაში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2021 წლის სექტემბერში მიიღო რეზოლუცია, სადაც გამოხატავდა შეშფოთებას „კლიმატის ცვლილების დრამატული ეფექტების“ თაობაზე, დ მიუთითებდა „ადამიანის მიერ „უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს მიღების უფლებაზე“ და მოუწოდებდა „კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ მიგრაციულ პრობლემებთან გამკლავების მიზნით ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებისკენ“, ასევე, „კლიმატთან დაკავშირებული მიზეზების გამო გადაადგილებული ან მიგრირებული ხალხის სამართლებრივი სტატუსის შესახებ“⁽⁵⁴⁴⁾. აღნიშნულის მსგავსად, 2021 წლის ოქტომბერს გაეროს (UN) ადამიანის უფლებათა საბჭომ „უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემო აღიარა, როგორც ადამიანის უფლება, რაც მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებით სარგებლობისთვის“⁽⁵⁴⁵⁾.

როგორც ზემოთ მოცემულ ნაწილში 2.1-არის ახსნილი, საჭიროა როგორც პირადი გარემოებების, ასევე ზოგადი გარემოებების განხილვა, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაში QD-ის (ახალი რედაქციით) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

პირად გარემოებებთან დაკავშირებით, როცა ეკოლოგიური ფაქტორები ზეგავლენას ახდენს ინდივიდზე, უდავოდ, ისინი ერთმნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება ყოველი ადამიანისთვის. მაგალითად, ბავშვების, მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ეთნიკურ, რელიგიურ ან სხვა უმცირესობაში მყოფი პირების, ან ცუდ პირობებსა და საზოგადოებისგან განცალკევებით მცხოვრები პირების სიცოცხლე შესაძლოა უფრო მეტად იყოს საფრთხეში ისეთი ბუნებრივი კატასტროფის შედეგად გამოწვეული ნგრევების გამო, როგორცაა მიწისძვრები, წყალდიდობები, სითბური ტალღები და ხანძრები. როგორც 2021 წლის ოქტომბერს გაეროს (UN) ადამიანის უფლებების საბჭომ აღნიშნა:

აღნიშნული შედეგები [ეკოლოგიური ზიანის შესაძლო შედეგები ადამიანის უფლებებზე] ყველაზე მძიმედ იმ მოსახლეობის სეგმენტებში იგრძნობა, რომელიც უკვე დაუცველ სიტუაციაში იმყოფება, მათ შორის, მკვიდრი მოსახლეობა, ხანდაზმული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ქალები და გოგონები⁽⁵⁴⁶⁾.

⁽⁵⁴³⁾ UN News, „ამჟამინდელი კლიმატის ცვლილების კავშირი ყველაზე დაუცველთა გადაადგილებასთან: UNHCR“, 2021 წლის 22 აპრილი; და UNHCR, „გადაუდებელი კლიმატური მდგომარეობის წინა ხაზზე გადაადგილება“. იხ. ასევე UNGA, „გლობალური შეთანხმება უსაფრთხო, მოწესრიგებული და რეგულარული მიგრაციის შესახებ“, op. cit., fn. 541, პუნქტი 18(თ), (ი) და (მ); და ვეერასინგე, ს. (Weerasinghe, S.), „საზიანო გზით“, UNHCR-ის სამართლებრივი და დაცვითი პოლიტიკის კვლევის სერია, # 39, 2018 წლის დეკემბერი (შემდგომში Weerasinghe, „საზიანო გზით“, 2018). იხ. ასევე კავშირის არსებობის დასტური 2018 წლის „გლობალურ შეთანხმებაში უსაფრთხო, მოწესრიგებული და რეგულარული მიგრაციის შესახებ“ მიგრანტთა ნაკადებსა და „ბუნებრივი კატასტროფების მოულოდნელ და ნელა წამოჭრას, კლიმატის ცვლილების არასასურველ ეფექტებს, ეკოლოგიურ დეგრადაციას, ასევე, სხვა გაურკვეველ ვითარებებს შორის“ (მე-18 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი).

⁽⁵⁴⁴⁾ ევროპის საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა, „რეზოლუცია 2401 (2021 წ.): კლიმატის ცვლილება და მიგრაცია“, 2021 წლის 29 სექტემბერი.

⁽⁵⁴⁵⁾ გაეროს (UN) ადამიანის უფლებათა საბჭო, „ადამიანის მიერ უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს მიღების უფლება“, რეზოლუცია A/HRC/48/L.23/Rev.1, 2021 წლის 8 ოქტომბერი.

⁽⁵⁴⁶⁾ გაეროს (UN) ადამიანის უფლებების საბჭო, რეზოლუცია A/HRC/48/L.23/Rev.1, 2021 წ., op. cit., fn. 544. კიდევ ერთი მაგალითი იმ ადამიანებისა, რომლებიც ასევე დაუცველობის ან ეკოლოგიური ზიანის მიღების რისკის ქვეშ იმყოფებიან, წარმოდგენილია გაეროს (UN) ადამიანის უფლებების საბჭოს მიერ, სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ადამიანის უფლებებით გათვალისწინებული იმ ვალდებულებების საკითხის შესახებ, რომელიც უკავშირდება უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოთი სარგებლობას, რეზოლუცია A/HRC/37/59, 2018 წლის 24 იანვარი, 42-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი.



ბავშვებთან დაკავშირებით, 2021 წლის სექტემბერში, სხვადასხვა ქვეყნის არასრულწლოვნების მიერ („ავტორები“) წარდგენილ რიგ საქმეებში ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მათ შეეძლოთ მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნა (საქმეთა დასაშვებობის ფარგლებში) ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 და 24-ე მუხლებზე დაყრდნობით⁽⁵⁴⁷⁾. კომიტეტმა აღნიშნა, რომ:

ავტორებზე, როგორც ბავშვებზე, ასევე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება, როგორც იმ ფორმის მხრივ, რა ფორმითაც მის უფექტებს განიცდიან, ასევე, კლიმატის ცვლილების პოტენციალის თვალსაზრისით, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მათზე მთელი ცხოვრების განმავლობაში, კერძოდ, თუ არ იქნა მიღებული გადაუდებელი ზომები. ბავშვებზე განსაკუთრებული ზეგავლენის, ასევე, კონვენციის წევრი სახელმწიფოების მიერ იმის აღიარების გამო, რომ ბავშვებს ეკუთვნით სპეციალური გარანტიები, მათ შორის, შესაბამისი სამართლებრივი დაცვა, სახელმწიფოებმა გაზარდეს ვალდებულებები განჭვრეტადი ზიანისგან ბავშვების დასაცავად⁽⁵⁴⁸⁾.

ზოგადი გარემოებები, რომელიც შეიძლება მსგავს საქმეებში იყოს წარმოდგენილი, მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომელიც მოცემულია მე-9 ნახაზში.

ნახაზი 9: ზოგადი გარემოებების მაგალითები, რომელიც უკავშირდება ეკოლოგიური საფრთხეების შესახებ განცხადებების განხილვას

გამგზავრებამდე ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილება	ქვეყნის შიგნით სხვა ტერიტორიებზე გადაადგილების შემცირებული შესაძლებლობა	სიღარიბე და საკვების ნაკლებობა
ტრადიციულ საკვები წყაროებსა და საარსებო საშუალებებისგან მოწყვეტა	საცხოვრებელი უბნების დეგრადაცია	მზარდი ზეწოლა გარეუბნის ტერიტორიებზე
ჭარბმოსახლეობა და გადამეტდასახლება	ჯანდაცვის სერვისებზე ან განათლებაზე შეზღუდული წვდომა ან მიუწვდომლობა	გარემოს დაბინძურების ან ეკოლოგიური დეგრადაციის შედეგად ავადმყოფობის გაზრდილი რისკი

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) აღნიშნავს:

⁽⁵⁴⁷⁾ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2021 წლის 22 სექტემბრის მოსაზრებები შემდეგ საქმეებში: „*Sacchi v Argentina*“, CRC/C/88/D/104/2019; „*Sacchi et al v Brazil*“, CRC/C/88/D/105/2019; „*Sacchi et al v France*“, CRC/C/88/D/106/2019; „*Sacchi et al v Germany*“, CRC/C/88/D/107/2019; „*Sacchi et al v Turkey*“, CRC/C/88/D/108/2019; და „*AM c Suisse*“, CRC/C/88/D/95/2019. თითოეული საქმე ფორმულირებულია ანალოგიურად და საბოლოოდ გამოცხადდა დაუშვებლად. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საქმეებში გაანალიზებულია საკითხები, მათ შორის, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური ზიანის კონტექსტში არსებულ იურისდიქციას; მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მსხვერპლის მიერ მიღებული ზიანი „გონივრულად განჭვრეტადი“ და „მნიშვნელოვანი“ უნდა ყოფილიყო; და, რომ მსხვერპლის სტატუსის დასაბუთების მიზნით, ავტორებმა, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, უნდა დაამტკიცონ, რომ პირადად აქვთ გამოცდილი რეალური და მნიშვნელოვანი ზიანი. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანალიზი და სტანდარტები შესაძლოა ასევე რელევანტური იყოს საერთაშორისო დაცვაზე იმ განცხადებების შეფასებისთვის, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ბავშვის და ადამიანის უფლებების დარღვევებს.

⁽⁵⁴⁸⁾ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, „*Sacchi et al v France*“, CRC/C/88/D/106/2019, პუნქტი 10.13, op. cit., fn. 547; სხვა საქმეებში გამოიყენება მსგავსი ფორმულირება.





კლიმატის ცვლილების და ბუნებრივი კატასტროფების არასასურველი ეფექტები ხშირად გამწვავებულია სხვა ფაქტორების შედეგად, როგორცაა სუსტი მმართველობა, საზოგადოებრივი წესრიგის შელახვა; მწირი ბუნებრივი რესურსები, მსხვრევადი ეკოსისტემა, დემოგრაფიული ცვლილებები, სოციოეკონომიკური უთანასწორობა, ქსენოფობია და პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირება, რომელთაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალადობამდე მივყავართ. კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების ნეგატიური ზეგავლენის შედეგად, რასაც ემატება სოციალური მოწყვლადობა, ხალხი შეიძლება იძულებული გახდეს დატოვოს ქვეყანა და ეძიოს საერთაშორისო დაცვა⁽⁵⁴⁹⁾.

მსგავს ზოგად გარემოებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იქნება განახლებული და სანდო ინფორმაციის არსებობა წარმოშობის ქვეყნის შესახებ (COI).

2.4.2. ლტოლვილთა დაცვა

„დევნის აქტებთან“ დაკავშირებით მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სულ მცირე ორი საკვანძო პუნქტი მოიძებნება იმ საქმეებში, რომელშიც ეკოლოგიური საფრთხეები განიხილებოდა. ერთ-ერთი არის ის, რომ მსგავსი ქმედებები წარმოიშობა ადამიანის საქციელით (იხილეთ 1.4 და 1.7 ნაწილები, რომელიც მოცემულია ზემოთ, და დევნის განმარტებული სუბიექტების შესახებ ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია შემდგომში აღნიშნულ ქვენაწილში.) შესაბამისად, იმისათვის, რომ დევნის აქტები კვალიფიცირდეს როგორც ეკოლოგიური საფრთხეები, საჭიროა დადგინდეს ადამიანის მონაწილეობა შედეგის გამოწვევაში⁽⁵⁵⁰⁾.

საქმეში „სუფი და ელმი“ (Sufi and Elmi) ECtHR-მა გაითვალისწინა „დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ სომალში, შამსულ ბარი“ (2010 წლის 16 სექტემბერი), რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ კონფლიქტის გამო ხალხის იძულებითი გადაადგილებით სომალში „სუფთა წყალსა და ძირითადი ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა შეიზღუდა“. მან დამატებით გაითვალისწინა კიდევ ერთი ანგარიში, რომელშიც დასკვნის სახით ცხადდება, რომ „განურჩევლ საომარ მოქმედებებთან, მათ შორის, სამხედრო დანაშაულებთან, შარიას კანონმდებლობის არაგონივრული გამოყენებასთან და მოქალაქეების სამხედრო სამსახურში იძულებითი გაწვევასთან ერთად“, ჰუმანიტარული კრიზისი სომალში „ღვივდებოდა წლების მანძილზე გვალვით და უსაფრთხოების არარსებობით, რაც ხშირად ხელს უშლიდა დახმარების ეფექტურ მიწოდებას“⁽⁵⁵¹⁾. სასამართლომ განაცხადა:

თუ სომალში არსებული საზარელი ჰუმანიტარული პირობები ერთპიროვნულად ან თუნდაც უპირატესად უკავშირდება სიღარიბეს ან იმგვარ ბუნებრივად მიმდინარე ფენომენტთან გასამკლავებლად სახელმწიფო რესურსების ნაკლებობას, როგორცაა

⁽⁵⁴⁹⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის ისეთ მოთხოვნებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, რომელიც წარმოდგენილია კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების არასასურველი ეფექტების კონტექსტში“, 2020 წლის 1 ოქტომბერი (შემდგომში - UNHCR „სამართლებრივი საკითხები:საერთაშორისო დაცვის მოთხოვნები, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები“), პუნქტი 2.

⁽⁵⁵⁰⁾ CJEU (GC), 2014 წ., *M'Bodj*, op. cit., fn. 50, პუნქტი 35. იხილეთ ასევე პუნქტები 1.4.1 და 1.7, რომელიც მოცემულია ზემოთ.

⁽⁵⁵¹⁾ ECtHR, 2011 წ., *„Sufi and Elmi“*, op. cit., fn. 55, პუნქტები 132 და 170.



გვალვა, საქმეში „N. V გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*N. v the United Kingdom*) გამოყენებული შეფასების ტესტი შეიძლება განიხილებოდეს შესაბამისად⁽⁵⁵²⁾.

თუმცა – რამდენიმე ანგარიშზე დაყრდნობით – დადგინდა, რომ „მაშინ, როცა გვალვამ ხელი შეუწყო ჰუმანიტარულ კრიზისს, აღნიშნული კრიზისი უპირატესად კონფლიქტის მხარეთა მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი ქმედებების შედეგად მოხდა“⁽⁵⁵³⁾. შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭა:

მეთოდი, რომელიც გამოყენებულია საქმეში „M.S.S. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ (*M.S.S. v Belgium and Greece*)“ და ითხოვს გათვალისწინებულ იქნეს განმცხადებლის შესაძლებლობა უზრუნველყოს თავისივე ძირითადი საჭიროებები, როგორცაა საკვები, ჰიგიენა და თავშესაფარი, სასტიკი მოპყრობისგან დაუცველობა, ასევე, საკუთარი სიტუაციის გაუმჯობესების პერსპექტივა გონივრულ პერიოდში⁽⁵⁵⁴⁾.

ალ შაბაბის [al-Shabaab] დაჯგუფების ქმედებებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ განაცხადა:

მაშინ როცა მაღალი ალბათობით სავარაუდოა, რომ დაბრუნებული იძულებით გადაადგილებული პირების ბანაკში აღმოჩნდეს, როგორცაა აფგოის დერეფანი [Afgooye Corridor], ან ლტოლვილთა ბანაკში, როგორცაა დადააბის [Dadaab] ბანაკი კენიაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ იქ არსებული ჰუმანიტარული პირობების გამო აღნიშნული პირი აღმოჩნდება მე-3 მუხლის დარღვევით გამოწვეული მოპყრობის რეალური რისკის ქვეშ⁽⁵⁵⁵⁾.

კიდევ ერთი საკვანძო საკითხი არის ის, რომ (აღამიანის მონაწილეობის ფაქტორის დაშვების შემთხვევაშიც) „აქტები“ არ შეიძლება აღიქმებოდეს ვიწრო გაგებით, მაგალითად, შემოიფარგლებოდეს ცალკეული მოვლენით. როგორც უკვე აღინიშნა 1.4 ნაწილში, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ასახავს „აქტების“ ფართო ცნებას. აღნიშნული ილუსტრირებულია „ზომების“ დიაპაზონის საშუალებით, რომელიც მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება როგორც პოტენციური დევნის აქტები, რაც, მაგალითად მოიცავს სამართლებრივ ზომებს⁽⁵⁵⁶⁾. ასევე აუცილებელია იმის გახსენება, რომ „აქტები“ მოიცავს განზრახ უგულებელყოფას, დეპრივაციას ან უმოქმედობას⁽⁵⁵⁷⁾. აღნიშნული მოსაზრება რელევანტურია იმ საქმეებისთვის, რომელიც უკავშირდება ეკოლოგიურ საფრთხეებს, რადგან ზოგჯერ ამგვარი საფრთხეები არ არის ცალკეული მოვლენის შედეგი, არამედ წარმოადგენს უფრო კომპლექსურ პროცესს, რომელიც ხშირად გახანგრძლივებული ან „პროგრესირებადია“, მაგალითად, მიწის დეგრადაცია.

გარდა ამისა, დევნის კონცეფციასთან დაკავშირებით მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს საკმარისი სიმძიმის ზღვარს („threshold of sufficient severity“). ზოგჯერ შესაძლებელია

⁽⁵⁵²⁾ Ibid., პუნქტი 282. იხ. ასევე პუნქტი 259, რომელიც მიუთითებს ECtHR (GC)-ის 2008 წ. საქმეზე „N v UK“, პუნქტები 42-45, რომელიც მიუთითებს ECtHR-ის 2011 წ. საქმეზე „Sufi and Elmi“, პუნქტი 259.

⁽⁵⁵³⁾ ECtHR, 2011 წ., „Sufi and Elmi“, op. cit., fn. 55, პუნქტი 282; და ECtHR, 2013 წ., „SHH v UK“, op. cit., fn. 255.

⁽⁵⁵⁴⁾ ECtHR, 2011 წ., „Sufi and Elmi“, op. cit., fn. 55, პუნქტი 283, რომელიც მიუთითებს ECtHR (GC)-ის 2011 წ. საქმეზე „M.S.S. v Belgium and Greece“, op. cit., fn. 229, პუნქტი 254.

⁽⁵⁵⁵⁾ ECtHR, 2011 წ., „Sufi and Elmi“, op. cit., fn. 55, პუნქტი 296.

⁽⁵⁵⁶⁾ იხ. ნაწილის დასაწყისი 1.4.4 და ზემოთ მოცემული 1.4.4.3 ნაწილი.

⁽⁵⁵⁷⁾ იხ. CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 57, წაკითხული CJEU (GC)-ის 2014 წლის გადაწყვეტილებასთან ერთად საქმეში „M’Bodj“, op. cit., fn. 50, პუნქტი 35. იხ. CJEU-ის ანალიზის შესახებ შეთანხმებები ILC-სთან, „სახელმწიფოთა სამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის“, op. cit., fn. 538, რომელშიც „აქტები“ აღქმულია, როგორც „ქმედება, რომელიც შედეგადად მოქმედებისგან ან უმოქმედობისგან ...“; იხილეთ ზემოთ მოცემული 1.6 ნაწილი.



თავისთავად ცხადი იყოს, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოვლენები, როგორცაა ზღვის დონის მომატება, ნიადაგის დამლაშება და ექსტრემალურ ამინდის პირობებთან დაკავშირებული კატაკლიზმები (მტორმები, ციკლონები, წყალდიდობები და ხანძრები), იწვევს ზიანს. თუმცა აღნიშნულის გათვალისწინებით, ამგვარი მოვლენები ხშირად უფრო მეტად მოქმედებს ზოგიერთ პირზე, მაგალითად, მათზე ვინც ჭალებთან ახლოს ცხოვრობენ, ვიდრე სხვებზე, ინდივიდუალურ განმცხადებელს შეიძლება უჭირდეს იმ რისკების დადგენა, თუ რა რისკის წინაშე იმყოფება მსგავსი მოვლენების გამო - იქ სადაც აღინიშნება ადამიანის მონაწილეობა - აღნიშნული კვთის **საკმარისი სიმძიმის** დადგენილ ზღვარს („threshold of sufficient severity“).

მე-9 მუხლის პირველი პუნქტი დევნის დეფინიციისთვის იყენებს ადამიანი უფლებების მიდგომას. ერთ-ერთი ძირითადი უფლება არის კანონმდებლობით დაცული სიცოცხლის შეუზღუდავი უფლება, როგორც აღნიშნული გარანტირებულია ECHR-ის მე-2 მუხლით.

საქმეში „ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Öneriyildiz v Turkey*)⁽⁵⁵⁸⁾, ECtHR-მა იმ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ საქმეებში სიცოცხლის უფლება დარღვეულად მიიჩნია, რომელთა სახლებიც ნაგავსაყრელთან ახლოს მეთანის გაზის აფეთქების შედეგად იქნა შთანთქმული. სასამართლომ დაადგინა, რომ ფიქსირდება, მათ შორის, ECHR-ის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევა, რაც დაკავშირებულია განმცხადებლის ცხრა ახლო ნათესავის გარდაცვალების პრევენციისთვის გატარებული შესაბამისი ღონისძიებების სიმწირესთან. სასამართლომ მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი ასევე დარღვეულად მიიჩნია, რაც დაკავშირებულია ადეკვატური სამართლებრივი დაცვის არარსებობასთან, რომლითაც გარანტირებული უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლის უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის სახელმწიფო ორგანოებმა არ მიაწოდეს ინფორმაცია ღარიბ უბანში მცხოვრებ პირებს აღნიშნულ ადგილზე ცხოვრების რისკებთან დაკავშირებით, ასევე, არც საჭირო პრაქტიკული მარეგულირებელი ღონისძიებები გაატარეს ადამიანთა სიცოცხლისათვის შესაძლო რისკის თავიდან აცილების მიზნით.

საქმეში „ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (*Budayeva and Others v Russia*), ECtHR-მა დაადგინა, რომ რუსეთის სახელმწიფო ორგანოებმა დაარღვიეს განმცხადებლების სიცოცხლის უფლება გონივრული ნაბიჯების არგადადგმით მეწყერის სახით განჭვრეტადი

⁽⁵⁵⁸⁾ ECtHR (GC)-ის 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Öneriyildiz v Turkey*“, # 48939/99, CE:ECHR:2004:1130JUD004893999 (შემდგომში - ECtHR (GC), 2004 წ., „*Öneriyildiz v Turkey*“), პუნქტები 89-108 და 117-118. 93-ე პუნქტში სასამართლომ აღნიშნა, რომ, მისი მოსაზრებით, მე-2 მუხლში წარმოდგენილი მსჯელობა „უდავოდ საფუძვლიანი იყო სახიფათო საქმიანობის კონტექსტში, როცა ადამიანი იღუპება სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობის ქვეშ მომხდარი მოვლენების შედეგად, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ერთადერთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია საკმარისი რეგულაციური ცოდნა იმ კომპლექსური ფენომენის ამოცნობისა და დადგენისთვის, რომელიც შეიძლება იწვევდეს ამგვარ შემთხვევებს“.



ზიანის პრევენციისთვის, რამაც გაანადგურა მათი ქალაქები და შეიწირა რვა ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის პირველი განმცხადებლის ქმრის სიცოცხლე⁽⁵⁵⁹⁾.

საქმეში „ტიტიოტა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ“ (*Teitiota v New Zealand*)⁽⁵⁶⁰⁾, რომელიც ეხებოდა ICCPR⁽⁵⁶¹⁾-ის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სიცოცხლის უფლებას, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა (HRC) აღნიშნა, რომ „გარემოს დეგრადაცია, კლიმატის ცვლილება და არამდგრადი განვითარება წარმოადგენს ყველაზე მწვავე და სერიოზულ საფრთხეს დღევანდელი და მომავალი თაობების მიერ სიცოცხლის უფლებით სარგებლობისთვის“⁽⁵⁶²⁾. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებაში კომიტეტმა დამატებით აღნიშნა შემდეგი:

როგორც უეცრად დამდგარ მოვლენებს, როგორცაა ძლიერი ქარიშხალი და წყალდიდობა, ისე ნელი ტემპით განვითარებად პროცესებს, როგორცაა ზღვის დონის აწევა, დამარილიანება და მიწის დეგრადაცია, შეუძლია ხელი შეუწყოს იმ პირთა ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას, რომლებიც ცდილობენ, თავი დაადწიონ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ზიანს. კომიტეტის მოსაზრებით, მტკიცე ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევის გარეშე, მიმდებ სახელმწიფოებში კლიმატის ცვლილების შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს პაქტის მე-6 ან მე-7 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება აამოქმედოს გამომგზავნი სახელმწიფოებზე დაკისრებული არგაძევების ვალდებულებები. გარდა ამისა, ვინაიდან მთელი ქვეყნის წყალში ჩაძირვის რისკი უკიდურესი რისკია, ასეთ ქვეყანაში ცხოვრების პირობები შეიძლება შეუთავსებელი გახდეს ღირსეულად ცხოვრების უფლებასთან, ამ რისკის რეალიზაციამდე.⁽⁵⁶³⁾

⁽⁵⁵⁹⁾ ECtHR-ის 2008 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „*Budayeva and Others v Russia*“, # 15339/02, # 21166/02, # 20058/02, # 11673/02 და # 15343/02, CE:ECHR:2008:0320JUD001533902 (შემდგომში - ECtHR, 2008 წ., „*Budayeva and Others v Russia*“), პუნქტები 158-159. 137-ე პუნქტში სასამართლომ აღნიშნა, რომ „გადაუდებელ სიტუაციებში დაზარალების დროს, როდესაც სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობს ადამიანების სიცოცხლის დაცვაში სტიქიური უბედურებების შერბილების გზით, ეს მსჯელობა უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საქმის გარემოებები მიუთითებენ იმ სტიქიური უბედურების გარდაუვალობაზე, რომელიც აშკარად იდენტიფიცირებადი იყო, ხოლო განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შეიძლება ეხებოდეს განმეორებად სტიქიურ უბედურებას, რომელსაც გავლენა აქვს ადამიანის საცხოვრებლად ან მის მიერ გამოსაყენებლად შექმნილ თუ განაშენიანებულ ცალკეულ ტერიტორიაზე... კონკრეტულ გარემოებებში სახელმწიფოსადმი მიკუთვნებული პოზიტიური ვალდებულებების ფარგლები დამოკიდებული შეიძლება იყოს საფრთხის წარმომობაზე და იმაზე, თუ რამდენად შეიძლება დაექვემდებაროს ესა თუ ის რისკი შემარბილებელ ღონისძიებებს. ასევე, იხილეთ ECtHR-ის 2015 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Özel and Others v Turkey*“, # 14350/05, # 15245/05 და # 16051/05, CE:ECHR:2015:1117JUD001435005. ეკოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებული საქმეები, რომელშიც ECtHR-მა დარღვეულად მიიჩნია ECHR-ის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ადამიანის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, იხილეთ სქოლიოში. 566, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

⁽⁵⁶⁰⁾ HRC-ის 2019 წლის 24 ოქტომბრის მოსაზრებები საქმეში „*Joane Teitiota v New Zealand*“, კომუნიკაცია # 2728/2016, CCPR/C/127/D/2728/2016 (შემდგომში - HRC, 2019 წ., „*Teitiota*“).

⁽⁵⁶¹⁾ ICCPR-ის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, „თითოეულ ადამიანს გააჩნია სიცოცხლის განუყოფელი უფლება“. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე“.

⁽⁵⁶²⁾ HRC, 2019 წ., „*Teitiota*“, op. cit., fn. 560, პუნქტი 9.4.

⁽⁵⁶³⁾ Ibid., პუნქტი 9.11 (სქოლიო გამოტოვებულია). იხ. ასევე HRC, „ზოგადი კომენტარი # 36, მუხლი 6 (სიცოცხლის უფლება“, 2019 წლის 3 სექტემბერი, CCPR/C/GC/36, პუნქტი 26.



გარდა ამისა, ლიტერატურაში ფართოდ აღიარებულია,⁽⁵⁶⁴⁾ რომ კლიმატის ცვლილების სცენარებში ზოგჯერ შეიძლება აისახოს ადამიანის უფლებების დისკრიმინაციული უარყოფა, მაგალითად, როდესაც მარგინალიზებული ჯგუფები განსაკუთრებულად დაუცველნი არიან ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული ზიანის წინააღმდეგ. გარდა იმისა, რომ ასეთი ზიანი შეიძლება არღვევდეს ძირითად უფლებებს, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ასეთი ზიანი შეიძლება მოიცავდეს ზომებს, რომლებიც ექვევება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის 9 პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მათი კუმულაციური ეფექტის გამო. დევნის განმასრვლებელ პირებს შეუძლიათ განასრვებონ ისეთი გარემოსდაცვითი ქმედებები ან ღონისძიებები, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებების უხეშ დარღვევას მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის კონტექსტში, ან რომელიც საკმარისად მკაცრია მათი კუმულაციური ეფექტის გამო იმისათვის, რომ ანალოგიური გავლენა მოახდინონ ინდივიდზე. პრინციპში, არ უნდა არსებობდეს მიზეზი, გარემოსთვის მიყენებული ზიანით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ადეკვატურ თავშესაფარზე, სამუშაოზე, ქონებაზე, საკვებზე, ინფორმაციაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე და სხვა, რატომ არ შეიძლება ანალოგიური გავლენა მოახდინოს ინდივიდებზე ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის კუთხით (და ასე მითქვამს იქნეს დევნის ზღვარი). რამდენადაც ადამიანის უფლებები, რომელიც ეხება საქმის ფაქტებს, არ არის აბსოლუტური უფლებები, როგორცაა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, პრევენციული სამართლის მნიშვნელოვან ნაწილში ჩანს ასეთი უფლებების დარღვევა გარემოსდაცვის კონტექსტში. მაგალითად, არსებობს ECtHR-ის მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა ეკოლოგიურ ზიანთან დაკავშირებით, როგორც საქმეში „ლოპეს ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ“ (*López Ostra v Spain*)⁽⁵⁶⁵⁾, რომელშიც მიჩნეულ იქნა, რომ მნიშვნელოვანი ეკოლოგიურ ზიანისა და თანმხლები ჯანდაცვის პრობლემების არსებობით დაირღვა ECHR-ის⁽⁵⁶⁶⁾ მე-8 მუხლი.

საჩივრები, რომელიც მოიცავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს და რომელიც ეფუძნება მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას ან ასეთი დარღვევების ერთობლიობას მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაძლოა ასევე ეხებოდეს ზიანის უფრო ტრადიციულ სახეებს. როგორც UNHCR-ი აღნიშნავს, კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გადაადგილების კონტექსტში:

⁽⁵⁶⁴⁾ მაგალითისთვის, იხ. სკოტი, მ. (Scott, M.), „კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი კატასტროფები და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენცია“, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, კემბრიჯი, 2020 წ. (შემდგომში - სკოტი, მ. (Scott, M.), „კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი კატასტროფები და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენცია“), გვ. 57-63, ციტირება, მათ შორის, უმაღლესი ტრიბუნალის (გაერთიანებული სამეფო) 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*RN (Returnees) Zimbabwe CG*“, [2008 წ.] UKAIT 83 (შემდგომში - უმაღლესი ტრიბუნალი (გაერთიანებული სამეფო), 2008 წ., „*RN (Returnees) Zimbabwe CG*“), პუნქტი 249.

⁽⁵⁶⁵⁾ ECtHR-ის 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*López Ostra v Spain*“, # 16798/90, CE:ECHR:1994:1209JUD001679890 (შემდგომში - ECtHR, 1994 წ., „*López Ostra v Spain*“).

⁽⁵⁶⁶⁾ ეკოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებული საქმეები, რომელშიც ECtHR-ის მიერ დადგინდა ECHR-ის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, იხილეთ, მაგალითად, საქმე ემისიებზე წყლის გამწმენდი ნაგებობიდან. (ECtHR, 1994 წ., „*López Ostra v Spain*“, *op. cit.*, fn. 565, პუნქტი 58), დაბინძურება სასუქის წარმოების შედეგად (ECtHR (GC), 1998 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*Guerra v Italy*“, # 14967/89, CE:ECHR:1998:0219JUD00149678, პუნქტი 60), ემისიები კერძო საკუთრებაში არსებული ოქროს საბადოდან (ECtHR-ის 2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Taskin and Others v Turkey*“, # 46117/99, CE:ECHR:2004:1110JUD004611799, პუნქტი 108ff.), ემისიები ყოფილი ფოლადის ქარხნიდან (ECtHR-ის 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Fadeyeva v Russia*“, # 55723/00, CE:ECHR:2005:0609JUD005572300) ემისიები სახიფათო ნარჩენების შენახვისა და დამუშავების ობიექტებიდან (ECtHR-ის 2006 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Giacomelli v Italy*“, # 59909/00, CE:ECHR:2006:1102JUD005990900).



... შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც 1951 წლის კონვენციით ლტოლვილის სტატუსის მისაღებად დაწესებული კრიტერიუმები ან რეგიონული კანონმდებლობით ლტოლვილის სტატუსის მისაღებად დაწესებული უფრო ზოგადი კრიტერიუმები, შეიძლება იყოს გამოყენებული. ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ კანონიერი პრეტენზია ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე, მაგალითად, როდესაც კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები ურთიერთქმედებს შეიარაღებულ კონფლიქტთან და ძალადობასთან ⁽⁵⁶⁷⁾.

ნაშრომზე „საზიანო გზით“ დაყრდნობით ⁽⁵⁶⁸⁾, UNHCR-მა გამოსცა სამართლებრივი მოსაზრებები 2020 წელს იმისათვის, რომ უფრო გამარტივებულიყო განმარტება და წარმართულიყო საერთაშორისო დისკუსია ასეთ მოთხოვნებთან დაკავშირებით⁽⁵⁶⁹⁾. UNHCR-მა მაინც აღნიშნა, რომ „მიუხედავად ამისა, ტერმინი „კლიმატის ცვლილების შედეგად ლტოლვილი“ არ არის დამტკიცებული UNHCR-ის მიერ და უფრო ზუსტია ტერმინის „ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტში იძულებით გადაადგილებული პირების“ გამოყენება ⁽⁵⁷⁰⁾.

ამრიგად, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ზიანის შემთხვევაში ⁽⁵⁷¹⁾, ეკოლოგიური ზიანის მიყენება არის ქმედება, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც დევნის აქტი. თუმცა, ეს შესაძლებლობა კონკრეტულ კონტექსტზეა დამოკიდებული.

დევნის **საფუძვლიანი შიშის** წარმოქმნისთვის, აუცილებელია განმცხადებლისთვის პერსონალური რისკის დადგენა⁽⁵⁷²⁾, მაგრამ არ არის აუცილებელი დევნის რისკის უპირველესად დადგენა იმავე მდგომარეობის სხვა მსგავს რისკებთან შედარებით ⁽⁵⁷³⁾. არ არის აუცილებელი, რომ წარმოიშვას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საქმეები შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში ⁽⁵⁷⁴⁾. QD-ის (ახალი რედაქციით), ევროკავშირის ქარტიის ან ECHR-ის სასამართლო პრაქტიკიდან ასევე გაურკვეველია, რამდენად გარდაუვალი უნდა იყოს დევნის ან სერიოზული ზიანის რისკი ⁽⁵⁷⁵⁾.

⁽⁵⁶⁷⁾ იხ. UNHCR, „გადაადგილება კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად“.

⁽⁵⁶⁸⁾ ვეერასინგე (Weerasinghe), „საზიანო გზით“, 2018 წ., op. cit., fn. 543.

⁽⁵⁶⁹⁾ UNHCR, „სამართლებრივი მოსაზრებები: საერთაშორისო დაცვის მოთხოვნები, კლიმატის ცვლილება და სტიქიური უბედურებები“, op. cit., fn. 549.

⁽⁵⁷⁰⁾ იხ. UNHCR, „გადაადგილება კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად“.

⁽⁵⁷¹⁾ იხილეთ ნაწილები 1.4.2.1 და 1.4.3.

⁽⁵⁷²⁾ CJEU, 2018 წ., *Ahmedbekova*, op. cit., fn. 66, პუნქტი 49.

⁽⁵⁷³⁾ UNHCR, „სამართლებრივი მოსაზრებები: საერთაშორისო დაცვის მოთხოვნები, კლიმატის ცვლილება და სტიქიური უბედურებები“, op. cit., fn. 549, პუნქტი 8.

⁽⁵⁷⁴⁾ უზენაესი საკასაციო სასამართლო (იტალია), 2020 წ., „*განმცხადებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს (Ministero dell'interno) წინააღმდეგ*“, # 23925/19 (ინგლისურენოვანი შუამუხვა), op. cit., fn. 278. სასამართლომ დაასკვნა, რომ სამოქალაქო სასამართლოების მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ სიცოცხლის უფლებისა და ღირსეულად ცხოვრების პატივისცემის უფლების მოთხოვნის სტანდარტი არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებასთან მიმართებით, არამედ სოციალურ, გარემოსდაცვით ან კლიმატის დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას და იმ კონტექსტში, სადაც ხდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება, იმდენად, რამდენადაც ეს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ინდივიდისა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს და საფრთხეს უქმნის ინდივიდის უფლებას ისარგებლოს ღირსეული ცხოვრების უფლებით.

⁽⁵⁷⁵⁾ მიუხედავად ამისა, საერთაშორისო დაცვის ტრიბუნალის (ახალი ზელანდია) 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „AF (კირიბატი)“ „*AF (Kiribati)*“, [2013 წ.] NZIPT 800413, რომელიც იყენებს ასეთ კრიტერიუმს, HRC, 2019 წ., საქმეზე „*ტიეტიოტა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ (Teitiota v New Zealand)*“, op. cit., fn. 560, არ მოიცავს მის დამტკიცებას. გარდაუვალობის შეფასების ტესტზე დაყრდნობის მიმართ კრიტიკისთვის, იხილეთ საქმე „*ანდერსონი და სხვები (Anderson et al.)*“, „გარდაუვალობა ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა სამართალში“. op. cit., fn. 370, გვ. 111–140.



რისკის შეფასების თვალსაზრისით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზოგიერთი მოვლენის ნელ-ნელა დაწყების ხასიათმა შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების საფუძვლიანად განჭვრეტადი საფრთხე. მაგალითად, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისმა პანელმა (IPCC) იწინასწარმეტყველა მნიშვნელოვანი ზემოქმედება ისეთი მოვლენების მიერ, როგორცაა სიცხე, გვალვა, წყალდიდობა, ციკლონები, ტყის ხანძრები, მეწყერი, ჰაერის დაბინძურება, ზღვის დონის მატება და შტორმის⁽⁵⁷⁶⁾. მიუხედავად ამისა, HRC-მა დაასკვნა, რომ რისკი უნდა იყოს „პერსონალური, ... ის არ შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ მიმდებ სახელმწიფოში არსებული საერთო პირობებიდან, გარდა ყველაზე ექსტრემალური შემთხვევებისა, და ... არსებობს უდიდესი ზღვარი არსებითი საფუძვლების უზრუნველყოფისთვის იმის დასადგენად, რომ გამოუსწორებელი ზიანის რეალური რისკი არსებობს“⁽⁵⁷⁷⁾.

უფრო მეტიც, საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების შეფასების კონტექსტში, ასეთი მოვლენები, დიდი ალბათობით, არ წარმოადგენს დევნის აქტს, თუ არ დადგინდება, რომ ისინი განხორციელდა დევნის განმახორციელებელი პირის მიერ დევნის ერთ-ერთი მიზეზის გამო.

რაც შეეხება **დევნის მიზეზებს** (QD-ის მე-10 მუხლი (ახალი რედაქციით)), ერთი ან მეტი ასეთი მიზეზის დადგენამ შეიძლება შეუქცევადი პრობლემა შექმნას განცხადებებისთვის ადამიანის ისეთი ქცევის საფუძველზე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე, მაგალითად, ტყეების გაჩეხვა და მიწისძვრებზე და სხვა ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირება. ეს იმიტომ ხდება, რომ ასეთი ზემოქმედება შეიძლება იყოს ძირითადად განურჩეველი და ამკარად არ იყოს დაკავშირებული ისეთ მახასიათებელ თვისებებთან, როგორცაა რასა, რელიგია, ეროვნება, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობა ან პოლიტიკური მოსაზრება.⁽⁵⁷⁸⁾ უნდა დადგინდეს, რომ განმცხადებელი დიფერენცირებულად დაექვემდებარა და აღმოჩნდა დაუცველი დევნის განმახორციელებელი სუბიექტის განზრახული ქმედებების ან უმოქმედობის პირისპირ იმ ერთ-ერთი მიზეზის გამო, რომელიც მითითებულია QD-ის (ახალი რედაქციით) მუხლში 10. თუმცა, დისკრიმინაცია შეიძლება ზოგჯერ იყოს ჩართული გარემოსთვის ზიანის მიყენების სცენარებში, მაგალითად, როდესაც იზოლირებული სოციალური ჯგუფები განსხვავებულად ექვემდებარებიან დაუცველობას და დაუცველნი არიან ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული ზიანის წინააღმდეგ. ისეთი ღონისძიებები, რომელიც იწვევს გარემოს დეგრადაციას, როგორცაა ტყეების გაჩეხვა ან წყლის ბუნებრივი წყაროების მოსპობა, შეიძლება ჩაითვალოს მთლიანად ან ნაწილობრივ რასის, რელიგიის და ა.შ. მიზეზებით.

პირებს ასევე შეიძლება წაერთვათ, როგორც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულ პირთა მიერ დახმარების მიღების უფლება რასის, რელიგიის, ეროვნების,

⁽⁵⁷⁶⁾ IPCC, „კლიმატის ცვლილება 2014: შემჯამებელი ანგარიში“, 2014, გვ. 39-55; და IPCC, „კლიმატის ცვლილება 2021: ფიზიკური მეცნიერება“, დანართები 3.1-3.5. IPCC არის გაეროს ექსპერტთა ორგანო, რომელიც აფასებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებს. იხილეთ აგრეთვე ანდერსონი, ა., ფოსტერი, მ., ლამბერტი, ჰ. და მაკადამი, ჯ., „დევნის საფუძვლიანი მიზეზი ... მაგრამ როდის?“, სიდნეის სამართლებრივი ანალიზი, ტ. 42, # 2, 2020 წ., გვ. 155.

⁽⁵⁷⁷⁾ HRC, 2019 წ., „Teitiota“, op. cit., fn. 560, პუნქტი 9.3 (დამატებულია ხაზგასმა).

⁽⁵⁷⁸⁾ მაგალითისთვის, იხილეთ ავსტრალიის ლტოლვილთა საქმეების განხილვის ტრიბუნალი, 2009 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, 09073346, [2009 წ.] RRTA 1168, პუნქტი 51, საქმე წამოწყებული კირიბათის მოქალაქის მიერ, ციტირებული მაკადამ ჯ.-ის მიერ, „კლიმატის ცვლილება, იძულებითი მიგრაცია, და საერთაშორისო სამართალი“, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ოქსფორდი, 2012, გვ. 45-46.



კონკრეტული სოციალური ჯგუფის კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო.⁽⁵⁷⁹⁾ ეკოლოგიური კატასტროფის მსხვერპლის უბრალო ფაქტი შეიძლება არ იყოს საკმარისი იმის დასადგენად, რომ ჯგუფი სოციალურად ხილულია და ასევე იზიარებს დაცულ თვისებას (და არ არის განსაზღვრული ცირკულარული ფორმით)⁽⁵⁸⁰⁾. მიუხედავად ამისა, სიტუაცია შეიძლება განსხვავებული იყოს, თუ, მაგალითად, მსხვერპლის იდენტიფიცირება ხდება სახელმწიფო კანონებში ან პოლიტიკაში (როგორც საჭიროა დისკრიმინაციული წესით, მაგალითად, განსახლების ბანაკებში ცხოვრება იძულებითი გადასახლების შემდეგ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეკოლოგიური კატასტროფა ან ეკოლოგიური კატასტროფის გამო).

რაც შეეხება **დევნის განმახორციელებელ** სუბიექტებს, CJEU-მ საქმეში „*M’Bodj*“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ Qd-ის მე-6 მუხლში ჩამოთვლილია ის განმახორციელებელი სუბიექტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენებაზე. მან აღნიშნა, რომ ეს „ადასტურებს მოსაზრებას, რომ ამგვარმა ზიანმა უნდა მიიღოს შესამე მხარის მიერ განხორციელებული ქცევის ფორმა და რომ ეს არ შეიძლება იყოს წარმოშობის ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ზოგადი ხარვეზების უბრალო შედეგი“. ⁽⁵⁸¹⁾. 2020 წლის გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ სომალიში ჰუმანიტარულ სიტუაციასთან დაკავშირებით დაასკვნა, რომ განმცხადებელი ვერ იქნებოდა კვალიფიცირებული საერთაშორისო დაცვის უფლების მოქმედი პირად მხოლოდ მის წარმოშობის ქვეყანაში არსებული „ზოგადი სახის ხარვეზების“ გამო. ⁽⁵⁸²⁾. ეს შემთხვევა ასახავს დევნის განმახორციელებლის ან სერიოზული ზიანის იდენტიფიცირების სირთულეს, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო დაცვაზე განხადებების საფუძველზე, რომელშიც ხდება ბუნებრივი კატასტროფების ან კლიმატის ცვლილებისგან გამომწვეულ გარემოს ზიანზე დაყრდნობა ⁽⁵⁸³⁾.

თუმცა არასწორი იქნება ვიფიქროთ, რომ არსებობს ადამიანური ფაქტორის სიმცირე მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული ადვილად იდენტიფიცირებადი განმახორციელებელი სუბიექტები არ არიან ჩართულნი. თუ ვივარაუდებთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა ჩაითვალოს შესაბამისად დევნის აქტებისა და დევნის განმახორციელებელი სუბიექტების მნიშვნელობის დასადგენად, მაშინ შეიძლება რელევანტური იყოს, რომ ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართალი და უფრო ზოგადი ლიტერატურა ბუნებრივი კატასტროფებისა და გარემოს დეგრადაციის შესახებ ხაზს უსვამს ასეთ მოვლენებს სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში, რომლის ფარგლებშიც მთავრობებისა და დევნის განმახორციელებელი სხვა სუბიექტების მიერ გაკეთებულმა პოლიტიკის არჩევანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ⁽⁵⁸⁴⁾. როგორც

⁽⁵⁷⁹⁾ უმაღლესი ტრიბუნალი (გაერთიანებული სამეფო), 2008 წ. „*RN (Returnees) Zimbabwe CG*“, op. cit., fn. 564, პუნქტი 249. იხ. ასევე ლტოლვითა სტატუსის გასაჩივრების ორგანოს (ახალი ზელანდია) 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება # 76374, რომლითაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭება მოხდა იმ პირისთვის, რომელიც დახმარების გასაწევად მონაწილეობდა 2008 წლის მაისში მიანმარში ციკლონ „ნარგისის“ შემდგომ სამუშაოებში, იმის საფუძველზე, რომ ეს სამუშაო აღიქმებოდა როგორც რეჟიმის საწინააღმდეგო პოლიტიკური აზრის გამოხატულება.

⁽⁵⁸⁰⁾ UNHCR, „საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები # 2“, op. cit., fn. 441, მე-14 პუნქტი, იხ. ასევე პუნქტი 1.6.2.4.1.

⁽⁵⁸¹⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M’Bodj*“, op. cit., fn.50, პუნქტი 35.

⁽⁵⁸²⁾ BVerwG (გერმანია), 2020 წ., # 1 C 11.19, op. cit., fn. 231, პუნქტი 12. იხ. ასევე შლოსი, ვ. (Schloss, C.), „კლიმატის ცვლილების შედეგად გადაადგილებული პირები – როგორ ითვალისწინებენ გერმანიის სასამართლოები ეკოლოგიას, როდესაც განიხილავენ არგამკვეთის საკითხს“, *Völkerrechtsblog*, 2021 წლის 3 მარტი.

⁽⁵⁸³⁾ , მაკადამი (McAdam), „კლიმატის ცვლილება, იძულებითი მიგრაცია და საერთაშორისო სამართალი“, op. cit., fn. 578, გვ. 45.

⁽⁵⁸⁴⁾ სკოტი (Scott), „კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი კატასტროფები და ლტოლვილთა შესახებ კონვენცია“, op. cit., fn. 564, გვ. 7-8 და 15-31.





აღინიშნა ნაწილში 2.4.1, ECtHR -მა განიხილა რიგი საქმეები, რომელშიც მიჩნეულ იქნა, რომ ეკოლოგიური საფრთხეები წარმოშობენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას დაიცვას საკუთარი მოსახლეობა ამგვარი საფრთხეებისგან. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა ნაწილში 1.4.1, არ არის აუცილებელი დევნის განზრახვის არსებობის დემონსტრირება ლტოლვილის დეფინიციის იმ ელემენტის დასადგენად, რომელიც „დევნას“ ეხება.

CJEU-ს ჯერ კიდევ განსახილველი აქვს, იმისათვის, რომ მოხვდეს QD-ის (შეცვლილი რედაქციით) მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში (მე-9 მუხლის პირველ პუნქტთან ან მე-15 მუხლთან ერთად), უნდა მოითხოვებოდეს თუ არა, რომ გარემოზე მავნე ზემოქმედების საფუძველზე შეტანილ განაცხადებებში ნაჩვენები იყოს, როგორც ამაზე ECHR-ის ნორმების პირდაპირი გამოყენება მიუთითებს, რომ განმასხვრციელებელი სუბიექტები არიან „ერთადერთი ან უპირატესი მიზეზი“ გარემოსთვის ისეთი ზიანის მიყენებისა, როგორცაა გვალვა⁽⁵⁸⁵⁾.

შეიძლება გამოსადეგი იყოს ორი ძირითადი ტიპის ვითარების დიფერენცირება, რომელშიც შეიძლება წარმოიშვას პრობლემები იმის მხრივ, არის თუ არა აშკარა ადამიანის მონაწილეობა საკმარისი დევნის აქტების წარმოშობისთვის. ერთი მხრივ, იქნება შემთხვევები, როდესაც დევნის მონაწილეები აშკარად და მიზანმიმართულად აყენებენ გარემოს ზიანს, რათა ჰქონდეთ საფუძველი დევნისთვის. მაგალითად, გარემოს დეგრადაცია გამოიყენებოდა, როგორც ჩაგვრის პირდაპირი ინსტრუმენტი სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიერ ჭაობის არაბების წინააღმდეგ ყურის ომის დროს.⁽⁵⁸⁶⁾

მეორე მხრივ, იქნება გარემოსდაცვითი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ვითარება, რომლის მიმართაც აღინიშნება სახელმწიფოს მხრიდან სურვილის უქონლობა⁽⁵⁸⁷⁾ ან უმოქმედობა⁽⁵⁸⁸⁾. ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, „დევნისთვის დაწესებული მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს, როდესაც პასუხისმგებელი ორგანოები სათანადოდ ვერ დაეხმარებიან ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს ეკოლოგიურ კატასტროფებთან გამკლავებაში.“⁽⁵⁸⁹⁾ თუმცა მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფის ფაქტი ან სახელმწიფოს მხრიდან მასზე რეაგირების ზოგადი უუნარობა საკმარისი არ იქნება სახელმწიფოს დევნის განმასხვრციელებლად ცნობისთვის.

საქმეში „ბუდაიევა და სხვები“ (*Budayeva and Others*), ECtHR-მა დაადგინა, რომ ღვარცოფის მსხვერპლის მიმართ დაირღვა ECHR-ის მე-2 მუხლით⁽⁵⁹⁰⁾ გათვალისწინებული სიცოცხლის

⁽⁵⁸⁵⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 282; და ECtHR, 2013 წ., „*SHH v UK*“, op. cit., fn. 255.

⁽⁵⁸⁶⁾ იხ. საერთაშორისო დაცვის ტრიბუნალის (ახალი ზელანდია) 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*AF (Kiribati)*“, [2013 წ.] NZIPT 800413, პუნქტი 59.

⁽⁵⁸⁷⁾ 2012 წლის UNHCR-ისთვის გაგზავნილ წერილში, ავტორებმა აღნიშნეს, რომ „წარმოშობის ქვეყანა, როგორც წესი, ზურგს არ აქცევს ასეთ დაზარალებულ ადამიანებს, არამედ მზადაა დაეხმაროს და დაიცვას ისინი“; იხილეთ კალინი, ვ. და შრეპერი, ნ., „კლიმატის ცვლილების კონტექსტში საზღვრების გადაძვრეთი პირების დაცვა: ნორმატიული ხარვეზები და შესაძლო მიდგომები“, UNHCR სამართლებრივი და დაცვის პოლიტიკის კვლევის ტომეული, PPLA/2012//01, 2012 წ. იხ. აგრეთვე სკოტი (Scott), „კლიმატის ცვლილება, კატასტროფები და ლტოლვილთა შესახებ კონვენცია“, op. cit., fn. 588, გვ. 5.

⁽⁵⁸⁸⁾ სკოტი (Scott), „კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი კატასტროფები და ლტოლვილთა შესახებ კონვენცია“, op. cit., fn. 564, გვ. 63-88.

⁽⁵⁸⁹⁾ ზიმერმანი (Zimmerman) და მალერი (Mahler), ნაშრომში ზიმერმანი (Zimmermann)(რედ.), „1951 წლის კონვენცია და ოქმი: კომენტარი“, op. cit., fn. 169, გვ. 440. იხ. ასევე იმიგრაციისა და დაცვის ტრიბუნალი (ახალი ზელანდია), 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება „*BG (Fiji)*“, [2012 წ.] NZIPT 8000091, პუნქტი 84, სადაც აღნიშნულა, რომ თუ სახელმწიფო შეაჩერებდა ბუნებრივი კატასტროფის შემდგომ დახმარებას დისკრიმინაციულ საფუძველზე ან თვითნებურად შეაჩერებდა უცხოური დახმარებით სარგებლობის უფლებას მაშინ, როდესაც საამისოდ არ არსებობდა შიდასახელმწიფოებრივი შესაძლებლობები, ეს შეიძლება პოტენციურად ყოფილიყო არასათანადო მოპყრობა კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მიმართ.

⁽⁵⁹⁰⁾ ECtHR, 2008 წ., „*Budayeva and Others v Russia*“, op. cit., fn. 559.



უფლება. სასამართლოსთვის საქმესთან კავშირი ჰქონდა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ განახორციელეს მიწის დაგეგმარების და გადაუდებელი დახმარების პოლიტიკა ტირნაუზის [Tyрнаuz] ⁽⁵⁹¹⁾ სახიფათო ზონაში მისი მაცხოვრებლების, მათ შორის ყველა განმცხადებლის, სიცოცხლისათვის მოსალოდნელ საფრთხესთან მიმართებით. რუსეთის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მან ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა, რაც გამოიხატებოდა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნაში, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ეფექტური დაცვა იმ საფრთხისგან, რომელიც ეხებოდა სიცოცხლის უფლებას, რაც წარმოადგენდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

თუ სახელმწიფო, თავისი ქმედებით ან უმოქმედობით, არ დაეხმარა ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს ეკოლოგიურ კატასტროფებთან გამკლავებაში და იგი წარმოადგენს დევნის განმახორციელებელს, უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ ეფექტური დაცვა არ არის ხელმისაწვდომი განმცხადებლისთვის და რომ, შესაბამისად, **არ არსებობს დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი**. თუმცა, თუ დევნის განმახორციელებელი სუბიექტი არ არის სახელმწიფო, უნდა განისაზღვროს, სახელმწიფოს, ან პარტიებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, აქვთ თუ არა სურვილი ან შეუძლიათ თუ არა შესთავაზონ დაცვა QD -ის (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის შესაბამისად.

საერთაშორისო დაცვასთან მიმართებით (რომელიც გათვალისწინებულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლით), ეკოლოგიურმა ზიანმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს ის შესაძლებლობები, რომელიც სხვა მხრივ შეიძლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ქვეყნის სხვა ნაწილში დაცვის მაძიებელ პირთათვის. სტიქიურმა უბედურებამ ან გარემოს დეგრადაციამ შეიძლება ასევე სახიფათო გახადოს პირის უსაფრთხოდ გადაადგილება უსაფრთხო ზონაში ⁽⁵⁹²⁾.

ყველა ასეთ საკითხთან მიმართებით, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ყველა წევრი სახელმწიფოსგან მოითხოვება, რომ გაითვალისწინონ „ზუსტი და განახლებული ინფორმაცია... რომელიც მოპოვებულია შესაბამისი წყაროებიდან, როგორცაა [UNHCR] და [EASO]“.

რაც შეეხება **საერთაშორისო დაცვის საჭიროებებს, რომელიც წარმოიქმნებაადგილზე**, ფაქტორები, რომელიც დაკავშირებულია ეკოლოგიურ ზიანთან, ზოგჯერ შეიძლება მატერიალიზდეს ან მნიშვნელოვნად გაუარესდეს მას შემდეგ, რაც განმცხადებელი დატოვებს თავისი წარმოშობის ქვეყანას. ასეთმა მდგომარეობამ განმცხადებელი შეიძლება მოაქციოს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში.

2.4.3. სუბსიდიარული დაცვა

იმ საკითხების განხილვისას, რომელიც ეხება იმ პირების მიერ წამოყენებულ არგუმენტებს, რომლებიც გაექცნენ ეკოლოგიურ საფრთხეებს მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების მიმღები პირები აწყდებიან იმავე სირთულეებს, რომელსაც აწყდებიან ისინი, ვინც განიხილავენ სარჩელებს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის საფუძველზე.

⁽⁵⁹¹⁾ ეს მართლწერა [Tyрнаuz] გამოიყენება ECtHR-ის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში, თუმცა ზოგიერთი სხვა წყარო იყენებს მართლწერას „Tyrynauz“.

⁽⁵⁹²⁾ UNHCR, „სამართლებრივი მოსაზრებები: საერთაშორისო დაცვის მოთხოვნები, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები“, op. cit., fn. 549, პუნქტი. 12.





მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის პირობები გულისხმობს განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობას მხოლოდ „წარმოშობის ქვეყანაში“. ისევე, როგორც QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლით გათვალისწინებული დევნის აქტების შემთხვევაში, სერიოზული ზიანის მომტანმა აქტებმა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, უნდა მიიღოს ისეთი აქტების ფორმა, რომელიც განახორციელა მესამე მხარემ (იხილეთ [ნაწილი 1.4](#)). ამიტომ, იმისათვის, რომ ეს წარმოადგენდეს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ასეთი მოპყრობის რისკი უნდა ეფუძნებოდეს მიზანმიმართულ ქმედებას⁽⁵⁹³⁾.

გარდა ამისა, თუ CJEU-ი გადაწყვეტს უშუალოდ ECtHR -ის პრევენციული სამართლის სამართლის გამოყენებას ECHR-ის მე-3 მუხლთან მიმართებით, შესაძლებელია საჭირო ყოფილიყო დადგენა, მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის მიზნებისთვის, რომ ეკოლოგიური ზიანი იყო ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი არასათანადო მოპყრობისა. ამგვარად, საქმეში „*სუფი და ელმი*“ (*Sufi and Elmi*), ECtHR -მ იმსჯელა, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში მოსახვედრად, აუცილებლად უნდა დადგენილიყო, რომ „მძიმე ჰუმანიტარული პირობები სომალიში ექსკლუზიურად ან თუნდაც უპირატესად უნდა მიკუთვნებოდა სიღარიბეს ან სახელმწიფოს რესურსების ნაკლებობას ისეთ სტიქიურ უბედურებებთან გამკლავებისთვის, როგორიცაა გვალვა“. ამ შემთხვევაში, სასამართლოსთვის მისაღები იყო ის პირობები, რომ „მაშინ, როცა გვალვამ ხელი შეუწყო ჰუმანიტარულ კრიზისს, აღნიშნული კრიზისი უპირატესად კონფლიქტის მხარეთა მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი ქმედებების შედეგად მოხდა“⁽⁵⁹⁴⁾. იმის დასადგენად, გამოიყენება თუ არა ECHR-ის მე-3 მუხლი ასეთი საქმეების მიმართ, ECtHR-ი ითვალისწინებს განმცხადებლის „შესაძლებლობას მისი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, როგორიცაა საკვები, ჰიგიენა და თავშესაფარი, სასტიკი მოპყრობისგან დაუცველობა და მისი სიტუაციის გაუმჯობესების პერსპექტივას გონივრულ პერიოდში“⁽⁵⁹⁵⁾.

ამავდროულად, ეკოლოგიური საფრთხეების საფუძვლით შეტანილი განცადებები საერთაშორისო დაცვაზე მინიმუმ ერთით ნაკლებ სირთულეს აწყდება QD-ის (ახალი რედაქციით) სუბსიდირული დაცვის დებულებების (ლტოლვილთა დაცვასთან დაკავშირებულ სირთულეებთან შედარებით) მიხედვით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ არ არსებობს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლის შესაბამისად, დევნის საფუძვლის დადგენის მოთხოვნა. ECtHR-ის მე-2 მუხლის პრევენციული სამართალი, რომელიც ეხება ეკოლოგიურ საფრთხეებს, უკვე აღინიშნა ზემოთ [ნაწილში 2.4.2](#). ასევე ნახსენებია კლიმატის ცვლილებასა და ბუნებრივი კატასტროფის გამო გადაადგილებასთან მიმართებით HRC -ის გადაწყვეტილება საქმეში *Teitiota*. ეს შეეხებოდა არგაძევების ვალდებულებებს, რომელიც წარმოიშობა ICCPR-ის მე- 6 და მე- 7 მუხლების შესაბამისად (რომელიც ეხება სიცოცხლის უფლებასა და წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვას)⁽⁵⁹⁶⁾. კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან არ გაიყვანონ პირი თავიანთი ტერიტორიიდან, „სადაც არსებობს არსებითი საფუძველი იმაში დასარწმუნებლად, რომ არსებობს შეუქცევადი ზიანის რეალური რისკი, როგორიცაა პაქტის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული ზიანი“⁽⁵⁹⁷⁾. ეს რისკი უნდა იყოს „პერსონალური, ... ის არ შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ მიმდებ სახელმწიფოში არსებული ზოგადი პირობებიდან, გარდა ყველაზე ექსტრემალური სიტუაციებისა, და ...

⁽⁵⁹³⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 41, მოითხოვს განზრახვას.

⁽⁵⁹⁴⁾ ECtHR, 2011 წ., „*Sufi and Elmi*“, op. cit., fn. 55, პუნქტი 282.

⁽⁵⁹⁵⁾ Ibid., პუნქტი 283.

⁽⁵⁹⁶⁾ HRC, 2019 წ., „*Teitiota v New Zealand*“, op. cit., fn. 560.

⁽⁵⁹⁷⁾ Ibid., პუნქტი 9,3.



არსებობს ზედა ზღვარი არსებითი საფუძვლების უზრუნველსაყოფად იმის დასადგენად, რომ არსებობს შეუქცევადი ზიანის რეალური რისკი⁽⁵⁹⁸⁾.

ამ კონტექსტში, 2020 წლის გადაწყვეტილებაში, რომელიც მიიღო იტალიის უზენაესმა საკასაციო სასამართლომ ახსენა განჩინება საქმეში „Teitiota“ ნიგერიელი განმცხადებლის საქმეზე, რომელიც გამოექცა ნიგერიის დელტაში არსებულ გარემო პირობებს⁽⁵⁹⁹⁾. სასამართლომ დაადგინა, რომ არაუსაფრთხო მდგომარეობამ (საბოტაჟი, გატაცებები და თავდასხმები პოლიციაზე), რომელიც გამოწვეული იყო მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობით, კონფლიქტებითა და სიღარიბით, ვერ მიაღწია განურჩეველი ძალადობის ისეთ დონეს, რომელიც საჭიროა სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად კავლიფიცირებისთვის QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად⁽⁶⁰⁰⁾.

რაც შეეხება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტს, მიუხედავად იმისა, რომ ის ეხება მხოლოდ განურჩეველ ძალადობას შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში, შეიძლება საჭირო გახდეს იმის შეფასება, ჰქონდა თუ არა ამაზე გავლენა ეკოლოგიურ ფაქტორებს. მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის ვითარება შეიძლება წარმოიშვას ნაწილობრივ გარემო ფაქტორებისა და კლიმატის ცვლილების გამო. გარემო ფაქტორებმა ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ, მაგალითად, სახელმწიფოს ან ორგანიზაცი(ებ)ის შესაძლებლობების შეზღუდვაზე, როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლში, უზრუნველყონ სამოქალაქო მოსახლეობის დახმარება და დაცვა. სახელმწიფოს ან ორგანიზაციის (ორგანიზაციების) ასეთმა შესაძლებლობებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საფუძვლების არსებობაზე ან არასაკმარისი საფუძვლების არსებობაზე იმაში დასარწმუნებლად, რომ არსებობს ამ ქვეპუნქტში გათვალისწინებული სერიოზული ზიანის რეალური რისკი. გარდა ამისა, სწორედ ამ ქვეპუნქტის კონტექსტში, CJEU-მ ხაზგასმით აღნიშნა „ზარალის უფრო ზოგადი რისკის“ გათვალისწინების მნიშვნელობა (რაც მან დაუპირისპირა QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ „ზარალის ცალკეულ ტიპებს“⁽⁶⁰¹⁾). ზოგიერთ შეიარაღებულ კონფლიქტში შეიძლება მოიაზრებოდეს შეზღუდული წვდომა რესურსებზე, რომლებიც გამოწვეულია გარემო ფაქტორებით, როგორცაა გვალვა (რომელიც ECtHR-მ მიიჩნია საკვანძო საკითხად საქმეში „Sufi და Elmi“ ECHR-ის მე-3 მუხლის კონტექსტში.⁽⁶⁰²⁾). მიუხედავად ამისა, ეს ფაქტორები თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნები (იხილეთ [ნაწილი 1.4.4](#) ზემოთ). მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი ფოკუსირებულია განურჩეველ ძალადობაზე და იმაზე, სცილდება თუ არა, საქმის კონკრეტულ გარემოებებში, სერიოზული ზიანის ზღვარს.

⁽⁵⁹⁸⁾ Ibid., პუნქტი 9.3 (დამატებულია ხაზგასმა).

⁽⁵⁹⁹⁾ უზენაესი საკასაციო სასამართლო (იტალია), 2020 წ., „Applicant v Ministry of Interior (Ministero dell'interno)“, # 23925/19 (ინგლისურენოვანი შეჯამება), op. cit., fn. 278.

⁽⁶⁰⁰⁾ იხ. ასევე ნაწილი 1.4.4.2, რომელიც მოცემულია ზემოთ. ჰუმანიტარული დაცვის მიზნებისთვის სასამართლომ მიიჩნია, რომ ღირსეული ცხოვრების უფლების დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სოციალურ-ეკოლოგიური კონტექსტი იმდენად დეგრადირებულია, რომ ინდივიდს ემუქრება სიცოცხლის, თავისუფლებისა და თვითმყოფადობის ძირითადი უფლებების მინიმუმამდე შემცირება, ან, ნებისმიერ შემთხვევაში, ისეთ ზღვარზე დაბლა შემცირება, რომელიც წარმოადგენს არსებითი და გარდაუვალი „პიროვნული ღირსების სტატუსის ძირითადი შემადგენელი ნაწილს“. სასამართლომ მაინც დაუბრუნა საქმე ტრიბუნალს ჰუმანიტარული დაცვის კუთხით განსახილველად.

⁽⁶⁰¹⁾ CJEU (GC), 2009 წ., „Elgafaji“, op. cit., fn. 50, პუნქტი 33.

⁽⁶⁰²⁾ ECtHR, 2011 წ., „Sufi and Elmi“, op. cit., fn. 55, პუნქტები 132 და 170. ამ საქმეში „მაშინ როცა გვალვამ ხელი შეუწყო ჰუმანიტარულ კრიზისს, აღნიშნული კრიზისი უპირატესად კონფლიქტის მხარეთა მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი ქმედებების შედეგად მოხდა“ (პუნქტი 282). იხილეთ ბარის ტრიბუნალის (Tribunale di Bari) (იტალია) 2021 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება #778/20 (ინგლისურენოვანი შეჯამება), რომელიც ეხება განმცხადებელს ბურკინა-ფასოდან, რომელსაც მინიჭებული აქვს სუბსიდიარული დაცვის უფლება COI-ის საფუძველზე, რომელიც მიუთითებს მზარდ დაუცველობაზე არამხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის, არამედ კლიმატის ცვლილების გაუარესების და სხვა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად.



2.5. კოვიდ-19-თან დაკავშირებული ვითარება

2.5.1. შესავალი

იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ მცირე რაოდენობითა არის მოცემული კოვიდ-19-ის გამო არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი ან დამკვიდრებული სამართლებრივი პრაქტიკა, აღნიშნულ ნაწილში გამოყენებულ მიდგომას უმთავრესად ილუსტრაციული ხასიათი აქვს და ქვესათაურები მეზღუდული რაოდენობით გამოიყენება. 2020 წლიდან COVID-19 პანდემიის გლობალურ დონეზე უპრეცედენტო გავრცელების გათვალისწინებით, COVID-19, სავარაუდოდ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გარკვეული ფორმით ან ზომით იქნება ფაქტორი საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობაში. გაეროს ამჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა, ანტონიო გუტერესმა, 2021 წლის თებერვალში დაწერა:

გლობალურ დონეზე მიღებულ იქნა ზომები ოპოზიციის აქტივისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ, გაიზარდა თავდასხმები ჟურნალისტებზე და გადაიდგა ნაბიჯები სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის, მედიის ცენზურის, ინვაზიური სათვალთვალო აპლიკაციების დანერგვისა და უკიდურესი სათვალთვალო ზომების გატარების მიზნით, რომელთაგან ბევრი სავარაუდოდ გაგრძელდება ვირუსის შემდეგაც ⁽⁶⁰³⁾.

მისივე სტატიაში ასევე მოცემული იყო მსოფლიო ბანკის შეფასება, რომლის მიხედვითაც სიღარიბის წინააღმდეგ წლების განმავლობაში ბრძოლის შედეგად მიღწეული შედეგების შემდეგ, 2020 წელს პანდემიამ 124 მილიონზე მეტი ადამიანი დაიყვანა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რაც ნიშნავს, რომ ისინი 1,90 აშშ დოლარზე (1,36 ბრიტანულ გირვანქა სტერლინგზე) ნაკლებს მოიხმარდნენ დღეში ⁽⁶⁰⁴⁾. რაც შეეხება განათლებას, მან აღნიშნა, რომ გაეროს მონაცემებით, განათლებაზე ზეგავლენა „კატასტროფული“ იყო, სკოლების დახურვა დაახლოებით 1,6 მილიარდ ბავშვს შეეხო. „განსაკუთრებით გოგონები“, წერდა ის, „ყველაზე მეტად ტოვებდნენ სკოლას, რის გამოც ისინი განწირული იყვნენ ადრეული ქორწინების, ადრეული ორსულობისა და ოჯახში ძალადობისთვის“. 2021 წლის ოქტომბერში UNHCR-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დასკვნა, რომელშიც ძალიან მსგავსი დასკვნები იყო წარმოდგენილი ⁽⁶⁰⁵⁾.

⁽⁶⁰³⁾ კელი, ა. (Kelly, A.) და პატისონი, პ. (Pattison, P.), „არამართლზომიერება პანდემიისას“: ადამიანის უფლებებზე თავდასხმა კოვიდის დროს, ამბობს გაეროს მდივანი, ჟურნალი „The Guardian“, 2021 წლის 22 თებერვალი (შემდგომში - კელი (Kelly) და პატისონი (Pattison), „არამართლზომიერება პანდემიისას“). იხ. ასევე ადამიანის უფლებების ბონავეროს ინსტიტუტი, „11 ორისდეკადის ფარგლებში კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით საკანონმდებლო და მარეგულირებელი ზომების წინასწარი შეფასება“ ბონავეროს ანგარიში # 3/2020, 2020 წლის 6 მაისი; Human Rights Watch, „კოვიდ-19-ზე რეაგირების ზომების შეფასება ადამიანის უფლებების კუთხით“, 2020 წლის 19 მარტი; ალეინიკოფი, ტ.ა. (Aleinikoff, T. A.), ბეიანი, ს. (Beyani, C.), ბირნე, ი. (Byrne, I.), კრეპო, ფ. (Crépeau, F.), ჩსეტე, ჯ. (Csete, J.), გუდვინ-ჯილი. გ.ს. (Goodwin-Gill, G. S.) და სხვები, „ადამიანთა გადაადგილება და ადამიანის უფლებები კოვიდ-19 პანდემიის დროს: მიგრანტების, ლტოლვილების და სხვა იძულებით გადაადგილებული პირების დაცვის პრინციპები“, ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალი, ტ. 32, # 3, 2020 წ., გვ. 549–558; ვან უაასი, ლ. (van Waas, L.) და სპიერმანი, ო. (Spearman, O.), „გლობალური პანდემიის პირობებში მოქალაქეობის არმქონე პირთა სიკვდილისა და სიცოცხლის ფასი“, ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალი, ტ. 32, # 3, 2020 წ., გვ. 498–501; და ალიო, მ. (Alio, M.), ალრიჰავი, ს. (Alrihawi, S.), მილნერი, ჯ. (Milner, J.), ნური, ა. (Noor, A.), უაზეფადოსტი, ნ. (Wazefadost, N.) და ზიგაშანი, პ. (Zigashane, P.), „ლტოლვილების მიერ ლტოლვილებისთვის: ლტოლვილების მართვა კოვიდ-19 დროს და მის შემდეგ“, ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალი, ტ. 32, # 2, 2020 წ., გვ. 370-373.

⁽⁶⁰⁴⁾ კელი (Kelly) და პატისონი (Pattison), „არამართლზომიერება პანდემიისას“, op. cit., fn. 603.

⁽⁶⁰⁵⁾ UNHCR, აღმასრულებელი კომიტეტი, „დასკვნა საერთაშორისო დაცვასა და გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის გადაუდებელი სიტუაციის კონტექსტში“, 2021 წლის ოქტომბერი.



ამავდროულად, მხოლოდ კოვიდ-19 პანდემია არ ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის საჭიროებებს, არამედ ის ხდება მნიშვნელოვანი ფაქტორი, როდესაც ის წარმოადგენს იმ კონტექსტის ნაწილს, რომელშიც წარმოიქმნება დევნის ან სერიოზული ზიანის აქტები. გარდა ამისა, ის, სავარაუდოდ, საუკეთესო შემთხვევაში იქნება რელევანტური ფაქტორი (და ნაკლებად იქნება განმსაზღვრელი ფაქტორი) ამგვარი აქტების რისკის შესაფასებლად.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიებთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, მიჩნეულია, რომ აქ ეს თემა უფრო მეტად უნდა იყოს გათვალისწინებული, ვიდრე ჩვეულებრივ იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება შესაძლო სცენარების განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე კომფორტულია აქ მხოლოდ კოვიდ-19-ის გაშუქება, ძირითადი საკითხები, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად, ნებისმიერ პანდემიას ეხება.

განმცხადებლის ინდივიდუალური პოზიციისა და **პირადი გარემოებების** გათვალისწინების მოთხოვნაში უნდა აისახოს, მაგალითად, კონკრეტული სახის დაუცველობა, რაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ განმცხადებელს ყველაზე მეტად შეეხო ასეთი პრობლემები. მაგალითად, განმცხადებლის პოტენციური დაბრუნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თანმხლები პრობლემებით ან/და ხანდაზმულობის ასაკის ⁽⁶⁰⁶⁾ გამო შეიძლება იყოს უფრო პრობლემური, თუ გავითვალისწინებთ მათ წარმოშობის ქვეყანაში კოვიდ-19-ის ვითარებას, ვიდრე ეს შეიძლება ყოფილიყო ახალგაზრდა, შრომისუნარიანი პირის შემთხვევაში.

QD-ის (ახალი რედაქციით) მუხლით 4(3)(ა) დაკისრებული ვალდებულების თვალსაზრისით, რომელიც ითვალისწინებს **ზოგად გარემოებებს**, კერძოდ, კი განიხილავს შესაბამის განახლებულ COI-ის, რომლითაც განისაზღვრება გარემოებები, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დაბრუნებასთან დაკავშირებულ რისკზე, განსაკუთრებით ჯანდაცვასთან დაკავშირებით, დაეხმარება სასამართლოებსა და ტრიბუნალებს. კოვიდ-19-თან დაკავშირებულმა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სირთულე. ან შეიძლება ხელი შეუწყოს არსებული სირთულეების კიდევ მეტად გართულებას. როგორც გაერომ განაცხადა 2020 წლის მარტში, კოვიდ-19-ით დაზარალებული მრავალი ქვეყანა „უკვე ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე იყო კონფლიქტის, ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების გამო“ ⁽⁶⁰⁷⁾.

კოვიდ-19-თან დაკავშირებული ასეთი სირთულეების მაგალითები, ზოგადი გარემოებების კონტექსტში, წარმოშობის ქვეყანაში არსებულ პირობებთან მიმართებით, რომელიც შეიძლება ფიგურირებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე გარემოებაში, მოცემულია ნახაზზე 10.

⁽⁶⁰⁶⁾ UN, „პოლიტიკის შეჯამება: კოვიდ-19-ის ზეგავლენა ხანდაზმულებზე“, 2020 წლის მაისი.

⁽⁶⁰⁷⁾ UN, „კოვიდ-19-ზე გლობალური ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა“, 25 მარტი 2020 წ. იხ. ასევე UN, „გლობალური ჰუმანიტარული რეაგირების გეგმა – კოვიდ-19: გაეროს კოორდინირებული მიმართვა, 2020 წლის აპრილი-დეკემბერი“, სადაც გვ. 13-ზე ნათქვამია, რომ მიმართვაში მოხსენიებული მრავალი ქვეყანა „უკვე უმკლავდება მრავალ კრიზისს, მასპინძლობს ლტოლვილებს, მიგრანტებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს, ემუქრებათ სურსათით არასტაბილური უზრუნველყოფა და არიან კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შოკის რისკის ქვეშ“.



სქემა 10: ზოგადი გარემოებები, რომელიც დაკავშირებულია იმ განცხადებების განხილვასთან, რომელშიც მთავარი პრობლემაა კოვიდ-19

ჰუმანიტარული კრიზი შეიარაღებული კონფლიქტის ან განზოგადებული ძალადობის გამო	ჩამოშლილი ან გადატვირთული ჯანდაცვის სისტემა	საკვების, მედიკამენტების, სასმელი წყლის, სანიტარული საშუალებების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა	იძულებითი ცხოვრება ხალხმრავალ პირობებში
არაფორმალური ეკონომიკის მოშლა	ეკონომიკის მოშლა	ეკონომიური უკუსვლა	გარკვეული თემების შერაცხვა ვირუსების გამავრცელებლად
ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო სუბიექტების მიერ საგანგებო ზომების გამოყენება, რაც შეიძლება მოიცავდეს საპროტესტო აქციების და საზოგადოებრივი თავშეყრის აკრძალვას	თვითნებური დაკავება შემადრწუნებელ გარემოებებში	მოსახლეობის ცალკეული ნაწილის კარანტინში გაშვება უთანაბრო პირობებით	პოლიტიკური ოპონენტების დარბევა კოვიდ-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევის საბაბით
ონლაინ ცენზურა	აგრესიული ზედამხედველობა	კოვიდ-19-ის მამხილებელთა დაკავება	სკოლების დახურვა
გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა (რამაც შეიძლება შეამციროს დევნის ან სერიოზული ზიანის თავიდან ასაცილებლად შიდა გადაადგილების შესაძლებლობა)	გარკვეული უფლებებისა და შეღავათების ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელი სამოქალაქო რეგისტრაციის დოკუმენტების მოპოვების შეუძლებლობა	გაზრდილი ფემიციდი	გაზრდილი ოჯახური ძალადობა
რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე მიგრანტი მუშაკების მიზანში ამოღება	ხელფასების ხელში ჩაგდება	მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საგანგებო სიტუაციაში დანმარებაზე ან ეკონომიკური მხარდაჭერის პაკეტებზე უარის თქმა	კოვიდ-19-ის გავრცელების გამო დაკავების იზოლაციებში მოთავსებული დაკავებული პოლიტიკური ოპონენტების განზრახ გამოვლენა

საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთმა ფაქტორებმა შეიძლება გაზარდოს განმცხადებლის დევნის ან მისთვის სერიოზული ზიანის მიყენების რისკის საერთო დონე.



2.5.2. ლტოლვილთა დაცვა

თუ ვივარაუდებთ, რომ არსებობს ადამიანის მონაწილეობის ფაქტორი, კოვიდ-19-თან დაკავშირებულმა **დევნის აქტებმა** ან სერიოზულმა ზიანმა შეიძლება მრავალი ფორმა მიიღოს, როგორც ეს ჩანს პირადი და ზოგადი გარემოებების ზემოთ მოცემული შეჯამებიდან. კოვიდ-19-თან დაკავშირებულმა ფაქტორებმა შეიძლება ასევე გაართულოს ზიანის არსებული ფორმები. თუ ავიღებთ გენდერულ საფუძველზე დევნის აქტების მაგალითს, გაეროს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ „კრიზისს აქვს ქალის სახე... ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობა ყველა ფორმით გაიზარდა, ონლაინ ძალადობრიდან დაწყებული დამთავრებული ოჯახური ძალადობით, ტრეფიკინგით, სექსუალური ექსპლუატაციით და ბავშვთა ქორწინებით“⁽⁶⁰⁸⁾.

მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა, როგორცაა გაეროს გენერალური მდივნის გუტერესის მიერ ზემოთ მოცემულ [ნაწილში 2.5.1](#) აღნიშნული ზომები, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა, რომელიც ექცევა მე-9 მუხლის (პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში. ასეთი ზომები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ოპოზიციის აქტივისტებისა და ადამიანის უფლებადამცველების დარბევას, ჟურნალისტებზე გაზრდილი თავდასხმების, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისა და მედიის ცენზურისკენ მიმართულ ნაბიჯებს და საზოგადოებრივი წესრიგის მონიტორინგის ღონისძიებებად ინვაზიური სათვალთვალო აპლიკაციების გამოყენებას. ასეთი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს ადამიანის უფლებების დარღვევას, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება⁽⁶⁰⁹⁾, ჯანმრთელობის დაცვის უფლება⁽⁶¹⁰⁾ და ცხოვრების ადეკვატური დონის უფლება⁽⁶¹¹⁾. მათ შეუძლიათ (მაშინაც კი, თუ არ მოხვდება მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში), ერთად აღებული ფორმით, გადალახონ საკმარისი სიმძიმის ზღვარი იმისათვის, რომ მიჩნეულ იქნეს დევნის აქტად, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

იმისათვის, რომ მოექცეს QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის ფარგლებში, საკმარისი არ არის იმის დადგენა, რომ კონკრეტული საქმის გარემოებები შეიძლება ითვალისწინებდეს ადამიანის ერთ ან მეტ უფლებას. ის, რაც ასევე უნდა დადგინდეს, არის ის, რომ არსებობს ან იქნება დარღვევა. ადამიანის უფლებაში ჩარევა იქნება დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის ამ უფლების დაშვებული შეზღუდვა ევროკავშირის ქარტიის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად⁽⁶¹²⁾. 52-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ ქარტიის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვა

⁽⁶⁰⁸⁾ კელი (Kelly) და პატისონი (Pattison), „არამართლმორიგება პანდემიისას“, op. cit., fn. 603.

⁽⁶⁰⁹⁾ იხ., მაგალითად, ევროკავშირის ქარტიის მე-11 მუხლი და ECHR-ის მე-10 მუხლი.

⁽⁶¹⁰⁾ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICESCR) მე-12 მუხლის პირველი პუნქტი: „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.“ იხ. ასევე UNHRC-ის 2018 წლის 24 ივლისის შეხვედრების საქმეში „[Nell Toussaint v Canada](#)“, # 2348/2014, CCPR/C/123/D/2348/2014, პუნქტი 11. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICESCR) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მთავრობები ვალდებული არიან მიიღონ ქმედითი ნაბიჯები „ეკიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამოწმებლად“. იხ. ასევე ICESCR კომიტეტი, „[ზოგადი კომენტარი # 14 \(2000 წ.\) – ჯანმრთელობის უმაღლესი მიღწევადი სტანდარტის უფლება \(ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი\)](#)“, 2000 წლის 11 აგვისტო, E/C.12/2000/4, პუნქტი 16 (რომელიც ეხება კონკრეტულად ეკიდემიებს და ა.შ) და პუნქტები 28-45 (რომლებიც ეხება სახელმწიფოთა ვალდებულებებს ჯანმრთელობის უფლების კონტექსტში).

⁽⁶¹¹⁾ UNGA, [ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია](#), 1948 წლის 10 დეკემბერი, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის; და მუხლი მე-11 ICESCR.

⁽⁶¹²⁾ იხ. პრეცედენტული სამართლის ანალიზი, ნაწილი 1.4.2.2 მნიშვნელოვანი დარღვევის შესახებ.



უნდა იყოს „გათვალისწინებული კანონით და დაცული უნდა იყოს ამ უფლებებისა და თავისუფლებების არსი“ და „პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აუცილებელია და ჭეშმარიტად აკმაყოფილებენ კავშირის მიერ აღიარებულ საერთო ინტერესის მიზნებს ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობას“.

ECHR-ის უფლებები შეიძლება იყოს რელევანტური ევროკავშირის ქარტიით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებების ინტერპრეტაციისთვის, თუ ევროკავშირის ქარტიის უფლებები შეესაბამება ECHR-ის ⁽⁶¹³⁾ რომელიმე მუხლით გარანტირებულ უფლებებს. როგორც CJEU -მ აღნიშნა საქმეზე „MP“, „ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რამდენადაც მისივე მე-4 მუხლით გარანტირებული უფლებები შეესაბამება ECHR-ის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებებს, ამ უფლებების მნიშვნელობა და მოქმედების სფერო არის იგივე, რაც დადგენილია ECHR-ის მე-3 მუხლით“ ⁽⁶¹⁴⁾. ანალოგიურად, CJEU-მ განმარტა, რომ ევროკავშირის ქარტიის მე-6 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება შეესაბამება ECHR-ის მე-5 მუხლს და რომ შეზღუდვები, რომელიც შეიძლება კანონიერად დაწესდეს ევროკავშირის ქარტიის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაზე, არ უნდა აღემატებოდეს ECHR-ის მიერ დაშვებულ შეზღუდვებს ECHR-ის მე-5 მუხლის ფორმულირების ფარგლებში ⁽⁶¹⁵⁾.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით ნებადართულია „პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად...“, იმ შემთხვევაში, თუ ეს ხორციელდება „კანონით დაწესებული წესების ფარგლებში“ ⁽⁶¹⁶⁾. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) თანახმად, „ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით“ პირის დაკავების „კანონიერება“ დამოკიდებულია იმაზე, დადგინდება თუ არა, რომ (1) ინფექციური დაავადების გავრცელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან უსაფრთხოებისთვის და (2) ინფიცირებული პირის დაკავება არის უკანასკნელი საშუალება დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, რადგან ნაკლებად მკაცრი ზომები არასაკმარისი აღმოჩნდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისთვის. თუ ეს კრიტერიუმები არ დაკმაყოფილდება, არ იარსებებს თავისუფლების აღკვეთის კანონიერი საფუძველი ⁽⁶¹⁷⁾. გარდა ამისა, ECtHR -მ დაადგინა, რომ საპრობილის

⁽⁶¹³⁾ ევროკავშირის ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი; და CJEU (GC), 2009 წ., „*Elgafaji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 28.

⁽⁶¹⁴⁾ CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 37. ევროკავშირის ქარტიის მე-4 მუხლი: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. ეს ფორმულირება იდენტურია ECHR-ის მე-3 მუხლის ფორმულირებისა, რომელიც ციტირებულია ზემოთ. 54, რომელიც მოცემულია ზემოთ.

⁽⁶¹⁵⁾ CJEU (GC)-ის 2016 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „*JN v Staatssecretaris van Veiligheid en Justitie*“, C-601/15 PPU, EU:C:2016:84, პუნქტი 47. CJEU-მ დამატებით აღნიშნა, რომ ევროკავშირის ქარტიის 52(3) მუხლის „მიზანია უზრუნველყოს აუცილებელი თანმიმდევრულობა ქარტიასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შორის, რაც უარყოფითად არ იმოქმედებს კავშირის სამართლისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სამართლის ავტონომიაზე“.

⁽⁶¹⁶⁾ შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ECHR-ის მე-5 მუხლი და ევროკავშირის ქარტიის მე-6 მუხლი ძირითად უფლებად, მე-9 მუხლში მოცემული უკანასკნელი შეფასების ტესტი არის სწორედ დარღვევის საკმარისი სიმძიმე.

⁽⁶¹⁷⁾ ECtHR-ის 2005 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Enhorn v Sweden*“, # 56529/00, CE:ECHR:2005:0125JUD005652900, პუნქტი 44.



მმართველობას აქვს პოზიტიური ვალდებულება მიიღოს ქმედითი ზომები გადამდები დაავადებების გადაცემის თავიდან ასაცილებლად. ⁽⁶¹⁸⁾.

CJEU-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა ინტერპრეტაცია უნდა იქნეს გამოყენებული QD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისთვის მ საქმეებში, როდესაც წარმოშობის ქვეყანამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ECHR-ის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით მოითხოვება, რომ გადახრები, რომელიც მოიცავს უფლებების შეზღუდვას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან ეროვნული საგანგებო სიტუაციების მიზეზების გამო, იყოს კანონიერი, აუცილებელი და პროპორციული. ეს მოითხოვს შეზღუდვებს, როგორცაა სავალდებულო კარანტინი ან სიმპტომიანი ადამიანების იზოლაცია, მინიმუმ, რომლებიც უნდა გატარდეს კანონის შესაბამისად. ნებისმიერი ასეთი გადაუდებელი ღონისძიებები უნდა იყოს „მკაცრად მოთხოვნილი არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზომები არ არის შეუსაბამო საერთაშორისო სამართლის მიხედვით მის სხვა ვალდებულებებთან“ (ECHR-ის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი). გარდა ამისა, მათ უნდა მიაღწიონ ლეგიტიმურ მიზანს, უნდა ეფუძნებოდნენ მეცნიერულ მტკიცებულებებს, იყვნენ პროპორციული ამ მიზნის მისაღწევად, არ იყვნენ არც თვითნებური და არც დისკრიმინაციული გამოყენებისას, იყვნენ შეზღუდული ხანგრძლივობის, პატივი სცენ ადამიანის ღირსებას და ექვემდებარებოდნენ განხილვას.⁽⁶¹⁹⁾ იხ. ნაწილი 1.4., რომელიც მოცემულია ზემოთ.

ისევე როგორც ეკოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებული საქმეების შემთხვევაში, ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც შეიძლება გაჩნდეს პანდემიასთან დაკავშირებულ შემთხვევებში, არის შეიძლება თუ არა იყოს საუბარი **ღევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტის არსებობაზე** QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის მნიშვნელობით. როგორც CJEU-მ აღნიშნა საქმეში „მბოდჯი“ (*M'Bodj*), სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტის არსებობის დასადგენად უნდა დადასტურდეს, რომ „ასეთი ზიანი... იღებს ისეთი მოქმედების ფორმას, რომელიც განხორციელებულია მესამე მხარის მიერ და ამიტომ შეუძლებელია ის იყოს უბრალოდ წარმოშობის ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ზოგადი ხარვეზების შედეგი“⁽⁶²⁰⁾.

ამის საფუძველზე, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების ბელგიის საბჭომ, მაგალითად, არ მიიღო განცხადებები საერთაშორისო დაცვაზე გვინეასა და

⁽⁶¹⁸⁾ ECtHR-ის 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Cătălin Eugen Micu v Romania*“, # 55104/13, CE:ECHR:2016:0105JUD0005510413, პუნქტში 56 გაკეთებულია მითითება ECtHR-ის საქმეზე „*ჯელადჯი საქართველოს წინააღმდეგ (Jeladze v Georgia)*“, 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება # 1871/08, CE:ECHR:2012:1218JUD000187108, პუნქტი 44, და აღნიშნავს, რომ „განმცხადებლის წარდგენის სამწლიანი დაყოვნება C ჰეპატიტის სკრინინგზე, უტოლდებოდა სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობას მის ზოგად ვალდებულებასთან მიმართებით, რაც გამოიხატება ქმედითი ზომების მიღებაში საპრობილემო C ჰეპატიტის ან სხვა გადამდები დაავადებების გადაცემის თავიდან აცილების მიზნით“. იხ. ასევე ECtHR, 2021 წ., „*Feilazoo v Malta*“, op. cit., fn. 954, პუნქტები 92-93. ECtHR-ის წარმოებაში არსებულ საქმეში „ჰაფეზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Hafeez v United Kingdom*), რომელიც კომუნიკაციით გადაეცა 2020 წლის 24 მარტს, სასამართლომ უნდა განიხილოს, ემუქრება თუ არა განმცხადებელს, აშშ-ში ექსტრადირების შემთხვევაში, უვალდო თავისუფლების აღკვეთის დაწესება პირობით განთავისუფლების გარეშე, ECHR-ის მე-3 მუხლის დარღვევით და, კოვიდ-19-ის მიმდინარე პანდემიის გათვალისწინებით, იქნება თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რეალური რისკი დაკავების ისეთი პირობების გამო, რომელიც მას დაემუქრებოდა იქ ჩასვლისას.

⁽⁶¹⁹⁾ იხ. გაეროს ადამიანის უფლებების კომისია, „*სირაკუზას პრინციპები უზღუდვისა და უფლებებიდან გადახვევის დებულებების შესახებ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში*“, 1984 წლის 28 სექტემბერი, E/CN.4/1985/4, დანართი; ECtHR, „*განმარტებითი სახელმძღვანელო ECHR-ის მე-15 მუხლზე: უფლებების დარღვევა გადაუდებელი მდგომარეობის დროს*“, op. cit., fn. 206; UNHRC, „*ზოგადი კომენტარი # 29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4)*“, CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 2001 წლის 31 აგვისტო; ან/და OHCHR, „*გადაუდებელი ზომები და კოვიდ-19: სახელმძღვანელო მითითებები*“, 2020 წლის 27 აპრილი.

⁽⁶²⁰⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodj*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 35.



ლიბერიაში ებოლას ვირუსის გავრცელების გამო⁽⁶²¹⁾. კოვიდ-19 პანდემია ზოგიერთმა მიიჩნია, როგორც ბუნებრივი კატასტროფის მსგავსი, რომელიც არ მიეკუთვნება ქმედებებს, რომელიც განახორციელეს დევნის განმახორციელებელმა ან სერიოზული ზიანის მიმყენებელმა სუბიექტმა, როგორც აღწერილია QD-ის (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლში⁽⁶²²⁾. თუმცა, როგორც ზემოთ, მე-10 ნახაზში მოცემული მაგალითებიდან ირკვევა, დევნის განმახორციელებელმა ან სერიოზული ზიანის მიმყენებელმა სახელმწიფო ან არასახელმწიფო სუბიექტმა შეიძლება გამოიყენონ პანდემია, როგორც საბაბი პოლიტიკური ოპონენტების სამიზნედ. დევნის განმახორციელებელმა ან სერიოზული ზიანის მიმყენებელმა სახელმწიფო სუბიექტებმა შეიძლება განზრახ მოაქციონ პოლიტიკური ოპონენტები უაღრესად ინფექციურ გარემოში, მაგალითად, გარკვეულ ციხეებში, მათ შორის, ისეთ დაწესებულებებში, რომელიც განკუთვნილია კოვიდ-19 -ისთვის საჭირო კარანტინისთვის.⁽⁶²³⁾ მათ შეუძლიათ განზრახ არ გასცენ ვაქცინა ან/და მედიკამენტები, რომელიც საჭიროა კოვიდ-19-ით დაავადებულთა სამკურნალოდ გარკვეული თემებიდან ან ეთნიკური ჯგუფებიდან.

არასახელმწიფო სუბიექტები შეიძლება ჩაითვალოს დევნის განმახორციელებელ ან სერიოზული საფრთხის მიმყენებელ სუბიექტებად, თუ სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია დაიცვას ინდივიდები ისეთი ქმედებებისგან, როგორცაა ვაქცინების უკანონო ქურდობა, რომლის მიზანია ჰოსპიტალიზაციის მაღალი რისკის ქვეშ მყოფ საზოგადოებაში კოვიდ-19-ის გავრცელება.

საფუძვლიანი შიშის შეფასება მოითხოვს უახლესი ვითარების გათვალისწინებას, *შემდგომში*. თუმცა, რისკის მომავალზე ორიენტირებული შეფასება არ უნდა იყოს დაფუძნებული არასათანადო სპეკულაციაზე. საქმეზე, რომელიც ეხებოდა მოქალაქეობის არმქონე პალესტინელს დაზადან, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების ბელგიის საბჭომ გადაწყვეტილება გააუქმა და მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი და დაადგინა რა, რომ გაეროს დახმარებისა და დასაქმების სააგენტო ახლო აღმოსავლეთში პალესტინელ ლტოლვილთა დახმარებას აღარ აგრძელებდა დაზადში და რომ კოვიდ-19-ის პანდემია უფრო მეტ სირთულეებს მატებდა ამ გარემოებას. გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ განაცხადა, რომ აპრილში უნდა ჩატარებულიყო საერთაშორისო კონფერენცია, რომ შეერთებულ შტატებს უნდა განეახლებინა ფინანსური მხარდაჭერა და რომ პანდემიის დასრულება გააუმჯობესებდა ვითარებას მომავალში. თუმცა, სასამართლომ განაცხადა, რომ ამ მოვლენებს არანაირი გავლენა არ ჰქონია საქმის შეფასებაზე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო ამ სფეროში არსებული ფაქტობრივი და არსებული ვითარებიდან გამომდინარე და არა სამომავლო ნაკლებად სავარაუდო მოვლენებზე დაყრდნობით.⁽⁶²⁴⁾

ბელგიის უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭომ ასევე განიხილა ავღანეთის მოქალაქის საქმე, რომელიც თავის მეორე განცხადებაში საერთაშორისო დაცვაზე აცხადებდა, რომ არსებობდა რეალური რისკი იმისა, რომ

⁽⁶²¹⁾ RVV/CCE-ის (ბელგია) 2015 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება # 143.271; და RVV/CCE-ის (ბელგია) 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება # 141.258.

⁽⁶²²⁾ ისტორიის მიმოხილვისთვის, იხილეთ, მაგალითად, რიჩი, ლ. (Ritchie, L.) და დუან, გ. (Duane, G.), „კოვიდ-19-ის განხილვა საფრთხისა და ბუნებრივი კატასტროფების კვლევის პერსპექტივიდან“, *სოციალური მეცნიერებები*, ტ. 10, # 7, 2021 წ., გვ. 248.

⁽⁶²³⁾ მიუხედავად იმისა, რომ არ იყო თავშესაფართან დაკავშირებული საქმე, იხ. ECtHR, 2021 წ., „*Feilazoo v Malta*“, *op. cit.*, fn. 212, რომელშიც განმცხადებლის დაკავება უკანონოდ იქნა მიჩნეული ECHR-ის 5(1) მუხლის თანახმად, სადაც ერთ-ერთი ფაქტორი იყო მისი ისეთი მოთავსება საპატიმრო დაწესებულების ერთ-ერთ ნაწილში, რომელი აუცილებელი არ იყო და რომელიც დაჯავშნილი იყო კოვიდ-19-ისთვის საჭირო კარანტინისთვის, რამაც მას ჯანმრთელობის საფრთხე შეუქმნა.

⁽⁶²⁴⁾ RVV/CCE-ის (ბელგია) 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება # 249.930 (ინგლისურენოვანი რეზიუმე).



ის შეიძლება დაინფიცირებულიყო კოვიდ-19-ით სამშობლოში დაბრუნებისას ⁽⁶²⁵⁾. სასამართლომ ეს რისკი წმინდა ჰიპოთეტურად მიიჩნია, რადგან განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეიცავდა შესაბამის პირად გარემოებებს და, გარდა ამისა, არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ მოექცეოდა პირადად იგი სერიოზული ზიანის ქვეშ პანდემიის შედეგად.

ღევნის მიზეზებთან დაკავშირებით (QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლი), პანდემია შეიძლება იყოს ღევნის განმარტებელი ან ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო ან არასახელმწიფო სუბიექტების ისეთი ქმედებების გამომწვევი ფაქტორი, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდების დისკრიმინაციას რასის, რელიგიის, ეროვნების, კონკრეტული სოციალური ჯგუფის კუთვნილების ან პოლიტიკური მოსაზრების ნიადაგზე. რასიზმის, სტიგმატიზაციის, ქსენოფობიის, უკიდურესობის, მარგინალიზაციის და ა.შ. სახით არსებული ხარვეზები წარმოშობის ქვეყანაში შეიძლება გაღრმავდეს პანდემიის ზემოქმედების შედეგად, განსაკუთრებით ისეთ ვითარებაში, როდესაც გარკვეული ჯგუფები შეიძლება ჩაითვალოს უპირველეს პასუხისმგებლად ვირუსის გავრცელებაზე ან მის თავდაპირველ შემოტანაზე. რაც შეეხება კონკრეტული სოციალური ჯგუფის კუთვნილებას, შესაძლოა, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც, მაგალითად, ვირუსის წყაროდ ითვლება, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფად ითვლებოდეს.

რაც შეეხება **საერთაშორისო დაცვას** (QD-ის (ახალი რედაქციით) მუხლი 8), კოვიდ-19 პანდემია შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი იმის შესაფასებლად, შეუძლია თუ არა განმცხადებელს უსაფრთხოდ და კანონიერად გაემგზავროს და გონივრულად დასახლდეს ქვეყნის სხვა ნაწილში, რათა მიიღოს დაცვა ღევნისგან ან სერიოზული ზიანისგან, რაც მას წარმოშობის რეგიონში ემუქრება. პანდემიის შედეგად ბევრმა ქვეყანამ დააწესა შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლებაზე და შესაძლოა, პანდემიის შედეგად, ქვეყნის ალტერნატიულ ნაწილებში არ არსებობდეს თავშესაფრის მინიჭების სურვილი იმ პირისთვის, რომელიც გამოექცა ზიანს მისივე წარმოშობის რეგიონიდან ⁽⁶²⁶⁾. ამ ტიპის კრიზისებმა ხშირად შეიძლება კიდევ უფრო შეზღუდოს ქალებისა და გოგონების შესაძლებლობა, გაექცნენ შეურაცხყოფელ სიტუაციებს, როგორცაა ოჯახში ძალადობა ან/და ტრეფიკინგი. ასეთი კრიზისების შედეგად მსხვერპლი შეიძლება მოექცეს ისეთ გარემოში, სადაც არ არის სათანადო წვდომა ისეთ სერვისებზე, როგორცაა უსაფრთხო თავშესაფარი მოძალადეებისგან მოშორებით.

ამკარა სცენარი, რომელშიც კოვიდ-19-თან დაკავშირებულმა ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიონ განცხადებაზე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ, დამოკიდებულია **საერთაშორისო დაცვის საჭიროებებზე, რომლებიც წარმოიქმნება ადგილზე** (QD-ის (ახალი რედაქციით) მუხლი 5)), ეხება განმცხადებლებს, რომელთა წარმოშობის ქვეყანა განსაკუთრებით არ იყო დაზარალებული კოვიდ -19-ით, როცა ისინი წავიდნენ ქვეყნიდან, მაგრამ ახლა კოვიდ-19 იქ ძლიერ გავრცელებულია.

⁽⁶²⁵⁾ RVV/CCE-ის (ბელგია) 2020 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება # 238.596 (ინგლისურენოვანი შეჯამება).

⁽⁶²⁶⁾ სუჩავას საოლქო სასამართლოს (რუმინეთი) 2020 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება # 39/2020 (ინგლისურენოვანი შეჯამება). სასამართლომ აღნიშნა, რომ კოვიდ-19 პანდემიაზე რეაგირების მიზნით, ერაყის მთავრობამ დახურა ზოგიერთი პროვინცია, მათ შორის, პროვინციები, რომელშიც მდებარეობდა განმცხადებლების მშობლიური ქალაქი, და შექმნა სირთულეები ფრენებთან დაკავშირებით ერბილისა და სულეიმანიის საერთაშორისო აეროპორტებიდან.



2.5.3. სუბსიდიარული დაცვა

თუ საერთაშორისო დაცვის მაძიებელი, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად დააყენა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საკითხები, ვერ ადგენს, რომ მას გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში QD-ის (ახალი რედაქციით) მე-10 მუხლით განსაზღვრული მიზეზით, მაინც უნდა იყოს განხილული, შეიძლება თუ არა, რომ ის კვალიფიცირდეს სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად.

სამედიცინო საქმეები, რომელშიც განმცხადებლებს უფლება აქვთ მიიღონ სუბსიდიარული დაცვა, დეტალურად იქნა განხილული [ნაწილში 1.4.3.5.3](#). სერიოზულმა ზიანმა, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „უნდა მიიღოს ისეთი მოქმედების ფორმა, რომელიც განახორციელა მესამე მხარემ და, შესაბამისად, ის უბრალოდ არ შეიძლება იყოს წარმოშობის ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ზოგადი ხარვეზების შედეგი“. QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 35-ე პუნქტის მიხედვით, „რისკები, რომელთა შემოქმედების ქვეშ ზოგადად ექვევა ქვეყნის მოსახლეობა ან მოსახლეობის ნაწილი, ჩვეულებრივ, თავისთავად არ ქმნის ინდივიდუალურ საფრთხეს, რომელიც კვალიფიცირდება როგორც სერიოზული ზიანი“. გარდა ამისა, როგორც CJEU-მ დაადგინა საქმეში „მბოდჯი“ (M'Bodj), QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლი:

წევრ სახელმწიფოს არ აძლევს საშუალებას შემოიღოს ან შეინარჩუნოს დებულებები, რომელიც ანიჭებს ღირეპტივით გათვალისწინებული სუბსიდიარული დაცვის სტატუსს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც დაავადებულია სერიოზული დაავადებით, იმ მოტივით, რომ არსებობს ამ პირის ჯანმრთელობის გაუარესების რისკი იმ შემთხვევაში, თუ მას ადეკვატური მკურნალობა არ ჩაუტარდება მისივე წარმოშობის ქვეყანაში, რადგან ასეთი დებულებები შეუთავსებელია ღირეპტივასთან ⁽⁶²⁷⁾.

საერთაშორისო დაცვის მაძიებლის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მისი ჯანმრთელობა გაუარესდა, ან რომ არსებობს მისი ჯანმრთელობის გაუარესების რისკი მის მიერ წარმოშობის ქვეყანაში შესაბამისი მკურნალობის მიუღებლობის გამო, არ იქნება საკმარისი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება სერიოზული ავადმყოფობას და „თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეს განზრახ არ ჩამოერთვა მკურნალობის მიღების უფლება სუბსიდიარული დაცვის გარანტიის მიღების მიზნით“ ⁽⁶²⁸⁾.

CJEU-ის მითითებების შესაბამისად, ჩეხეთის რეგიონალურმა სასამართლოებმა მიუთითეს რა საქმეზე „M'Bodj“, მიიჩნიეს, რომ საერთაშორისო დაცვა არ არის სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც სრულად ახორციელებს ECHR-ის მე-3 მუხლს, თუ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რისკი, წარმოშობის ქვეყანაში არასაკმარისი მკურნალობის შედეგად, არ არის განმცხადებლისადმი ამგვარ მკურნალობაზე სისტემატური უარის შედეგი ⁽⁶²⁹⁾.

კოვიდ-19 ფაქტორები ასევე შეიძლება იყოს დაკავშირებული სხვა გარემოებებთან, გარდა ჯანმრთელობის დაცვისა. მაგალითად, რუმინეთში, სუჩავას საოლქო სასამართლომ [Suceava

⁽⁶²⁷⁾ CJEU (GC), 2014 წ., „M'Bodj“, op. cit., fn. 50, პუნქტები 35-36 და 42-43.

⁽⁶²⁸⁾ Ibid., პუნქტი 36.

⁽⁶²⁹⁾ პრატის რაიონული სასამართლოს (Krajský soud v Praze) (ჩეხეთი) 2020 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება # 53, Az 2/2019; პრატის რაიონული სასამართლოს (Krajský soud v Praze) (ჩეხეთი) 2020 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება # 53, Az 13/2019; პრატის მუნიციპალური სასამართლოს (Městský soud v Praze) (ჩეხეთი) 2020 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება # 2, Az 20/2018. ეს დადგინდა იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელშიც განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად ისინი წარმოშობის ქვეყნებში არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ.



County Court] დაადგინა, რომ ერაყელი ოჯახისთვის, რომელსაც ჰყავდა მცირეწლოვანი შვილები, უნდა მიენიჭებინათ სუბსიდიარული დაცვა. სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანთა შიში არ შეიძლება მიკუთვნებოდა დევნას, თუმცა დაადგინა, რომ ერაყის ქურთულ ნაწილში არსებობდა ზოგადი რისკის ვითარება. იმ ფაქტორებს შორის, რომელიც რელევანტურად იქნა მიჩნეული გადაწყვეტილებასთან მიმართებით, QD -ის (ახალი რელაქციით) მე-15 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იყო პანდემიაც. სასამართლომ მიუთითა UNHCR-ზე, რომელმაც მოუწოდა სახელმწიფოებს, თავი შეეკავებინათ აღამიანების იძულებით დაბრუნებისგან წარმოშობის ადგილებში ერაყში, სადაც ეს ტერიტორიები ადრე კონტროლდებოდა ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფოს (ISIS) მიერ ან სადაც მუდმივად იმყოფებოდა ISIS-ი, როდესაც ადგილი ჰქონდა მასობრივ დესტრუქციას, ინგრეოდა სახლები, მთავარი ინფრასტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები; იყო შეზღუდული წვდომა საარსებო წყაროებსა და ძირითად სერვისებზე; ბინძურდებოდა საცხოვრებელი სახლები და მიწა ომის დროს ფეთქებადი ოპერაციების შედეგად; საზოგადოებაში არსებობდა დაძაბულობა, მათ შორის, ადგილი ჰქონდა საპასუხო ქმედებებს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ISIS-ის მხარდაჭერაში; და ადგილობრივად სუფევდა დაუცველობა. მან ასევე მოიყვანა UNHCR-ის რჩევები, რომ არ დააბრუნონ პირები ერაყის სხვა ნაწილებში, თუ არსებობდა რისკი, რომ ისინი ვერ შეძლებდნენ წვდომას ან/და ვერ იცხოვრებდნენ ამ ადგილებში ან აღმოჩნდებოდნენ ისეთ ვითარებაში, რომელშიც მათ არ ექნებოდათ სხვა არჩევანი თავიანთი წარმოშობის მხარეში დაბრუნების გარდა⁽⁶³⁰⁾. სასამართლომ აღნიშნა, რომ კოვიდ-19 პანდემიაზე რეაგირების მიზნით, ერაყის მთავრობამ დახურა ზოგიერთი პროვინცია, მათ შორის, პროვინციები, რომელშიც მდებარეობდა განმცხადებლების მშობლიური ქალაქი, და შექმნა სირთულეები ფრენებთან დაკავშირებით ერბილისა და სულეიმანიის საერთაშორისო აეროპორტებიდან. გარდა ზოგადი არაუსაფრთხო მდგომარეობისა და გადაადგილებისა, მხედველობაში იქნა მიღებული განმცხადებლების პირადი გარემოებები. ეს ეხებოდა იმ ფაქტს, რომ ისინი იყვნენ ერთიანი ოჯახი, ბავშვების განსაკუთრებულ მდგომარეობას, იმ ფაქტს, რომ ისინი იყვნენ დაუცველი პირები, ინფორმაციას კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგებისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ⁽⁶³¹⁾.

2021 წლის აგვისტოში ავსტრიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გადაწყვიტა ავღანელი განმცხადებლისთვის სუბსიდიარული დაცვა მიენიჭებინა ავღანეთში უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესებისა და არასტაბილური და ცუდი საცხოვრებელი პირობების გამო, რომელსაც ემატებოდა კოვიდ-19-ის გავრცელების გამო ქვეყანაში არსებული ვითარება და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები და სამედიცინო დახმარებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა⁽⁶³²⁾.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ისინი, ვინც ცდილობენ ისარგებლონ არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობით, ვერ შეძლებენ მიიღონ სუბსიდიარულ დაცვაზე უფლება QD-ის (ახალი რელაქციით) მიხედვით, თუ ისინი ვერ შეძლებენ დაამტკიცონ, რომ მათ „განზრახ ჩამოართვეს მკურნალობის უფლება“ სერიოზული ზიანის მიმყენებელმა სუბიექტებმა.⁽⁶³³⁾

⁽⁶³⁰⁾ სუჩავას საოლქო სასამართლოს (რუმინეთი) 2020 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება # 39/2020 (ინგლისურენოვანი შეჯამება).

⁽⁶³¹⁾ Ibid.

⁽⁶³²⁾ ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს (ავსტრია) 2021 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილება # W228.2241306-1, AT:BVVG:2021:W228.2241306.1.00 (ინგლისურენოვანი შეჯამება). იხ. ასევე CNDA, Grande Formation (France), 2021 წ., „M. S.“, # 20029676, op. cit., fn. 632, რომელშიც კოვიდ-19 -ის გავრცელების გამო გაუარესებული ვითარება იყო CNDA-ს გადაწყვეტილების ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც განმცხადებელი მაღიდან დაბრუნების შემთხვევაში განურჩეველი ძალადობის რისკის ქვეშ მოექცეოდა.

⁽⁶³³⁾ CJEU (GC), 2018 წ., „MP“, op. cit., fn. 31, პუნქტი 51.





თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, ისინი შეიძლება მაინც დაიცვან გადაადგილების, გაქვების, ან ექსტრადიციისგან (საერთაშორისო დაცვის ფარგლებს გარეთ), როდესაც არსებობს არსებითი საფუძველი იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი დანიშნულების ქვეყანაში მოექცევიან რეალური რისკის ქვეშ და მათ მიმართ გამოიჩენენ მოპყრობას, რომელიც აკრძალულია ECHR-ის მე-3 მუხლით, ასევე, ევროკავშირის ქარტიის მე-4 მუხლით და მე-19 მუხლის მე-2 უნქტით ⁽⁶³⁴⁾. როგორც CJEU-მა აღნიშნა საქმეში „მბოდჯი“ (*M'Bodji*):

სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური დაავადებით დაავადებული უცხო ქვეყნის მოქალაქის გადაყვანის გადაწყვეტილებამ ქვეყანაში, სადაც ასეთი დაავადების სამკურნალო საშუალებები უფრო მცირეა, ვიდრე ამ სახელმწიფოში, შეიძლება დააყენოს საკითხი ECHR-ის მე-3 მუხლის შესაბამისად, ძალიან გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც გაყვანის წინააღმდეგ ჰუმანიტარული საფუძველი დამაჯერებელია⁽⁶³⁵⁾.

ECtHR-ის პრეცედენტული სამართალი, რომელიც რელევანტურია არგაქვების პრინციპის შესაფასებლად, აღნიშნულია ზემოთ ნაწილში [1.4.3.5.3](#).

როდესაც დგინდება, რომ არც ლტოლვილთა და არც სუბსიდიარული დაცვის პირობები არ არის დაკმაყოფილებული, ზოგიერთი წევრი სახელმწიფო მაინც ითვალისწინებს განსხვავებული ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას განმცხადებლებისთვის, რომლებიც დგანან მთელი რიგი რისკების წინაშე, რაც შეიძლება მოიცავდეს კოვიდ-19-ის გამო არსებულ მძიმე ვითარებას წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში ⁽⁶³⁶⁾.

⁽⁶³⁴⁾ Ibid., პუნქტი 44.

⁽⁶³⁵⁾ CJEU (GC), 2014 წ., „*M'Bodji*“, op. cit., fn. 50, პუნქტი 39. იხ. ასევე CJEU (GC), 2018 წ., „*MP*“, op. cit., fn. 31, პუნქტი 43.

⁽⁶³⁶⁾ იხ. ასევე „უფრო ხელსაყრელი სტანდარტები (მუხლი 3)“, რომელიც მოცემულია ზემოთ.



Part 3. ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი

ეს თავი ეხება ლტოლვილის სტატუსთან და სუბსიდიარული დაცვის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ ორ სტატუსს შორის ურთიერთკავშირს და თანმხლები ოჯახის წევრების მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილის სტატუსისა და სუბსიდიარული დაცვის სტატუსის შინაარსს შორის არსებობს სხვაობა, მათ შორის, მსგავსებაც არსებობს.

მე-3 თავი შედგება სამი ნაწილისგან, როგორც ნაჩვენებია ცხრილში 52.

ცხრილი 20: მე-3 თავის სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
3.1	ლტოლვილის სტატუსი	173
3.2	სუბსიდიარული დაცვის სტატუსი	188
3.3	ლტოლვილის სტატუსსა და სუბსიდიარული დაცვის სტატუსს შორის ურთიერთქმედება	194

3.1. ლტოლვილის სტატუსი

ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია უშუალოდ ლტოლვილის სტატუსის ცნებაზე, მათ შორის ლტოლვილებისთვის მინიჭებულ უფლებებსა და შეღავათებზე (ნაწილი 3.1.1) და ლტოლვილის იმ ოჯახის წევრების მდგომარეობაზე, ვინც ლტოლვილის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს დამოუკიდებლად ვერ აკმაყოფილებენ (ნაწილი 3.1.2). იგი შეიცავს ორ ქვენაწილს, როგორც აღნიშნულია ცხრილში 53.

ცხრილი 21: ნაწილის 3.1 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
3.1.1	ლტოლვილის სტატუსი (მუხლი 13)	173
3.1.2	ლტოლვილის ოჯახის წევრები, ვინც ლტოლვილის სტატუსით დამოუკიდებლად ვერ ისარგებლებენ (მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი და 23-ე მუხლი)	179

3.1.1. ლტოლვილის სტატუსი (მუხლი 13)

ნაწილი 3.1.1 ეხება სამ საკითხს, როგორც აღნიშნულია ცხრილში 54.

ცხრილი 22: ნაწილის 3.1.1 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
3.1.1.1	ლტოლვილის სტატუსის დეფინიცია	174
3.1.1.2	ლტოლვილის სტატუსის დეკლარაციული ხასიათი	176
3.1.1.3	ლტოლვილის სტატუსი, ბინადრობის უფლება და საერთაშორისო დაცვა	177





3.1.1.1. ლტოლვილის სტატუსის დეფინიცია

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-13 მუხლი ადგენს, რომ „წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ ლტოლვილის სტატუსს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც კვალიფიცირდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად II და III თავების შესაბამისად“. როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) გადაწყვეტილებაში საქმეზე „HT“ ადასტურებს⁽⁶³⁷⁾, რომ აღნიშნული არის QD-ის (ახალი რედაქციით) **იმპერატიული ნორმა**. ის ითვალისწინებს პირის სამართლებრივად დაცულ უფლებას და უნდა განხორციელდეს QD-ის (ახალი რედაქციით) II (საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების შეფასება) და III (ლტოლვილად კვალიფიცირება) თავების შესაბამისად. გარდა ამისა, QD-ის მე-13 მუხლისა და IV თავის შედგენის ისტორია გვიჩვენებს, რომ ლტოლვილის სტატუსის მეშვეობით ხდება გარკვეული უფლებებისა და შეღავათების მინიჭება. ლტოლვილის სტატუსის მინიჭება მიზნად ისახავდა კონკრეტული წევრი სახელმწიფოს ყველა ხელისუფლების მიმართ ავტორიტეტულობას და ამ საკითხთან დაკავშირებით საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების თავიდან აცილებას. ⁽⁶³⁸⁾

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლი ერთმანეთისგან განასხვავებს „ლტოლვილს“ (რომელიც განსაზღვრულია მე-2 მუხლის „დ“ პუნქტში) და „ლტოლვილის სტატუსს“ (რომელიც განსაზღვრულია მე-2 მუხლის „ე“ პუნქტში) ⁽⁶³⁹⁾. რაც შეეხება მე-2 მუხლის „დ“ პუნქტს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „M, X და X“ (M, X and X) განაცხადა, რომ „[QD-ის (ახალი რედაქციით)] საფუძველზე შემოღებული სისტემის ფარგლებში, მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნული დირექტივის III თავში განსაზღვრულ არსებით პირობებს, მხოლოდ ამ საფუძველით არის ლტოლვილი ამავე დირექტივის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტისა და [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციის პირველი მუხლის „ა“ პუნქტის მიზნებისთვის“. ⁽⁶⁴⁰⁾

„ლტოლვილის სტატუსი“, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 მუხლის „ე“ პუნქტით, განსხვავებით ამისა, ეხება არა იმას, თუ რას ნიშნავს იყო ლტოლვილი, არამედ ეხება ლტოლვილად აღიარებას. ⁽⁶⁴¹⁾. ის ითვალისწინებს შემდეგს.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი

„ლტოლვილის სტატუსი“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ლტოლვილად აღიარებას;

ამგვარად, ტერმინი ეხება წევრი სახელმწიფოს მიერ ოფიციალური აღიარებით მინიჭებულ სტატუსს QD-ით (ახალი რედაქციით) განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

⁽⁶³⁷⁾ CJEU-ის 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „HT v Land Baden-Württemberg“, C-373/13, EU:C:2015:413 (შემდგომში - CJEU, 2015 წ., „HT“), პუნქტი 63.

⁽⁶³⁸⁾ ჰაილბრონერი (Hailbronner) და თიმი (Thym) (რედ.), „ევროკავშირის თავშესაფრისა და იმიგრაციის შესახებ კანონი: კომენტარი“, op. cit., fn. 186, გვ. 7.

⁽⁶³⁹⁾ QD-ის შედგენის ისტორია ადასტურებს, რომ ტერმინი „ლტოლვილის სტატუსი“ აღნიშნავს სტატუსს, რომელსაც წევრი სახელმწიფო ანიჭებს პირს, რომელიც არის ლტოლვილი და დაშვებულია ლტოლვილად ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. იხ. ევროკომისიის „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) შესახებ საკანონმდებლო წინადადება: განმარტებითი მემორანდუმი“, 2001 წ., ციტირებული (op. cit., fn). 266, მუხლი 2(დ).

⁽⁶⁴⁰⁾ CJEU (GC), 2019, „M, X and X“, op. cit., fn. 30, პუნქტი 86.

⁽⁶⁴¹⁾ Ibid., პუნქტი 85.



შედეგად, შესაბამისი პირი „უფლებამოსილია ისარგებლოს აღნიშნული დირექტივის VII თავში გათვალისწინებული ყველა უფლებით და შეღავათით“⁽⁶⁴²⁾.

QD-ი (ახალი რედაქციით) ასევე განასხვავებს „ლტოლვილად“ ყოფნის კრიტერიუმებს (რომელიც ჩამოყალიბებულია ამავე დირექტივის III თავში), და უფლებებს, რომელიც გამომდინარეობს „ლტოლვილის სტატუსის“ მინიჭებიდან და მოცემულია ამავე დირექტივის VII თავში⁽⁶⁴³⁾.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-14 მუხლი ადგენს დებულებებს ლტოლვილის სტატუსის გაუქმების, შეწყვეტის ან განახლებაზე უარის თქმის შესახებ. წევრი სახელმწიფოები აუქმებენ, წყვეტენ მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების ლტოლვილის სტატუსს ან უარს აცხადებენ ამ სტატუსის განახლებაზე, თუ ისინი გამოავლენენ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, რომ ასეთი პირები აღარ არიან ან არასოდეს ყოფილან ლტოლვილები მე-11 მუხლის (მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები) შესაბამისად და თუ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შემდეგ დადგენილია შემდეგი.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები

- (a) მესამე ქვეყნის მოქალაქე უნდა ყოფილიყო გამორიცხული ან გამორიცხულია ლტოლვილის სტატუსიდან მე-12 მუხლის შესაბამისად;
- (b) მის მიერ ფაქტების არასწორი წარმოდგენა ან გამოტოვება, მათ შორის, ყალბი დოკუმენტების გამოყენება, გადამწყვეტი ფაქტორი იყო ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაში (მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი).

მე-14 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისგან განსხვავებით, რომელიც იმპერატიული დებულებებია, მე-14 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები დისკრეციული ხასიათის დებულებებია. ისინი უფლებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს „გააუქმონ, შეწყვიტონ ლტოლვილისთვის მინიჭებული სტატუსი ან უარი თქვან ლტოლვილისთვის მინიჭებული სტატუსის განახლებაზე“, ან „გადაწყვიტონ, არ მიანიჭონ სტატუსი ლტოლვილს, თუ ასეთი გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული“, თუ ადგილი ექნება შემდეგ გარემოებებს.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები

- (a) არსებობს გონივრული საფუძველი იმის მიჩნევისთვის, რომ ეს პირი წარმოადგენს საფრთხეს იმ წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, რომელშიც ის იმყოფება;
- (b) ის ნასამართლევაა რა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, რის გამოც წარმოადგენს საფრთხეს ამ წევრი სახელმწიფოს საზოგადოებისთვის⁽⁶⁴⁴⁾.

⁽⁶⁴²⁾ Ibid., პუნქტები 79-92, განსაკუთრებით კი, პუნქტი 91.

⁽⁶⁴³⁾ Ibid., პუნქტები 84, 86 და 91-92. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU), 91-ე პუნქტში აცხადებს, რომ „ლტოლვილის ოფიციალურად აღიარების შედეგი, რასაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭება წარმოადგენს, არის ის, რომ შესაბამისი ლტოლვილი, მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის [QD (ახალი რედაქციით)] მიხედვით, არის საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარი აღნიშნული დირექტივის მიზნებისთვის, ისე რომ, მას აქვს უფლება... ისარგებლოს აღნიშნული დირექტივის VII თავით დადგენილი ყველა უფლებითა და შეღავათით, რომელიც მოიცავს როგორც [ლტოლვილთა] სტატუსის შესახებ კონვენციით განსაზღვრული უფლებების ტოლფას უფლებებს, ასევე უფრო მეტი დაცვის მიმნიჭებელ უფლებებს, რომლის ტოლფასი უფლებები აღნიშნული კონვენციით არ არის გათვალისწინებული, როგორცაა [QD-ის (ახალი რედაქციით)] 24-ე მუხლის პირველ პუნქტსა და 28-ე და 34-ე მუხლებში აღნიშნული უფლებები“.

⁽⁶⁴⁴⁾ Ibid.





მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი ფორმულირებულია იმავე ტერმინებით, როგორც ფორმულირებულია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები გაძევების აკრძალვასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის (მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი) ეხება „ლტოლვილისთვის მინიჭებულ სტატუსს“ და არა „ლტოლვილის სტატუსს“. QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 32-ე პუნქტის თანახმად, „სტატუსი“, როგორც აღნიშნულია მე-14 მუხლში, შეიძლება მოიცავდეს ლტოლვილის სტატუსს. ამრიგად, იგულისხმება, რომ ტერმინს „ლტოლვილისთვის მინიჭებული სტატუსი“ შეიძლება ჰქონდეს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე ლტოლვილის სტატუსს.

საქმეში „M, X და X“ (M, X and X) სასამართლომ კონკრეტულად განიხილა მე-14 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მნიშვნელობა სამი გაერთიანებული საქმის ფარგლებში. თითოეული საქმე ეხებოდა პირს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი, მაგრამ შემდეგ იქნა გასამართლებული და მის წინააღმდეგ გამოტანილ იქნა განაჩენი მძიმე დანაშაულების ჩადენისთვის. წევრმა სახელმწიფომ მოახდინა რეაგირება მათთვის ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის სახით, მე-14 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად. სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი პირებიც კი „სარგებლობენ [ლტოლვილთა შესახებ] კონვენციით განსაზღვრული გარკვეული უფლებებით ან განაგრძობენ ასეთი უფლებებით სარგებლობას“, რაც ადასტურებს იმას, რომ ისინი არიან ლტოლვილები ან აგრძელებენ ლტოლვილებად ყოფნას, მათ შორის, ლტოლვილთა შესახებ კონვენციის პირველი მუხლის „ა“ პუნქტის მიზნებისთვის, სტატუსის გაუქმების ან სტატუსის განახლებაზე უარის მიუხედავად⁽⁶⁴⁵⁾. იმ პირებს, რომლებსაც ეხება მე-14 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტები, მაინც აქვთ ლტოლვილთა შესახებ კონვენციით განსაზღვრული გარკვეული უფლებები, QD-ის (ახალი რედაქციით) მუხლის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

QD-ის (ახალი რედაქციით) მე-14 მუხლის სიდრმისეული ანალიზისთვის იხილეთ: EASO, „საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა – პრევენციული სამართლის ანალიზი“, მე-2 გამოცემა, 2021 წ.⁽⁶⁴⁶⁾.

3.1.1.2. ლტოლვილის სტატუსის დეკლარაციული ხასიათი

როგორც ნაწილში 1.2 აღინიშნა, QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 21-ე პუნქტით განისაზღვრება, რომ ლტოლვილის სტატუსის აღიარება წარმოადგენს დეკლარაციული ხასიათის აქტს. ლტოლვილის სტატუსის დეკლარაციული ხასიათი ასევე ნაგულისხმევია QD-ის (ახალი რედაქციით) 21-ე მუხლს მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც გაძევებისგან დაცვა, საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, გამოიყენება იმისდა მიუხედავად, ლტოლვილად აღიარება ოფიციალურად მოხდა არა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) განცხადებით:

პირი ხდება ლტოლვილი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის მნიშვნელობით, როგორც კი იგი დააკმაყოფილებს ამ ცნების განსაზღვრებაში მოცემულ კრიტერიუმებს. ეს აუცილებლად მოხდება იმ დრომდე, სანამ მისი ლტოლვილის სტატუსი ოფიციალურად იქნება დადგენილი. აქედან გამომდინარე, მისი ლტოლვილის სტატუსის აღიარება მას არ აქცევს ლტოლვილად, არამედ

⁽⁶⁴⁵⁾ Ibid., პუნქტი 99.

⁽⁶⁴⁶⁾ იხ. EASO, „საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა - პრევენციული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 21.



აცხადებს მას ლტოლვილად. ის არ ხდება ლტოლვილი აღიარების გამო, არამედ ის აღიარებულია ლტოლვილად, რადგან ის ლტოლვილია⁽⁶⁴⁷⁾.

შესაბამისად, სტატუსის ნებისმიერ ოფიციალურ აღიარებამდე არსებობს შეზღუდულ უფლებებზე წინასწარ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გარკვეული პროცესუალური გარანტიები. APD-ის (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლით და პრეამბულის 25-ე მუხლით გათვალისწინებულია დარჩენის უფლება მანამ, სანამ გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო არ მიიღებს გადაწყვეტილებას. APD-ის (ახალი რედაქციით) 46-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ნება უნდა დართონ განმცხადებლებს, დარჩენენ იმავე ტერიტორიაზე, სანამ არ დადგება სამართლებრივი დაცვის საშუალებით გათვალისწინებული შედეგი⁽⁶⁴⁸⁾. ბოლოს, ახალი რედაქციის მიღების პირობების შესახებ დირექტივა ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა სოციალურ უფლებებს⁽⁶⁴⁹⁾. ერთი ვითარება, რომელშიც QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის 21-ე პუნქტს შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა, არის ვითარება, როდესაც ლტოლვილის სტატუსი ან ბინადრობის ნებართვა უქმდება.

3.1.1.3. ლტოლვილის სტატუსი, ბინადრობის უფლება და საერთაშორისო დაცვა

პირებს, ვისაც ენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი, სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით, როგორც ეს მითითებულია QD-ის (ახალი რედაქციით) თავში VII (საერთაშორისო დაცვის შინაარსი). QD-ის (ახალი რედაქციით) მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის პირობების თანახმად, პირები, ვინც აღიარებულნი არიან ლტოლვილებად, მაგრამ ვისაც უარი ეთქვათ ლტოლვილის სტატუსზე QD-ის (ახალი რედაქციით) მე-14 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტში მითითებული საფუძვლებით, არ სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით, მაგრამ აქვთ უფლება ისარგებლონ [ლტოლვილთა] სტატუსის შესახებ კონვენციის მე-3, მე-4, მე-16, 22-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით ან მსგავსი უფლებებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმყოფებიან წევრ სახელმწიფოში. ამრიგად, მე-14 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტის შესაბამისად ლტოლვილისთვის მინიჭებული სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, QD-ი (ახალი რედაქციით) ცალსახად ითვალისწინებს ლტოლვილისთვის განვლილ უფლებრივ მხროლვედ გარკვეული უფლებებით სარგებლობას. გადაწყვეტილებაში საქმეზე „HT“, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) აღნიშნა:

იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო, [QD]-ის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გააუქმებს, შეწყვეტს ლტოლვილის სტატუსს ან უარს იტყვის პირისთვის მინიჭებული ლტოლვილის სტატუსის განახლებაზე, ამ პირს უფლება აქვს, ამ დირექტივის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ისარგებლოს [ლტოლვილთა

⁽⁶⁴⁷⁾ UNHCR, „სახელმძღვანელო“, op. cit., fn. 103, პუნქტი 28. იხ. ასევე უზენაესი სასამართლოს (დიდი ბრიტანეთი) 2021 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „G (Appellant) v G (Respondent)“, [2021 წ.] UKSC 9, პუნქტი 81.

⁽⁶⁴⁸⁾ თუმცა შემაჩერებელი მოქმედების უფლება არ არის აბსოლუტური. მაგალითად, არ არსებობს შემაჩერებელი მოქმედების მიმართ მოთხოვნა იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წამოყენებული საჩივრის შემთხვევაში, რომელიც ეხება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველობას. იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Abdoulaye Amadou Tall v Centre public d'action sociale de Huy“, C-239/14, EU:C:2015:824. იხ. ასევე EASO, „თავშესაფრის პროცედურები - პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 63, ნაწილი 6.4:

⁽⁶⁴⁹⁾ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის # 2013/33/EU დირექტივა, რომლითაც დადგენილია საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა მიღების სტანდარტები (ახალი რედაქციით), [2013 წ.] OJ L 180/96.



შესახებ] კონვენციის, მათ შორის, 32-ე და 33-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებებით⁽⁶⁵⁰⁾.

QD-ის (ახალი რედაქციით) 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ წევრი სახელმწიფოები ლტოლვილის სტატუსით მოსარგებლე პირებისთვის (ბენეფიციარებისთვის) გასცემენ ბინადრობის ნებართვას „შეძლებისდაგვარად სწრაფად... მას შემდეგ, რაც მათ მიენიჭებათ საერთაშორისო დაცვა, თუ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფის დასაბუთებული აუცილებლობა სხვაგვარად არ მოითხოვს და არ შეიზღუდება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის [QD (ახალი რედაქციით)] დებულებები“⁽⁶⁵¹⁾.

მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება გასცენ ბინადრობის ნებართვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შედეგად, ლტოლვილის სტატუსი და შესაბამისი საერთაშორისო დაცვით სარგებლობა მაინც არ არის დამოკიდებული ბინადრობის ნებართვის არსებობაზე, როგორც ამას ადასტურებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართალი. კავშირი ლტოლვილის სტატუსს, ბინადრობის ნებართვასა და საერთაშორისო დაცვით სარგებლობას შორის განმარტა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „HT“⁽⁶⁵²⁾. ლტოლვილი ინარჩუნებს ლტოლვილის სტატუსს - როგორც ეს განსაზღვრულია QD-ის (ახალი რედაქციით) მუხლით 2(ე) - მაშინაც კი, თუ ბინადრობის ნებართვა გაუქმებულია, რა შემთხვევაშიც უნდა მოხდეს საერთაშორისო დაცვის მინიჭება. უფრო კონკრეტულად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე:

ლტოლვილი, რომლის ბინადრობის ნებართვა გაუქმებულია [საკვალიფიკაციო დირექტივის (QD)] 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ინარჩუნებს ლტოლვილის სტატუსს, სულ მცირე, მანამ, სანამ ეს სტატუსი ფაქტობრივად არ შეწყდება. აქედან გამომდინარე, ბინადრობის ნებართვის გარეშეც კი, შესაბამისი პირი რჩება ლტოლვილად და, როგორც ასეთი, ინარჩუნებს უფლებას, ისარგებლოს აღნიშნული დირექტივის VII თავით გარანტირებული შეღავათებით, რომელიც გათვალისწინებულია ყველა ლტოლვილისთვის, მათ შორის, გაძევებისგან დაცვის, ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების, სამგზავრო დოკუმენტების, დასაქმებასთან წვდომის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის, წევრ სახელმწიფოში გადაადგილების თავისუფლებისა და ოჯახის გაერთიანების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უფლებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წევრ სახელმწიფოს არ აქვს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, გააგრძელოს თუ არა აღნიშნული ლტოლვილისთვის დირექტივით გარანტირებული არსებითი შეღავათების მინიჭება ან უარის თქვა მათ მინიჭებაზე.⁽⁶⁵³⁾

⁽⁶⁵⁰⁾ CJEU, 2015 წ., „HT“, op. cit., fn. 637, პუნქტი 71. იხ. ასევე CJEU (GC), 2019 წ., „M, X and Y“, op. cit., fn. 30, პუნქტი 99; და EASO, „საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 21, ნაწილი 5.

⁽⁶⁵¹⁾ QD-ის (ახალი რედაქციით) 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ უარი თქვან ბინადრობის ნებართვის გაცემაზე იმ ლტოლვილისთვის, რომელზეც ვრცელდება QD-ის (ახალი რედაქციით) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი (თუ ამ წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოება საფრთხეშია ან პირს, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე, ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და იგი წარმოადგენს საფრთხეს ამ წევრი სახელმწიფოს საზოგადოებისთვის).

⁽⁶⁵²⁾ CJEU, 2015 წ., „HT“, op. cit., fn. 637, პუნქტები 71-72.

⁽⁶⁵³⁾ იქვე., პუნქტი 95 (დამატებულია ხაზგასმა).



შემდგომში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განხილვა განაგრძო იმით, რომ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ეხება მხოლოდ ლტოლვილისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმას და ამ ბინადრობის ნებართვის გაუქმებას და არა აღნიშნული ლტოლვილის გაძევებას.⁽⁶⁵⁴⁾ ბინადრობის ნებართვის გაუქმება, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არ იწვევს ლტოლვილის სტატუსის გაუქმებას⁽⁶⁵⁵⁾.

მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მიხედვით, საერთაშორისო დაცვით სარგებლობისთვის არ არსებობს ვალდებულება ბინადრობის ნებართვის მოთხოვნასთან დაკავშირებით, QD-ის (ახალი რედაქციით) საფუძველზე წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მოითხოვონ ბინადრობის ნებართვის წარდგენა გარკვეული შეღავათებით სარგებლობისთვის. საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-40 პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-40 პუნქტი

საერთაშორისო ვალდებულებებით დადგენილ ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და ოჯახის გაერთიანების უფლებაზე ხელმისაწვდომობისთვის შეღავათების მინიჭება მოითხოვს ბინადრობის ნებართვის წინასწარ გაცემას⁽⁶⁵⁶⁾.

ზოგიერთი წევრი სახელმწიფო იყენებს ამ უფლებას და ითვალისწინებს, რომ მიუხედავად მისი დეკლარაციული ხასიათისა, პირის ლტოლვილად აღიარება ავტომატურად არ ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსიდან გამომდინარე ყველა უფლების გამოყენებას.⁽⁶⁵⁷⁾

⁽⁶⁵⁴⁾ როგორც ზემოთ აღინიშნა, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ეხება QD-ის (ახალი რედაქციით) 21-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის ძირითადი დებულებებიც მოცემულია სქოლიოში. 651, რომელიც მოცემულია ზემოთ.

⁽⁶⁵⁵⁾ CJEU, 2015 წ., „HT“, op. cit., fn. 637, პუნქტები 73-74. იხ. ასევე CJEU (GC), 2019 წ., „M, X and X“, op. cit., fn. 30, პუნქტები 96-99.

⁽⁶⁵⁶⁾ საკვალიფიკაციო დირექტივასთან (QD) დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებში, ლტოლვილთა და დევნილთა ევროპულმა საბჭომ (ECRE) გამოხატა შემოთავაზებული აღნიშნული დათქმის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვა არსებითად არის მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირი აღიარებულია ლტოლვილად ან სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირად და რომ ნებისმიერი მათზე მიბმული უფლება წარმოიშობა სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და ეს არ არის დამოკიდებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ლტოლვილთა და დევნილთა ევროპული საბჭო (ECRE), ლტოლვილთა და დევნილთა ევროპული საბჭოს (ECRE) ევროკავშირის საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენი 2004 წ. 29 აპრილის # 2004/83/EC დირექტივის შესახებ, რომელიც ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ლტოლვილად ან სხვაგვარად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირად კვალიფიცირებისა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების, ასევე, მინიჭებული დაცვის მინარსის განსაზღვრის მინიმალური სტანდარტების შესახებ, 2004 წლის ოქტომბერი, გვ.14-15.

⁽⁶⁵⁷⁾ ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლოს (BVerwG) (გერმანია) 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება # [1 C 4.13](#), BVerwG:2014:130214U1C4.13.0, პუნქტი 15.



3.1.2. ლტოლვილის ოჯახის წევრები, ვინც ლტოლვილის სტატუსით დამოუკიდებლად ვერ ისარგებლებენ (მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი და 23-ე მუხლი)

ეს ნაწილი ეხება ორ საკითხს: ლტოლვილის ოჯახის იმ წევრების წარმოებულ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხს, ვინც ლტოლვილის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს დამოუკიდებლად ვერ აკმაყოფილებენ და ოჯახის გაერთიანების ცნებას. მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი და 23-ე მუხლი წარმოადგენს საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) ორ ძირითად რელევანტურ დებულებას.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი შემდეგი სახით განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს ლტოლვილის ოჯახის წევრად.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი

„ოჯახის წევრები“ ნიშნავს, თუ ოჯახი უკვე არსებობდა წარმოშობის ქვეყანაში, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) ოჯახის შემდეგ წევრებს, რომლებიც იმყოფებიან იმავე წევრ სახელმწიფოში საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შეტანასთან დაკავშირებით:

- საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის მეუღლე ან მასთან სტაბილურ ურთიერთობაში მყოფი დაუქორწინებელი პარტნიორი, როდესაც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ან წესები დაუქორწინებელ წყვილებს ისე ეპყრობა, როგორც დაქორწინებულ წყვილებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული ამ ქვეყნის კანონის შესაბამისად,
- პირველ აბზაცში მოხსენიებული წყვილების ან საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) არასრულწლოვანი შვილები იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან დაქორწინებულები და იმის მიუხედავად, დაიბადნენ თუ არა ისინი ქორწინებაში ან არიან თუ არა ისინი ნაშვილები, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით,
- მამა, დედა ან სხვა ზრდასრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე, შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონით თუ წესებით, თუ ეს პირი არის არასრულწლოვანი და დაუქორწინებელი;

23-ე მუხლი განსაზღვრავს შემდეგს:



საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის 23-ე პუნქტი

ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ოჯახის ერთიანობის შენარჩუნებას.
2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) ოჯახის წევრებს, რომლებიც ინდივიდუალურად ვერ აკმაყოფილებენ ასეთი დაცვის უფლების მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, უფლება აქვთ მოითხოვონ 24-დან 35-მდე მუხლებში მითითებული შეღავათები ეროვნული პროცედურების შესაბამისად, თუ ეს თავსებადია შესაბამისი ოჯახის წევრის პერსონალურ სამართლებრივ სტატუსთან.
3. პირველი და მე-2 პუნქტები არ გამოიყენება, როდესაც ოჯახის წევრი გამორიცხულია ან შეიძლება გამოირიცხოს საერთაშორისო დაცვიდან III და V თავების შესაბამისად.
4. პირველი და მე-2 პუნქტების მიუხედავად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უარი თქვან, შეამცირონ ან გააუქმონ ამ პუნქტებში მითითებული შეღავათები ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე.
5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ ეს მუხლი ასევე გავრცელდეს სხვა ახლო ნათესავებზეც, რომლებიც წარმოშობის ქვეყნიდან გამოსვლის დროს ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდნენ და რომლებიც იმ დროს მთლიანად ან ძირითადად დამოკიდებულნი იყვნენ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე.

3.1.2.1. წარმოებული სტატუსი

პირის ლტოლვილად აღიარებას გავლენა აქვს იმ ოჯახის წევრებზე, რომლებიც იმყოფებიან იმავე წევრ სახელმწიფოში, რომელშიც იმყოფება ეს პირი, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მუხლის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის მნიშვნელობით.

საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) არ ითვალისწინებს ავტომატურად წარმოებულ სტატუსს (ძირითადი განმცხადებლის სტატუსის იდენტურ სტატუსს), როგორც კომისიამ შესთავაზა პირველადი საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) შემთხვევაში. როგორც საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) შედგენის ისტორიიდან ჩანს, ევროკომისიის საკანონმდებლო წინადადება მოიცავდა განსხვავებულ დათქმას მე-6 მუხლის სამუშაო ვერსიაში. ამის შედეგად, საერთაშორისო დაცვაზე უფლება გავრცელდა თანმხლებ ოჯახის წევრებზეც, რამაც უზრუნველყო იმის გარანტია, რომ მათ ჰქონდათ იგივე სტატუსზე უფლება, როგორც საერთაშორისო დაცვის მაძიებელს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც გამორიცხული იყვნენ საერთაშორისო დაცვიდან. ამ დათქმის სამუშაო ვერსიამ „ცხადყო, რომ დამოკიდებულ ოჯახის წევრებს უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ თავშესაფრის მთავარი მაძიებლის თანაბარი სტატუსი და რომ ასეთი უფლება გამომდინარეობდა მხოლოდ



იმ ფაქტიდან, რომ ისინი ოჯახის წევრები იყვნენ“⁽⁶⁵⁸⁾. თუმცა, ეს წინადადება არ იქნა მიღებული. პრაქტიკაში, ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყანა მაინც ითვალისწინებს სტატუსს ლტოლვილთა ოჯახის წევრებისთვის⁽⁶⁵⁹⁾.

ის, რომ საკვალიფიკაციო წინადადება (QD) (ახალი რედაქციით) არ ითვალისწინებს ავტომატურ წარმოებულ სტატუსს, დაადასტურა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „აჰმედბეკოვა“ (Ahmedbekova)⁽⁶⁶⁰⁾. საქმე ეხებოდა ბავშვებიან ოჯახს, რომელმაც მოითხოვა საერთაშორისო დაცვა და საკითხს, შეიძლება თუ არა საერთაშორისო დაცვა გავრცელდეს აღიარებული სტატუსის მქონე ლტოლვილის ოჯახის წევრებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ლტოლვილად კვალიფიცირებისთვის განმცხადებელს უნდა ჰქონდეს „პიროვნული დევნის საფუძვლიანი შიში“ და, შესაბამისად, „საერთაშორისო დაცვაზე განცხადება, როგორც ასეთი, არ შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ მოტივით, რომ განმცხადებლის ოჯახის ერთ-ერთ წევრს გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში ან სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ იმყოფება“. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „აჰმედბეკოვა“ (Ahmedbekova) დაასკვნა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მიხედვით, წევრ სახელმწიფოს შეუძლია:

ოჯახის წევრისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებისას... ამ დაცვის ფარგლების გავრცელება ოჯახის სხვა წევრებზე, იმ პირობით, თუ ისინი არ მოექცევიან სტატუსიდან გამორიცხვის საფუძვლის ფარგლებში... და თუ მათი მდგომარეობა, ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების საჭიროების გამო, შეესაბამება საერთაშორისო დაცვის დასაბუთებულ საფუძველს⁽⁶⁶¹⁾.

სულ ახლახანს, საქმეში „LW“, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) არ ითვალისწინებს ავტომატურ წარმოებულ სტატუსს, არამედ მან დაადგინა, რომ QD-ის (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლი, წაკითხული 23-ე მუხლის მე-2 პუნქტთან ერთად, წევრ სახელმწიფოებს აძლევს უფლებას, სხვა ხელსაყრელი ეროვნული დებულებების მიხედვით, წარმოებული უფლების სახით, გასცენ ლტოლვილის სტატუსი მესამე ქვეყნის იმ მოქალაქის არასრულწლოვანი შვილისთვის, რომელიც აღიარებულია ამ სტატუსის მქონედ ამ დირექტივით დადგენილი სისტემის მიხედვით. ასეთი დებულებები შეიძლება გავრცელდეს ისეთ სიტუაციაზე, როდესაც:

ბავშვი, რომელიც დაიბადა ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და, ამ ბავშვის მეორე მშობლის მეშვეობით, აქვს სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც მას არ დაემუქრება დევნის საფრთხე, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს არ დაიჭერენ სტატუსიდან გამორიცხვის საფუძვლით ... და თუ ბავშვს, თავისი ეროვნების ან მისი პირადი იურიდიული სტატუსისთვის დამახასიათებელი სხვა ელემენტის გამო, არ ექნება

⁽⁶⁵⁸⁾ ევროკომისია, „საკანონმდებლოს წინადადება საკვალიფიკაციო დირექტივის შესახებ (QD): განმარტებითი მემორანდუმი“, 2001 წ., op. cit., fn. 266, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი (დამატებულია ხაზგასმა).

⁽⁶⁵⁹⁾ მაგ., ჩხენთი ლტოლვილის ოჯახის წევრებს ანიჭებს სტატუსს „თავშესაფარი ოჯახური მიზეზების გამო“, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (აქტი # 325/1999, მე-13 მუხლი); სლოვაკეთი კონკრეტულ პირობებში ანიჭებს ლტოლვილის წარმოებულ სტატუსს (თავშესაფარს) იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ლტოლვილთა სტატუსი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის საფუძველზე (სლოვაკეთის კანონი თავშესაფარის შესახებ (აქტი # 480/2002, მე-10 მუხლი)).

⁽⁶⁶⁰⁾ CJEU, 2018 წ., „Ahmedbekova“, op. cit., fn. 66, პუნქტი 68.

⁽⁶⁶¹⁾ Ibid., პუნქტი 74.



უფლება მოეპყრან ამ წევრ სახელმწიფოში იმაზე უკეთესად, ვიდრე იმ სახელმწიფოში, რომელშიც ის აღმოჩნდება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შედეგად⁽⁶⁶²⁾.

სასამართლომ დაამატა, რომ „ამ კუთხით არ იყო რელევანტური იმაში დარწმუნება, იყო თუ არა შესაძლებელი და გონივრულად მისაღები ბავშვისა და ბავშვის მშობლებისთვის სხვა მესამე ქვეყანაში გადასვლა“.⁽⁶⁶³⁾

მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება (23-ე მუხლის პირველი პუნქტი), ის უფლებას აძლევს მათ, მიანიჭონ განსხვავებული სტატუსი ლტოლვილის ოჯახის წევრებს, რომლებიც ცალ-ცალკე ვერ იქნებიან კვალიფიცირებული საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირებად. მაგრამ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მათ მაინც აქვთ უფლება მოითხოვონ შეღავათები, რომელიც მითითებულია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) VII თავის 24-ე - 35-ე მუხლებში.⁽⁶⁶⁴⁾ ეს შეღავათები ეხება სამგზავრო დოკუმენტებს, ბინადრობის ნებართვას და წევრი სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილების თავისუფლებას; სპეციფიკურ ზომებს არასრულწლოვანთათვის თანმხლები პირების გარეშე; დასაქმებაზე, განათლებაზე ხელმისაწვდომობას; პროფესიული კვალიფიკაციის აღიარებას; სოციალურ უზრუნველყოფას; ჯანმრთელობის დაცვას; საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობას; და ოჯახის გაერთიანებას. ასეთი შეღავათების მინიჭება:

მოითხოვს სამი პირობის დაკმაყოფილებას, კერძოდ, პირველი, პირი უნდა იყოს ოჯახის წევრი მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის მნიშვნელობით [საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით)], მეორე, ოჯახის ამ წევრს დამოუკიდებლად არ უნდა ჰქონდეს საერთაშორისო დაცვით სარგებლობის უფლება და, მესამე, იგი თავსებადი იყოს შესაბამისი ოჯახის წევრის პერსონალურ სამართლებრივ სტატუსთან⁽⁶⁶⁵⁾.

23-ე მუხლის მე-2 პუნქტით მოითხოვება, რომ ასეთ შეღავათებთან დაკავშირებული მოთხოვნა:

- გაკეთდეს „ეროვნული პროცედურების შესაბამისად“;
- იყოს „თავსებადი ოჯახის წევრის პერსონალურ სამართლებრივ სტატუსთან“⁽⁶⁶⁶⁾.

მაგალითად, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭომ განიხილა პერსონალური სამართლებრივი სტატუსის თავსებადობის პირობა იმ შემთხვევაში, თუ ლტოლვილის სტატუსი გავრცელდებოდა ბავშვებზე. იმ ბავშვების შემთხვევაში, რომელთა მშობლებს ჰქონდათ ორი განსხვავებული ტიპის სტატუსი და მათი ეროვნება ვერ დგინდებოდა, საბჭომ დაადგინა რომ „ბავშვს უნდა მიენიჭოს ის სტატუსი, რომელიც მისთვის იქნება ყველაზე სარგებლიანი“.⁽⁶⁶⁷⁾ ამ საქმეში გადაწყდა, რომ ყველაზე

⁽⁶⁶²⁾ CJEU (GC), 2021 წ., „LW“, op. cit., fn. 86, პუნქტი 62.

⁽⁶⁶³⁾ Ibid., პუნქტი 62.

⁽⁶⁶⁴⁾ იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) (GC) 2022 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „XXX v Commissaire général aux réfugiés et aux apatrides“, C-483/20, EU:C:2022:103 (შემდგომში - CJEU (GC), 2022 წ., „XXX v CGRA“), 39-ე პუნქტში მიუთითებს CJEU (GC)-ზე, 2021 წ., საქმე „LW“, op. cit., fn. 86, პუნქტი 36 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი.

⁽⁶⁶⁵⁾ CJEU (GC), 2022 წ., „XXX v CGRA“, ibid., პუნქტი 39.

⁽⁶⁶⁶⁾ Ibid., პუნქტები 42-43, რომელშიც გაკეთებულია მითითება CJEU (GC)-ის 2021 წ. საქმეზე „LW“, op. cit., fn. 86, პუნქტი 54.

⁽⁶⁶⁷⁾ Raad voor Vreemdelingenbetwistingen / Conseil du contentieux des étrangers (უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ დავების საბჭო) (RVV/CCE) (ბელგია) 2010 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება # 45.096 და 45.098, თითოეული გადაწყვეტილების პუნქტი 4.7.



სარგებლიანი სტატუსი მათი ლტოლვილი მამის სტატუსი იყო, ამიტომ მათ მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების არ გამოიყენება „როდესაც ოჯახის წევრი გამორიცხულია ან შეიძლება გამორიცხული იყოს საერთაშორისო დაცვიდან...“.

შეღვათების მოთხოვნა ან შეღვათებით სარგებლობა, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, არ არის აბსოლუტური. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უარი თქვან, შეამცირონ ან გააუქმონ შეღვათები, რომელიც მითითებულია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 24-ე - 35-ე მუხლებში ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის მიზნებისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთმა ეროვნულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების უფლება საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც აბსოლუტურად არ არის დაცული, შეიძლება შეიზღუდოს სხვა მიზეზების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაბამება პროპორციულობის პრინციპს (ევროკავშირის ქარტიის მე-7 მუხლი წაკითხული 52-ე მუხლის პირველ პუნქტთან ერთად)⁽⁶⁶⁸⁾.

3.1.2.2. ოჯახის მთლიანობის ცნება (მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი)

დირექტივა განსაზღვრავს „ოჯახის წევრების“ სამ კატეგორიას, როგორც ეს მოცემულია ცხრილში 55.

ცხრილი 23: ოჯახის წევრის ცნება საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად

1	მეუღლე ან სტაბილურ ურთიერთობაში მყოფი მისი დაუქორწინებელი პარტნიორი (როდესაც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ან პრაქტიკა დაუქორწინებელ წყვილებს ისე ექცევა, როგორც დაქორწინებულ წყვილებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული ამ ქვეყნის კანონის შესაბამისად)
2	ზემოთ მოყვანილი წყვილის ან საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილები
3	მამა, დედა ან სხვა ზრდასრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია დაუქორწინებელ არასრულწლოვანზე, რომელიც არის საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირი (არასრულწლოვანი არის მესამე ქვეყნის მოქალაქე ან 18 წლამდე ასაკის მოქალაქეობის არმქონე პირი) ⁽⁶⁶⁹⁾

⁽⁶⁶⁸⁾ იხ., მაგალითად, ადმინისტრაციულ სასამართლოს (Upravno Sodišče) (სლოვენია) 2015 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „ჰასან, I U 362/2015-7“ (*Hassan, I U 362/2015-7*), რომელიც უცვლელად დარჩა უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პროცესის შედეგად, ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარი თქვა სარჩელზე, რომელიც განხილულ იქნა ოჯახის გაერთიანების შესახებ 2003 წლის დირექტივის საფუძველზე, პროპორციულობის პრინციპის გამოყენებით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (ECtHR-ის 2013 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Berisha v Switzerland*“, # 948/12, CE:ECHR:2013:0730JUD000094812, პუნქტი 61; და ECtHR (GC)-ის 2014 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Jeunesse v The Netherlands*“, # 12738/10, CE:ECHR:2014:1003JUD001273810, პუნქტი 121), და „დამოკიდებულების დამატებითი ელემენტის“ სტანდარტებთან დაკავშირებით, („*Berisha v Switzerland*“, პუნქტი 45) და „მჭიდრო პერსონალური კავშირების რეალურ არსებობასთან“ დაკავშირებით, (ECtHR-ის 2011 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*AH Khan v United Kingdom*“, # 6222/10, CE:ECHR:2011:1220JUD000622210, პუნქტი 150), რომელიც აღებულია ECtHR-ის პრეცედენტული სამართლიდან.

⁽⁶⁶⁹⁾ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტი.



ამ განმარტების მიხედვით (რომელიც ავსებს საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) თავდაპირველ ვერსიაში მოცემულ განმარტებას), არასრულწლოვნის მამა, დედა ან სხვა ზრდასრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვზე, განიხილება როგორც „ოჯახის წევრები“. დაუქორწინებელი არასრულწლოვანი ბავშვები წარმოადგენენ ოჯახის წევრებს მიუხედავად იმისა, დაიბადნენ თუ არა ისინი ქორწინებაში და იმის მიუხედავად, იშვილეს თუ არა ისინი, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობაში ⁽⁶⁷⁰⁾. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების შესახებ საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლი ასევე გაავრცელონ სხვა ახლო ნათესავებზეც, რომლებიც წარმოშობის ქვეყნიდან გამოსვლის დროს ოჯახის წევრებად ერთად ცხოვრობდნენ და რომლებიც იმ დროს მთლიანად ან ძირითადად დამოკიდებულნი იყვნენ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე (ბენეფიციარზე) (საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი ⁽⁶⁷¹⁾).

ოჯახის ცნებასთან დაკავშირებით საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი ორი სახის შეზღუდვას ითვალისწინებს, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 56.

ცხრილი 24: ორი სახის შეზღუდვა ოჯახის ცნებასთან დაკავშირებით საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად

1	აუცილებელია ოჯახი უკვე არსებობდეს წარმოშობის ქვეყანაში ⁽⁶⁷²⁾ .
2	ოჯახი უნდა იმყოფებოდეს იმავე წევრ სახელმწიფოში, საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადებასთან მიმართებით.

⁽⁶⁷⁰⁾ საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის მეორე აბზაცი.

⁽⁶⁷¹⁾ ადმინისტრაციულმა სასამართლომ (*Upravno Sodišče*) (სლოვენია) 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებაში (საქმე „Musse, I U 576/2013-7“) (დამატებულია ხაზგასმით) და იმავე თემასთან დაკავშირებულ რამდენიმე სხვა დავაში, გამოიყენა საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტული სამართლისა და საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის ერთმანეთთან შეთანხმების მიზნით. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, ვინ შეიძლება იყოს ოჯახის წევრი, ხოლო პირველი კონკრეტულად არ განმარტავს, თუ რომელი ნათესავებისგან შეიძლება იყოს შემდგარი ოჯახი. (იხი. ECtHR-ის 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Marckx v Belgium*“, # 6833/74, CE:ECHR:1979:0613JUD000683374 (შემდგომში - ECtHR, 1979 წ., „*Marckx v Belgium*“); ECtHR-ის 1994 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Kroon and Others v The Netherlands*“, # 18535/91, CE:ECHR:1994:1027JUD0018535 (შემდგომში - ECtHR, 1994 წ., „*Kroon and Others*“); და ECtHR-ის 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Lebbink v The Netherlands*“, # 45582/99, CE:ECHR:2004:0601JUD00455829). ევროკავშირის კანონმდებლობის ეფექტური და ლოიალური გამოყენების პრინციპზე დაყრდნობით, სლოვენის ადმინისტრაციულმა სასამართლომ უგულებელყო ეროვნული დებულება, რომელიც იძლეოდა ოჯახის წევრის დეფინიციას საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის ვერსიის ტრანსპოზიციის გარეშე, და პირდაპირ გამოიყენა 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი. მოგვიანებით საქმეში, რომელიც იმავე თემას ეხებოდა, საკონსტიტუციო სასამართლომ (2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება # Sp-1056/11-15) დაადასტურა, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც ის ამტკიცებდა, რომ ეროვნული საკანონმდებლო დებულება, რომელიც არ იძლევა ოჯახის გაერთიანების საშუალებას იმ ნათესავების შემთხვევაში, რომლებიც პირდაპირ არ არიან ნახსენები საერთაშორისო დაცვის შესახებ აქტში, ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 მუხლს.

⁽⁶⁷²⁾ საკვალიფიკაციო ღირექტის (QD) (ახალი რედაქციით) ტექსტი განსხვავდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადებებისაგან, რომლებიც მხარს უჭერდნენ იმ შეზღუდვის აღმოფხვრას, რომ ოჯახი უკვე უნდა არსებობდეს წარმოშობის ქვეყანაში. იხ., ლტოლვილთა და დევნილთა ევროპული საბჭო (ECRE), „*ECRE-ს საინფორმაციო ბიულეტენი ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის # 2011/95/ EU ღირექტის შესახებ, რომელიც ეხება შესაძლებელია მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის უფლების მქონე პირად კვალიფიცირების, ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონე პირის სტატუსის უნიფიცირებისა და მინიჭებული დაცვის შინაარსის განსაზღვრის სტანდარტების შესახებ (ახალი რედაქციით)*“ 2013 წლის ოქტომბერი, გვ.4.





ზემოთ მოცემული ცხრილის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „XXXX v Commissaire général aux réfugiés et aux apatrides“ განმარტა, რომ:

... ის ფაქტი, რომ მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილი მიგრაციაში სხვადასხვა გზას გადიოდნენ იმ წევრ სახელმწიფოში გაერთიანებამდე, სადაც ბავშვი სარგებლობს საერთაშორისო დაცვით, ხელს არ უშლის მშობელს, მიჩნეულ იქნეს ამ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლის ოჯახის წევრად, მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის [საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით)] კონტექსტში იმ შემთხვევაში, თუ ეს მშობელი იმყოფებოდა ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი შვილის საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე....⁽⁶⁷³⁾.

ამრიგად, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ოჯახის წევრებზე, რომლებიც არ იმყოფებიან იმავე წევრ სახელმწიფოში, სადაც საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირი იმყოფება. თუ ოჯახის წევრები სხვა სახელმწიფოში იმყოფებიან, **ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ 2003 წლის დირექტივის მიხედვით**,⁽⁶⁷⁴⁾ ლტოლვილის ოჯახის წევრებს - მაგრამ არა სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირის ოჯახის წევრებს (როგორც აღნიშნულია ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში - რომლებიც იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში, შეიძლება მიეცეთ იმ წევრ სახელმწიფოში მყოფ ლტოლვილთან ერთად ცხოვრების უფლება, სადაც მოხდა ამ უკანასკნელის ლტოლვილად აღიარება.

ორი დამატებითი პირობა ვრცელდება ოჯახის წევრებზე, რომლებიც არ არიან ქორწინებაში:

- მათი ურთიერთობა უნდა იყოს სტაბილური;
- წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ან წესები დაუქორწინებელ წყვილებს ისე უნდა მოეპყრას, როგორც დაქორწინებულ წყვილებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული მისი კანონმდებლობის შესაბამისად.

სტაბილურ ურთიერთობაში მყოფი დაქორწინებული და დაუქორწინებელი წყვილების მიმართ თანაბარი მოპყრობა ამჟამად მოქმედებს ბელგიაში, ბულგარეთში, ფინეთში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ნიდერლანდებში, პორტუგალიაში, ესპანეთში, შვედეთსა და დიდ ბრიტანეთში, მათ შორის, მაგრამ არა ავსტრიაში, ესტონეთში, გერმანიაში, იტალიაში, პოლონეთში, რუმინეთში ან სლოვაკეთში⁽⁶⁷⁵⁾.

ნებისმიერი სხვაობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ოჯახის ცნებებს შორის ევროკავშირის კანონქვემდებარე აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით,

⁽⁶⁷³⁾ CJEU (GC), 2022 წ. საქმე „XXXX v CGRA“, op. cit., fn. 664, პუნქტი 40, რომელშიც გაკეთებულია მითითება CJEU-ის 2021 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეში „Bundesrepublik Deutschland (Family member“, C-768/19, EU:C:2021:709, პუნქტები 15-16, 51 და 54.

⁽⁶⁷⁴⁾ ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის 2003/86/EC # დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ, [2003 წ.] OJ L 251/12.

⁽⁶⁷⁵⁾ დორიგი, ჰ. (Dörig, H.), „#2011/95 დირექტივის მე-2 მუხლის კომენტარი“, პუნქტი 20, ჰაილბრონერი (Hailbronner) და თიმი (Thym) (რედ.), „ევროკავშირის თავმუსაფრისა და იმიგრაციის შესახებ კანონი: კომენტარი“, op. cit., fn. 186; და ნიკოლსონი, ფ. (Nicholson, F.), „ოჯახის ერთიანობის კონტექსტში საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე ლტოლვილთა და სხვათა „არსებითი უფლება“ ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებით“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) სამეცნიერო სტატია, 2018 წლის იანვარი, გვ. 164-165. იხ. აგრეთვე ჩუდრი, ს. (Choudhry, C.), „კომენტარი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ქარტიის მე-7 მუხლთან დაკავშირებით“, პირსი, ს. (Peers, S.), ჰერვი, ტ. (Hervey, T.), კენერი, ჯ. (Kenner, J.) და უარდი, ა. (Ward, A.) (რედ.), „ევროკავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ: კომენტარი“, Hart, Oxford, 2014 წ., გვ. 209-210, სადაც აღნიშნულია, რომ ქორწინებას ევროკავშირი კვლავ პრივილეგირებულ სტატუსს ანიჭებს.



შეიძლება ეფექტურად დარეგულირდეს საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის დისკრეციული უფლების შესახებ დათქმის გამოყენებით. ის განსაზღვრავს შემდეგს.

საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ ეს მუხლი ასევე გავრცელდეს სხვა ახლო ნათესავებზეც, რომლებიც წარმოშობის ქვეყნიდან გამოსვლის დროს ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდნენ და რომლებიც იმ დროს მთლიანად ან ძირითადად დამოკიდებულნი იყვნენ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) აღიარებს ურთიერთობის სხვადასხვა ტიპს, რომელიც წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას⁽⁶⁷⁶⁾, როგორც ეს ილუსტრირებულია ცხრილში 57.

ცხრილი 25: იმ ურთიერთობების მაგალითები, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) მიერ ასევე აღიარებულია ოჯახურ ცხოვრებად

1	განქორწინებული მშობლები და მათი შვილი (შვილები), მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ⁽⁶⁷⁷⁾
2	მშობლები და ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები ⁽⁶⁷⁸⁾
3	სტაბილურ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ერთსქესიანი წყვილები ⁽⁶⁷⁹⁾
4	არასრულწლოვანი ბავშვი და მისი აღმზრდელი ⁽⁶⁸⁰⁾
5	დაუქორწინებელი წყვილები და წყვილები, რომელთა ქორწინებაც არ არის აღიარებული ⁽⁶⁸¹⁾

⁽⁶⁷⁶⁾ იხ. ნიკოლსონი, ფ. (Nicholson, F.), „საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე ლტოლვილებისა და სხვების უფლება ოჯახურ ცხოვრებაზე და ოჯახის გაერთიანებაზე და განსაზღვრება, რომელიც გამოიყენება ოჯახის მიმართ“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) სამეცნიერო ჟურნალი, 2018 წლის იანვარი, ნაწილი 3, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) (და სხვა რეგიონული სასამართლოების) პრეცედენტული სამართლის ანალიზისთვის იმ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც აღიარებულია ოჯახურ ცხოვრებად.

⁽⁶⁷⁷⁾ ECtHR-ის 1988 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Berrehab v the Netherlands“, # 10730/84, CE:ECHR:1988:0621JUD001073084.

⁽⁶⁷⁸⁾ ECtHR, 1979 წ., „Marckx v Belgium“, op. cit., fn. 671. საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი „ოჯახის წევრის“ დეფინიციის უკვე ითვალისწინებს დაუქორწინებელ არასრულწლოვნებს „მიუხედავად იმისა, დაიბადნენ თუ არა ქორწინებაში ან არიან თუ არა ნაშვილები, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით“.

⁽⁶⁷⁹⁾ ECtHR (GC)-ის 1997 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „X, Y and Z v United Kingdom“, # 21830/93, CE:ECHR:1997:0422JUD002183093 (შემდგომში - ECtHR (GC), 1997 წ., „X, Y and Z v United Kingdom“); ECtHR-ის 2010 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Schalk and Kopf v Austria“, # 30141/04, CE:ECHR:2010:0624JUD003014104, პუნქტები 92-94; ECtHR-ის 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „PB and JS v Austria“, # 18984/02, CE:ECHR:2010:0722JUD001898402, პუნქტი 30; და ECtHR (GC)-ის 2013 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „X and Others v Austria“, # 19010/07, CE:ECHR:2013:0219JUD001901007, პუნქტი 9.

⁽⁶⁸⁰⁾ ECtHR (GC)-ის 2001 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „K and T v Finland“, # 25702/94, CE:ECHR:2001:0712JUD002570294.

⁽⁶⁸¹⁾ იხ., მაგალითად, ECtHR, „Marckx v Belgium“, op. cit., fn. 671, პუნქტი 31; ECtHR-ის 1994 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „Keegan v Ireland“, # 16969/90, CE:ECHR:1994:0526JUD001696990, პუნქტი 44; ECtHR, 1994 წ., „Kroon and Others“, op. cit., fn. 671, პუნქტი 30; ECtHR (GC), 1997 წ., „X, Y and Z v United Kingdom“, op. cit., fn. 679, პუნქტი 36; და ECtHR-ის 2015 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ZH and RH v Switzerland“, # 60119/12, CE:ECHR:2015:1208JUD006011912 (შემდგომში - ECtHR, 2015 წ., „ZH and RH v Switzerland“), პუნქტი 42.





6	ნაშვილები და მინდობით აღსაზრდელები, თუ აღმოჩნდა, რომ არსებობს დე ფაქტო ოჯახური ცხოვრება ⁽⁶⁸²⁾
7	მშობლები და ზრდასრული შვილები, სადაც შეიძლება გამოვლინდეს დამოკიდებულების დამატებითი ელემენტები ⁽⁶⁸³⁾

ოჯახური კავშირების დემონსტრირების მტკიცებულებათა მიმართ მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული ამ სასამართლო ანალიზში. ისინი გათვალისწინებულია თავშესაფრის მაძიებელთა მხარდაჭერის ევროპულ ბიუროს (EASO) დოკუმენტში „მტკიცებულებებისა და სანდოობის შეფასება თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის კონტექსტში – სასამართლო ანალიზი“, ნაწილი 5.4.⁽⁶⁸⁴⁾

3.2. სუბსიდიარული დაცვის სტატუსი

ნაწილი 3.2 მოიცავს სამ ქვენაწილს, როგორც ნაჩვენებია ცხრილში 58.

ცხრილი 26: ნაწილის 3.2 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
3.2.1	სუბსიდიარული დაცვის სტატუსი (მუხლი 18)	189
3.2.2	სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციართა ოჯახის წევრები, ვინც სუბსიდიარული დაცვით დამოუკიდებლად ვერ ისარგებლებენ (23-ე მუხლი და მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი)	192

3.2.1. სუბსიდიარული დაცვის სტატუსი (მუხლი 18)

საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით) მე-18 მუხლით განსაზღვრულია შემდეგი.

⁽⁶⁸²⁾ ECtHR-ის 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „Moretti et Benedetti c Italy“, # 16318/07, CE:ECHR:2010:0427JUD001631807, პუნქტი 48; ECtHR-ის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „Kopf and Liberda v Austria“, # 1598/06, CE:ECHR:2012:0117JUD000159806, პუნქტი 37; ECtHR-ის 2004 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Pini and Others v Romania“, # 78028/01 და # 78030/01, CE:ECHR:2004:0622JUD007802801, პუნქტები 143–148; და ECtHR-ის 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Topčić-Rosenberg v Croatia“, # 19391/11, CE:ECHR:2013:1114JUD001939111, პუნქტი 38.

⁽⁶⁸³⁾ ECtHR-ის 2011 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „AA v United Kingdom“, # 8000/08, CE:ECHR:2011:0920JUD000800008; ECtHR (GC)-ის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Maslov v Austria“, # 1638/03, CE:ECHR:2008:0623JUD000163803; ECtHR-ის 2000 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Kwakye-Nti et Dufie c Pays Bas“, # 31519/96, CE:ECHR:2000:1107DEC003151996; ECtHR-ის 2001 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „Ezzouhdi c France“, # 47160/99, CE:ECHR:2001:0213JUD004716099, პუნქტი 34; ECtHR (GC)-ის 2003 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Slivenko v Latvia“, # 48321/99, CE:ECHR:2003:1009JUD004832199, პუნქტი 97; ECtHR-ის 2000 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „AW Khan v United Kingdom“, # 35394/97, CE:ECHR:2000:0512JUD003539497, პუნქტი 32; ECtHR-ის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „AS v Switzerland“, # 39350/13, CE:ECHR:2015:0630JUD003935013; და ECtHR, 2015 წ., „ZH and RH v Switzerland“, op. cit., fn. 681. თუმცა ასეთი ურთიერთობები შეიძლება მოხვდეს „პირად ცხოვრების“ ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

⁽⁶⁸⁴⁾ EASO, „მტკიცებულებებისა და სანდოობის შეფასება – პრევენციული სამართლის ანალიზი“, op. cit., fn. 20.



საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით) მე-18 მუხლი

სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მინიჭება

წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ სუბსიდიარული დაცვის სტატუსს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც აქვს უფლება, მოითხოვოს სუბსიდიარული დაცვა II და V თავების შესაბამისად.

ნაწილი 3.2.1 მოიცავს ორ ქვენაწილს, როგორც ნაჩვენებია ცხრილში 59.

ცხრილი 27: ნაწილის 3.2.1 სტრუქტურა

ნაწილი	სათაური	გვერდი
3.2.1.1	სუბსიდიარული დაცვის სტატუსის დეფინიცია	189
3.2.1.2	სუბსიდიარული დაცვის სტატუსი, ბინადრობის უფლება და საერთაშორისო დაცვა	190

3.2.1.1. სუბსიდიარული დაცვის სტატუსის დეფინიცია

საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით) მე-18 მუხლი აწესებს ვალდებულებას წევრი სახელმწიფოების მიმართ, მიანიჭონ სუბსიდიარული დაცვის სტატუსი მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც აქვს უფლება, მოითხოვოს სუბსიდიარული დაცვა QD-ის (ახალი რედაქციით) II და V თავების შესაბამისად.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) იხსენებს, რომ „რადგან მიღებულ იქნა [საკვალიფიკაციო დირექტვა (QD) (ახალი რედაქციით)], კერძოდ, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, მისი მეშვეობით მოითხოვება, სხვებთან ერთად, სუბსიდიარული დაცვის უნიფიცირებული სისტემის შექმნა“⁽⁶⁸⁵⁾.

საქმეში „ტორუბანოვი“ (*Torubarov*), ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადასტურა, რომ თუ პირი კვალიფიცირებულია ლტოლვილად ან სუბსიდიარული დაცვის უფლების მქონე პირად, წევრ სახელმწიფოებს „მოეთხოვებათ, ამ დირექტივით გათვალისწინებული გამორიცხვის საფუძვლების გათვალისწინებით, მიანიჭონ მოთხოვნილი საერთაშორისო სტატუსი, რადგან ეს წევრი სახელმწიფოები ამ მიმართულებით არ სარგებლობენ დისკრეციული უფლებამოსილებით“⁽⁶⁸⁶⁾. საქმეში „ბილალი“ (*Bilali*) სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეს წინააღმდეგობაში მოვა [საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით)] საერთო სქემასა და მიზნებთან, რაც გამოიხატება მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის ლტოლვილის და სუბსიდიარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაში ისეთ ვითარების არსებობისას, რომელსაც არ აქვს კავშირი საერთაშორისო დაცვის საფუძვლებთან“⁽⁶⁸⁷⁾.

გენერალური პროკურორი ჰოგანი [Hogan] აღნიშნავს, რომ „[საკვალიფიკაციო დირექტვის (QD) (ახალი რედაქციით)] პრეამბულის 21-ე პუნქტში ნათქვამია, რომ ლტოლვილის

⁽⁶⁸⁵⁾ CJEU, 2019 წ., „*Bilali*“, op. cit., fn. 117, პუნქტი 35.

⁽⁶⁸⁶⁾ CJEU (GC)-ის 2019 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „*Alekszj Torubarov v Bevándorlási és Menekültügyi Hivatal*“, C-556/17, EU:C:2019:626, პუნქტები 49-50. იხ. ასევე CJEU, 2019 წ., „*Bilali*“, op. cit., fn. 117, პუნქტი 36.

⁽⁶⁸⁷⁾ CJEU, 2019 წ., „*Bilali*“, op. cit., fn. 117, პუნქტი 44.





სტატუსის აღიარება არის დეკლარაციული აქტი“, მაგრამ მსგავსი პრეამბულის პუნქტი არ არსებობს „[QD-ში (ახალი რედაქციით)] სუბსიდიარულ დაცვასთან დაკავშირებით“. ⁽⁶⁸⁸⁾.

APD-ის (ახალი რედაქციით) 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სტატუსის მიმნიჭებელი ორგანოს მიერ სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლების მქონედ აღიარებულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება პირველი პუნქტის შესაბამისად იმ გადაწყვეტილების საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც განცხადება ლტოლვილის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული“. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი ის არის, რომ „წევრი სახელმწიფოს მიერ მიანიჭებული სუბსიდიარული დაცვის სტატუსი მოიცავს იმავე უფლებებსა და შეღავათებს, როგორსაც გვთავაზობს ლტოლვილის სტატუსი, კავშირისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად“. ⁽⁶⁸⁹⁾. სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების გამოყენების უფლებიდან გადახვევა უნდა ჩაითვალოს კანონიერად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ მიანიჭებული სუბსიდიარული დაცვის სტატუსით შემოთავაზებული უფლებები და შეღავათები ნამდვილად იდენტურია ლტოლვილის სტატუსით შემოთავაზებული უფლებებისა და შეღავათებისა, კავშირის კანონმდებლობისა და მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად⁽⁶⁹⁰⁾.

ლტოლვილის სტატუსის მსგავსად, სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მიანიჭება ხდება მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ პირს უფლება აქვს მოითხოვოს სუბსიდიარული დაცვა. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ EASO, „საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მიანიჭებული სტატუსის შეწყვეტა – პრეცედენტული სამართლის ანალიზი“, მე-2 გამოცემა, 2021 წ., ნაწილი 6.

3.2.1.2. სუბსიდიარული დაცვის სტატუსი, ბინადრობის უფლება და საერთაშორისო დაცვა

პირებს, ვისაც ენიჭებათ სუბსიდიარული დაცვის სტატუსი, სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით, როგორც ეს მითითებულია [საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) VII თავში (საერთაშორისო დაცვის შინაარსი)].

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი.

⁽⁶⁸⁸⁾ CJEU, გენერალური პროკურორის ჰოგანის [Hogan] 2021 წლის 25 მაისის მოსაზრება საქმეზე „Bundesrepublik Deutschland v SE; joined parties: Vertreter des Bundesinteresses beim Bundesverwaltungsgericht“, C-768/19, EU:C:2021:247, პუნქტი 66. ეს საქმე ეხება სრულწლოვანი პირის მიერ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მიღების უფლებას, როგორც იმ მშობლის მიერ, რომელიც წარმოადგენს დაუქორწინებელი არასრულწლოვნის სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე მშობელს. იხ. ასევე პუნქტები 69 და 78.

⁽⁶⁸⁹⁾ CJEU, 2019 წ., „Bilali“, op. cit., fn. 117, პუნქტი 55.

⁽⁶⁹⁰⁾ CJEU-ის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „EG v Slovenia“, C-662/17, EU:C:2018:847, პუნქტი 50.



საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებისთანავე, წევრი სახელმწიფოები სუბსიდიარული დაცვის სტატუსით მოსარგებლე პირებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის გასცემენ ბინადრობის განახლებად ნებართვას, რომელიც ძალაში უნდა იყოს მინიმუმ 1 წლის განმავლობაში, ხოლო განახლების შემთხვევაში, მინიმუმ 2 წლის განმავლობაში, თუ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისთვის საფუძვლიანი მიზეზები სხვაგვარად არ მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მიხედვით არ არსებობს ბინადრობის ნებართვის მოთხოვნის ვალდებულება საერთაშორისო დაცვით სარგებლობისთვის, წევრ სახელმწიფოებს აქვთ დისკრეციული უფლება, მიანიჭონ შეღავათები დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის და ოჯახის გაერთიანების უფლების ხელმისაწვდომობის კუთხით იმ პირობით, თუ ბინადრობის ნებართვა წინასწარ იქნება გაცემული. ეს დასტურდება საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-40 პუნქტით და შესაბამისი მუხლებით ⁽⁶⁹¹⁾. საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-40 პუნქტი განსაზღვრავს შემდეგს.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-40 პუნქტი

საერთაშორისო ვალდებულებებით დადგენილ ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და ოჯახის გაერთიანების უფლებაზე ხელმისაწვდომობისთვის შეღავათების მინიჭება მოითხოვს ბინადრობის ნებართვის წინასწარ გაცემას.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ჯერ არ გამოუხატავს აზრი, თუ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს სუბსიდიარული დაცვის სტატუსს, ბინადრობის ნებართვასა და სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირების უფლებებს შორის. რაც შეეხება ლტოლვილის სტატუსს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „HT“ დაადგინა, რომ „ლტოლვილი, რომლის ბინადრობის ნებართვა გაუქმებულია [საკვალიფიკაციო დირექტივის (QD)] 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ინარჩუნებს ლტოლვილის სტატუსს მინიმუმ მანამ, სანამ ეს სტატუსი რეალურად არ დასრულდება“ და მას რჩება იმ შეღავათებით სარგებლობის უფლება, რომლებიც მოცემულია VII თავში. თუმცა, ეს ვალდებულება გამომდინარეობს საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-14 მუხლის მე-6 პუნქტიდან, რომლის მიხედვითაც ლტოლვილს, რომელსაც სტატუსი გაუქმდა კონკრეტული მიზეზების გამო, უფლება აქვს ისარგებლოს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 32-ე და 33-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებებით ⁽⁶⁹²⁾. მსგავსი დებულება არ არსებობს საკვალიფიკაციო

⁽⁶⁹¹⁾ იხ. საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ბინადრობის ნებართვები), 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი (სამგზავრო დოკუმენტები) და 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი (სოციალური უზრუნველყოფა).

⁽⁶⁹²⁾ CJEU, 2015 წ., „HT“, op. cit., fn. 637, პუნქტი 71. იხ., ზოგადად, ნაწილი 3.1.1.3.





დირექტივაში (QD) (ახალი რედაქციით) სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირებთან მიმართებით. ⁽⁶⁹³⁾.

3.2.2. სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციართა ოჯახის წევრები, ვინც სუბსიდიარული დაცვით დამოუკიდებლად ვერ ისარგებლებენ (23-ე მუხლი და მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი)

რაც შეეხება ლტოლვილებს, საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) არ იძლევა იგივე სტატუსის გარანტიას სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირთა ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ისარგებლობენ სუბსიდიარული დაცვით ⁽⁶⁹⁴⁾. საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი მაინც უზრუნველყოფს, რომ სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირების ოჯახის წევრებმა, QD-ის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის მნიშვნელობით, რომლებიც დამოუკიდებლად აკმაყოფილებენ საერთაშორისო დაცვისთვის საჭირო კრიტერიუმებს, მიიღონ QD -ის (ახალი რედაქციით) VII თავის 24-ე - 35-ე მუხლებში მითითებული შეღავათები. 23-ე მუხლის სრული ტექსტი მოცემულია [ნაწილში 3.1.2](#) ზემოთ.

ოჯახის წევრების განსაზღვრება, რომელიც მითითებულია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „კ“ პუნქტში (სრულად წარმოდგენილია [ნაწილში 3.1.2](#), იხ. ზემოთ), შეესაბამება განსაზღვრებას იმ პირებისას, რომლებსაც მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი და იმ პირებისას, ვისაც მიენიჭათ სუბსიდიარული დაცვის სტატუსი.

როგორც ლტოლვილების შემთხვევაში, შეღავათები, რომლებითაც ისარგებლობენ სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირის ოჯახის წევრები, ენიჭება მხოლოდ მათ, ვინც უკვე იმყოფება იმავე წევრ სახელმწიფოში, სადაც იმყოფება სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირი. ოჯახის წევრები, რომლებიც იმყოფებიან იმ წევრი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, სადაც ცხოვრობენ სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირები, ლტოლვილებისგან განსხვავებით, არ ისარგებლობენ ოჯახის გაერთიანების უფლებით ოჯახის გაერთიანების შესახებ დირექტივის ⁽⁶⁹⁵⁾ მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული წევრი სახელმწიფო დაეთანხმება სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირებისთვის ლტოლვილების მსგავსი უფლებების მინიჭებას.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) საფუძველზე წევრ სახელმწიფოებს საშუალება მიეცათ შეღავათებით ისარგებლობასთან ერთად დაეწესებინათ პირობები, იმ შემთხვევაში, თუ ეს ეხება წევრ სახელმწიფოში უკვე მყოფი სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირთა ოჯახის წევრებს (ასეთი პირობები არ ვრცელდებოდა იმ პირთა ოჯახის წევრებზე, რომლებსაც

⁽⁶⁹³⁾ CJEU, 2015 წ., „HT“, op. cit., fn. 637, პუნქტი 95.

⁽⁶⁹⁴⁾ CJEU, 2018 წ., „Ahmedbekova“, op. cit., fn. 66, პუნქტი 68, აღნიშნავს „უნდა აღინიშნოს, რომ # 2011/95 დირექტივა არ ითვალისწინებს ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის სტატუსის გავრცელებას ამ სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრებზე.“

⁽⁶⁹⁵⁾ ოჯახის გაერთიანების შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. იხ. ასევე CJEU-ის 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „K and B v Staatssecretaris van Veiligheid en Justitie“, C-380/17, EU:C:2018:877, პუნქტი 33. იხ., ამის მიუხედავად, ასევე ECtHR (GC)-ის 2021 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება „MA v Denmark“, # 6697/18, CE:ECHR:2021:0709JUD000669718. საქმე ეხებოდა სუბსიდიარული ან დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა მდგომარეობას, რომლებსაც მოეთხოვებოდათ სამწლიანი ლოდინი მანამ, სანამ მიიღებდნენ უფლებას ოჯახის გაერთიანებაზე განაცხადის შეტანისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) დაადგინა, რომ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დამატებითი ან დროებითი დაცვით მოსარგებლე პირმა უნდა დაიცადოს 3 წელი, სანამ შეძლებს ოჯახის გაერთიანების თაობაზე განცხადების შეტანას ამ მოსარგებლის მდგომარეობის ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობის გარეშე, არ ქმნიდა ბალანსს სახელმწიფო ინტერესებსა და შესაბამისი პირების ინტერესებს შორის და რომ, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 მუხლის (პუნქტები 193-195) დარღვევას.



ლტოლვილის სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული). საკვალიფიკაციო დირექტივიდან (QD) (ახალი რედაქციით), საპირისპიროდ ამისა, ამოღებულია აღნიშნული შეზღუდვა⁽⁶⁹⁶⁾. საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ბინადრობის ნებართვით სარგებლობის უფლება გავრცელდა სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირთა ოჯახის წევრებზე. საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მიხედვით, ოჯახის წევრებს უფლება აქვთ მიიღონ ბინადრობის ნებართვა იმავე პირობებით, როგორც ოჯახის წევრს, რომელსაც მინიჭებული აქვს სუბსიდიარული დაცვის სტატუსი.⁽⁶⁹⁷⁾

როგორც აღრე აღვნიშნეთ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „აჰმედბეკოვა“ (Ahmedbekova)⁽⁶⁹⁸⁾ დაადგინა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) არ ითვალისწინებს ლტოლვილის ან სუბსიდიარული დაცვის სტატუსის გავრცელებას იმ პირის ოჯახის წევრებზე, რომელსაც მინიჭებული აქვს აღნიშნული სტატუსი. თუმცა, სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის შედეგი იყო ის, რომ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის ოჯახის წევრებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭება არ არის აპრიორი საერთაშორისო დაცვის საფუძველზე კავშირის გარეშე⁽⁶⁹⁹⁾.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „აჰმედბეკოვა“ (Ahmedbekova) დაასკვნა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლის მიხედვით წევრ სახელმწიფოს შეუძლია:

ოჯახის წევრისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებისას... ამ დაცვის ფარგლების გავრცელება ოჯახის სხვა წევრებზე, იმ პირობით, თუ ისინი არ მოექცევიან სტატუსიდან გამორიცხვის საფუძვლის ფარგლებში... და თუ მათი მდგომარეობა, ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების საჭიროების გამო, შეესაბამება საერთაშორისო დაცვის დასაბუთებულ საფუძველს⁽⁷⁰⁰⁾.

საქმეში „LW“⁽⁷⁰¹⁾ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) დიდმა პალატამ ასეთ მინიჭებასთან დაკავშირებით ორი პირობა გამოკვეთა. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, რომ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-3 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ არ გამორიცხოს წევრი სახელმწიფოს მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭება ლტოლვილის არასრულწლოვან შვილზე იმ პირობით, თუ, პირველ რიგში, „ბავშვი არ არის დაჭერილი გამორიცხვის საფუძვლით, როგორც ეს მითითებულია ამავე დირექტივის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში“ და, მეორე:

თუ ბავშვს, თავისი ეროვნების ან მისი პერსონალური სამართლებრივი სტატუსისთვის დამახასიათებელი სხვა ელემენტის გამო, არ აქვს უფლება ისარგებლოს იმაზე უკეთესი მოპყრობით ამ წევრ სახელმწიფოში, ვიდრე ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში. ამ მხრივ არ არის რელევანტური იმის დადგენა, არის თუ არა

⁽⁶⁹⁶⁾ UNHCR, „ევროპის რეგიონული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი: ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – ლტოლვილები, თავშესაფრის მძიებლები და მოქალაქეობის არმქონე პირები“, 2015 წლის ივნისი, გვ. 80.

⁽⁶⁹⁷⁾ იხ. ნაწილი 3.2.1.2, რომელშიც სრულად არის ციტირებული 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁽⁶⁹⁸⁾ CJEU, 2018 წ., „Ahmedbekova“, op. cit., fn. 66 პუნქტი 68:

⁽⁶⁹⁹⁾ Ibid., პუნქტები 72-73.

⁽⁷⁰⁰⁾ Ibid., პუნქტი 74.

⁽⁷⁰¹⁾ CJEU (GC), 2021 წ., „LW“, op. cit., fn. 86.





შესაძლებელი და გონივრულად მისაღები ბავშვისთვის და ბავშვის მშობლებისთვის სხვა მესამე ქვეყანაში გადასვლა⁽⁷⁰²⁾.

საქმეში „გერმანიის რესპუბლიკა SE-ს წინააღმდეგ“ (*Bundesrepublik Deutschland v SE*), ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU), სხვა საკითხებთან ერთად, განიხილა საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მამას მიიღოს სუბსიდიარულ დაცვაზე მიბმული უფლებები იმ ვაჟისგან, რომელმაც მოითხოვა საერთაშორისო დაცვა, როგორც მცირეწლოვანმა და მიიღო სუბსიდიარული დაცვის სტატუსი გერმანიაში. მამა ჩავიდა გერმანიაში მას შემდეგ, რაც მის ვაჟს მიენიჭა სუბსიდიარული დაცვის სტატუსი და მოითხოვა საერთაშორისო დაცვა იმ საფუძვლით, რომ ის იყო ქორწინებაში არმყოფი იმ არასრულწლოვნის მამა, რომელსაც ჰქონდა სუბსიდიარული დაცვის სტატუსი. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ CJEU, მათ შორის, გამოიტანა დასკვნა, რომ:

უფლებები, რომლებსაც სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირის ოჯახის წევრები იღებენ მათი შვილის მიერ მიღებული სუბსიდიარული დაცვის სტატუსიდან, კერძოდ, აღნიშნული დირექტივის 24-დან 35-მდე მუხლებში მითითებული პრივილეგიები, შენარჩუნებულია მას შემდეგ, რაც მოსარგებლე სრულწლოვანებას მიაღწევს, ამავე დირექტივის⁽⁷⁰³⁾ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მათთვის გაცემული ბინადრობის ნებართვის მოქმედების პერიოდის განმავლობაში.

3.3. ლტოლვილის სტატუსსა და სუბსიდიარული დაცვის სტატუსს შორის ურთიერთქმედება

ლტოლვილის სტატუსი და სუბსიდიარული დაცვის სტატუსი, რომელიც გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-13 და მე-18 მუხლებში, შესაბამისად, განცალკევებულია, თუმცა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული⁽⁷⁰⁴⁾. საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით) ადგენს ლტოლვილის სტატუსის უპირატესობას, ვინაიდან სუბსიდიარული დაცვის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს. გენერალური პროკურორი ბოტი [Bot] აღნიშნავს, რომ:

სუბსიდიარული დაცვის ფორმის შემოღებით..., ევროკავშირის კანონმდებლობის მიზანი არ არის შესთავაზოს არჩევანის საშუალება საერთაშორისო დაცვის ერთ ან მეორე ფორმას შორის. მისი მიზანია უზრუნველყოს [ლტოლვილთა] სტატუსის შესახებ კონვენციის „უპირველესობა“ იმის გარანტირების საფუძველზე, რომ ევროკავშირში დამკვიდრებული სუბსიდიარული დაცვის ფორმებმა არ დააკნინოს ამ კონვენციის

⁽⁷⁰²⁾ Ibid., საბოლოო განჩინება.

⁽⁷⁰³⁾ CJEU-ის 2021 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Bundesrepublik Deutschland v SE*“, C-768/19, EU/C/2021:709, პუნქტები 51-52.

⁽⁷⁰⁴⁾ CJEU, 2014 წ., *Diakité*, op. cit., fn. 102, პუნქტი 33; CJEU (GC), 2010 წ., „*Abdulla*“, op. cit., fn. 29, პუნქტი 78-79; და CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Oso*“, op. cit., fn. 28, პუნქტები 32-33. იხ. ასევე CJEU, გენერალური პროკურორის, მენგოჯის [Mengozzi] 2013 წლის 18 ივლისის მოსაზრება საქმეზე „*Aboubacar Diakité v Commissaire général aux réfugiés et aux apatrides*“, C-285/12, EU:C:2013:500, პუნქტი 60 (თავდაპირველი ხაზგასმა); და CJEU, გენერალური პროკურორის, მაზაკის მოსაზრება, 2009 წ., „*Abdulla*“, op. cit., fn. 657, პუნქტი 51.



მნიშვნელობა. ეს მიზანი განსაკუთრებით ნათლად ჩანს საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) მოსამზადებელი სამუშაოებიდან [ravaux préparatoires] ⁽⁷⁰⁵⁾.

სუბსიდიარული დაცვის სტატუსის ის თვისება, რაც მას დამატებითს ჰხდის, ლტოლვილის სტატუსის ხასიათთან მიმართებით, ასევე არაერთხელ იქნა ხაზგასმული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტულ სამართალში. სასამართლომ განმარტა, რომ „სუბსიდიარულ დაცვაზე განცხადება, პრინციპში, არ უნდა იქნეს განხილული მანამ, სანამ კომპეტენტური ორგანო არ დაასკვნის, რომ საერთაშორისო დაცვის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს“ ⁽⁷⁰⁶⁾. სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ „პრინციპში“ „კომპეტენტური ორგანოების“ ვალდებულებაა დაადგინონ სტატუსი, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება განმცხადებლის მდგომარეობას. ⁽⁷⁰⁷⁾.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) შესახებ საკანონმდებლო წინადადებაში, ევროკომისიამ აღნიშნა, რომ ჰააგის პროგრამის საპასუხოდ, რომელიც მოითხოვდა დაცვის ერთიანი სტატუსის შექმნას, ეს გაამარტივებს პროცედურებს, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის ორივე კატეგორიით მოსარგებლეთა უფლებების დაახლოებას და შეამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს ⁽⁷⁰⁸⁾. ეს იყო პასუხი იმ გაკრიტიკებასთან დაკავშირებით, რომ სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირებს, გარკვეული კუთხით, ენიჭებოდათ შედარებით მეზღუდული უფლებები ⁽⁷⁰⁹⁾. დაახლოება ასევე გამიზნული იყო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად, რომელსაც აწყდებიან სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირები ⁽⁷¹⁰⁾. ლტოლვილისა და სუბსიდიარული დაცვის სტატუსის აღიარებისა და შინაარსის მარეგულირებელი

⁽⁷⁰⁵⁾ CJEU, გენერალური პროკურორის, ბოტის [Bot] 2013 წლის 7 ნოემბრის მოსაზრება საქმეზე „*HN v Minister for Justice, Equality and Law Reform, Ireland, Attorney General*“, C-604/12, EU:C:2013:714, პუნქტი 43, რომელშიც გაკეთებულია მითითება ევროკომისიაზე „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) შესახებ საკანონმდებლო წინადადება: განმარტებითი მემორანდუმი“, 2001 წ., op. cit., fn. 266. იხ. ასევე მოსაზრების პუნქტები 41 და 44.

⁽⁷⁰⁶⁾ CJEU, 2014 წ., „*Diakité*“, op. cit., fn. 102, პუნქტი 33; CJEU, 2014 წ., „*HN*“, op. cit., fn. 26, პუნქტები 31 და 35 (იხ. ასევე პუნქტი 42). იხ. ასევე ნაწილი 3.2.1.

⁽⁷⁰⁷⁾ CJEU, 2014 წ., „*HN*“, op. cit., fn. 26, პუნქტი 34; გენერალური პროკურორის, ბოტის [Bot] მოსაზრება საქმეზე „*HN*“, op. cit., fn. 705, პუნქტი 45. იმ სიტუაციაში, როდესაც განმცხადებელი ამკარად არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს და ითვლება, რომ ის ითხოვს სუბსიდიარულ დაცვას, წევრ სახელმწიფოს შეუძლია დააჩქაროს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმების პროცესი APD-ის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მაგრამ ევროკავშირის კანონმდებლობა არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მას ამ წინასწარი ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულებისგან.

⁽⁷⁰⁸⁾ ევროკომისია, „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) შესახებ საკანონმდებლო წინადადება: განმარტებითი მემორანდუმი“, 2009 წ., op. cit., fn. 409, გვ. 6–7.

⁽⁷⁰⁹⁾ ეს წინადადება შემდგომში გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მაინც გრძელდებოდა სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე პირთა უფლებების შეზღუდვა. იხ., UNHCR, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის წარდგინება საქმეზე „*M.A. დანიის წინააღმდეგ (M.A. v. Denmark)*“ (საჩივარი # 6697/18) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, 2019 წლის 21 იანვარს, რომელშიც მან გამოთქვა შემფოთება ოჯახის გაერთიანებისთვის საჭირო მოცდის პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც დაწესებული იყო სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლებისთვის, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) კომენტარი ევროკომისიის წინადადებაზე საკვალიფიკაციო რეგულაციის შესახებ – COM (2016) 466, 2018 წლის თებერვალი, გვ. 33: „საერთაშორისო დაცვით მოსარგებლების გამოიკვან ხშირად არც არის აუცილებელი და არც ობიექტურად გამართლებული ფრენასთან დაკავშირებული გამოცდილების და დაცვის საჭიროებების თვალსაზრისით“. მაგალითად, ზოგიერთი წევრი სახელმწიფო „რეგულარულად ანიჭებს ლტოლვილის სტატუსს პირებს კონკრეტული წარმოშობის ქვეყნიდან, ხოლო სხვა წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ სუბსიდიარული დაცვის სტატუსს მსგავსი პროფილის მქონე პირებს იმავე წარმოშობის ქვეყნიდან“.

⁽⁷¹⁰⁾ წინადადებაში მითითებული იყო გაერთიანებასთან დაკავშირებული შემდეგი გამოწვევები, კერძოდ: კვალიფიკაციის აღიარება; პროფესიული მომზადებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობა; საინტეგრაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა; საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა; შეღავათების შემცირების შესაძლებლობები; და ოჯახის გაერთიანება. ევროკომისია, „საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) შესახებ საკანონმდებლო წინადადება: განმარტებითი მემორანდუმი“, 2009 წ., op. cit., fn. 409, გვ. 8–9.





წესების დაახლოება მიზნად ისახავდა „საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა მიერ წევრ სახელმწიფოებს შორის მეორადი გადაადგილების შეზღუდვის...“ საკითხებში დახმარებას (საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-13 პუნქტი).

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის 39-ე პუნქტში ეს საკითხული ასახულია შემდეგი სახით.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) პრეამბულის 39-ე პუნქტი

ლტოლვილებისთვის ან სუბსიდიარულ დაცვაზე უფლებამოსილ პირთათვის ერთიანი სტატუსის შემოღების შესახებ სტოკჰოლმის პროგრამის პასუხად, გარდა წესებიდან იმ გადახვევებისა, რომელიც აუცილებელი და ობიექტურად გამართლებულია, სუბსიდიარული დაცვის სტატუსით მოსარგებლებებს უნდა მიენიჭოთ იგივე უფლებები და შეღავათები, როგორც სარგებლობენ ლტოლვილები ამ დირექტივის შესაბამისად, და უნდა დაექვემდებაროს ამ სტატუსისთვის შესაბამისობის შემოწმების იმავე პირობებს⁽⁷¹¹⁾.

იმის დადასტურებისას, რომ სუბსიდიარული დაცვის სისტემა მიზნად ისახავდა „ლტოლვილების დაცვის პირობების შევსებას და მათში დამატებების შეტანას, რომელიც გათვალისწინებულია [ლტოლვილთა] სტატუსის შესახებ კონვენციაში“, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეში „ალო და ოსო“ (*Alo and Osso*) ხაზი გაუსვა შემდეგს⁽⁷¹²⁾:

მიუხედავად ამისა, პრეამბულის მე-8, მე-9 და 39-ე პუნქტებში [საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით)] აღნიშნულია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის მიზანი იყო, სტოკჰოლმის პროგრამის საპასუხოდ შემოეღო საერთაშორისო დაცვის ერთიანი სტატუსი საერთაშორისო დაცვის ყველა მოსარგებლისთვის და, შესაბამისად, გადაწყდა სუბსიდიარული დაცვის იგივე უფლებებისა და შეღავათების მინიჭება საერთაშორისო დაცვით მოსარგებლებისთვის, რითაც სარგებლობდნენ ლტოლვილები, გარდა წესებიდან აუცილებელი და ობიექტურად გამართლებული გადახვევისა⁽⁷¹³⁾.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ლტოლვილებს და სუბსიდიარულ დაცვაზე უფლებამოსილ პირებს აქვთ იგივე უფლებები „თუ სხვაგვარად არ არის მითითებული“.

⁽⁷¹¹⁾ დამატებულია ხაზგასმა. სტოკჰოლმის პროგრამა მიღებულ იქნა ევროპული საბჭოს მიერ 2009 წლის დეკემბერში QD-ის (ახალი რედაქციით) საკანონმდებლო პროცედურის დროს, ტამპერესა და ჰააგის პროგრამებზე დაყრდნობით, შეინარჩუნა რა ერთიანი სტატუსის შემოღების მიზანი.

⁽⁷¹²⁾ CJEU (GC), 2016 წ., *Alo and Osso*, op. cit., fn. 28. საკითხი ეხებოდა იმის გარკვევას, არის თუ არა სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლების მიმართ დაწესებული საცხოვრებელი ადგილის პირობა საკვალიფიკაციო დირექტივასთან (QD) (ახალი რედაქციით) თავსებადი მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელის მიზანია სოციალური დახმარების ტვირთის სათანადო განაწილება იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის დაწესებულებებს შორის ან როდესაც ის ეფუძნება მიგრაციის ან ინტეგრაციის პოლიტიკის საფუძვლებს.

⁽⁷¹³⁾ CJEU (GC), 2016 წ., *Alo and Osso*, op. cit., fn. 28, პუნქტი 32 (დამატებულია ხაზგასმა).



29-ე მუხლის (სოციალური უზრუნველყოფა) საფუძველზე წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ გამოიყენონ განსხვავებული მოპყრობა მაშინ, როცა 32-ე მუხლი (საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა), მაგალითად, უზრუნველყოფს იგივე უფლებებს ⁽⁷¹⁴⁾.

შედეგად, მსგავსებები და განსხვავებები საუკეთესოდ არის გადმოცემული შემდეგი ორი ცხრილის ფორმით.

უფლებები, რომელიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე ყველა პირისთვის, განურჩევლად, მოცემულია ცხრილში 60.

ცხრილი 28: საკვალიფიკაციო ღირებულებით (QD) (ახალი რედაქციით) გათვალისწინებული უფლებები, რომელიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე ყველა პირისთვის

უფლებები, რომელიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე ყველა პირისთვის, განურჩევლად	საკვალიფიკაციო ღირებულება (QD) (ახალი რედაქციით)
გაძევებისგან დაცვა (გარდა ლტოლვილებისთვის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობისა 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვითარებაში)	მუხლი 21
სტატუსთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება	მუხლი 22
ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების უფლება ⁽⁷¹⁵⁾	მუხლი 23
დასაქმების ხელმისაწვდომობა	მუხლი 26
განათლების ხელმისაწვდომობა	მუხლი 27
კვალიფიკაციის აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა	მუხლი 28
ჯანმრთელობის დაცვა	მუხლი 30
ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია მცირეწლოვნებთან თანმხლები პირების გარეშე	მუხლი 31
საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა	მუხლი 32
წევრი სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება	მუხლი 33
დახმარება რეპატრაციის დროს	მუხლი 35

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ერთადერთი საქმე, რომელიც ეხება ნებისმიერ ამ დებულებას, არის „ალო და ოსო“ (Alo and Osso). თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ საკვალიფიკაციო ღირებულების (QD) (ახალი რედაქციით) 33-ე მუხლი:

⁽⁷¹⁴⁾ საკვალიფიკაციო ღირებულების (QD) (ახალი რედაქციით) 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „პირველ პუნქტში მითითებული ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეზღუდონ სუბსიდიარული დაცვის სტატუსით მოსარგებლეებისთვის მინიჭებული სოციალური დახმარება ძირითადი შეღავათებით, რომელთა მინიჭება შემდეგ მოხდება იმავე დონეზე და იგივე შესაბამისობის პირობების დაცვით, რაც დაწესებულია მოქალაქეებისთვის“. 32-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლეებს ჰქონდეთ საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის უფლება იგივე პირობებით, როგორც მათ ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრებ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს“.

⁽⁷¹⁵⁾ თუმცა, # 2003/86/EC ღირებულება ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ უზრუნველყოფს უფრო ხელსაყრელ პირობებს ლტოლვილებისთვის ოჯახის გაერთიანების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით, ვიდრე სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ წევრ სახელმწიფოში.





უნდა განიმარტოს ისე, რომ წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვოთ, დაუშვან საერთაშორისო დაცვით მოსარგებლების თავისუფალი გადაადგილება იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, რომელმაც მიანიჭა ასეთი დაცვა და აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი ამ ტერიტორიაზე⁽⁷¹⁶⁾.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) იმსჯელა, რომ „[ლტოლვილთა] სტატუსის შესახებ კონვენციის 26-ე მუხლი [...] ცალსახად ითვალისწინებს, რომ ეს თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ თავისუფალი გადაადგილების უფლებას იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელმაც მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი, არამედ ლტოლვილთა უფლებას, აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი ამ ტერიტორიაზე“⁽⁷¹⁷⁾. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) მიიჩნია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის მიზანს იგივე შედეგის მიღწევა წარმოადგენდა, როგორც ეს მოცემულია საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 33-ე მუხლში.

უფლებები ითვალისწინებდა პირობებს, რომელიც განსხვავდება ლტოლვილებისა და სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლებისთვის, როგორც ეს მოცემულია ცხრილში 61.

⁽⁷¹⁶⁾ CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Osso*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 37.

⁽⁷¹⁷⁾ Ibid., პუნქტი 35.



მუხლი 29: ლტოლვილთა და სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლეთა მიმართ დიფერენცირებული მოპყრობა

უფლება	დიფერენციაცია	საკვალიფიკაციო დირექტივა (QD) (ახალი რედაქციით)
ბინადრობის ნებართვები	ხანგრძლივობა შეიძლება მეტი იყოს ლტოლვილებისთვის	მუხლი 24
სამგზავრო დოკუმენტები ⁽⁷¹⁸⁾	სამგზავრო დოკუმენტები გაიცემა სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლე იმ პირებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ეროვნული პასპორტის აღება	მუხლი 25
სოციალური უზრუნველყოფა	სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლეებისთვის გაცემული სოციალური დახმარება შეიძლება შემოიფარგლოს ძირითადი შეღავათებით, მაგრამ მათი უზრუნველყოფა ხდება იმავე ხარისხით და იგივე შესაბამისობის კრიტერიუმებით, როგორც მოქალაქეებისთვის. ⁽⁷¹⁹⁾	მუხლი 29

ზემოაღნიშნული განსხვავებების მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სუბსიდიარული დაცვა არის სპეციალური სტატუსი. იმ პირებისგან განსხვავებით, რომელთა გაძევება შეუძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლის თანახმად, ისინი, ვინც აკმაყოფილებენ სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, სარგებლობენ სტატუსით, რომელიც ითვალისწინებს სპეციფიკურ უფლებებს და შეღავათებს; პირველის შემთხვევაში, ევროკავშირის კანონმდებლობა ამგვარ სტატუსს

⁽⁷¹⁸⁾ რაც შეეხება სამგზავრო დოკუმენტებს, უნდა აღინიშნოს, რომ თუ სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლებს არ აქვთ ეროვნული პასპორტი, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ „წევრი სახელმწიფოები სუბსიდიარული დაცვის სტატუსით მოსარგებლეებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მიიღონ ეროვნული პასპორტი, გაცემენ დოკუმენტებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაემგზავრონ თავიანთი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, თუ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამაჯერებელი საფუძვლებით სხვაგვარად არ მოითხოვება“.

⁽⁷¹⁹⁾ რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი განმარტა საქმეში „*Alo and Osso*“ (*Alo and Osso*), შესაძლებელია თუ არა სუბსიდიარული დაცვით მოსარგებლეთა მდგომარეობის ობიექტურად შედარება მესამე ქვეყნის მოქალაქეების მდგომარეობასთან, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ წევრ სახელმწიფოში. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა: ის, რომ სწორედ ეროვნულმა სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს „მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებით, არის თუ არა საერთაშორისო დაცვით - ამ შემთხვევაში სუბსიდიარული დაცვით - მოსარგებლე პირი, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ოჯახთან გაერთიანებისას იგი უფრო დიდ სირთულეებს შეიძლება წააწყდეს, ვიდრე სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ლეგალურად ცხოვრობს გერმანიაში და სარგებლობს ასეთი შეღავათებით“ (CJEU (GC), 2016 წ., „*Alo and Osso*“, op. cit., fn. 28, პუნქტი 62). CJEU-ის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*Ahmad Shah Ayubi v Bezirkshauptmannschaft Linz-Land*“, C-713/17, EU:C:2018:929, პუნქტი 42, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, რომ „[საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით)] 29-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ არ მისცეს ეროვნულ კანონმდებლობას საშუალება, როგორც მთავარი სამართალწარმოებისას განსახილველი საკითხის შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს, რომ წევრ სახელმწიფოში დროებითი ცხოვრების უფლებით მოსარგებლე ლტოლვილებს უნდა მიენიჭოს სოციალური უზრუნველყოფით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უფლება, რომელიც უფრო მეზღუდულია, ვიდრე ის უფლებები, რომლითაც სარგებლობენ ამ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები და ლტოლვილები, რომლებსაც აქვთ ამ წევრ სახელმწიფოში მუდმივი ბინადრობის უფლება“. იხ. ასევე CJEU-ის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „*Associazione per gli Studi Giuridici sull’Immigrazione (ASGI), Avvocati per niente onlus (APN), Associazione NAGA – Organizzazione di volontariato per l’Assistenza Socio-Sanitaria e per i Diritti di Cittadini Stranieri, Rom e Sinty v Presidenza del Consiglio dei Ministri – Dipartimento per le politiche della famiglia, Ministero dell’Economia e delle Finanze*“, C-462/20, EU:C:2021:894, რომელიც ადასტურებს CJEU-ის დებულებებს საქმეში „*Ayubi*“ (Ayubi) პუნქტებში 33-34.





არ ითვალისწინებს ⁽⁷²⁰⁾. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ მესამე ქვეყნების მოქალაქეები, რომელთა გადაცემა შეუძლებელია, არ სარგებლობენ ევროკავშირის კანონმდებლობით რეგულირებული სპეციფიკური სტატუსით, გავლენას არ ახდენს ევროკავშირის ქარტიით გათვალისწინებულ მათ სხვა უფლებებზე, როგორცაა ადამიანის ღირსების უფლება (მუხლი 1) და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 7).

⁽⁷²⁰⁾ ეს განსხვავება ასევე ასახულია დაბრუნების შესახებ დირექტივის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში და აისახება ასევე იმ ფაქტზე, რომ დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება უნდა გაიცეს მაშინაც კი, თუ გაყვანა შეუძლებელია არგუმენტების პრინციპიდან გამომდინარე. იხ. CJEU-ის 2021 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „BZ v Westerwaldkreis“, C-546/19, EU:C:2021:432 (ინგლისურენოვანი თარგმანი ხელმისაწვდომი არ არის), პუნქტები 55-59. იხ. ასევე CJEU-ის 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „Bashir Mohamed Ali Mahdi“, C-146/14 PPU, EU:C:2014:1320, პუნქტი 89.



Appendix A. გადაწყვეტილების დიაგრამები

ლტოლვილთა დაცვა

აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი ლტოლვილის სტატუსის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად?

სტატუსით სარგებლობის უფლება არ აქვს“

არის თუ არა განმცხადებელი მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი?

დიახ

კვალიფიცირდება თუ არა საშიში ქმედება/ქმედებები დევნის აქტად საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით?

(a) არის თუ არა ქმედება საკმარისად სერიოზული თავისი ბუნებით ან განმეორებადი ხასიათის იმისათვის, რომ მიჩნეულ იქნეს ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზულ დარღვევად?

ან

(b) (b) თავმოყრილია თუ არა ასეთ აქტში სხვადასხვა ზომები, ადამიანის უფლებების დარღვევის საწინააღმდეგო ზომების ჩათვლით, რომელიც საკმარისად მძიმეა იმისთვის, რომ გავლენა მოახდინოს პირზე ისე, როგორც განსაზღვრულია მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით?

არა თუ არა დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტები საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლის შესაბამისად?

(a) სახელმწიფო.

(b) პარტიები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

(c) დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი, რომელიც არ არის სახელმწიფო.

არსებობს თუ არა სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის უზრუნველმყოფი სუბიექტები საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის შესაბამისად?

(a) სახელმწიფო.

(b) (b) პარტიები ან ორგანიზაციები, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

არსებობს თუ არა დაცვის უზრუნველმყოფი სუბიექტი, რომლის სურვილია და რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს დევნისგან დაცვა (საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის მიხედვით)?

არის თუ არა ეს დაცვა ეფექტური და მუდმივი (საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით)?

არსებობს თუ არა დევნის მიზეზი საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-10 მუხლის შესაბამისად?

(a) ექვემდებარება თუ არა განმცხადებელი დევნას შემდეგი მიზეზების გამო: რასა, რელიგია, ეროვნება, კონკრეტული სოციალური ჯგუფის კუთვნილება ან პოლიტიკური შეხედულება?

(b) (b) ფიქსირდება თუ არა ისეთი ფაქტი, როდესაც არ არსებობს დაცვა დევნის აქტის/აქტებისგან ერთ-ერთი ამ მიზეზის გამო?

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი

იყენებს თუ არა წევრი სახელმწიფო საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლს (შიდასახელმწიფოებრივი დაცვა)?

არსებობს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი დაცვა წარმოშობის ქვეყნის ნაწილში საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად?





(a) არსებობს თუ არა ისეთი ფაქტი, როდესაც განმცხადებელს არ გააჩნია დევნის საფუძვლიანი მიზეზი ან არსებობს თუ არა ისეთი გარემოება, სადაც მას არ ემუქრება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი?

ან

(b) აქვს თუ არა განმცხადებელს ქვეყნის რომელიმე ნაწილში დევნიდან ან სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვის შესაძლებლობა?

და

მუდლია თუ არა განმცხადებელს უსაფრთხოდ და ლეგალურად გაემგზავროს და მიიღოს ნებართვა ქვეყნის აღნიშნულ ნაწილში შესვლასა და გონივრულ ფარგლებში იქ შესაძლო დასახლებაზე?

ვრცელდება თუ არა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-12 მუხლით განსაზღვრული გამორიცხვასთან დაკავშირებული დათქმები?

იხ., EASO, „გამონაკლისი შემთხვევები: საკვალიფიკაციო დირექტივის მე-12 და მე-17 მუხლები – პრევენციული სამართლის ანალიზი“, მე-2 გამოცემა, 2020 წ.

„ლტოლვილის სტატუსით სარგებლობის უფლება არ აქვს“

განმცხადებელი აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს

სუბსიდიარული დაცვა

თუ განმცხადებელი არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, აქვს თუ არა მას სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად?

განმცხადებელს არ აქვს სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება

არის თუ არა განმცხადებელი მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი?

მოექცევა თუ არა განმცხადებელი სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის ქვეშ, თუ ის დაბრუნდება თავის წარმოშობის ქვეყანაში, საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-15 მუხლის შესაბამისად?

(a) ემუქრება თუ არა განმცხადებელს სიკვდილით დასჯის ან სასიკვდილო განაჩენის აღსრულების რეალური რისკი?

ან

(b) ემუქრება თუ არა განმცხადებელს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის რეალური საფრთხე მისივე წარმოშობის ქვეყანაში?

ან

(c) არის თუ არა განმცხადებელი სამოქალაქო პირი, რომლის სიცოცხლეს ან პიროვნებას ემუქრება სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში განურჩეველი ძალადობის გამო?

— არის თუ არა საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტი განმცხადებლის წარმოშობის რეგიონში?

— არსებობს თუ არა განურჩეველი ძალადობის ვითარება?

— აქვს თუ არა ადგილი განურჩეველ ძალადობას ისეთ დონეზე, რომ მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის საფუძველზე განმცხადებელს შეიძლება შეექმნას სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე ან არსებობს თუ არა მაძიებლის პირადი გარემოებები (მაგ., წარმომავლობა, სქესი, ასაკი, პროფესია, წარმოშობის რეგიონი), რომელიც წარმოშობს უფრო დიდ რისკს იმ ვითარებაში, რომელშიც ძალადობის დონე არის უფრო დაბალი?

— არსებობს თუ არა კავშირი სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხესა და განურჩეველ ძალადობას შორის?

— არის თუ არა განმცხადებელი სამოქალაქო პირი?

— ემუქრება თუ არა საფრთხე განმცხადებლის სიცოცხლეს ან პიროვნებას?

განსაზღვრავს თუ არა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლი სერიოზული ზიანის მიყენებელ სუბიექტს?



(a) სახელმწიფო.

(b) პარტიები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

(c) დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი, რომელიც არ არის სახელმწიფო.

საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-6 მუხლი

განსაზღვრავს თუ არა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლი დაცვის უზრუნველყოფ სუბიექტს?

(a) სახელმწიფო.

(b) პარტიები ან ორგანიზაციები, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

არსებობს თუ არა დაცვის უზრუნველყოფი სუბიექტი, რომლის სურვილია და რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სერიოზული ზიანისგან დაცვა (საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით)?

არის თუ არა ეს დაცვა ეფექტური და მუდმივი (საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით)?

იყენებს თუ არა წევრი სახელმწიფო საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლს (შიდასახელმწიფოებრივი დაცვა)?

არსებობს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი დაცვა წარმომობის ქვეყნის ნაწილში საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად?

(a) არის თუ არა ეს ის შემთხვევა, როდესაც განმცხადებელს არ გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში ან მას არ ემუქრება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი?

ან

(b) აქვს თუ არა განცხადებელს ქვეყნის რომელიმე ნაწილში დევნისგან ან სერიოზული ზიანის მიყენებისგან დაცვაზე წვდომა?

და

შეუძლია თუ არა განმცხადებელს უსაფრთხოდ და ლეგალურად გაემგზავროს და მიიღოს ნებართვა ქვეყნის აღნიშნულ ნაწილში შესვლასა და გონივრულ ფარგლებში იქ შესაძლო დასახლებაზე?

განმცხადებელს არ აქვს სუბსიდიარული დაცვის მოთხოვნის უფლება

ვრცელდება თუ არა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) მე-17 მუხლით განსაზღვრული სტატუსიდან გამორიცხვასთან დაკავშირებული დათქმები?

იხ., EASO, „გამონაკლისი შემთხვევები: საკვალიფიკაციო დირექტივის მე-12 და მე-17 მუხლები – პროცედენტული სამართლის ანალიზი“, მე-2 გამოცემა, 2020 წ.

განცხადებელს აქვს უფლება მოითხოვოს სუბსიდიარული დაცვა

დაცვა საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) ფარგლებს მიღმა

თუ განცხადებელი არ აკმაყოფილებს არც ლტოლვილის და არც სუბსიდიარული დაცვის სტატუსის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, შეიძლება თუ არა მან მიიღოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის სხვა ფორმები, მაგრამ საკვალიფიკაციო დირექტივის (QD) (ახალი რედაქციით) ფარგლებს მიღმა, მაგალითად თანაგრძნობის ან ჰუმანური საფუძვლებით (QD-ის (ახალი რედაქციით) პრეამბულის მე-15 პუნქტი)?



ევროკავშირთან დაკავშირება

პირადად

მთელს ევროკავშირში არის ასობით „Europe Direct“-ის ცენტრი. უახლოესი ცენტრის მისამართის მოძიება შეგიძლიათ ონლაინ (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ტელეფონით ან წერილობით

„Europe Direct“ არის სამსახური, რომელიც პასუხობს თქვენს შეკითხვებს ევროკავშირის შესახებ. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ამ სამსახურს:

- უფასო ტელეფონის ნომერზე: 00 800 6 7 8 9 10 11 (ზოგიერთ ოპერატორს შეუძლია დააწესოს გადასახადი ამ ზარებისთვის),
- შემდეგ სტანდარტულ ნომერზე: +32 22999696,
- შემდეგი ფორმით: european-union.europa.eu/contact-eu/write-us_en.

ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მოძიება

ონლაინ

ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე ხელმისაწვდომია Europa-ის ვებგაიტზე (europa.eu).

ევროკავშირის პუბლიკაციები

ევროკავშირის პუბლიკაციები შეგიძლიათ დაათვალიეროთ ან შეუკვეთოთ შემდეგ გვერდზე op.europa.eu/en/publications. უფასო პუბლიკაციების მრავალი ასლის მიღება შეგიძლიათ „Europe Direct“-თან ან თქვენს ადგილობრივ ლოკუმენტაციის ცენტრთან დაკავშირების გზით (european-union.europa.eu/contact-eu/meet-us_en).

ევროკავშირის კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

ევროკავშირის სამართლებრივ ინფორმაციაზე წვდომისთვის, მათ შორის, 1951 წლიდან გამოცემული ევროკავშირის ყველა კანონის სანახავად, ყველა ოფიციალურ ენაზე, გადადით EUR-Lex-ის შემდეგ ბმულზე (eur-lex.europa.eu).

ევროკავშირის ღია მონაცემები

პორტალი data.europa.eu უზრუნველყოფს წვდომას ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოებისა და სააგენტოების ღია მონაცემთა ბაზებზე. მათი ჩამოტვირთვა და გამოყენება შესაძლებელია უფასოდ, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნებისთვის. პორტალი ასევე უზრუნველყოფს წვდომას ევროპის ქვეყნების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე ან მონაცემთა ბაზებზე.



Publications Office
of the European Union

